



ISSN-0132-6066

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675
1985

15
675-3

ენისა

და

ლიტერატურის
სერია

1.1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1985 N 1

ქართული დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლმეზია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),

თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,

ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

• საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ, ენისა და ლიტერატურის სერია

1985, № 1

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 8.1.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.6.85; უე 05234;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 14,1; ტირაჟი 1600; შეჯ. 227; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тяпография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ	5
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი	6
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო	7 9

მ. კეკელია, „სისხლის დენით“ შინაარსისათვის ვეფხისტყაოსანში	11
ბ. კილანავა, შიხლოება ცურტაველთან	14
მ. უჭმაჭურიძე, ელგიური მოტივისათვის ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში	30
თ. ოთხმეხური, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარათა ქართული თარგმანები	44
ფ. ფურცელაძე, არაბული პოეზიის დასაწყისის ერთი საკითხისათვის	52
ნ. კიხარია, ქართული ლექსისა და მხატვრული პროზის წყობის თვისებებზე	59
თ. ცქიტიშვილი, ლექსიკოლოგიური ძიებანი, I	67
გ. ნინუა, ზ. სარჯველაძე, უნახაობის გამობატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში	79
ნ. კანდელაკი, ასომთავრულში კოდირების ერთი სისტემის შესახებ	86
გ. გოგოლაშვილი, ერთი ზმნური ძირის (ცემა) შედგენილობისათვის ქართულში	92
ლ. ბაბლუანი, ჩამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები სვანურ ენაში	98
ა. მესხი, ენათა სახელწოდებების ფუნქციონირების საკითხისათვის მეცნიერულ პროზაში	110
მ. წერეთელი, აპურამაზა და მისი ეპითეტები საშუალო სპარსული ძეგლების მიხედვით	118
მ. ესაკია, ნომინაციის ზოგიერთი საკითხი (საკუთარ სახელთა მიხედვით)	124
რ. ენუქიძე, მხატვრული ქრონოტოპი და Short Story-ს სიუჟეტური დინამიკა	127
გ. ბურჭულაძე, ბრძანებითი კილოს აკრძალვით ფორმათა შესახებ ლაკრში	141
ვ. კიკილაშვილი, პირის ნაცვალსახელები შაჰ-დაღის ქვეყნის ენებში სხვა ლეზგიურ ენებთან მიმართებით	150
თ. მესხი, ანტიპიატუსი თუ დიკამის რეფლექსი?	161

პუბლიკაცია

ნ. მირაშვილი, „მარიამ მეგვიპეტელის ცხოვრების“ უძველესი და განსხვავებული რედაქცია	166
იოსებ ყიფშიძის წერილები ნიკო მარისადმი (პუბლიკაცია და შენიშვნები ი. მეგრელიძისა)	177

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თ. ჩხეიძე, რეცენზია წიგნზე „ამბავი ზარებისა ვრცელი კომენტარით დავუდ მონში-ზადესი“ (უპსალა, 1981)	187
--	-----

ქრონიკა და ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე	191
ახალი წიგნები	191

СОДЕРЖАНИЕ

Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза	5
Михаил Сергеевич Горбачев	6
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу	7
Константин Устинович Черненко	9
М. М. Кекелия, К пониманию выражения «с пролитием крови» в поэме Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре»	11
Б. И. Килава, Приближение к Цуртавели	14
М. Г. Уджмаджуридзе, Об элегическом мотиве в древнегрузинской гимнографии	30
Т. З. Отхмезури, Грузинские переводы мифологических комментариев Псевдо-Ноина	44
Н. Н. Пурцеладзе, К вопросу о начале арабской поэзии	52
Н. А. Кизириа, Особенности чтения грузинского стиха и художественной прозы	59
Т. К. Цкитишвили, Лексикологические разыскания	67
Г. А. Ниуа, З. А. Сарджвеладзе, Выражение заочности в древнегрузинских письменных памятниках	79
Н. П. Канделаки, Об одной системе кодирования в «асомтаврული»	86
Г. Б. Гоголашвили, К структуре одного глагольного корня (sepa) в грузинском языке	92
Л. И. Габдуани, Последовательности шумных согласных в сванском языке	98
А. В. Месхи, К вопросу о функционировании названий языков в стиле языка научной прозы	110
М. Г. Церетели, Ахура Mazda и его эпитеты по среднеперсидским памятникам	118
М. В. Эсакия, Некоторые аспекты номинации (на материале собственных имен)	124
Р. И. Енукидзе, Художественный хронотоп и сюжетная динамика Short Story	127
В. Т. Бурчуладзе, О запретительных формах императива в лакском языке	141
В. И. Кикилашвили, Личные местоимения языков шах-дагской подгруппы в сравнении с остальными языками лезгинской группы	150
Т. А. Месхи, Антихиатус или рефлекс дигаммы?	161
Публикации	
Н. Ш. Миравшвили, Древнейшая и своеобразная редакция «Жития Марии Египетской»	166
Письмо Иосифа Кипшидзе Николаю Марру (публикации и примечания И. В. Мегрелидзе)	177
Критика и библиография	
Т. Д. Чхендзе, Рецензия на книгу «Die Geschichte Zarers» (Uppsala, 1981)	187
Хроника и информация	
Конкурс на лучшие работы молодых ученых за 1985 г.	191
Новые книги	191





ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

ს ა ბ ჭ ო რ ა კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ არ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს კ ლ ე ნ უ შ ი ს შ ე ს ა ს ხ ბ ა

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დაავლებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანბ. მ. გ. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნისტის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დაშვიდებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ უურაღლებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძვე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელშეწყობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ბორცოვდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წუობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაულაღვი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამომწვეული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიწმელო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისჩინებით უფროსი დეობოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმიანობის ერთიანობა მიანიჭდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდარად, განუზრუნველვინებდა განვითარების საწინდარად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გზოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

11181

ს. ს. ს. კ. პარტიის
ს. ს. ს. კ. პარტიის
ს. ს. ს. კ. პარტიის

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამშობლო გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტიბიუროს წევრმა აშხ.

ა. ა. გრომიცომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად აშხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ერთსულვნად აირჩია აშხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აშხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

აშხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ღვინიურ საქმეს, რათა განუზრუნავდეს ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შენდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, შვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუზრუნავდეს ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მიხეილ სერგის ქე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოვარდისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

მალე 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სახმარეო კომიტეტის პრაზაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დაწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სახმარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკპ სტავროპოლის სახმარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაუკვანილ იქნა პოლიტიბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის მე-8—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სსსრ მე-10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. უძველესი პოსტზე, რომელიც მისთვის პარტიას მიუნიჭია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერჯიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, დიდ გამოცდილებასა და

ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მ. ს. გორბაროვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეაღია, სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომპარტიული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საფუძვალს პარტიორგანიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერენკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისხვსით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო კ. უ. ჩერენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზვეისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი, პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, სკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომპარტიის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უუაგდებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუტყობლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მკიდროდ შეაკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კო-

მიტეტისა და მისი პოლიტიკოსებს გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომლები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირითადი ინტერესებისადმი, კომუნისტური საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უცვლადი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიიჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაქაჩვის საფუძველზე. მთელი გულშემატკივანით სულ უფრო სრულად განხორციელდება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად ვაძარბებდა ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებული განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების მჭერ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველყოქმელების საფუძველს წარმოადგენს, განვიხრებლად სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებებად მიიჩნევა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ დღეს მხარობდნენ და მხარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოპულარობის განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გააძლიერებული შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემსწორდება საერთაშორისო დამახოვლობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთვაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ეშუქება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი ამიტომ ჩვენ კვლავაც დაუტყობლად ვაძლიერებთ სიფხილეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური საშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმართლით ვკვიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულად შეიარაღებულია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაღვრო ნდობა მოაპოვებინეს. ხალხსად ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნეხო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეაღია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის სხეულში. იგი დარჩება ჩვენს სხეულში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების განუხრად პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების სპირიტებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებანი ადამიანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იზრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებათ, განამტკიცებენ ჩვენი საშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვის ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდ ოქტომბრის დროსას.



კონსტანტინე უსტინის კე ჩერხევი

1955 წლის 10 მარტს სამოცდაცამეტი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამკვნი სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერხევი. შეწედა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, სერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გულსცემა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერხევამ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახმარა პარტიისა და ხალხის საქმის თავდაღებულ სამსახურს, ბრძოლას საშობლოს გეონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა აღმსარებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი სრულყოფისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერხევო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს გლეხის ოჯახში კრასნოარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში. შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერხევამ სიურმიდანვე დაიწყო, მოგანაგრად მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შედევლი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ზღაპრულად მუშაობასთან კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერხევო იყო სრულიად საქავშირის ალკე კრასნოარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიასში, სადაც 1931 წელს შეიღდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1938 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

არმიასში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერხევო მუშაობდა კრასნოარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოს და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოარსკის პარტიული განათლების სამსახურ სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოარსკის სამსახურ კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, მდივად.

1945 წლიდან სკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიორგანიზატორთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერხევო მუშაობდა პარტიის ცენტრის საოლქო კომიტეტის მდივად, ხოლო 1948 წლიდან — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1956 წელს იგი დააწინაურდა სკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგის თანამდებობაზე. 1960 წლიდან კ. უ. ჩერხევო მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს იგი დაანტაციეს სკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში კ. უ. ჩერხევო სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. პარტიის XXIV ყროლობაზე, 1971 წლის მარტში იგი აირჩია სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც გაიმართა პარტიის XXV ყროლობის შემდეგ, — სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივად.

1977 წლიდან კ. უ. ჩერხევო სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1978 წლიდან — სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრია.

1934 წლის 13 თებერვალს გამართულმა სკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა კ. უ. ჩერხევო აირჩია სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად.

კ. უ. ჩერხევო იყო სსრ კავშირის 7—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და რუსეთის სესრ 10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1934 წლის აპრილში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე კ. უ. ჩერხევო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მაღალ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერხევოს, მან თავი გამოიჩინა როგორც ერთგულმა და მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერხევომ, რომელსაც უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. XXVI ყროლობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის განვითარება-განმტკიცებისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივნისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, სხვა გამოსვლებში კ. უ. ჩერჩენკო ურვედნობით დასაბუთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — სსრ კავშირში აწინებელი სოციალიზმის სრულყოფის კურსი. მის სახელთან არის დაკავშირებული პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემდგომი გაღრმავება და დაკონკრეტება, რომელმაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის მუშაობას.

კ. უ. ჩერჩენკო დიდ ძალ-ღონესა და უურაღლებას უთმობდა მასებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მის საკადრო პოლიტიკას, საბჭოების, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია კ. უ. ჩერჩენკოს წვლილი სკკ-ის რეფორმის შემუშავებაში.

კ. უ. ჩერჩენკო დიდად ზრუნავდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, ეკონომიკის ურვედნობის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოსტკივებისათვის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოსტკივებისათვის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოსტკივებისათვის შეიმდგომი განვითარება მოვა პარტიის აგარულმა პოლიტიკამ, განისაზღვრა სასურსათო პროგრამის შესრულების, ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ამოცანების აქტუალური ამოცანები.

კ. უ. ჩერჩენკო, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს მეთაურობდა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

როგორც საერთაშორისო ვითარებაში კ. უ. ჩერჩენკო დაუცხრომლად მუშაობდა ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, გამაღებული შეიარაღების აღაგმვა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამ პოლიტიკას ერთსულვლად უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

კ. უ. ჩერჩენკო უურაღლებას უთმობდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობისა და შეკავშირების განვითარებასა და განმტკიცებას. იგი თანამიმდევრულად იღვწოდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

კ. უ. ჩერჩენკოს ინიციატივით იყო შემუშავებული საბჭოთა კავშირის ბევრი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერჩენკოს სამგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ოთხი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით, აგრეთვე მოძვე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით. იგი ლენინური პარტიის ლაურეატი იყო.

კ. უ. ჩერჩენკოს საბჭოთა ხალხის, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების დიდი პატივისცენა და ნდობა ჰქონდა მოაქვებულ. იგი მუდამ გამოირჩეოდა გულისხმიანი დაწყობილებებით მშრომელთა საქირებებისა და მოთხოვნებებისადმი, პრინციპულობითა და პირადი თავმდაბლობით.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერჩენკოს მთელი ცხოვრება არის ლენინური პარტიის დიდი საქმიანობის ურყევი ერთგულების, კომუნისმის იდელების გამარჯვებისათვის თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერჩენკოს ნათელი ხსოვნა საუფლამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

სკკ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მიხეილ კეკელია

„სისხლის დენით“ შინაარსისათვის ვიზუალურად

აღრე შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა „ვეფხისტყაოსნის“ 550-ე სტროფის მეოთხე ტაეპის შინაარსის გაგებაზე¹.

განსახილველ სტროფში ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის ამბავი ასეა გადმოცემული:

„ასა ეუბრანე მონას: „საომრად დამზადენით!“
შეესხედით, გავლეთ ქალაქი, არაის გავეცხდენით.
კარაჲსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ხარ-მაც თქმად ენით,
და უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სიახლისა დენით“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მეოთხე ტაეპის შინაარსის სხვადასხვაგვარად გაგება გვაიძულებს ერთხელ კიდევ მოვიყვანო ტაეპთან დაკავშირებით ყველაზე უფრო გამოწვლილვითი მსჯელობა ერთი ცნობილი მკვლევრისა. იგი წერს: მითითებულ ტაეპში ორი რამაა გაუგებარი „უსისხლოდ მოვკალ“ და „სისხლის დენით“... ტარიელმა სისხლი დაღვარა! მაგრამ რატომ ამბობს ტარიელი — უსისხლოდ მოვკალ, თუმცა საჭირო იყო სისხლის დენა? ამას ამბობს მონანიებით! ამ საკითხმა დიდად გამაწვავა, რადგან „უსისხლოდ მოვკალ“, „სისხლის დენა“ და „თავი სვეტსა შეუტაკე“ — ყველაფერი ეს ერთმანეთს არ ეგუება... ტარიელმა სასიძო მოკლა სვეტზე თავის შეტაკებით და ამით მან ბევრი სისხლი დაჰღვარა. მაგრამ იგი მაინც ამბობს, საჭირო იყო სისხლის დენა... ამგვარად, ამ ლექსს ვტოვებ განუმარტებლად, ან იქნებ მე არ მესმის იგი².

აღრე გამოქვეყნებულ წერილში ასევე მივუთითებ სხვა მკვლევართა ურთიერთგანსხვავებულ მოსაზრებებზედაც და საკუთარ მასალებზე დაყრდნობით გავაკეთებ დასკვნას: „უსისხლოდ მოვკალ“ იურიდიული ტერმინია, რომლის გათვალისწინებითაც განსახილველი ტაეპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ — ტარიელი ამბობს: „შურისძიების საბაბის გარეშე, ისე რომ ჩემი სისხლი არ ემართა მოვკალ იგი ყმა“. რაც შეეხება ტაეპის მეორე ნახევარს „...გლახ, თუცა, ხმდა სისხლისა დენით“, მასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულ სამართალში „სისხლის დენა“ — სოციალური შინაარსის მატარებელი, სისხლის ფასთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინია (სო-

¹ მ. კეკელია, იურიდიულ ტერმინის „სისხლის“ შემკველი ერთი სტროფის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 4, გვ. 106—109. სტროფის ნომერი მითითებულია საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

² ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, სანტ-იგო დე ჩილე, 1958, გვ. 220—222.

ციალურად ტოლთ ერთნაირი ფასის „სისხლი სდით“). თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი შინაარსის ასე გაგებამ შეგვაქეცა. ამჯერად სწორედ მას ვუბრუნდებით. ადვილი არ გამოდგა ეფფხისტყაოსანში მოყვანილი, ძველი ქართულ სამართალში ფორმულად ქცეული ტერმინის „სისხლის დენის“ შინაარსის უარყოფა.

ჩვენ მიერ მითითებულ მასალათა გარდა, ტერმინ „სისხლის დენასთან“ დაკავშირებით მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლს, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას და ძველი ქართული სამართლის ისტორიის, კერძოდ მესხური სამართლის უპირველესი მკვლევრის, ნიკო ხიზანაშვილის ცნობებს მოვეხმობთ.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი აცხადებს: „სისხლი დიდებულთანაცა სდით“ (მუხ. 34); „სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა სდის... იმათოდენი სისხლი ედინების“ (მუხ. 35).

ვახუშტი ბატონიშვილმა აღწერა რა „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, მიუთითა საზოგადოების დიფერენციაციაზე, რომელთაც „სისხლიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ“³.

ნ. ხიზანაშვილი „სისხლის დენასთან“ დაკავშირებით მრავალგზის წერს: „სისხლის დენა არა მარტო იურიდიული, არამედ ეკონომიური ფორმულაც იყო“; „სისხლის დენის“ ძირითადი თვისება ისაა, რომ თითოეულ მოხელეს სისხლი „გუარზელა სდის“; „ყველა წოდების წარმომადგენელს სდის სისხლი ღირსების შესაფერისად“; „თვითეულ წოდებას საკუთარი სისხლი სდიოდა... ეს იმას ნიშნავდა, ვისაც დიდი სისხლი სდიოდა ეკონომიურადაც დიდ საფეხურზე იდგა“; „სისხლის დენის“ შეწყვეტაზე დაფუძნდა დაბალი წოდების თანასწორობა“ და სხვა⁴.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ეფფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ, 550-ე სტროფის მეოთხე ტაეპის („უსისხლოდ მოვკალ, იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“) შინაარსის ასე წარმოდგენა: „უსისხლოდ მოვკალი ის, თუმცა საჭირო იყო სისხლის დაღერა“⁵ არ არის სწორი. ჩვენი აზრით, ტაეპის შინაარსი ასე უნდა გვესმოდეს: „სისხლი არ ემართა ჩემი ისე მოვკალი საბრალო. თუმცა მართებულნი იყო ასე მოვქცეულიყავ, მოვკალი მისებრი ღირსების (= ფასის) სისხლის მქონემ (= მდებმა)“.

როგორც ჩანს, ტარიელს, ვითარც ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის მქონეს, ხვარაზმელი სასიძოს ტოლად მიაჩნია თავი. სტროფში თქმულია ისიც, რომ მკვლევლობისას ანგარიში აქვს გაწეული რაინდულ ეთიკას —

³ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ალექსიშვილის მიერ, 1973, გვ. 18.

⁴ ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, დასაბუქლად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1982, გვ. 53, 317, 510, 569, 570, 574, 580.

⁵ მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 3, გვ. 192.

⁶ მკვლევლობის რამდენადმე გამართლებასთან დაკავშირებით ტარიელის მიერ სწორედ აქ უნდა თქმულიყო რამე. ეს მისია სიტყვა „ხმდა“-მ (საჭირო, მართებულნი) იტყვითა, რომელიც განზრახვით შინაარსით ქვემოთ ასე ჩამოიკვეთა ცნობილ ანგარიზში: „ქნა მართლისა...“

მოკლა მდგომარეობით ტოლი, ამით კი როგორც მოკლულს, ისე მკვლელს ღირსებაა დაცული⁷.

М. М. КЕКЕЛИЯ

К ПОНИМАНИЮ ВЫРАЖЕНИЯ «С ПРОЛИТИЕМ КРОВИ»
В ПОЭМЕ Ш. РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

Изучение древнегрузинских правовых источников и этнографических материалов позволяет утверждать, что в строфе 550 «Витязя в тигровой шкуре» слова «с пролитием крови» выражают мало распространенный юридический термин «литие крови», обозначающий композицию: равный убил равного.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის
კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ს. ციციშვილმა

⁷ აქვე უნდა მივეთხოთ ტერმინთა ზოგად ბუნებაზე: სადაც, რა კონტექსტშიც არ უნდა იხმარებოდნენ ისინი, არ კარგავენ თავიანთ შინაარსს. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ „უსისხლოდ მოკლა“ და „სისხლის დენა“ ძველი ქართული სამართლის ტერმინებია, მაშინ სხვაგზა არ არსებობს, ვეფხისტყაოსანშიც საკუთარი შინაარსით უნდა გვესმოდეს ისინი

ბათან კილანაშა

მიახლოება ცურტაველთან

ქართულ პაგიოგრაფიაში ჩახედული მკითხველი დაგვემოწმება, რომ „შუშანიკის წამება“ ისეთი სიტყვიერი ფენომენია, რომელშიც გაცხადდა უძველესი ეროვნული პროზის მხატვრულ-გამომსახველობით შესაძლებლობათა მაქსიმუმი. ამიტომაც მომავალში მისი უფრო სრულყოფილი ფილოლოგიური და ესთეტიკურ-პოეტიკური ანალიზი ვერ დაეფუძნება ტექსტის თუნდაც რივიან ცოდნას. ამისათვის საჭიროა იაკობ ხუცესის სიტყვის წიაღში ხანგრძლივი და გამიზნული მუშაკობა, რომ განიცადო მისი ფერი და გემო.

წინამდებარე დაკვირვებანი ამ წიაღთან ოდენ მიახლოების ცდაა, რომელიც, ალბათ, ამ ეტაპზეც აგრძნობინებს მკითხველს ამგვარი მუშაობის შესრულების საჭიროებას.

1. იაკობის „თვითნაკეთი“ პავლენი. ვეფქრობთ, მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილი იქნება, ძიება დავიწყოთ არა საკუთრივ „შუშანიკის წამების“ ტექსტზე დაკვირვებით, არამედ თავის ლიტერატურულ წყაროებთან თვით იაკობ ხუცესის მიმართების რაობის გარკვევით. კვლევის ეს გზა მით უფრო საინტერესო ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ მხრივ, ჩანს, მეტად საყურადღებო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ვგულისხმობთ ბიბლიურ წიგნებთან, უწინარესად პავლეს ეპისტოლესთან, იაკობ ხუცესის მიმართების რაობას, რომლის ახსნას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ბიბლიოლოგიის ისტორიისათვისაც. წინდაწინვე შევნიშნავთ: მსოფლიო წიგნთა-წიგნად სახელდებული ბიბლია დროის გარკვეული მონაკვეთიდან წმიდათაწმიდა რელიქვიად ითვლებოდა, რომლის თუნდაც ოდნავი ხელყოფა კატეგორიულად იკრძალებოდა ეკლესიის მიერ. ერთ თეოლოგსა და ემპირისტ მკვლევარს ძველა აღთქმის მაგალითზე შენიშნული აქვს, რომ ბიბლიაში მას შემდეგ, რაც იგი კანონიზებულ იქნა, მის მიმდევარ ხალხს არ შეუუცვლია ერთი ასოც კი. დასახელებულ დებულებას არ ეწინააღმდეგება ლ. ფოიერბახის აზრი, რომ ყოველ ეპოქას, ვიტყოდით—ყოველ ხალხს, თავისი „თვითნაკეთი ბიბლია“ აქვს, რადგანაც ეს ტერმინი („თვითნაკეთი ბიბლია“) ბიბლიური ტექსტის ხელყოფას კი არ გულისხმობს, არამედ იმას, რომ ხელუხებლად მდებარე სიბრძნის წიგნში იმთავითვე იგულისხმებოდა მისი დინამიკური ინტერპერირების შესაძლებლობა. ამიტომაც გადასწვდა იგი ეპოქებს და ყოველმა ეპოქამ მასში საკუთარი აზრის გამოხატვის საყრდენი პოვა. ეს ხდებოდა, ვიმეორებთ, ბიბლიური ტექსტის ხელყოფის გარეშე.

იაკობ ხუცესთან სხვა ვითარება უნდა დასტურდებოდეს. V საუკუნის ქართველი ავტორი ბიბლიურ ტექსტთან მიმართებისას, ეტყობა, უჩვეულო

სითამამეს იჩენს და არა მხოლოდ გარდათქვამს მას, არამედ გარკვეულ კონტექსტში საპირისპირო თვალსაზრისით ცვლის მის კონცეფციას. ამასთანავე, ეს ხდება იმავე ქრისტეს რწმუნის განსამტკიცებლად. მხედველობაში გვაქვს იაკობ ხუცესის მიმართება პავლე მოციქულის ცნობილ სენტენციასთან, რომელიც აწესრიგებს ცოლ-ქმრის ურთიერთობას, როცა ერთ-ერთი მეუღლე ურწმუნოა. პავლეს ეპისტოლეს დასახელებული სენტენციისადმი „წამების“ ავტორის ნიუანსური მიდგომა შეცნობიერებმა ადრე შენიშნეს, მაგრამ იგი საგანგებო განსჯის საგანი თითქმის არ გამხდარა. ამ მხრივ, რამდენადაც ვიცით, გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან ერთადერთი გამონაკლისია თ. ნატრო-შვილის საინტერესო ნარკვევი, ნიშანდობლივი სახელდებით: „არამედ განეყენე“¹. დასახელებული ნარკვევის დეტალურ ანალიზს არ შევუდგებით, ოღონდ აღვნიშნავთ: მასში წარმოდგენილ დაკვირვებათა დიდი ნაწილი დასაბუთებული ჩანს, ზოგ კიპოთეტურ თვალსაზრისს არსებობის უფლება აქვს, ხოლო დაკვირვებათა მცირე ნაწილი, ეტყობა, შემდგომ დაზუსტებას ან ახლებურ ინტერპერირებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით იმ ვარაუდზე ითქმის, რომლის თანხმდაც თითქოს ვარსკენს სწავლდეს შუშანიკთან განშორება. ვფიქრობთ, საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებს აზრი, რომ ვარსკენს საპირისპირო იმპულსი ამოძრავებს — „სხუად წარსრული“ თავნება მეუღლის დაბრუნება და შელახული ღირსების აღდგენა. „წამებაში“ შესული პავლეს ეპისტოლეც სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი. ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევთ იგი ხელახალი დაკვირვების საგნად ვაქციოთ.

ჯერ შევხებით პავლეს იმ სენტენციას, რომელშიც საუბარია საკუთრივ მორწმუნე დედაკაცი მეუღლის მოვალეობაზე ურწმუნო ქმრის წინაშე: „დედაკაცა თუ ვისმე ესუას ქმარი ურწმუნოა და მას (ქმარს.—ბ. კ.) ჯერ უჩნდეს ყოფაჲ მის თანა, ნუ დაუტევებნ ქმარსა მას“ (1 კორ. 7, 13). ამ სენტენციის აზრი ის არის, რომ დედაკაცში აღზარდოს პასუხისმგებლობის გრძობა გზასაცდენილი ქმრის მოქცევის საქმეში. მან ეშმაკისაგან ძლევის ჟამს ეშმაკისავე ამარა კი არ უნდა დატოვოს ქმარი, არამედ, პირიქით, ასეთი „დაქირვების“ ჟამს თანაუდგეს მას და დაეხმაროს საცთურისაგან თავდახსნაში. ეს თანადგომა, იმავე პავლეს აზრით, შედეგიანია, რამეთუ „განწმენდების ქმარი ურწმუნოა ცოლისა მისგან მორწმუნისაჲ“ (1 კორ. 7, 14). რაც შეეხება ურწმუნო მამაკაც მეუღლეს, მას უფლება აქვს განშორდეს მორწმუნე თანამეცხედრეს: უკეთუ ურწმუნოა იგი განეყენებოდეს, განეყენენ არა დამონებულ არს ძმად იგი გინა დაჲ ეგვეითართა მათ. რამეთუ მშუდობას გეწოდა ჩუენ ღმერთმან“ (1 კორ. 17, 15).

წინდაწინ შევნიშნავთ: მართალია, პავლეს ეპისტოლენი ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე დაიწერა, ჯერ კიდევ წარმართობის მძლავრობის პერიოდში, და მასში დამოწმებული „ურწმუნოც“ უწინარესად წარმართს ნიშნავს, მაგრამ მის სენტენციებს ძალა არც შემდგომ დაუკარგავთ. ამის დასტურია თვით იაკობ ხუცესის მიერ მისი გამოყენების ფაქტი ქრისტიანობის ზეობის ხანაში ქრისტიან და ცეცხლთაყვანისმცემელ მეუღლეთა უფლება-მოვალეობის განსამარტავად, უფრო მოგვიანებით კი რომის პაპის მხრივ ქრისტიანი მეუღლის მოვალეობის განსამარტავად მაჰმადიანი ქმრის წინაშე. ასე მაგალითად, რომის

პაპი შაჰ-აბასის ქრისტიან მეუღლეს, წარმოშობით ქართველს, ჩააგონებდა სპარსეთის მბრძანებელთან განუშორებლობის აუცილებლობას მასზე სასიკეთო ზემოქმედების მოტივით, რისთვისაც შეახსენებდა პავლე მოციქულის ზემოღამოწმებულ სენტენციებს. ამ სენტენციებით კი ვარსკენს ჰქონდა უფლება განქორწინებისა, თუ ეს მისი სურვილი იქნებოდა.

ახლა მოვუსმინოთ იაკობ ხუცესს: სარწმუნოებაშერყეულმა ვარსკენმა ამ გზაზე საბოლოო ნაბიჯი გადადგა — ოფიციალურად მიიღო მახდენობა და თავისი „ბუნებითი ცოლის“ მოქცევასაც შეჰპირდა პეროზ მეფეს, ასულიც ითხოვა მისგან ცოლად. თავის მხრივ შუშანიკიც რადიკალურ ზომას მიმართავს — სასახლეს ტოვებს პრინციპული გადაწყვეტილებით, რომ საბოლოო უარი თქვას ვარსკენის ცლობაზე. ის მტკიცედ განუცხადებს თავის სულიერ მამას იაკობ ხუცესს: «უძჯობა არს ჩემდა ჯელთა მისთავან სიუღილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ. რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა და მონებულ არს ძმად, გინა დაჲ, არამედ განეყენე“. ამას ახლავს თვით იაკობის დასტური: „ვერეთ არს!“

როგორც ვხედავთ, იაკობი ეყრდნობა პავლეს ეპისტოლეს, მის ციტირებასაც ახდენს, მაგრამ კონცეპტუალურად ახალ შინაარსს სდებს მასში. *ქრისტიანული მოწიანის პასუხში, რომელიც აბსოლუტურად დაკლავა იაკობისაგან* (მასში გამოხატვის ფორმა და შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს), სრულიად ნათლად და მკვეთრად იკითხება „ურწმუნო“ ვარსკენის წადილი — არა „განეცნება“ (განშორება), არამედ „შეკრება“, წინააღმდეგ შემთხვევაში შუშანიკს სიკვდილი ელის!

ამ სიტუაციაში დედოფალს თავი უნდა დაემშვიდებინა პავლეს სხვა სენტენციით: „დედაკაცსა თუ ვისმე ესუას ქმარი ურწმუნოჲ და მას ქმარს, კონკრეტულად ვარსკენს) ჯერ უჩნდეს ყოფად მის თანა (შუშანიკთან), ნუ დაუტევენ ქმარსა მას“. მან კი ეს შეგნებულად არ გააკეთა, რადგანაც ვარსკენთან დაპირისპირების გზაზე იგი ყველაზე მეტ, შეიძლება ითქვას, ღვათებრივ დაბრკოლებას უქმნიდა. ამიტომაც თქვა შუშანიკმა სრულიად საპირისპირო: მეუღლეთაგან არც კაცი და არც ქალი „არა დამონებულ არს“ მეორეს მიმართ, ერთი არაა ვალდებული „ყოფად მის (მეორის) თანა“, „არამედ განეყენო“, ე. ი. მე ღვთისაგან მაქვსო უფლება ვარსკენთან გაყრისა.

წინააღმდეგ ვანმარტავთ: ამ შემთხვევაში პრინციპულად არასწორი იქნებოდა დასმა კითხვისა — ხომ არ უშეებსო „წამების“ ავტორი ან გადაწყვეტილი მქანეიურ შედეგისა? ამგვარი კითხვის დასმის საპირობებს კატეგორიულად ხსნის კონტექსტი. იგი მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად ინტერპერირებულ პავლეს მცნებას იგუბებს, რადგანაც მისი ხელუხლებლად მოყვანა აბსოლუტურად დაარღვევდა იაკობის აზრის მდინარებას, რომლის ლოგიკაც ასეთია: **სწორია შუშანიკი, რკულმეცვლილ ქმარს რომ ზურგს აქცევს! შეუძლებელია მათი ერთად „შეკრება“, მათი ერთად ყოფნა!** ამიტომაც იაკობს პავლეს ეპისტოლეს ციტირება შეეძლო მხოლოდ იმგვარად, როგორც ის „შუშანიკის წამების“ ტექსტშია, ან არადა, საერთოდ ხელი უნდა აედო მასზე.

ალბათ, ამ ლოგიკის ძალა იგრძნო სომეხმა მთარგმნელმა და ნიველირების გზას მიმართა — საერთოდ გამოტოვა ეს პასაჟი და უხერხულობაც ამით

აიციდინა. ამას კი იგი ვერ ჩაიდენდა, აქ რომ უბრალო მექანიკური შეცდომა ეგულებოდა.

1811
ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მართებული იქნებოდა გვეთქვა: იაკობ ხუცესთან ბიბლიისაგან განსხვავებული სენტენცია პირდაპირ იკითხება, ხოლო ბიბლიური სენტენცია ამოიკითხება. ასე რომ, მასთან ფაქტობრივად ორი საპირისპირო სენტენცია იჩენს თავს, მაგრამ არა სინქრონულად, არამედ განსხვავებულ დროში. კერძოდ, ჩანს, პავლეს სენტენციებს იმთავითვე გაცნობილი იყო სიყრმიდანვე ღვთისმოშიში შუშანიკი, მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი რწმენაშერყეულ მეუღლესთან იცხოვრა ბიბლიის, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლეს კვალობაზე: შუშანიკი ჭეშმარიტების გზას აცდენილ ვარსკენს თავიდანვე არ განუდგა, ეშმაკის ამარა არ დატოვა იგი, პავლეს მცნებისამებრ, აქტიურად თანაუდგა მეუღლეს და შეეცადა მისი რწმენის განმტკიცებას. მეტიც; ამ საქმეში მან მთელი სასახლე, მთელი ხალხი ჩარია. ამას გულისხმობს იაკობ ხუცესის სიტყვები: „და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთვის, რაითამცა ცვალო იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქნამცა გონიერებასა ქრისტესისა“. ამავე აზრის შემცველია შუშანიკის პასუხი მოციქულებთან: „თუმცა მე მისად ცოლად-და ვიყავ, მეგონა მე ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს“. ამ კონტექსტშივე ექცევა შუშანიკის ცნობილი გოდება: „მიავგოს მას უფალმან, ვითარ მან უქამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაჰრიტა და ყუავილი ჩემი დააქკნო, შეუნიერებამი სიყეთისა ჩემისა დააბნელა და დიდებამი ჩემი დაამდაბლა“.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ შუშანიკი წლების მანძილზე ერთგულად მისდევდა ბიბლიურ მცნებას, გამოხეულად ვიღოდა ეკლიან გზაზე მის აღსასრულებლად. მაგრამ როცა „ყოვლად განწირულმა“ ვარსკენმა საბოლოოდ „განავგო სანატრელი სასოებამ ქრისტესი“ და მასთან შუშანიკის „შეკრებამ“ განდა უზარსებქცივო, ქვეყნის ღალატის ფარდი, პავლეს სენტენციამაც დაკარგა აზრი. წინააღმდეგ ბიბლიური მოლოდინისა, ვარსკენი არ „განწმნდა“ და არც მეუღლისაგან განშორება ისურვა (პირიქით, დავინებით მოითხოვა მისგან „შეკრებამ!“). ამასთანავე, ვერც შუშანიკი გარდაიქმნებოდა, რადგანაც საქვეყნო ინტერესები ითხოვდა მისგან ქმრის საქმის უზარებლობას, ქმრისაგან მის განკერძოებულობას. ამიტომაც უნდა გარდაქმნილიყო თვით ბიბლიური სენტენცია, რაც რეალიზდება კიდევ ხუცესისადმი შუშანიკის მიმართვაში. ეს ამგვარად ხერხდება: შუშანიკი (იაკობი), ჩანს, საეცებით გამოზნულად განძარცვავს პავლეს სენტენციის ძირითად შინაარსს — მოაცილებს მას პირველსა და უმთავრეს ნაწილს („უკეთუ ურწმუნოა იგი განეყენებოდეს“), როგორც კონკრეტული სიტუაციისათვის შეუფერებელს („ურწმუნო“ ვარსკენი მისგან კი არ „განეყენა“, არამედ პირიქით — მოითხოვა „შეკრებამ“), ყრუდ აუჯანყდა მას, იაკობს (მეითხველს) გაუთვალისწინა ურწმუნო მეუღლესთან თანაარსებობის შეუძლებლობა, რითაც შექმნა ახალი კონტექსტი, რომელშიც ჩაატანა პავლეს ეპისტოლეს მეორე ნაწილი და დაურთო პირველი ნაწილის მხოლოდ ერთადერთი სიტყვა: „განეყენენ“ (შდრ. პავლე: „უკეთუ ურწმუნოა იგი განეყენებოდეს, განეყენენ. არა დამონებულ არს ძმამი იგი გინა დაამ ეგვევითართა მათ“; იაკობ ხუ-

ბაქ. სსრ კ. შირქაია
სახ. რესპუბ.
მელიქიძე

ცესი: „არა დამონებულ არს ძმად, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“). მასში კი, ამ კომპილაციაში, პირველისაგან მოწყვეტით, თავისუფალი ინტერპერირების შესაძლებლობა ძვეს. კერძოდ, ახალ კონტექსტში იგი ეგუება შუშანიკის აზრს, რომ მას (შუშანიკს) არ ძალუძს ვარსკენთან „შეკრებაჲ“ და მასთან გაყრის უფლებაც აქვს, არაა მასზე „დამონებულ“: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთავან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჲს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმად, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“.

საინტერესო ისიცაა, რომ თავად იაკობი, ჩინებული მცოდნე ბიბლიისა, მტკიცე დასტურს აძლევს შუშანიკს: „ეგრეთ არს!“ დიახ, ასე უწერიოა პავლეს. ამით მან, როგორც ჩანს ეროვნულ იდეალებს საესებით გააზრებულად შესწირა პავლეს სენტენცია და ინტენსიური ეროვნული განცდა შესძინა ბიბლიას. ასე რომ, მასაც აქვს თავისი „თვითნაკეთი ბიბლია“, ოღონდ ამ სიტყვის მეტი ისტორიულ-კონკრეტული მნიშვნელობით, ვიდრე ეს გერმანელ ფილოსოფოსთან იგულისხმება².

2. ვინ ვის ჰკიდა თვალ? მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე დავას არ იწვევს აზრი, რომ „შუშანიკის წამება“ არ შეიძლება იყოს პირველი ქართული ორიგინალური ძეგლი. ცხადია, იაკობ ზუცესი დაეყრდნო წინაპართა მხატვრულ გამოცდილებას. ისმის კითხვა: რა ხასიათის შეიძლებოდა ყოფილიყო წინარე ლიტერატურა? ამ კითხვაზე მკვლევრებს განსხვავებული პასუხები მოეპოვებათ. ერთნი ფიქრობენ, რომ „წამება“ ვანიცდის საკუთრივ უძველესი ეროვნული ქრისტიანული მწერლობის გავლენას, მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, იგი ამასთანავე წინარექრისტიანული საერო ლიტერატურის ტრადიციასაც დაეფუძნა. ამ ტრადიციის გამოძახილად უწინარესად მიანჩნით ავტორის სალი რეალისტური ხედვა, ადამიანურ ვნებათა მხატვრული განსახიზვნება და სხვა კომპონენტები.

ეს თვალსაზრისი, რომელიც თავისთავად, ალბათ, სიმართლეს შეიცავს, ვფიქრობთ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში რამდენადმე ასცდა ლოგიკური განვითარების გზას, რაც აძნელებს არა მხოლოდ ქართული ჰაგიოგრაფიის (მათ შორის „შუშანიკის წამების“), არამედ მსოფლიო ქრისტიანული ლიტერატურის იდეურ-მხატვრული შინაარსის სწორად შეცნობა გააზრებასაც.

უწინარესად ვგულისხმობთ ე. ჰელიძის მრავალმხრივ მნიშვნელოვან წერბლს, „ჩარჩობების“ სახელწოდებით³, რომლის თეორიული დებულებების ერთმა ნაწილმა ადრევე გაუონა მისსავე ასევე მრავალმხრივ საინტერესო „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“, უწინარესად ამ ქრონიკების პირველ წიგნში.

სავსებით სწორია მკვლევარი, როცა ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის ძეგლების იდეურ-მხატვრული სრულყოფის შესახებ მსჯელობს. დავას იწვევს მისი ძირითადი თეზა — არ არსებობსო ქართული ჰაგიოგრაფია (ამ მხრივ „ასურელ მამათა ცხოვრება“ ამინდს ვერ ქმნის), არსებობსო მხოლოდ საერო ლიტერატურა „შუშანიკის წამების“, „აბოს წამების“, „ნინოს ცხოვრების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და სხვა თხზულებათა სახით. რატომ? პასუხი ასეთია: ისინი მალაღმოქალაქეობრივი იდეებით სავრდობენ, თანაც მათში სრულყოფილია ქართული მხატვრული სიტყვა. ამას ვერ ვიტყვივთ ჰაგიოგრაფიაზე, რადგანაც მათში შედისო „უმ-

თავრესად სქემატური, ვნებებისაგან დაცლილი, უსულგულო, უძარღვო, უსიცოცხლო, უემოციო, ყალბი და ფშუკი ნაწარმოებები, რომლებშიაც გადმოცემულია ფანტიკოსი წმინდანების ზღაპრული სასწაულებით სავსე მეტად მოსაწყენი და უინტერესო ცხოვრება⁴. ნიმუშად დასახელებულია წმიდა ალექსის ცხოვრების მომთხრობა, თხზულება. ხოლო რაკი „ლამის ფერფლგადაყრილი“ იაკობის თხზულებას (აგრეთვე სხვა ქართულ ძეგლებს) ჰავიოგრაფიის „არლიყი მიაკრეს... ამით ერთბაშად მოკლეს, დააყენეს და საერთაშორისო ასპარეზზე გატანის პერსპექტივა მოუშალეს“⁵.

ადრე შუა საუკუნეების, ვიზიორებთ — ადრე შუა საუკუნეების, სიტყვიერი კულტურის ამგვარი შეფასება ტენდენციურია, არ ასახავს საკითხის ნამდვილ არსს და ამით ისტორიზმის პრინციპსაც დალატობს. ქრისტიანობა არენაზე გამოვიდა მაშინ, როცა რომის იმპერია ეთიკურ-მორალური ვაზრწინილების ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ეს იყო დრო, როცა ადამიანთა მკვლელობა გაიზარებოდა როგორც ხელოვნება, როგორც მეცნიერება: მაშინ არა მხოლოდ კლავდნენ, არამედ ასწავლიდნენ მკვლელობის ხელობასა და სიკვდილით დატკობას; ეს იყო დრო, როცა გლადიატორების გვერდით არენაზე გამოდიოდნენ აღვირახსნილ ცხოვრებას შეჩვეული რომაელი დიდებულებიც — ქალი და კაცი; ეს იყო დრო, როცა გარეულ მხეცებთან მებრძოლი ბესტიარების დედ-მამანი საზეიმოდ ეწყობოდნენ, სხდებოდნენ პირველი რიგის ყველაზე ძვირადღირებულ ადგილებზე, რათა ახლოდან ეხილათ, თუ როგორ გლეჯდნენ გამძვინვარებული მხეცები მათ შვილებს; ეს იყო დრო, როცა მარკუს ავრელიუსმა იწება გლადიატორთა ბრძოლა ექცია უსისხლო სპორტულ სანახაობად, ხოლო მხეცადქეულმა ბრბომ მყისვე შეაცვლევინა მბრძანებელს გადაწყვეტილება; ეს იყო დრო, როცა იმპერიის მანდილოსნებს ოქროსა და ღვინისმოყვარეობამ, მეძაობამ სძლია და უსიკვჩვილოდ იწყეს დენა საერთო აბანოებისაკენ; და ბოლოს, ეს იყო დრო, როცა თეატრის არენაზე გასულ მანდილოსანს შეეძლო ერთი იაფფასიანი ტაშისათვის ბრბოს წინაშე სრულად განეძარცვა ტანისამოსი.

სწორედ ასეთ დროს წარმოშობილმა ქრისტიანობამ კაცობრიობას შესთავაზა ამაღლებული სულიერი იდეალები⁶. ამ იდეალების მატარებელია დიდი ბიზანტიური ლიტერატურა (რომელიც სულაც არ იმსახურებს ზემოჩამოთვლილ ეპითეტებს), ასევე ადრეფეოდალური ქართული მწერლობა⁷, მათ შორის უწინარესად „შუშანიკის წამება“. ეს ძეგლი სპეციალისტთა მხრივ ბიზანტიური ლიტერატურის კონტექსტშია განხილული და გამოტანილია დასკვნა, რომ „იმ მალალი ღირსების ახსნისას, რომლებიც წარმოჩნდება „შუშანიკის წამების“ ქართული ჰავიოგრაფიული მწერლობის შემდგომი პერიოდის ძეგლებთან შედარებისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი ევოლუცია განუტღვია ბიზანტიურ ჰავიოგრაფიასაც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული რედაქციის ტიპოლოგიური მსგავსება ბიზანტიური ჰავიოგრაფიის IV-V საუკუნეების ძეგლებთან პრინციპულ მნიშვნელობას იქნის“⁸.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ „შუშანიკი ჰავიოგრაფიის ტიპური იდეალური პერსონაჟის მხატვრული განსახიერებაა და „შუშანიკის წამებაც“, როგორც მხატვრული თხზულება, საზოგადოდ ჰავიოგრაფიის მალალ მოთხოვნებს უპასუხებს ისე, რომ არ გადის მისი ჩარჩოებიდან, რაც არ გვართმევს იმის უფლებას, რომ იგი მივიჩნიოთ უზადო მხატვრულ ძეგლად⁹.

ცხადია, თხზულების ამგვარი შეფასება არ ნიშნავს მის „მოკვლას, დაკნინებას“, ან მისთვის „საერთაშორისო ასპარეზზე გატანის პერსპექტივის მოშლას“. ხოლო რაკი ე. ჰელიძე პირიქით ფიქრობს, ბუნებრივია, რომ იგი ცდილობს ჰაგიოგრაფიის სფეროდან გაიტანოს „შუშანიკის წამება“. მკვლევარი ამას აკეთებს შესაშური გატაცებით, ენერგიულად, ერთგვარი თავგამოდებითაც კი. ალბათ, საკუთარი ნააზრევის უთუო დამტკიცების სურვილითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მკვლევარი „წამებასთან“ დაკავშირებული ზოგი საკითხის ინტერპერირებისას უზუსტობას ან, უკეთეს შემთხვევაში, ტენდენციურობას იჩენს. მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ „შუშანიკის წამების“ ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე მსჯელობისას მის წყაროდ ე. წ. ნებროთის წიგნია დასახელებული¹⁰, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ასევე მკვლევარი ქართულ ჰაგიოგრაფიაში, მისი აზრით, იმავე ქართულ საერო ლიტერატურაში, „ჩუმი და ხაზგაუსმელი იუმორის არსებობის შესახებ მსჯელობს და ნიმუშად ასახელებს „წამების“ ასეთ ეპიზოდს: „ღიაკონს შუშანიკი გამოჰყავს ტაძრიდან და უნდა თავისი თანაგრძობა გამოხატოს — გადაწყვიტა უთხრას, „მტკიცედ დეგო“, მაგრამ პირველი სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, შუაზე გაუწყდა სათქმელი, რომ პიტიაზს ჰკიდა თვალი და შეშინდა, დაფრთხა, შუაზე გაუწყდა სათქმელი“¹¹.

აქ მრავალი უზუსტობაა დაშვებული: ჯერ ერთი, თხზულების მიხედვით, შუშანიკი ტაძრიდან ღიაკონს არ გამოჰყავს, არამედ ტექსტში გარკვევით წერია: ვარსკენმა „უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაათა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეუყენონ და იგი მოკლდეს“, ხოლო „ღიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისა დგა წმიდისა შუშანიკისა თანა მას უამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით“.

ეტყობა, მკვლევარმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამ კონტექსტში „რომელსა“ პიროვნებაზე, კერძოდ ღიაკანზე, კი არ მიუთითებს, არამედ დროზე, როცა გამოჰყავდათ შუშანიკი („... მას უამსა, რომელსა გამოჰყვანდა...“). ნაწყვეტის აზრი ისაა, რომ როცა ვარსკენისაგან მიჩენილ პირს (პირებს) გამოჰყავდათ შუშანიკი, მასთან იდგა ღიაკონი (შდრ. კ. კეკელიძისეული თარგმანი: «В то время, когда Шушанику выводили из дворца, с нею рядом стоял один из дьяконов епископа того». ე. ლონდუხაძისეული თარგმანი: «Некий дьякон, служивший при епископе, оказался рядом с Шушаники в то самое время, когда её выводили из дворца»).

მეორეც, ღიაკონმა კი არ ჰკიდა პიტიაზს თვალი, არამედ პირიქით — „თვალი ჰკიდა პიტიაზსთან“ და ღიაკანმა სწორედ ამ თვალს ვერ გაუძლო და „სივლტოლად იწყო სწრაფით“. აქ აზრის მდინარება ლოგიკურია, პირიქით რომ მომხდარიყო (როგორც ამას ე. ჰელიძე ფიქრობს), სიტუაციური ეფექტი განელდებოდა. მესამეც, ამ დროს სიტუაცია უადრესად დაძაბულია, ტრაგიკულიც კი, ამიტომაც აქ იუმორის ძიება, როგორც არ უნდა იყოს იგი — „ჩუმი“ თუ „ხაზგასმული“ — ამაოა (ამაოა მისი ძიება საზოგადოდ ჰაგიოგრაფიაში¹² მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო მწერლობის ისეთი დი-სპეციალისტიც კი, როგორც პ. ინგოროყვა გახლდათ, ამავე აზრის იყო).

და ბოლოს, ეს ეპიზოდი არაფერს ისეთს სპეციფიკურს არ შეიცავს, რომელიც მხოლოდ საერო ლიტერატურისათვის იქნებოდა დამახასიათებელი.

„წამების“ საერო ხასიათის დასამტკიცებლად მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თვით შუშანიკის პიროვნებას, მის ვნებათაღელვას, ამქვეყნიურობას (ამაზე ზოგი სხვა ავტორიც მიუთითებს). ამ მხრივ მას ბევრი მაგალითი მოჰყავს და ავრძელებს: «იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ გვემული დედოფალი „ანტიოქიის პალეკარტს“ არ იშორებს, წარსულ დიდებასთან გამოთხოვება უმძიმს — ძაძებს მოსასხამის ქვეშ მალავს და ხუცესსა სთხოვს: „ნუ ვის თანა იტყვი ძაძისა სამოსლისათვის ცხოვრებასა ჩემსა“¹².

მოყვანილი პასაჟის სწორ ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაგრძნობი, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი მას განმარტავს ტენდენციურად. კერძოდ, ამ ეტაპზე შუშანიკი უკვე ნამდვილი მოწამეა: ანტიოქიის პალეკარტი, სადედოფლო ტანსაცმელი, მისთვის მხოლოდ ფასადია; შუშანიკის სულის შინაარსს ძაძა გამოხატავს და იღუმალად მის ტარებას არავითარი სხვა დანიშნულება არ შეიძლება ჰქონდეს. აქი თვითონ იაკობ ხუცესმა სთქვა ხაზგასმით: „შუშანიკმა „ძაძისა სამოსელი შერაცხო ს ა გ უ ე მ ე ლ ა დ“ სორცისა. სწორედ ეს დეტალი სავსებით თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ შუშანიკი თავისი სულის სიღრმეში უკვე მთლიანად და არსებითად ქრისტიანი წმინდანია. დასახელებული ეპიზოდის განსხვავებული ინტერპრეტაცია იქნებოდა ძალმომრებთა აზროვნებაზე.

შუშანიკი რომ ჰქმნარტიკი წმინდანის ცხოვრებით ცხოვრობს, ამ ფაქტს უკვე პირდაპირ ადასტურებს თხზულების უამრავი ჩვენება, რომელთა ავთენტურობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. კერძოდ, იაკობი აღნიშნავს, რომ ციხეში მყოფმა შუშანიკმა ბორკილების ახსნაზე თვითონ განაცხადა უარი, ამასთანავე „ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღრმთოთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღუპარებითა, ზედგომითა და თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაითა (იგულისხმება სასულიერო წიგნები — ბ. კ.) მოუწყინებლად, განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“. ან კიდევ: „წმიდამან შუშანიკ ნაცვლად პეტროლტისა საქმისა დიდოთა გულსმოდვინებითა კელთა აღიხუნა დაკითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასინ იგი ფსალმუნნი დაიწვალნა, რომელ-იგი დღმ და ღამმ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათონისა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით“. უფრო მეტიც, ფიზიკური თვითგვემისაგან შუშანიკის მიდრეკილება იმდენად ძლიერია, რომ იგი ამ მხრივ თვით სასულიერო წრეშიც იწვევს უკმაყოფილებას. ერთხელ მას იაკობმა შენიშნა: „ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუძიმებ ჯორცთა მაგათ ზედა.. ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“. და არცაღა მცირედ სადა სცა ჯორცთა მისთა განსუენება, და შეიქმნა და დადნა ვითარცა აელი». კიდევ უფრო მჭიდვება სურათი, როცა იაკობი აღნიშნავს: «და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულიყო. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყენეს და მატლიცა დასხმული იყო წყლულთა მათ, რომელი-იგი აღილო კელთა თვსთა და მიჩუენებდა და ჰმადლობდა ღმერთსა. და თქუა: „ხუცეს, ნუ მძიბე გიჩნ ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდმს არს და არა მოკუდების“». იაკობ ხუცესი სულით ხორცამდე შეამარწყუნა ნანახმა და გაგონილმა (დედოფლის სიტყვებმა): „და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებლად დიდად მწუხარე ვიყავ და ეტი-

როდეს ფრიალ“. დედოფალი აღაშფოთა თავისი მოძღვრის მოჭარბებულმა მგრძობელობამ და მას «პრეტუა რისხვით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ?! ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეკმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეკმამ აქვე ამას ცხორებასა!“». ამის შემდეგ ამო იყო ნირწამხდარი ხუცესის ლულული: „ძაძისა სამოსელი მცირედ-ლა შეგერაცხა საგუემელად და აწ მატლთა მაგათვს მხიარულ ხარ?“.

ამ ფონზე საესებით ბუნებრივი ჩანს, რომ შუშანიკი დიდმარხვის 50 დღის მანძილზე არ ჯდებოდა არც დღისით და არც ღამით, კვირაში ერთხელ „მიიღის წუენი მხალისა“ და „პურის გემო არა იხილის“. ხოლო სასთუნლად ალიზი ჰქონდა, ქვეშაგებად — „გირჯაკი ერთი ძუელი“.

ესაა ტიპური მოწამის ცხოვრების ნორმა და მისი „დაარღვევის“ შემთხვევაშიც შუშანიკი ამქვეყნად ზეცას ამკვიდრებს, რაც პალეოკარტის ქვეშ დამალულ ძაძებშიც ცხადდება. ცხადია, ასე არ იქცევიან „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“, „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები.

აქვე ერთ მომენტზე შევაჩერებთ შკითხველის ყურადღებას: „შუშანიკის წამება“, როგორც ტიპური ჰაგიოგრაფიული ძეგლი, თავის არსებით ნაწილში (მაშინდელი თვალთახედვით კი მთლიანად) ისტორიულ-კონკრეტულ თემის ეფუძნება, კერძოდ V საუკუნის მეორე ნახევრის მონღვაწის, ვარდან მამიკონიანის ასულის, წმინდა შუშანიკის მოწამებრივ თავგადასავალს და ამიტომ, გარეგნულად მაინც, თხზულების პერსონაჟთა მოქმედება მკვეთრად განსაზღვრულია დროსა და სივრცეში, რასაც, ცხადია, ვერ ვიტყვით „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე. საერო ლიტერატურის წარმომადგენელთა საპირისპიროდ, ჰაგიოგრაფები ფიქრობენ, რომ „გამონაგონი („ნატყუარი“) მწერლობის თემად არ უნდა იქცეს... მწერლობის თემად აღებულია მხოლოდ რეალური (ან რეალურად გამოცხადებული) ფაქტები. კონკრეტულ-ისტორიული პიროვნება განზოგადებულ უნდა იქნეს ადამიანის იმდროინდელი იდეალის შესაბამისი გმირის სახეში“¹⁴. სახეობრივი აზროვნების ამგვარი მანერა არაა არსებითად ნიშანდობლივი საერო ლიტერატურისათვის.

როცა ამბობენ, ჰაგიოგრაფია არ სცნობს მხატვრულ ფანტაზიასა და გამონაგონს, მასში იმთავითვე რელატიური შინაარსი იფულისხმება, რადგანაც ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ჰაგიოგრაფია პრაქტიკაში საზოგადოდ არ იცნობდეს მათ. პირიქით, მხატვრული ფანტაზია და გამონაგონია ის ფენომენი, რითაც ჰაგიოგრაფთა საისტორიო თხრობა გარდაისახება მხატვრულ ფაქტად. ადრეული შუა საუკუნეების მწერალი, ქვეყნობიერად თუ წინასწარგანზრახვით, სწორედ მხატვრული ფანტაზიისა და გამონაგონის ვალმოცემისას ამბის მთხრობელიდან ამბის მხატვრად იქცევა. ცნებებით აზროვნებიდან სახეებით აზროვნებაში გადადის. უმთავრესად და არსებითად აქ გრძობს იგი შემოქმედებით თავისუფლებას (ამ სიტყვის პირობითი მნიშვნელობით) და ამიტომ მაინცდამაინც აქ ვლინდება მისი, როგორც ხელოვანის, ესთეტიკური მიმართება სინამდვილესთან. ეს უკანასკნელი კი — სინამდვილესთან მწერლის ესთეტიკური მიმართება, უფრო კონკრეტულად, ამ მიმართების რაობა — თითქმის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც ექვემოტანლად განსაზღვრავს მისი სულიერი ნაღვაწის მიკუთვნებას საერო ან სასულიერო მწერლობისადმი.

საკითხის ეს მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული, როცა „შუშანიკის წამების“ ჟანრობრივ თუ დარგობრივ კუთვნილებაზე ვმსჯელობთ. თუკი იაკობ ხუცესი მართლა საერო მწერლობის ძეგლს ქმნიდა, რომლის ძირითადი ფაბულა ისტორიული პიროვნების, ამ შემთხვევაში კონკრეტული წმინდანის კონკრეტული თავგადასავალი იყო, ავტორს საერო მწერლის მსოფლმხედველობა, ან საერო განწყობილება მაინც, უწინარეს ყოვლისა იქ უნდა გამოეყენინა, სადაც შეგნებულად დასცილდებოდა წმინდანის ცხოვრების „ისტორიულ ფაქტებს“ და მკითხველს შეთავაზებდა მხატვრულ ფანტაზიასა და გამონაგონს.

აქ დაისმის ზოგადი ხასიათის კითხვა: იცნობს კი საკუთრივ იაკობ ხუცესი საერთოდ მხატვრულ ფანტაზიასა და გამონაგონს? ამ კითხვაზე ქართველ მეცნიერებს დადებითი პასუხი მოეპოვებათ, თანაც იმდენად არგუმენტირებული, რომ მასში ეჭვის შეტანა დღეს უკვე შეუძლებელია. ამ მხრივ ბოლო დროის ნამუშევართაგან უწინარესად გ. ფარულავას სპეციალურ ნარკვევს დავასახელებდით, რომელშიც სერუბულოზურადაა გამოკვლეული საზოგადოდ ჰაგიოგრაფიაში, მათ შორის ძველ ქართულ მწერლობაში, ისტორიულ-კონკრეტულია და მხატვრული ფანტაზია-გამონაგონის ურთიერთმიმართების პრობლემა¹⁵. მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს „მომენტი თვალსაჩინოა პირველივე ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების („შუშანიკის წამების“, — ბ. კ.) გმირთა სახეებში, ისევე როგორც ნაწარმოების მთელ დანარჩენს სახეობრივ სტრუქტურაში. ისტორიული ფაქტია ვარსკენის სარწმუნოებრივ-ეროვნული ღალატი, მასთან შუშანიკის დაპირისპირება და ამ უკანასკნელის ტრაგიკული ხვედრი ექვსი წლის მანძილზე. ეს ისტორია ეგებ უფრო დრამატულიც იყო, ვიდრე სცენაზე გათამაშებული ზოგი მოქმედება, ისევე როგორც ცხოვრება ზოგჯერ უფრო მშვენიერია, ვიდრე რომელიმე ფერწერულ ტილოზე მოჩანს იგი. არსებულის (მომხდარის) დრამატული ტონუსიდან გამომდინარე, იაკობ ხუცესი აუქმებს საღებავებს, ქმნის ფანტასტიკურ სურათს (ხაზი ჩვენია. — ბ. კ.), რათა სიტუაციის რეალურ, მაგრამ მძაფრ სინამდვილეში ჩაგვახედოს“¹⁶. მკვლევარს, სხვათა შორის, ამის ნიმუშად ეხატება სწორედ „წამებიდან“ ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული პასაჟი იმის შესახებ, რომ ძაძისაგან „ნაკვეში“ ხორცი დედოფლისა სიცოცხლეშივე დალბა და „დიდ-დიდ“ წყულულებზე მატლი იყო „დასხმული“, რომელიც შუშანიკმა აიღო და უჩვენა თავის სულიერ მამას, თანაც მკაცრად გაკიცხა ამ ამბით შეძრწუნებული მოძღვარი.

ორიგენის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, უნდა ვთქვათ, რომ წამების ამ ეტაპზე და ამ კონტექსტში, რომელიც, ჩანს, ხელოვნურად შექმნა ავტორმა, შუშანიკის „წმიდა და უცოდველი სული, ... ძლიერი თავმეკავების გზით გაწმენდილი და ღვთისმოსაობის და რელიგიურ შემეცნებათაგან დამთვრალი“, თანაეზიარება ღვთაებას¹⁷.

მაშასადამე, როცა იაკობ ხუცესის მხატვრული წარმოსახვა „სცილდება საგანს“, რათა „უფრო დაუახლოვდეს მას“ (ესაა მხატვრული ფანტაზიისა და გამონაგონის უმთავრესი მიზანი), იგი მოწამის პიროვნებას „უახლოვდება“ საერო მწერლობის დიამეტრულად საპირისპირო პოზიციიდან. აქ, ამ „შემოქმედებითი თავისუფლების“ დროს, მან თავის პერსონაჟს შეხედა როგორც ქეშპარიტმა ჰაგიოგრაფმა და ინტენსიურად სცადა მისი დამსგავსება აღა-

მიანის იმდროინდელი იდეალისათვის. მოყვანილი აზრის საწინააღმდეგოდ ფუქია იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ თავად ჰაგიოგრაფს აძრწუნებს პერსონაჟის ქმედება და მოუწოდებს მას ნაკლებ სასტიკი იყოს თავისთავის მიმართ. ამით მწერლის საერო განწყობილება კი არ არის გამოვლენილი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ პირიქით, ამით მას იმისი თქმა სურს, რომ ჭირთათმენის ადამიანური შესაძლებლობის ზღვარამდე მისული მოწამე საბოლოოდ სძლევს და აუფასურებს კიდევაც ამქვეყნიურ, მატერიალურ ყოფას და ამითვე მის პიროვნებას განაზოგადებს „ადამიანის იმდროინდელი იდეალის შესაბამისი გმირის სახეში“. რაც შეეხება თავად ავტორს, იგი ვერც მოყვანილ და ვერც სხვა სიტუაციაში, რომელშიც, გარკვეულ შემთხვევებში, თვითონ იყენებს თავისთავს, შესაძლოა ხელოვნურადაც, ვერ გაუტოლდება „ღვთისმოსაობისა და რელიგიურ შემეცნებათაგან დამთრალ“ თავის პერსონაჟს. ამის შეგნება ავტორს აქვს, მაგრამ ეს არაა თავისთავის დამცრობა, არამედ მხოლოდ განდიდება იდეალური გმირისა. და ეს განსაზღვრავს სინამდვილესთან მისი ესთეტიკური მიმართების რაობას. სწორად შენიშნა გ. ფარულავამ ამ პასაჟის შესახებ: „იდეალურის ასეთი სტილისტური ფორმირება მთლიანად ეწინააღმდეგება სილამაზის როგორც ანტიკურს, ისე რუსთველურ გაგებას. აქ სწორედ ულამაზო სხეულშია ლამაზი სული. მსოფლალქმა, რომელმაც ღმერთი მიწაზე ჩამოიყვანა და ჩვეულებრივი ადამიანური არსებობით შემოსა, ესთეტიკური იდეალის ფორმირებაშიც ყოფილთა და ჩვეულებრივს ემყარება“¹⁸.

დამოწმებულ კონტექსტზე, როგორც პირწმინდად ჰაგიოგრაფიულ მხატვრულ გამონაკონზე, მსჯელობა სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ კ. კეკელიძის მიერ მის შესახებ გამოთქმულ უაღრესად საინტერესო თვალსაზრისს. კერძოდ, მას, მსოფლიო ჰაგიოგრაფიის საუკეთესო მცოდნეს, მოეპოვება რიგი ნარკვევებისა, რომლებიც ეხება ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს. ამათგან ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის გამოკვლევას — „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები“, რომელიც, მოცულობითი სიმცირის მიუხედავად, შეიცავს რიგ ზოგადთეორიულ-ლიტერატურულ მსჯელობას, განმეტკიცებულს კონკრეტული მასალებით ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, მათ შორის „შუშანიკის წამების“ ზემოთ დამოწმებული პასაჟითაც. ნაშრომის შესავალში კ. კეკელიძეს შენიშნული აქვს, რომ „ბიზანტიურმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ წინამეტაფრასულ ხანაში შეიმუშავა გარკვეული სქემები, რომელთაც მკვეთრად ჩამოსხმული შაბლონის, შტამპის ხასიათი მიიღეს. ეს სქემები (დ. ს. ლიხაჩოვმა მათ „ლიტერატურული ეტიკეტი“ უწოდა. — ბ. კ.) სავალდებულო გახდა არა მარტო ბიზანტიურ ლიტერატურაში, არამედ იმ ხალხთა მწერლობაშიც, რომელნიც ბიზანტიურ კულტურასთან იყვნენ დაკავშირებულნი და იმით საზრდობდნენ. კერძოდ ეს უნდა ვსთქვათ ქართული მწერლობის შესახებაც. ამ სქემებმა გამოვლინება პოვეს არა მარტო ლიტერატურულ ფორმაში, არამედ იმ სიუჟეტურ მოტივებშიც, რომელთაც ამ თანარის ლიტერატურაში ვხედავთ“¹⁹.

მოყვანილი მსჯელობის უმთავრესი აზრი ის არის, რომ ადრინდელი ქართული მწერლობა თავისი „ლიტერატურული ფორმით“ (resp. ეანობრივად) ანალოგიური იყო ბიზანტიური ლიტერატურისა, კერძოდ ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისა, ამასთანავე შინაარსობრივადაც (ცალკეული „სიუჟეტური

მოტივებითაც“) პირველი (ქართული ჰავიოგრაფია) არაიშვიათად გენეტიკურად იყო დაკავშირებული მეორესთან (ბიზანტიურ ჰავიოგრაფიასთან). კ. კეკელიძე ამ თვალსაზრისით სახელდახელოდ დასახელებულ ლიტერატურათა ორ სახიარო „სიუჟეტურ მოტივს“ იხილავს: „ხორცთა განლევისა“ და „პირველყოფილ პარმონიისას“. ამთგან ამჯერად ჩვენთვის უმთავრესია პირველი („ხორცთა განლევის“ მოტივი), როგორც სასულიერო მწერლობის, უწინარესად ჰავიოგრაფიის, უძირითადესი დოგმატურ-თეორიული საფუძველი. ამ მხრივ მკვლევრის ყურადღებას იპყრობს „ათცამეტი ასურელი მამის ცხოვრება“ (რომელიც ვ. ჰელიძესაც ჰავიოგრაფიის ნიმუშად მიანიია და სავსებით სამართლიანადაც), კერძოდ შიოს მიერ ხელის გულზე ნაკვეთხლის დაყრისა და მისგან უვნებლობის მოტივი, და გამოტანილი აქვს დასკვნა, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს „ბარლამ სირიელის ცხოვრებიდან“²⁰.

უაღრესად სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ, როცა კ. კეკელიძე ჰავიოგრაფიულ შაბლონებსა და სქემებს, კერძოდ მის ყველაზე უმთავრეს მოტივზე („ხორცთა განლევაზე“) მსჯელობს, „ათცამეტი ასურელი მამის ცხოვრების“ შემდეგ ადრინდელი ქართული მწერლობის ისტორიიდან მაინცდამაინც „შუშანიკის წამებას“ ასახელებს და არა რომელიმე სხვა თხზულებას. „მეორე ქართული ძეგლი, — აგრძელებს იქვე მკვლევარი, — რომელშიც „ხორცთა განლევის“ მოტივი მთელი თავისი სიმწვავეით იშლება, არის „შუშანიკის მარტვილობა“²¹. (ხაზი ჩვენია. — ბ. კ.) ნათქვამის საილუსტრაციოდ კ. კეკელიძეს მოჰყავს თხზულების ის პასაჟები, რომლებიც ჩვენ დავიმოწმეთ. იგი საგანგებოდ ჩერდება ცოცხლად ხორცთა ლობისა და მატლთდასხმის მოტივზე. გასაგები მიზეზით, ვრცლად მოვიყვანთ მკვლევარის მსჯელობას. „მოყვანილი ადგილი, — კვითხულობთ იქვე, — ძალიან გვაგონებს სვიმეონ მესვეტის, უფროსის (გარდაიცვ. 459 წელს) „ცხოვრებას“... სვიმეონს ისე, როგორც შუშანიკს, შიშველ ტანზე ეცვა ძაძა, არ წვებოდა დასაძინებლად. დიდმარხვის 50 დღის განმავლობაში არ ჰამდა და არ სვამდა... წლების განმავლობაში გაიცრია მისი ხორცი... სხეულმა იწყო ლბობა. დამბალ ხორცში გაჩნდა მატლები, მატლებითვე ავსებული იყო მისი ლოგინი... გაუჩნდა მას ავადმყოფობა „პანუკლა“ და დაულბა თეძო, საიდანაც უამრავი მატლი სცვიოდა იატაკზე. მეო, ამბობს ავტორი მისი „ცხოვრებისა“, მისი უშუალო შეგირდი ანტონინე, სხვა საქმე არა მქონდა რა იმის მეტი, რომ, თანახმად მისი ბრძანებისა, ძირს დაეცვილი მატლები მეგროვებია და იმავე ადგილას დამესხა სვიმეონისათვის, საიდანაც ისინი სციოდნენ. სვიმეონი კი ამ დროს მატლებს ეუბნებოდა: „შეჰამეთ, რაც ღმერთმა მოგმადლათო“.

როგორც ვხედავთ, სვიმეონსაც და შუშანიკსაც ხორცი უღებათ მისი გაცრეცის გამო უხეში ძაძისაგან; დამბალ ხორცში ერთსაც და მეორესაც უჩნდება მატლები. ისინი ამის წინააღმდეგ არამცთუ არავითარ ზომას არ ღებულობენ, პირიქით, შეგნებულად ხელს უწყობენ მათ მომრავლებას: თუ მატლები ხორციდან შემთხვევით ძირს ჩამოვარდებიან, მათ უკანვე თავის ადგილას აბრუნებენ და თავიანთ სხეულს შესთავაზებენ საჭმელად იმ მოტივით, რომ, როგორც შუშანიკი ამბობს, უმჯობესია დროებით, ამ ცხოვრებაში შეგვკამონ მატლებმა, ვიდრე საიქიოს მუღმივმა, „უკუდავმა“ მატლმაო. სვიმეონის საქციელი პროტესტს იწვევს მის გარშემო მოყოფათგან, პროტესტს იწვევს შუშანიკის საქციელიც იაკობის მხრივ... აქედან საკითხი ამ ორი ჰავიოგრაფიული ძეგლის (ხაზი ჩვენია. — ბ. კ.) ურთიერთონის შესახებ. რო-

დესაც „შუშანიკის მარტივობა“ იწერებოდა, „სვიმეონის ცხოვრება“, მეტი თუ არა, ოცი წლით მინც ადრე იყო დაწერილი; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეპიზოდი იაკობმა შეთხზა „სვიმეონის ცხოვრების“ მიხედვით. აქ შეუძლებელი არაფერია: „შუშანიკის მარტივობიდან“ ჩვენ ვტყობილობთ, რომ მის, შუშანიკის, დროს ქართველ მწერლებსა და მკითხველებს ხელთ ჰქონდათ ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, „წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“, ან თარგმანში, ან ორიგინალში“²².

ამგვარი სესხება არ ყოფილა საძრახი; პირიქით, იგი ადრექრისტიანული ლიტერატურის შემოქმედებითი პროცესის წესი და რიგი, მისი მოუცილებელი კანონი იყო, რამეთუ მაშინ წინააპრ დიდ მწერალთა „ენითა ზრახვიდნენ, მათითა ყურითა ესმოდათ და მათითა კელითა შურებოდნენ“²³.

კ. კეკელიძის მსჯელობიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

ა) ხორცთა ლობისა და მატლთდასხმის, აგრეთვე დიდმარხვის 50 დღის მანძილზე უპუმელობისა და ზედგომის, მოტივი მართლა მხატვრული გამონაგონია საკუთრივ შუშანიკის პიროვნებასთან მიმართებაში ისტორიული თვალსაზრისით (თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ შუშანიკი ისტორიულად ასე იქცეოდა); ბ) ამ მოტივს ლიტერატურული პირველწყარო აღმოაჩნდა, პირველწყარო სწორედ ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან, თანაც ამ მწერლობის კლასიკური ძეგლის „სვიმეონ მესვეტის ცხოვრების“ სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ იაკობ ხუცესის აზროვნების წყობა და სტილი ჰაგიოგრაფიულ მსოფლმხედველობასა და სტილზეა დაფუძნებული. და თუ მწერლის სიტყვა მომწესხველია და სულის შემქმნელი, ეს იმიტომ, რომ „წამებაში“ ჰაგიოგრაფიის, როგორც მწერლობის დარგის, მხატვრული ძალმოსილება იაკობ ხუცესის ხელში იდეალურ სრულყოფას, თავისი გამომსახველობითი შესაძლებლობის ზღვარს აღწევს; იაკობ ხუცესი ჰაგიოგრაფიის მხატვრული იდეალის თვალსაწიერიდან შორს იმზირება და აფართოებს მის ჩარჩოებს, მაგრამ აფართოებს ამ დარგის სფეროდან გაუსვლელად.

ამ თვალსაზრისის დამატებით და საბოლოოდ (თვით უკიდურეს სკეპტიკოსთათვისაც, ალბათ, არსებითად მინც) ადასტურებს მ. გიგინეიშვილის ნაშრომი²⁴, რომელიც, გარკვეული აზრით, კ. კეკელიძის ზემოთ დამოწმებული დებულების შემდგომი სრულყოფილი გაშლა-დასაბუთების წარმატებულ ცდას შეიცავს ორსავე ასპექტში: თეორიული და კონკრეტული თვალთახედვით.

მ. გიგინეიშვილის დაკვირვებით, „შუშანიკის წამებაში“, კ. კეკელიძის მიერ შემჩნეულს გარდა, სხვა მრავალი „სიუჟეტური დეტალია ჰაგიოგრაფიის სქემის თანხვედრი“. ესენია: წმინდანის წარმომავლობა ქრისტიანული ოჯახიდან; სიყრმიდანვე გამორჩეული ღვთისმომოწამება; გადაბირების მსურველნი და მათგან „თავის მოზღუდვა“; იმიერ სოფლად მიცვალების წინასწარგმნობა; გარემემყოფთა დამოძღვრა-განსწავლა; საფლავის დაბარება; წმინდანის დევნა ურწმუნოსაგან და გულშემატიკივარ „ღვდათა და

მამათა ამბოხის“ მიერ მისი გაცილება; მოწმის მხრივ თანამლობელთა დამშვიდება; წმინდანისათვის მიყენებული გვემით თვით მოწინააღმდეგის გაკვირება (ათანასე ალექსანდრიელის „ანტონ დიდის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ეშმაკსაც „დაუკურდა“ მისგან გვემული წმინდანის გამძლეობა, ასევე ვარსკენს „დაუკურდა“ მისგან მიყენებული „დიდალი სიმონიც“ შუშანიკისი); შეურაცხი ქვეშაგები წმინდანისა; „გრწყილი და ტილი მოუგონებელი“ წმინდანის ადგილსამყოფელში (გვხვდება ათანასე ალექსანდრიელის ერთ-ერთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში); წმინდანის სამოსლად „შინაგან ძაძა და გარეშე ტყაყი“ („ანტონის ცხოვრება“); წმინდანის ნახვა ციხეში „ღამით“, „ფარულად“, ქრთამის გაღებით (ტროფიმესა და წმინდა გიორგის „წამებანი“), მარტოობის გამო წმინდანის ჩივილი (ეხმთანება გოლგოთაზე ჯვრიდან ნათქვამს)²⁴ და სხვა.

მეტის თქმაც შეიძლება. მ. გიგინეიშვილმა „შუშანიკის წამების“ ისეთ „სიუჟეტურ მოტივებსაც“ მოუძებნა ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული პარალელები, რომლებიც თითქოს აშკარად გამოხატავდა მოწამის საერო განწყობილებას. შეეჩრდებით ერთ მათგანზე: „ორიგინალური მხატვრული სახეები და წმინდანისათვის შეუფერებელი ჩივილია მკვლევართა მიერ დანახული შუშანიკის ფრაზაში: „მან უკამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთოჟრა და სათონელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჰნი“... აქ თავმოყრილი მეტაფორები არა თუ ორიგინალური არ არის, ბიბლიის პოეტური არსენალიდან მომდინარე სტერეოტიპად ქცეული გამომსახველობითი საშუალებებია... ანგარიშგასაწვეია შუშანიკის ნათქვამის კონტექსტი, რომელიც ნათელყოფს, რომ „ნაყოფის მოსთლვითა“ და „ყუავილის დაჰნობით“ შუშანიკი ღვთის წყალობას მოგლის: „ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ღმერთსა ვპოვო და გუემათა და თრევათა მისთათს მე განსუენებასა მივემთხუო, და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა“. ამას კი მოჰყვება: „ესე ყოველი ცხოვრებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ და ვინ სთესა — მოიმკო, და ვინ განაბნა გლახაკათს — შეიკრინა, და რომელმან წარიწმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან აღიდა იგი“. შუშანიკის ეს სიტყვები ბიბლიის მუხლთა გარდათქმას წარმოადგენს“²⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნული, აგრეთვე უამრავი სხვა მონაცემი (რომელთა მოხმობას აქ საჭიროდ არ ვთვლით), ვფიქრობთ, უცილობლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „შუშანიკის წამება“ კემშარტიად ჰაგიოგრაფიული ქანრის თხზულებაა.

აღნიშნული ოდნავადაც არ ამცირებს „წამების“ უდიდეს იდეურ-მხატვრულ ღირსებას. ეგ ამიტომ: მეხუთე საუკუნის ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ძალად იქცა. ისაა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის უადრესად ეფექტური ფორმა. ამ იდეას „წამებაში“ ამშვენებს იაკობ ხუცესის კემშარტიად დღიადი მხატვრული ნიჭი. ფშუკი და უიდეო არც „წმიდა ალექსის ცხოვრება“ ყოფილა. თანამედროვე ბიზანტიანისტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი წერს: ალექსი კი არაა უიდეო, ბრბოა უიდეო. უმაღლესი იდეების მატარებელი ალექსი ზევიდან დაჰყურებს მისგან ასე დაცი-

ლებულ ბრბოს და მის ქმედებაზე არც რეაგირებს. სინამდვილეში კი ესაა იდეური ბრძოლის თავისებური ფორმა, იმდროისათვის შესაფერისი, რომლის შეცნობა დღეს გაგვიჭირდება, თუ ისტორიზმის პრინციპს არ დავიცავთ²⁶.

შენიშვნები

1. „ლიტერატურული საქართველო“, 19. 2. 82. შ. ჩიჯავაძემ თავის საკანდიდატო დისერტაციაში — ქალთა ისტორიულ-მხატვრული პერსონაჟები ქართულ პავიოგრაფიაში (შუშანიკი, ნინო), თბ., 1952 (ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში) — სპეციალური ქვეთავი უძღვნა ამ საკითხს (გვ. 71—79). იგი ბიბლიოტრი საილუსტრაციო მასალის სიუხვით ხასიათდება, მაგრამ ავტორის ძირითადი დებულებანი ნაკლებ სარწმუნოა. ამის შესახებ იხ. ქ. ქეკელიძე, ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, თბ., 1968, გვ. 225.
2. შევნიშნავთ, რომ გამოვიდა ქ. დანელიას უაღრესად საყურადღებო მონოგრაფია — „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“ (თბ., 1982), რომელშიც ავტორი სპეციალურად მსჯელობს ბიბლიასთან, ყერძოდ პავლეს ვიკიტოლესთან, იაკობ ცურტაველის შიშართებაზეც (გვ. 107—108). იქვე დაეახსენებთ ნ. ბერძოლის წერილს (იხ. ყურნ. Georgica, 1981, № 4), რომელშიც იკვლევს „წამების“ „მეანგელოზ საფუძვლებს“ და, ამასთანავე, ცდილობს თხზულების ქრონოლოგიის გადისწავას.
3. ვ. ქეკელიძე, წერილები, თბ., 1972.
4. იქვე, გვ. 8.
5. ვ. ქეკელიძე, „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკები, I, თბ., 1972, გვ. 291.
6. В. В. Бычков, Эстетика поздней античности, М., 1981, გვ. 75—79.
7. გ. ფარულავა, ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი პრინციპები, წიგნში: მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 8—58.
8. ე. ხინთიბიძე, „შუშანიკის წამება“ და ბიზანტიური აგიოგრაფიის სათავეები, წიგნში: ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 168.
9. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 91—105.
10. ვ. ქეკელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები; I, გვ. 289.
11. ვ. ქეკელიძე, წერილები, გვ. 17.
12. რ. სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
13. ვ. ქეკელიძე, წერილები, გვ. 13.
14. რ. სირაძე, მხატვრული აზროვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში (V—XI სს.), „მცნე“, 1965, № 4, გვ. 134—140.
15. გ. ფარულავა, მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა, წიგნში: მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, გვ. 83—134.
16. იქვე, გვ. 125.
17. ორიგენის ნაშრომი ციტირებულია გ. ფარულავას დასახ. წიგნიდან (გვ. 99—100).
18. გ. ფარულავა ძველი ქართული მწერლობის სათავეებთან, ყურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1983, № 1, გვ. 21.
19. ქ. ქეკელიძე, ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 99—107.
20. იქვე, გვ. 99.
21. იქვე, გვ. 101, 102—103.
22. ქ. ქეკელიძე, შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით, ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 208.
23. მ. გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ყურნ. „საუნე“, 1978, № 6, გვ. 223—235.
24. იქვე, გვ. 228.
25. იქვე, გვ. 229.

26 „შუშანიკის წამების“ ეპიკურული რაობის სპეციალურად თუ ფრაგმენტულად, სხვა სა-
 კითხებთან მიმართებაში ეხებიან: ილ. აბულაძე, ა. ბარამიძე, რ. ბარამიძე, ბ. ბალხაშიშვილი,
 კ. გამსახურდია, მ. თაბორიძე, რ. თვარაძე, პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე, ლ. მენაბდე,
 ბ. მიშველაძე, შ. ონიანი, ც. კურციკიძე, თ. ჭილაძე, ლ. ჭანაშია და სხვანი. დასახელებულ ავ-
 ტორთა თვალსაზრისების განხილვა, ადგილის სიმცირის გამო, წინამდებარე წერალში ვერ
 შევძელით. შევეცდებით ამ ხარვეზის გამოსწორებას უახლოეს ხანში.

ბ. ი. კილანავა

ПРИБЛИЖЕНИЕ К ЦУРТАВЕЛИ

Резюме

В работе проанализировано отношение Якова Цуртавели к биб-
 лейским книгам, в частности, к епистоле Павла. Отмечено, что автор
 «Мученичества Шушаники» вполне осмысленно внес поправку в одну
 из сентенций Павла и этим подчинил ее грузинскому национальному
 идеалу.

Большая часть работы посвящена уточнению жанра «Мучениче-
 ства Шушаники». Делается вывод, что Яков Цуртавели, опираясь на
 поэтический идеал агнографии, расширяет ее рамки, не выходя за рам-
 ки данного жанра.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის
 ისტორიის კათედრა

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახე-
 ლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გაგონა უკმაჯურიძე

ელემენტური მოტივისათვის ძველ ქართულ სასულიერო
მწიგნობრობაში

მეტყველებს აზრით, ელემენტური მოტივთა გენეზისის ძიებისას ყველა გზა მიდის ძველი ბერძნული ელემენტის აღმოსავლური საწყისებისაკენ, კერძოდ, ამ სახელით ცნობილი ფრიგიული სიმღერებისაკენ, რომელთაც ლერწმის სალამურის აკომპანიმენტით ასრულებდნენ (ე. ი. „ელემენტის“ უწოდებდნენ სალამურზე დასამღერებელ სამგლოვიარო ლექსს). ამ მოსაზრებიდან აღსანიშნავია ტერმინ „ელემენტის“ დაკავშირების ცდა ლერწმის მნიშვნელობის მქონე სომხურ სიტყვასთან, რომელიც თავის მხრივ საქართველოში არსებულ მეგრულ ლარჰემსა და მოთქმით დატირებასთან დაკავშირებულ სიტყვებს (ღრიალს, ღლინს, მღერას) ენათესავება, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ როგორც სიტყვა „ელემენტის“, ისევე ამ სიტყვით აღნიშნული უძველესი ხალხური სიმღერებიც, რითაც დასაბამი მიეცა ძველ ბერძნულ ელემენტს, წინა ბერძნული ხალხების, კერძოდ მცირეაზიელებისა და კავკასიის სამყაროსთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ზემოთქმული ეხებოდა ელემენტის ვითარებას ქანრის გენეზისს. მაგრამ ჩვენ ძირითადად გვინტერესებს ელემენტის როგორც ლიტერატურული მოტივი.

ელემენტური მოტივი გულისხმობს პოეზიაში გამოხატულ მწუხარების ისეთ სახეს, რომელსაც შეიძლება სასიმღერო ფორმა ჰქონდეს. მწუხარების დაძლევა პოეზიის საშუალებით და „გაიოლება“ — მონოლოგიური ხასიათისაა: 1. მას უნდა ჰქონდეს პოეტური სახე, 2. უნდა იყოს სასიმღერო. ელემენტური სულის ნაწარმოები თუნდაც არ იყოს მოცემული სასიმღერო ფორმით, პოტენციურად შეიძლება სასიმღეროდ ვიგულოვოთ.

შეიძლება ითქვას, რომ ელემენტური მოტივის თავისებურებანი გარკვეულად წარმოგვიჩენს ეროვნული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ სეროტო ტენდენციებს. ამთავითვე წარმოდგება საკითხი, თუ სხვადასხვა ეპოქაში რა იწვევს დიდ პიროვნულ-ადამიანურსა თუ ეროვნულ სევდას და რა ფორმით გამოვლინდება იგი. ეს მაჩვენებელი იქნება ერის სულიერი ცხოვრების თავისებურებებისა, ისევე, როგორც ერის ცხოვრების თავისებურებათა ამსახველი შეიძლება იყოს ის, რაც ნერვებს სიხარულსა და აღტაცებას. სევდის მოტივი ნეგატიური გზით შეიძლება დაეინახოთ ისიც, თუ რა იწვევდა სიხარულსა და აღტაცებას, რომლის მოკლებასაც გამოუწვევია სევდა.

ჩვენი ამოცანაა, ასე თუ ისე, ჩავევადოთ ელემენტური მოტივის არსს და ამ ამოსავლიდან მოვახდინოთ იმ ტიპოლოგიურ მოვლენათა ანალიზი, რაც ფოლკლორულსა და ლიტერატურულ ელემენტს ანათესავებს თუ ასხვავებს.

ლიტერატურასა და ფოლკლორში ელემენტური ნაკადთა ურთიერთმიმართების პრობლემა არ თავსდება მხოლოდ ქანრის ფარგლებში. საბოლოო

ჯამში, ელეგიური მოტივის მიხედვით ერის სულიერი ცხოვრების განვითარების თავისებურებანი რომ წარმოვაჩინოთ, ლიტერატურულ მასალასთან ერთად, ჩვენი კვლევის არეში უნდა მოვაქციოთ ზეპირსიტყვიერების მონაცემებიც და საერთო დასკვნებიც უნდა შევიმოქმადოთ ლიტერატურული და ფოლკლორული მონაცემების მთლიანობაში გათვალისწინებით. მაგრამ შესწავლის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება ლიტერატურული და ხალხური ელეგიების ცალ-ცალკე განხილვა, რათა ვაჩვენოთ არა მხოლოდ თანხედრა, არამედ ისიც, თუ რამდენად სხვაობს ელეგიური მოტივებით ფოლკლორი და ლიტერატურა.

ჩვენ ამჯერად არსებითად ლიტერატურულ მასალას განვიხილავთ. თავისი სპეციფიკის მიხედვით ჰაგიოგრაფიაში ნაკლებად გვხვდება ელეგიური მოტივი სიკვდილის თემასთან დაკავშირებით.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მთავარი პერსონაჟის გარდაცვალება ჩვეულებრივ გადმოცემულია ხოლმე სიხარულის განცდის გამოხატვით. ეს სიხარული რელიგიურ ოპტიმიზმს ემყარება. აქ ივლავს სიხარული, რომ ქრისტიანული გმირი უზიარა მარადიულ ნეტარებას, საღვთო სასუფეველს და განშორდა „სოფლის“ ამოებას“. ეს კი, ქრისტიანული თვალთახედვით, სიხარულს უნდა გვრიდეს ადამიანს. სწორედ ამანიათ განცდება გამოხატული ჩვეულებრივ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების დასასრულს. ეს ერთგვარად კანონიკურ-მწიგნობრულია, მაშინ როცა ადამიანთა ადამიანურ არსს უფრო სრულსახოვნად, უფრო „ბუნებრივად“ ხალხური პოეტური სამყარო გამოსახავს. სიკვდილთან ქართველი კაცის დამოკიდებულების თავისებურებებს ჩვენი ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემები გვიჩვენებენ, რომლებიც უკიდურესი სიმძაფრით ავლენენ სიკვდილით გამოწვეული ტრაგიკულობის განცდას. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ჰაგიოგრაფიაში.

ჰაგიოგრაფიაში ელეგიური მოტივი თავს იჩენს შემდგომ ფორმებში:

1. სიკვდილის თემა (განსაკუთრებით ქრისტეს ჯვარცმისა და ღვთისმშობლის მიძინების თემები, სიკვდილთან დაკავშირებული არარაობის განცდა და სხვა);
2. შენდობის თემა (ფსალმუნებიდან მომდინარე ე. წ. „მიწყალებს“ (50-ე ფსალმუნის) მოტივი);
3. სოფლის ამოების თემა;
4. მარტოხელობის ქრისტიანული განცდა.

ელეგიური მოტივი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში საგანგებო შესწავლის საგნად არ ქცეულა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ საკითხებს, ამ მოტივის შესწავლის მნიშვნელობაც ცხადი გახდება. გამოიკვლიოს აკად. კ. კეკელიძის საგანგებო სტატია „გოდების ქანრი და გლოვის წესი ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

„გოდების“ ქანრი წარმოიშობა ადამიანის აუნაზღაურებელ დანაკარგთან დაკავშირებით. ნაწარმოებებში მხატვრულად არის გადმოცემული უნუგეშო სევდა და გარდაცვლილის დახასიათება. „გოდებაში“ ჰარბობს ემოციურ-გრძნობითი ელემენტი. „ბიბლიაში“ არაერთი მომენტია მგრძნობიარე „გოდებისა“ და „გლოვისა“. აღსანიშნავია: „გოდება ბაბილონისა“, „გოდება იერემია წინასწარმეტყველისანი“. „გოდების ქანრი განსაკუთრებით მდიდრულად წარმოდგენილია ე. წ. „ტრიოდონში“, რომელშიც მოთავსებულია საგლობელნი დიდმარხვის პერიოდისა. ეს არის პერიოდი სინანულისა, ცოდვის შეგნებისა. ამ ჰიმნებში გაისმის ცოდვილი სულის აღსარება: „ეინა

ვიწყო მე გლოვად საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ანუ რომელი დასაბამი ეყო, ქრისტე, გოდებისა ამისა², — კითხულობს „დიდი კანონის“ ავტორი ანდრია კრიტელი (VII ს). IX საუკუნის გამოჩენილმა პიმნოგრაფებმა ვნების პარასკევისა და შაბათის ჰიმნებში, სადაც წარმოდგენილია ქრისტეს ჯვარცმის შემზარავი სურათი, მოგვცეს ამ უანრის შეუღარებელი ნიმუშები.

საყურადღებოა, რომ დატირების უძველეს ნიმუშად მიჩნეულია „გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქველისა“:

„ვაჲ, ჩვენდა, რაი მოგვიჩინა სევმან ბოროტმან!

და მეფე ჩვენი, — რომლისგან ხსნილ-უკუენით მონებისგან მტერთასა, მოიკლა იგი — კაცთავან მგრძნებულთავან,

და აჴ მივეცენით ჩვენ წარტყვენად ნათესავთა უცხოთაჲ“

პირველი ჩაწერილი ნიმუში გოდებისა შემოუნახავს X საუკუნის ძეგლს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (თავი VII).

XI საუკუნიდან გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნიმუში „გოდებისა“, რომელიც კ. კეკელიძის ცნობით ეკუთვნოდა გიორგი მცირეს, მაგრამ, როგორც ახალგაზრდა მკვლევარმა მ. კობიაშვილმა გაარკვია, იგი ეკუთვნის არა გიორგი მცირეს, არამედ გრიგოლ ნოსელს და ამოღებულია ამ უკანასკნელის ჰომილეტიკური თხზულებიდან „შესხმაჲ მეღვთი ანტიოქელისაჲ“, რომლის ქართული თარგმანის ავტორადაც გიორგი მთაწმიდელი გვემჩინება.

ს. ავერინცევი განიხილავს „გოდების“ მოტივს ძველსა და ახალ აღთქმაში და გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან, გვიჩვენებს „გოდების“ მოტივის გამოხატვის თავისებურებებს შუასაუკუნოებრივ მწერლობაში, კერძოდ ბიზანტიურ ლიტერატურაში. ძველი აღთქმა, წერს ავტორი, არის წიგნი, რომელშიც არავის ესირცხვება საკუთარ ტანჯვასა და ტკივილზე გოდება. არც ერთი მოთქმა ბერძნული ტრაგედიისა არ იცნობს ასეთ სიღრმისეულ, ხორციელ სახეებს და ტანჯვის მეტაფორებს. ტრაგედიის გმირები წამაღუწუმ ღვრიან ცრემლს, თავიანთი და ზოგჯერ სხვისი მწუხარების გამო. უნდა ითქვას, რომ ძველი აღთქმის იუდეველებთან ერთად ისინი იყოფენ სამხრეთული მგრძნობელობის და განმცდელობის თვისებას. მკაცრი ჩრდილოელი გმირები აქილევსს ალბათ ნახსა და მომტირალ დაუკაცად ჩათვლიდნენ.

მაგრამ მთავარია ის, რომ, თუ კლასიკური ეპოქის ელინი სიბრალულს თვლიდა მისატყვებელ სისუსტედ. მას აზრადაც არ მოუვიდოდა, სიბრალულის ცრემლები შინაგანი თვითგანწმენდის გზით როგორმე დაეკავშირებინა სულიერ სფეროსთან⁵.

კონტრასტისათვის მოხმობილია აღრებიზანტიური ეპოქის სირიელი კრიტიკული მისტიკოსის — ისააკ ნინევიელის მსჯელობა: „რა არის მოწყალე გული?... ადამიანის გულის ანთება ყველა ქმნილებაზე, ადამიანებზე, ფრიველებზე, ცხოველებზე, დემონებზე და ყოველგვარ ქმნილებაზე. მათ გახსენებისას და მათ თვალის მიპყრობის დროს ადამიანს დიდი და ძლიერი სიბრალულისაგან ცრემლები მოედინება. დიდი მოთმინებისაგან გული ეკუმშება და გულს არ შეუძლია გადაიტანოს ან დაინახოს რაიმე ვნება ანდა ამ ქმნილებათა მიერ გადატანილი მცირე დარდიც კი“. „მსოფლიოში არსებული

ცრემლიანი სიბრაღული, რომელიც განიხილება, როგორც ღმერთთან დამსგავსების გზა, უცხოა ანტიკური კულტურისათვის⁷.

ამრიგად, ანტიკური თვალსაზრისით, გლოვა გამოხატავს თავისუფლების უქონლობას, ხოლო სიცილი — თავისუფლებას; გლოვა პირობითია, სიცილი — აბსოლუტური; ცრემლები შეეფერება მოშიშ ქმნილებას, სიცილი კი მიღებულია მხოლოდ ღვთაებისათვის.

კონტრასტისათვის გამოდგებოდა ის, რომ ქრისტე ტიროდა, მაგრამ არასოდეს არ იცინოდა.

მწერლობაში ელეგიური ნაკადის შესწავლისათვის საჭიროა ადამიანის შუასაუკუნეობრივი კონცეფციის გათვალისწინება, რომელიც ჩამოყალიბებულია იმდროინდელ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრაქტატებში, როგორცაა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“, იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, ფსევდოოდონის არეოპაგელის „საღმთოთა სახელთათვის“, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანთმცოდნეობაზე „ბიბლიაში“, აგრეთვე ამ საკითხზე არსებობს სპეციალური გამოკვლევები როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ ენებზე.

იმდროინდელი ფილოსოფიური თვალთახედვით, მთელი კოსმოსისათვის საერთო თვისებები წარმოდგენილი იყო ადამიანში. ამ თვალსაზრისით, ადამიანი შეიცავდა უზენაეს არსათათვის და ფიზიკური სამყაროსათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამ პრინციპით, ადამიანი თავის თავში აერთიანებდა სამყაროს მთელ მრავალფეროვნებას.

ქრისტიანული თვალთახედვით, მსგავსად მაკროკოსმოსისა, ადამიანში სულიერი და ხორციელი ბუნება გათიშული იყო. პირველადი იყო ღვთაებობის გამონაკრთობი, სულიერი, მარადიული საწყისი, მეორადად კი ითვლებოდა მატერიალური, წარმავალი, ხორციელი ბუნება. მასთან შეხებით სული წაბილწული იყო და, ამგვარად, იგი წარმოადგენდა სულიერი ბუნების საპყრობილეს. ეს საკითხი გასათვალისწინებელია იმის გასარკვევად, თუ რა შედეგება იყოს სევდის მიზეზი: სული თუ ხორცი. სულიერ ტანჯვას ამქვეყნებს სხეული.

თავისებური სურათი იშლება ბიბლიაში. „ძველი აღთქმის“ მიერ გაცემა ადამიანისა არანაკლებ ხორციელია, ვინემ ანტიკურისა, ოღონდ მისთვის სხეული არა ტანადობაა, არამედ ტკივილი, არა ექსტი, არამედ თრთოლა, არა კუნთების მოცულობითი პლასტიკა, არამედ „წიალთა საიდუმლოების“ შელახვა... ეს სხეული გარედან უპყრეტელია, მაგრამ შეიგრძნობა შიგნიდან და მისი გამოსახულების შეთხზვა ხდება არა ხედვითი შთაბეჭდილებებიდან, არამედ ადამიანური „წიალის“ თრთოლით. „...ეს არის გამოხატულება ტანჯული სხეულისა, რომელშიც მაინც ცოცხლობს ინტიმურობის ისეთი სულიერი სითბო, რომელიც უცხოა ქანდაკებად გამოშვებული ელინური ათლეტის სხეულისათვის“⁸.

საკუთარი განცდები, როგორც ფიზიკური ტკივილები, გზას უხსნიდა ქრისტიანულ იდეას ტანჯვით შინაგანი თვითგანწყმენისაკენ.

როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს „შუშანიკის წამების“ სიუჟეტურ განვითარებაში ორი ნაწილის გამოყოფას. ვარსკენისაგან შუშანიკის წამება ნაწარმოების პირველ ნახევარში მთავრდება. „ამ ტანჯვის გზის გავლით შუშანიკმა თითქოს მიადწია სულიერ სრულყოფილებას. აი, ამ ახალ იერსახეში იგი ასე წარმოგვიდგება: მან „განაბრწყინა

და განაშუენა ყოველი იგი ციხეი სულეირითა მით ქნართა“. ნაწარმოების მთელ მეორე ნახევარში იგი გვევლინება სულეირად... გაწონასწორებულ, სხვისთვის ვერმისაწვდომ შინაგანი სიმშვიდით აღვსილ მქადაგებლად, მიმტევებლად, შემწყყნარებლად და გზის მაჩვენებლად¹¹.

ჩვენ კოსმოლოგია და აღამიანთმცოდნეობაც ელეგიური მოტივების წარმოსაჩენად ვვინტერესებს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენს ყურადღებას იქცევს შუასაუკუნეობრივი ფსიქოლოგიის ზოგიერთი თავისებურება, განსაკუთრებით, სიხარულისა და სინანულის თანაარსებობა. ელეგიური სვედა ცხოვრებაზე თავის თავშივე ექსტალოგიურ სიხარულს შეიცავს.

ს. ავერინცევის დაკვირვებით, ბიბლიაში შიში და იმედი იდენტურად არის გაგებული. „ღმერთის წინაშე შიში — იმედია“, რადგან შიში და იმედი — ორი განსხვავებული სახეცვლილებაა ერთი და იმავე რაობისა. შიში და იმედი შეუღლებულია „ხსნის“ გაგებასთან.

ამგვარი განცდა არის სწორედ შიში „ხსნისათვის“. იმედი კი თავისი არსით მიეკუთვნება ჯერ არ არსებულს, რადგან თუ კაცი მიზანს უკვე ხედავს, რწმენაც აღარაა საჭირო, მაგრამ, როცა გეწამს იმისი, რასაც არ ვხედავთ, მაშინ მოთმენით ველით“. აქ არის ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი პარა-დოქსი: „უკვე — მაგრამ ჯერ არა“ და სწორედ ამ შიშთა და იმედით შეპყრობილი ინდივიდი შემოქმედის ხელში სათამაშოდაა ქცეული და მასთან დიალოგს მართავს, „ეინიდან სასწაული განსაზღვრულობით მიმართულია არა ზოგად, არამედ კონკრეტულ ერთეულზე, არა „უნივერსუმზე“, არამედ „მე“-ზე. ამ „მე“-ს ხსნისათვის, მის ამოსატეტივებლად მიზეზთა და გარემოებათა ნივთიერი სქელი ფენიდან¹¹.

ეს ხდის მის ცხოვრებისეულ ყოფას და მის შინაგან „მე“-ს კონფლიქტურს. აღამიანი ამალეებულად უნდა ფიქრობდეს თავის თავზე. იგი პოევებს სიხარულს ტანჯვაში, სიღაღენს დამცირებულობაში.

ხილული სამყაროსაგან განდგომა ერწყმის შინაგანსაღამი, სულეირი „მე“-საღამი დაინტერესებას.

„ნუ დახეტიალობ შენი სამყაროს მიღმა, შედი საკუთარი სულის სიღრმეში“¹², — ავგუსტინეს ეს პრინციპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითშემეცნებას.

„არაინ არ იმსახურებს უფრო მეტ ზიზღს, ვიდრე აღამიანი, რომელსაც სძულს საკუთარი თავის შეცნობა“, — წერდა იოანე სილისბერიელი¹³.

სწორედ თვითშემეცნების, საკუთარი თავის შეცნობის შემდეგ შეიძლება აღამიანმა შეიგნოს, თუ რამდენად არის დაკლებული იდეალს, რათა დაეუფლოს სინანულის გრძნობა და სრული გარდაქმნის სურვილი. ორივენეს თქმით, „ვინც, უწინარეს ყოვლისა, არ შეიგნებს საკუთარი სულის ბიჭიერებასა და შინაგან სიძაბუნეს, ვინც თვითონვე არ აღიარებს ყოველივეს, ის ვერ შესძლებს განწყენდასა და ვერ მოიპოვებს შენდობასო“¹⁴. ეს მსჯელობა გვეხმარება იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ როგორი სინანულია გამობატული ჰიმნოგრაფიულ-ფსალმუნურ ელეგიებში.

ქრისტიანობის მიხედვით ყველა დიდი ხსნა სინანულშია. მარტვირი ქართველის მიხედვით, „სინანული არის ტირილი და გლოვა ცოდვების გამო. სინანული არის შეგნება საკუთარი უღირსობისა, ხოლო უკანასკნელი ვლინდება სიმდაბლეში. ამპარტავანი თავის უღირსობას არასოდეს არ იგრანობს“¹⁵.

მაშასადამე, ვიდრე ადამიანს არ დაეუფლება საკუთარი ბიწიერების შეგროვება, მას სინანული ვერ მოიცავს, ე. ი. სინანული ჩნდება იქ, სადაც იბადება ცოდვის შეგნება. გასათვალისწინებელია ადამიანის ცოდვილობის შესახებ დაკანონებული დოგმა; ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის ამოსავალია ბიბლიური ვადმოცემა პირველცოდვის შესახებ.

ადამიანის შეგნებაში პირველცოდვის შედეგად დაიკარგა კავშირი „ზეს-თა სოფელთან“, ადამიანი მიეჯიჟა მატერიას, ფიზიკური სხეული გარესამყაროში მოქმედ ხრწნის პროცესს დაუკავშირა. სწორედ ადამიანის ხორციელქმნასთანაა დაკავშირებული სიკვდილის წარმოშობა, ე. ი. სულიერი სუბსტანციის გარეშე გარე სინამდვილემ დაკარგა ნამდვილი რეალობა. ამან განაპირობა ეკლესიასტეს გოდება და „ამაოებთი, ამაოებთი ამათათი. ყოველივე ამოა“¹⁶.

რაც შეეხება ცოდვას, როგორც გაცნობიერებულ ფაქტს, იგი მოსეს სჯულმა გამოავლინა. მოსეს კანონი შეიცავდა ათი ძირითადი მცნების გარდა უმარავ დარიგებებს. თუ ადამიანის საქციელი არ ეთანხმებოდა მცნებას, ეს ცოდვად ითვლებოდა. ადამიანი თავის მოქმედებას უფარდებდა მოსეს სჯულს და მისგან დაკლებიას განიცდიდა შიშსა და არა სინანულს. ამის შესაბამისად, არსებობდა არა მონანიების საიდუმლო, არამედ მსხვერპლშეწირვა¹⁷.

როგორც ლ. გრიგოლაშვილი აღნიშნავს, „ეს განცდა გამოწვეული იყო ადამიანის დაპირისპირებით კანონთან. სინანულის არსს კი ადამიანის შინაგანი, ღრმად ინტიმური სულიერი მდგომარეობა განსაზღვრავს. ჭეშმარიტი სინანულის გრძნობა ადამიანს ეუფლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით პიროვნებაში ილუქებს მისი ნამდვილი „მე“, როდესაც ადამიანს იდეალისაგან დაშორებას აგრძნობინებს არა გარემოდან მოცემული კანონი, არამედ შინაგანი ხმა“¹⁸. ეს მიჯავანია ჩვენ ყველაზე არსებითად „ქრისტიანული ელემენტის“ წარმოშობისას. ქრისტიანობამ გაცილებით გაამძაფრა პიროვნულ-ინდივიდუალური განცდა ანტიკურთან შედარებით და სწორედ ამით იქნა აღბეჭდილი ქრისტიანულ მწერლობაში ელემითრი ნაკადი.

მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დიდი მარხვის პერიოდი არის მთლიანად „პერიოდი სინანულისა“. ამ პერიოდის ჰიმნებში ვაისმის აღსარება სულისა, მწარე სისხლისმღვრელისა, იმის გამო, რომ ის არის დაცემული და შეცოდებული¹⁹.

როგორც აღენიშნეთ, სინანული აღმოცენდება, როდესაც ადამიანში იწყება სწრაფვა იდეალისაკენ. ვავიხსენოთ, რომ რომანტიკული სევდაც წარმოიშობა სწორედ იდეალის ვერმიწვდომის გამო. იდეალიდან დაშორებაა ყველაზე არსებითი მიზეზი სევდისა. ამგვარი სევდა საყოველთაოცაა და ყველასათვის პიროვნულიც. ასე ენათესავენა რომანტიზმი წინარე ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებულ ელემითრ მოტივს და ამით თვით ელემითრი მოტივიც ლიტერატურისათვის საერთო გამჭოლ ნაკადად წარმოგვიდგება. ქრისტიანული თვლასწრისით, ადამიანი სინანულით უარს ამბობს არა წარმავალი ცხოვრების რაიმე სიკეთეზე, არამედ საკუთარ ნებაზე. აღნიშნულ გარემოებას საფუძვლად უდევს რელიგიური სიყვარული, რომლის აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა უარყოს თავისი თავი, დაიფიწყოს თავისი თავი სხვა „მე“-ში, მაგრამ ასეთ თავდაფიწყებაში მოიპოვოს თავისი თავი²⁰.

იმავე თვალსაზრისით, სინანულის გრძნობის საფუძველს წარმოადგენს იმედი. თუ ადამიანს არ ექნება იმედი ცოდვებისაგან დახსნისა, სინანული ვერ დაისადგურებს მასში. „სინანული მიზეზ არს, სარწმუნოებისა და სასოებისა“, — ამბობს მარტვირი ქართველი, თან დასძენს: „რომელსა შეურაცხყოფიეს სინანული, განშორებულ არს იგი წყალობისაგან ღმრთისა. ვტიროდით უკუე, ძმანო, თავთა და ცოდვათა ჩუენთათვის წინაშე ღმრთისა და, თუ შემძლებელ ვიყვნეთ, სხუათათვისცა“²¹. აქ გატარებულია ის აზრი, რომ ყველაზე დიდი ხსნა არა მარტო საკუთარი ცოდვების გამო გამოწვეულ სინანულშია, არამედ, როცა სხვის ცოდვასაც საკუთარ ცოდვად მიითვლი. ცოდვის შეგნების გრძნობით ადამიანი ყველაზე ახლოს დგას შემოქმედთან.

სინანულს შეუძლია აღზოცოს ადამიანის ცოდვები. ქრისტიანული სინანული თანაგრძნობას არ მოითხოვს, იმიტომ, რომ ქრისტიანობაში სინანული ჩვეულებრივი დარდი არ არის, სინანული არ განიცდება, როგორც ტრაგიზმი.

ქრისტიანული სინანული რთული გრძნობაა. როცა ადამიანი თავის თავში შეიგრძნობს სინანულს, ეს სულის სიღრმეში აღმოაცენებს ერთგვარ სიხარულს, სიხარულს იმით, რომ მას დაუფლებია ყველაზე სრულყოფილი განცდა. ამიტომ სინანული სიხარულს ერწყმის. ეს სიხარულია სწორედ დაკავშირებული რელიგიურ ოპტიმიზმთან.

ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიულ ელევგიურ ნაკადში ყურადღება უნდა მიექცეს სინანულის შედეგად აღმოცენებულ სიხარულსა თუ იმედს.

50-ე ფსალმუნი არის სინანულის ზოგადი გამოხატულება. ამ ფსალმუნს საფუძველად უდევს კონკრეტული ფაქტი, კერძოდ, ნათანის მიერ დავითის ბერსაბესთან მძიმე შეცოდების მხილებით გამოწვეული სინანული²².

ამ ფსალმუნში ლირიკული სუბიექტი, დავითი, ღვთაებას მიმართავს, დაექმებს მისგან შეწყალებას. მას შეგნებული აქვს თავისი ცოდვების მთელი სიმძიმე და სთხოვს ღვთაებას: „ცოდვათა ჩემთაგან განმწყმიდე მეო“; თან დასძენს, რომ თავისი ბიწიერება შეგრძნობილი აქვს, რამეთუ ღმერთს შესცოდა, „ბოროტი შენს წინაშე ვყავო“.

იგი ზოგადად ადამიანის ცოდვილობაზე, ადამიანის უმძიმეს კოსმოსურ დანაშაულობაზე მიუთითებს, როდესაც ამბობს: „ცოდვათა შინა მშვა მე დეღამან ჩემმან“. ამიტომაც უკვე მე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ჩემში უკვე არსებული ცოდვა.

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ ეპისტოლეთა სიტყვები: „რამეთუ რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვპყოფ.“

ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვპყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაი“ (რომაელთა მიმართ 7, 15—20).

დავითის საგალობელში, როგორც ვხედავთ, ზოგადსაკაცობრიო ცოდვასა და მით გამოწვეულ სინანულს ემატება საკუთრივ ჩადენილი და განცდილი ცოდვა.

მას შეგრძნობილი აქვს, თუ რამდენად არის დაცილებული იდეალს და განსჯას მოელის ღვთაებისაგან; იცის, რომ თუ თვითონვე არ აღიარებს ყოველივეს, ვერ შესძლებს თვითგანწყმენდას. მას ცოდვა შეგნებული აქვს, სი-

ნაწულს მოუცავს და სთხოვს ღვთაებას, განასპეტაკოს, აღუზოცოს თავისი ცოდვები, „რათა მისგან დამდაბლებულმა ძვლებმა გაიხაროს“. „დამდაბლებული ძვლები“, ცხადია, პირდაპირი, ფიზიკური მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მან იცის, რომ სინანული არის შეგნება თავისი უღირსობისა, ზოლო ეს უკანასკნელი ვლინდება სიმდაბლეში (რადგან ადამიანი სიღიადეს პოვებს დამცირებულობაში), თანაც მხოლოდ სიმდაბლით აღსარება აღზოცავს მის ცოდვებს. „ცოდვა სიმდაბლით და სინანულით უმჯობეის არს, ვიდრე სიმართლიე ამპარტავენებით და ზუაობით“, — წერს მარტვირი ქართველი.

ლირიკული სუბიექტი სთავაზობს ღმერთს ცოდვის გამოსასყიდად სულიერ „მსხვერპლმეწირვას“, რაც გამოიხატება დამდაბლებული, შემუსვრილი სულის მონანიებით. ფსალმუნის ავტორის სინანულის გრძნობას აქვს იმედის საფუძველი. თუ ადამიანს არ ექნება იმედი ცოდვებისაგან დახსნისა, ისე სინანული მასში ვერ დაისადგურებს. მან იცის, რომ მონანიე „ცოდვილ სულს ღმერთი არ შეურაცხყოფს“. აქ არის შიშისა და იმედის თანაარსებობა, რაც ხსნის, განწმენდის წინაპირობაა.

როგორც ვხედავთ, ლირიკული გმირი არ იძირება მხოლოდ სევდაში. სინანულის გამსჭვალვის შედეგად აქ აღმოცენებულია იმედი და თავისთავად მასთან დაკავშირებული სიხარულის გრძნობა.

მეექვსე ფსალმუნში მხატვრულ წარმოსახვას ქმნის ადამიანის ღმერთთან მკისიმაღურად მიახლოება არა ღმერთის კაცსახოვნებით, არამედ ღვთაებრივი თანაგანცდის გამოვლენით. ეს კი ჩანს იქიდან, რომ ღმერთს აქვს სიბრაალულის გრძნობა. ადამიანი ღმერთში ხედავს ადამიანურ განცდათა უშუალობას.

ადამიანი ღვთაებას სთხოვს, წყალობით მიაპყრო თვალი: „მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ“²³.

„უძლური“ არ ნიშნავს სიმდაბლეს, თუ წარმოვიდგენთ განმცდელ სუბიექტს — დავითს — როგორც ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის სიმბოლოს. მისი უძლურება ადამიანისათვის საერთოდ დამახასიათებელი შეზღუდულობაა, რომელიც ღვთაებამედ ვერ აღწევს. ამის განცდა ყველაზე დიდი ტრაგიზმია. ეს არის, ერთი მხრივ, „ბედის შეზღუდულობა“ და ამავე დროს ადამიანის სულის უკიდევანობა.

„უძლურ ვარ“, ამ ფრაზას მოსდევს „განმეკურნე“.

სულიერი ძალის მიცემას, ტექსტის ტრაგიკულ დინებას აძლიერებს შემდეგი სიტყვებით: „რამეთუ შემიძრწუნდეს ძულანი ჩემნი“.

ამ ფრაზასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ «სხეული არა ტანადობაა, არამედ ტკივილი, არა ექსტი, არამედ თრთოლა, არა კუნთების მოცულობითი პლასტიკა, არამედ „წილთა სიღუმლოების შელახვა“. ეს სხეული გარედან უქვერტია, მაგრამ შეიგრძნობა შიგნიდან და მისი გამოსახულების შეთხზვა ხდება არა ხედვითი შთაბეჭდილებებიდან, არამედ ადამიანური „წილის თრთოლვით“²⁴. ეს არის გამოხატულება ტანჯული სხეულისა, რომელშიც მაინც ცოცხლობს ინტიმურობის სიბო.

ვედრება გრძელდება და. ჰოთჰოთ, შევბის იმედი არა ჩანს იმიტომ, რომ თვითონ ეადრების პროცესშია შეგება. ამას გვაფიქრებინებს მისივე სიტყვებით: „და გული ჩემი შეძრწუნდა ფრიად, — განაგრძობს ფსალმუნთა ავტორი, — და შენ უფალო, ვიდრემდის?“

არ ჩანს, თუ სანამდე გრძელდება ტანჯვა. აქ გაეხსენოთ ქრისტიანული კულტი ტანჯვისა, ბედნიერების მიღწევა ტანჯვის გზით.

ფსალმუნში კვლავ გრძელდება ჩვეული ინტონაცია, რომ „შეწყალებას ღვთისაგან უნდა მოელოდეს არა ზორცი, არამედ სული. პირადი თხოვნა და ამ გზით მიღებული ნეტარება ბოლოს და ბოლოს მიმართულია ღვთაებისადმი. ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულების ინდივიდუალიზაციაც გამოხატულია პირადი დამოუკიდებლობის პრინციპით.

ლირიკულ სუბიექტს მსჭვალავს ასეთი განცდა: მე ვიყო სულიერად კარგად შენთვის.

„მოიქეც, უფალო, იხსენ სული ჩემი, მაცხოვრე მე წყალობისა შენისათვის“. ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ კვლავ გრძელდება ვედრების ტონი, მაგრამ ლირიკული სუბიექტი ირწმუნებს ღვთის წყალობას, რადგან შინაგანი რწმენა უკვე თავადაა ღვთის წყალობა, ამიტომ ასე ამთავრებს ფსალმუნს: „ისმინა უფალმან ვედრებისა ჩემისაი, უფალმან ლოცვაი ჩემი შეიწყნარა“. მას კი არ მიუღია ფაქტობრივი წყალობა ღვთისაგან, არამედ თვითონვე განიმსჭვალა წყალობის იმედით.

ამრიგად, გამოდის, რომ მთელი ეს ელეგიური ტონი იმისკენ ყოფილა გამიზნული, რომ ადამიანს საკუთარი თავი დაერწმუნებინა.

როგორც ვხედავთ, სინანული განისაზღვრება ზოგადი ქრისტიანული იდეით, რაც პირველყოფის კოსმოსური ფაქტით აიხსნება. ამის მიხედვით, ყოველი ადამიანი ცოდვილია, ე. ი. დაცლებულია პირველსახისაგან, უმალესი „მე“-საგან და ამ „მე“-ს აღდგენაში არის ქრისტიანული ხსნის საზარისი.

ზემოვანხილულ სკიოთხთა საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ელეგიური საგალობელი ქართული ჰიმნოგრაფიიდან. კერძოდ, დასდებელნი აღდგომისანი.

ა) დასდებელნი აღდგომისანი I: „მწუხარებით შეურევბული გონებითა და აღსაყვი სიმწარითა ტყვილათათა ღმრთისმშობელი აღვილსა თხემისასა ჟუარსა თანა მდგომარე და ცრემლით მგლოვარეი ჰხედვიდა ჟუარს ცუმულად ძესა თვისსა. ღმრთისა სუუკუნეთა შემოქმედსა. მალათა მფლობელსა. უხორციოთა უფალსა. ხორციოთა განწმეულ ებულსა ვნებულად. რომელმანცა დასაბამსა შემოსნა ცანი. ღრუბელითა ეგლოვდა მსგავსად კაცთა მოყვადეთა. რომელი ჩუენთვის მოყვდა და აღდგა. იხილე უბიწოო და ვიხაროდენ“²⁵.

ბ) დასდებელნი აღდგომისანი I: „მშობელი შენი. ღმრთისა სტყულო. შეურევბული გულითა გეგლოვდა შენ და ცრემლითა მდინარისა ნაკადული გარდმოდიოდეს უბიწოთაგან თუალთა მისთა. გხედვიდა რაი მსნელო ჟუარსა ზედა ვნებულად. გოდებით გეტყოდა, სახერ, ვითარ გევენბის უწებებლო. ვითარ დაისაჯე აწ ხორცითა მსაჯელი ცხოველთა და მკედარათი. არამედ ვესაე. ძლიერო უძლეველსა ძალსა შენსა. ვითარმედ სძლო სიყველსა აღდგომითა და მომფინო საღმრთო სიხარული“. (შდრ.— ა) ²⁶.

ვედრების „საგანი“ არის ჯვარცმული ქრისტე, რომელიც წარმოდგენილია ორმხრივ: ხორციელი და სულიერი ბუნებით. ხორციით იგი დასჯილია, ხოლო სულიერი ბუნებით უკვდავია.

მავედრებელი სუბიექტი არის ღვთისმშობელი, რომელიც შეურევბული გულით იგლოვდა თავის ძეს; როგორც დედა და, ზოგადად, როგორც მამედრებელი სუბიექტი გოდებით ეუბნებოდა: როგორ დაისაჯე ხორციით ცხოველთა და მოყვადეთა მსაჯულოო. მაგრამ მას სწამს მისი უძლეველი ძალა, რომლითაც სიყველეს აღდგომით დაამარცხებს და საღმრთო სიხარულს მოუ-

ტანს მას. მავედრებელ სუბიექტად გამოდის ავტორიც, რომელიც შეიძლება ჩაენაცვლოს იქ, სადაც მოცემულია ღვთისმშობლის, როგორც ზოგადი მავედრებელი სუბიექტის, რელიგიური ობტიმიზმით გამსჭვალული სიტყვები ქრისტეს აღდგომასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მართალია, მავედრებელი სუბიექტი ღვთისმშობელია, მაგრამ წინა პლანზე უფრო წამოწეულია ავტორი, ვიდრე ეს სხვა ნაწარმოებებშია.

ყურადღება უნდა მიექცეს განცდის გადატანას წარსულში. აი, ეს იწვევს ღვთისმშობლის, ვითარცა მავედრებელი სუბიექტის, ერთგვარად უკანა პლანზე გადაწევას და წინა პლანზე გამოდის ავტორი, რამდენადაც ისაა აწმყოში განმცდელი. ეს იმას ნიშნავს, რომ „პირველი სუბიექტი“ წარმოაჩენს, თუ რაოდენ ძალუძს მას სხვისი მწუხარების თანაგრძნობა, თანაცანცდა. თანაცანცდაში დარწმუნება მკითხველისა ქრისტიანული ლირიკის ერთ-ერთი უძირითადესი თვისებაა.

აქ არის ორი პლანი: ერთი სხვისი განცდაა (განცდა ღვთისმშობლისა და მისი თანაგრძნობა) და მეორე — ჩანაცვლება — ღვთისმშობლის განცდაში.

დასაძებნი აღდგომისანი II: „ღმრთისმშობელი მწუხარებით ეგლოვდა ძესა თვისსა დამს-ქულულსა ჭურასა ზედა. ჰხედვდა რაი გუემასა და ტკივლსა ზორკთასა ბუნებითა მოკვდავითა უკვდავისა ღმრთისა თანა. ლაღდყო მისსა მამართ ცრემლით. პოი ძეო ჩემო. ყოველთა ღმერთო. აზუენე ძლიერთ ძალი შენი აღდგომითა მკუდრეთით ვითარცა ღმერთ ხარ“²⁷.

აქ ვედრების საგანი არის ჯვარცმული ქრისტე. ის წარმოდგენილია ორ-მხრივ: ხორციელი და სულიერი ბუნებით. იგი ფიზიკური, მოკვდავი ბუნებით განიცდის გვემასა და ტკივილს.

მავედრებელი სუბიექტია ღვთისმშობელი, რომელიც მწუხარებით იგლოვს ჯვარცმულ ქრისტეს (როგორც დედა და, მეორე მხრივ, როგორც საერთოდ მავედრებელი სუბიექტი).

ამგვარად, მავედრებელი სუბიექტი ორგვარ პლანშია წარმოდგენილი. მავედრებელი დედის სახე უფრო მკვეთრად ჩანს. ზოგადი მავედრებელი სუბიექტის სახე წარმოდგენილია მარტივად.

მავედრებელ სუბიექტად გამოდის ავტორიც, რომელიც შეიძლება ჩაენაცვლოს იმ პასაჟში, სადაც ღვთისმშობელი წარმოდგენილია ზოგადი სახით.

ღვთისმშობელი იგლოვს, როცა ხორციით გვემოდ ჯვარცმულ ძეს ხედავს, ხოლო მავედრებელი სუბიექტის სულიერი ბუნება იდუმალებითა და რელიგიური ობტიმიზმით არის მოსილი, რომ იგი აჩვენებს ძლიერ ძალას და მკვედრეთით აღდგება. იგულისხმება, რომ უშუალოდ ღმერთთან ის არ არის წარმოდგენილი ხორციელი ტკივილებით, წარდგენილია წმინდა, უკვდავი სულით, მისტიკურ-აბსტრაქტულ ფორმაში.

ყველა ტკივილი და ყველა სამწუხარო რამ ამქვეყნად დარჩა, ტანჯვის გზა მიემართება მარადიული ნეტარებისაკენ.

ორპლანიანობის გარკვეული სიმეტრიაა შექმნილი. ორპლანიანია ქრისტეც და ორპლანიანია მავედრებელი სუბიექტიც. სტილურად ეს უშუალოდ არ არის გამოხატული, იგი იგრძნობა ქვეტექსტით. ორპლანიანი სიმეტრიის შინაარსი ღრმადდება შემდეგნაირად: ქრისტეს ორპლანიანობა სხვაგვარია, ვიდრე ღვთისმშობლისა; რაში მდგომარეობს ეს სხვადასხვაგვარობა?

სხვა გარემოებებთან ერთად აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: ქრისტეს სასულიერო ფიზიკური და სულიერი პლანი ერთმანეთს არ უკავშირდება; ე. ი.

და აღდგა უკვდავი. ქრისტეს სისხლის დაღვრას ჰქონდა ღმერთთან შერიგების დანიშნულება. იესოს სისხლმა გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვა, კაცო ღმერთთან შეირიგა, ცოდვა მოაწიანებინა და დაუშკვიდრა მაცხოვრობა.

როგორც ზემოთაც ითქვა და მაგალითებითაც დაეინახეთ, ჰიმნოგრაფიულ ელემენტებში სიხარულნარევი სინანული ხშირად გვხვდება. საგალობელი ეძღვნება სამწუხარო ფაქტებს, მაგრამ ყოველი წმინდანის, მათ შორის ღვთისმშობლის მეტად, ამალღების სინანულს ახლავს სიხარულის განცდა, რომელიც გამომდინარეობს რელიგიური ოპტიმიზმიდან, რომ მათი სული მარადიულ ნეტარებას ეზიარება. აქ სინანული მზიარულებას ერწყმის. ცალსახა სინანული არ გვხვდება. სიკვდილის წინაშე შიში ნეიტრალდება ახალი ცხოვრების პერსპექტივით. თუ ადრეულ ხანაში სიკვდილი გააზრებული იყო როგორც კოლექტიური ბედი, შემდგომ წარმოიშვა პრობლემა პირადულ-ინდივიდუალური სიკვდილისა.

როგორც აღვნიშნეთ, გვიანდელ შუა საუკუნეებში ანტიკურობასთან შედარებით სიკვდილმა უფრო ინდივიდუალური სახე მიიღო. ეს ხელსაწყოებშიც აისახა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მხატვრობაში იმით, რომ ახლა „განკითხვის“ სურათებზე ჩნდება მკვდარი ან ტანჯული ქრისტეს გამოსახულება. ადრინდელ პერიოდში ჭვარცმა გამოხატავდა ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებას — განკაცებული ღმერთი, „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“, იხსნის ადამიანს პირველცოდვისაგან; მაცხოვარმა, რომელიც „პირველითგან იყო სიტყვა და ღმერთი და ხატი ღმერთისა, მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა“, ჭვარზე გამოსახულია მშვიდ პოზაში, თვალები ახილული აქვს, იგი ცოცხალია, ღვთისმშობელი მას ევედრება, როგორც ღმერთს.

გვიანდელ შუა საუკუნეებში კი, რამაც ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაშიც პოვა ასახვა, ჭვარცმის რელიგიურ-დოგმატური გაგება შეიცვალა. ჭვარცმა გამოირჩევა დრამატიზმით. ჭვარზე გაკრული ქრისტე უკვე მკვდარია, ღვთისმშობელი განიცდის დიდ მწუხარებას, დასტირის შვილს. იგი მგლოვიარე დედაა. ამ პერიოდის ჭვარცმა გამოხატავს ადამიანის განუსაზღვრელ მწუხარებას; ღვთისმშობელი უნუგეზოდ დასტირის თავის ძეს. ე. ი. ადრე ჭვარცმა გამოხატავდა არა ადამიანურ ტანჯვას, არამედ ღვთიურ ზეიმს.

ე. ი. სამყაროს ბოლოს მოსალოდნელი „განკითხვა“ ინდივიდუალურდება. მისი შედეგი გარდაცვლილის დამსახურებისდა მიხედვით არის გამოწვეული. თვითმფთვასების კრიტერიუმში კი იყო სულის გადასარჩენად ცხოვრებისადმი მტკიცე, სტოიკური დამოკიდებულება. თვითთხ სიკვდილის მომენტით იძენს იმის შესაძლებლობას, რომ რაღაც გამოისყიდოს ადამიანმა.

ამრიგად, ქართულ მწერლობაში ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაკადია სასულიერო ელევია. იგი მრავალმხრივია წარმოდგენილი ჰიმნოგრაფიაში და სავარაუდოდ გავლენას ახდენს ჰიმნოგრაფთა მხატვრულ აზროვნებაზე. სასულიერო ელევური მოტივის თავისებურება განპირობებულია შუასაუკუნეობრივი ადამიანთმცოდნეობით. სხვაგვარად: სევდის რაობა, მისი სახეობრივი გამოხატულება, სევდის დაძლევის მოტივები — ყოველივე ეს იმდროინდელი ადამიანთმცოდნეობის მიხედვით წყდება. ელევური მოტივი ქართულ სასულიერო მწერლობაში ხშირად ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ ეროვნული

ტენდენციები სხვა ელემენტებთან ერთად შეგვიძლია დავინახოთ თუნდაც იმაში, რომ ელემენტური მოტივი ინტენსიურად უკავშირდება ღვთისმშობლის თემას, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია ქართულ მწერლობაში.

ჰიმნოგრაფიაში ელემენტის საგანგებო შესწავლა საფუძველმდებრივ უნდა იყოს საერთოდ მთელს ძველ ქართულ მწერლობაში ელემენტური ნაკადის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

შენიშვნები

1. იხ. კ. კეკელიძე, გოდების ეპიკი და გლოვის წესა ძველ ქართულს ლიტერატურაში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 198.
2. ანდრია კრიტიკელი, დიდი კანონი—ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი III, ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, თბ., 1973, გვ. 167.
3. ლონტი შროველი, „ჰამბივი ქართულია მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, — პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი IV, თბ., 1978, გვ. 415.
4. С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, გვ. 61.
5. იქვე, გვ. 65—66.
6. იქვე, გვ. 66.
7. იქვე.
8. იქვე, გვ. 68.
9. იქვე, გვ. 62.
10. რ. სირაძე, იაკობ ცურტაველის სახისმეტყველება, — შერილები, თბ., 1980, გვ. 31.
11. С. С. Аверинцев, указ. соч., გვ. 75/76.
12. И. С. Кон, Открытие «2», М., 1978, გვ. 181.
13. იქვე, გვ. 171.
14. Ориген, О молитве, Казань, 1884, გვ. 211—212.
15. კ. კეკელიძე, მარტვირი ქართველი და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, — „ლიტ. ძიებანი“, III. თბ., 1947, გვ. 275.
16. ეკლესიასტე, I, 2. კ. კეკელიძის გამოცემა, ტფ., 1920.
17. Толковая библия, XI, М., 1914, გვ. 443.
18. ლ. გრიგოლაშვილი, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (დ. აღმანუნების გალობანი სინანულისანი), საღისურთაყო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, (ოსტუ ბიბლიოთეკა), თბ., 1972, გვ. 146.
19. კ. კეკელიძე, გოდების ეპიკი და გლოვის წესი ძველ ქართულ ლიტერატურაში, — ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 203.
20. Гегель, Эстетика, II, т., М., 1969, გვ. 253.
21. კ. კეკელიძე, მარტვირი ქართველი, გვ. 290.
22. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, თბ., 1960, 50-ე ფსალმუნი.
23. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გვ. 8-9, მეექვსე ფსალმუნი.
24. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტფილისი, 1913, გვ. 4.
25. იქვე, გვ. 33.
26. იქვე, გვ. 303.
27. იქვე, გვ. 349.
28. იქვე, გვ. 350.

М. Г. УДЖМАДЖУРИДЗЕ

ОБ ЭЛЕГИЧЕСКОМ МОТИВЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ
ГИМНОГРАФИИ

Резюме

В статье рассматриваются основные тенденции выражения элегических мотивов в грузинской гимнографии, исходя из концепции личности в раннем средневековье.

Статья ставит целью выявлять такие тенденции изображения элегических мотивов в гимнографии, которые имеют аналогии с традициями древнейших пластов фольклорных поэтических сочинений.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

თ ა ბ ა რ ო თ ხ მ ე უ შ რ ი

ფ ს ე ვ ღ ო ნ ო ნ ე ს მ ი თ ო ლ ო გ ი უ რ კ ო მ ე ნ ტ ა რ თ ა ქ ა რ თ უ ლ ი
თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

ნათარგმნ ქველთა ორიგინალთან მიმართების კვლევისას ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ტექსტის იმ ადგილების შესწავლა, რომლებიც წყაროსთან შედარებით სხვაობას ავლენენ. სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი ნათარგმნ ტექსტში მთარგმნელისეული ჩანართების არსებობაა. ჩანართების კვლევა, მათი ფუნქციის გარკვევა, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმ მთარგმნელობით ხერხებსა და მეთოდებზე, რომელსაც მიმართავდა მთარგმნელი ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას. ჩანართში ხშირად გამოვლენილია მთარგმნელის პოზიცია სათარგმნი მასალის მიმართ, ზოგ შემთხვევაში კი მთარგმნელისეული მსოფლხედვაც. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია.

ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი კომენტარებია. ისინი შედგენილია VI საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ ბერძნულ ენაზე. ფსევდონონეს კომენტარები გრიგოლის ოთხ პომილიას ეხება: XXXIX („ნათლისღებისათვის“), XLIII („ბასილი დიდის ეპიტაფია“), IV („ივლიანეს განსაჭიქებელი I“) და V („ივლიანეს განსაჭიქებელი II“). კომენტარებში განმარტებულია ანტიკური მითოლოგიის ის სახეები, რომლებსაც გრიგოლ ნაზიანზელი ახსენებს თავის პომილეებში. განმარტებები მოკლე „ისტორიების“ — თხრობების სახითაა წარმოდგენილი. თითოეულ მითოსურ სახეს კომენტარში ცალკე თხრობა აქვს დათმობილი. ასე რომ, ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები მთლიანობაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც პატარა-პატარა თხრობათა კრებული. კომენტარები თარგმნილია სირიულ, სომხურ და ქართულ ენებზე.

ქართულ ხელნაწერებში დაცულია გრიგოლ ნაზიანზელის სამი პომილიის (XXXIX, XLIII და IV) კომენტარი. კომენტართა ტექსტი გამოცემულია ი. აბულაძის მიერ სამი ხელნაწერის (A 109, A 1490 და A 16) მიხედვით¹. კომენტართა ქართულ მთარგმნელად ეფრემ მცირეა მიჩნეული².

¹ ი. აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“, ენიშკის მოამბე, X, 1941, გვ. 1-53.

² როდესაც ფსევდონონეს კომენტართა ეფრემისეულ რეაქციაზე ვლაპარაკობთ, მხოლოდ XXXIX და XLIII სიტყვათა კომენტარების ქართულ თარგმანს ვვულისხმობთ, რადგან IV სიტყვის კომენტარის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების კვლევამ აშკარად ეწეის ქვეშ დააყენა მისი ეფრემისეულად მიჩნევის შესაძლებლობა. ამის შესახებ იხ. თ. ოთხმეზური, გრიგოლ ლეთისმეტყველის IV სიტყვის კომენტარის ქართული ვერსია გადაცემულია დასაბუქლად, „მრავალთაი“, XI).

ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია, კერძოდ, XXXIX და XLIII სიტყვათა კომენტარების ქართული თარგმანები, გამოვლინდა კიდევ ორ ხელნაწერში — A 80-სა და A518-ში³. ამ ხელნაწერებში დაცულ კომენტართა ტექსტის ერთი ნაწილი — XXXIX სიტყვის კომენტარის დასაწყისი—წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ რედაქციას, რომელიც სტილისტურ-ენობრივი მონაცემების მიხედვით ეფთვიმე მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს⁴.

ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ორი ქართული თარგმანი: ეფთვიმესეული (ფრაგმენტის სახით) და ეფრემისეული. ამ თარგმანთა კვლევამ დაადასტურა, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა ბერძნული წყაროდან მომდინარე რედაქციებია. ეფრემი, როგორც ჩანს, არ იცნობდა კომენტართა ადრინდელ, ეფთვიმესეულ თარგმანს.

ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ორი ქართული რედაქციის ბერძნულთან მიმართების კვლევისას ქართულ ტექსტებში, როგორც ეფთვიმესეულ, ისე ეფრემისეულ თარგმანებში, გამოიკვეთა პასაჟები და ფრაზები, რომელთაც შესატყვისი არ დაეძებნათ არც ბერძნულ, არც სხვაენოვან ვერსიებში. ეს ფაქტი, აგრეთვე ამ ფრაზათა შინაარსი და გარკვეული ფუნქციით დატვირთვაიც, აშკარად მიანიშნებს, რომ ისინი კომენტარის ძირითად ტექსტში ჩანარებს წარმოადგენენ. ნათარგმნ თხზულებაში საკუთარი ჩანარების გაკეთება, როგორც ცნობილია, ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. კ. კეკელიძის შენიშვნით, ის „მონურად არ მისდევს ბერძნულ ტექსტს, სიტყვისიტყვით არ თარგმნის მას: ის აერცობს ან ამოკლებს ტექსტს, შეაქვს შიგ სხვადასხვა წყაროდან დამატებითი ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც ქართველებს შეეხება, უშვებს დედანში მთელ ადგილებს, უმატებს თავის კომენტარებს და სხვ“⁵. ეფრემ მცირის თქმით, ეფთვიმეს „მადლითა სულისა წმიდისაჲთა კელეწი-ფებოლა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“⁶ (A 24, 3r). ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის ეს თავისებურება კონკრეტულ მასალაზეცაა ნაჩვენები. მაგალითად, გერმანე კონსტანტინეპოლისის თხზულების „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარანგელოზისა მიქაელისთა“ ეფთვიმესეულ თარგმანში კ. კეკელიძის მიერ გამოვლენილია ბიბლიური და ისტორიული ხასიათის ინტერპოლაციები⁷. ც. ჭურციკიძის შენიშვნით, „აღნიშნული მეთოდისათვის ეფთვიმე ათონელს არც ბასილი დიდის „სწავლათა“ ტექსტის თარგმნის

³ ამ ხელნაწერებში მითოლოგიურ კომენტართა ტექსტები გამოვლინდა ალ. გამყრელიძემ. მის მიერ ამ ხელნაწერებიდან გადმოწერილი ტექსტები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ალ. გამყრელიძის არქივში.

⁴ თ. ოთხმეზური, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ახალი ქართული რედაქცია (გადაცემულია დასაბუქად, „მრავალთაჲ“, XII).

⁵ ჩვენ ვისარგებლეთ კომენტართა ბერძნული ვერსიის შემდეგი გამოცემებით: F. Creuzer, *Meletemata e disciplina antiquitatis*, pars I, Lipsiae, 1817, გვ. 60—97; S. Brock, *The Syriac Version of the Pseudo-Nonnos Mythological Scholia*, Cambridge, 1971, გვ. 159—172.

⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980, გვ. 191.

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ., 1974, გვ. 81.

⁸ კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ტიპულები, II, თბ., 1945, გვ. 237.

ზორვასა „სრულება“ და „აღსრულება“ უწოდებენ, ვითარ თუმცა საიდუმლო-თა მიმღებელ და განმყოფელ იქმნებოდნენ. ამისთვის აღსრულებენ, თქუა, საიდუმლოებისათვის, რომელ არს საიდუმლოთგანყოფილობა, ხოლო შეისრულებოდნენ საიდუმლოთმიმღებლობისათვის. ამგვარად, ეფრემის შენიშვნით, ზორვას, ღვთისმსახურებას, წარმართნი „სრულებას“ და „აღსრულებას“ უწოდებენ. „სრულება“ — „საიდუმლოთმიმღებლობა“, ე. ო. საიდუმლოს მიღება, საიდუმლოში ზიარება. ხოლო „აღსრულება“ — „საიდუმლოთგანყოფილობა“, ე. ო. სხვისი ზიარება, სხვისთვის საღვთო საიდუმლოების განაწილება.

XLIII სიტყვის კომენტარის ეფრემისეული თარგმანის მე-2 თხრობაში ვხვდებით განმარტებითი ხასიათის ჩანართს: „ეწოდების არტემის ღმერთი ელაფივოლოჲ, ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარა“. განმარტებულია არტემისის ეპითეტი „ἐλαφίονος“ („მ. ღაფიჲ“ — „ირემი“, მ. წმ.ღ. — „სროლა“ (ისრის)).

ამვე სიტყვის კომენტარის მე-15 თხრობაში ვხვდებით განმარტებითი ხასიათის ჩანართს: „ხოლო სახელი ილკსიოჲაჲ, რომელ არს აღკსიოჲ, გინა აპოლკსიოჲ, ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „განსასუენებელი უჯაჲოჲ“, ესე იგი არს ადგილი კსნილი და თავისუფალი ტანჯვათაგან“. ამ შემთხვევაში განმარტებულია საკუთარი სახელი „Ἰλκίον“.

აქვე ვხვდებით ეტიმოლოგიურ განმარტებებსაც. მაგალითად, „აპილევ სახელ-ელდა, რომელ არს უსაზრდელიჲ, რამეთუ „ჰილონი“ საზრდელსა უწოდებენ“ („მ. ჯიღჲ“ — „საზრდელი“). „და შვილსა მას, ვითარცა ღიღსა ჰასაკიოთა, ორიონ უწოდა“. ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი „Ὠρίων“ — „ორიონი“ დაკავშირებულია ბერძნულ სიტყვასთან „ὄριον“ — „დრო“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ასაკი“¹². „ორიონის“ ამგვარი ეტიმოლოგია საერთოდ ცნობილია¹³, მაგრამ ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა არც ერთ ცნობილ ხელნაწერში, არც სხვაენოვან ვერსიებში, ამგვარი განმარტება არ დიქტებნა. ამიტომ, ვფიქრობთ, ორიონის განმარტება მთარგმნელისეულია. შესაძლოა, ეფრემისათვის ცნობილი იყო ამ სახელის ეტიმოლოგია. ისიცაა დასაშვები, რომ მთარგმნელი დამოუკიდებლად მისულიყო ამგვარ განმარტებამდე.

ეფრემისეულ თარგმანებში მსგავსი განმარტებითი ჩანართების არსებობა გამოვლენილია ე. ხინთიბიძის მიერ¹⁴. ეფრემის თარგმნილ ბასილი ღიდის ე. წ. „ვრცელ წესებში“ ვხვდებით შემდეგ მთარგმნელისეულ განმარტებას: „რამეთუ ესენი, თქუმულ არს, გამო-ლა-იცადებოდედ პირველად და ეგრეთ-ლა დიაკონებად, ესე იგი არს ჰმსახურებედ“. ეფრემის მიერ განმარტებულია ბერძნული სიტყვა „διακόνος“ („ვმსახურობ“).

აგრეთვე ბასილი ღიდის „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ თარგმანში ერთ-ერთი თხზულების ბოლოს ვკითხულობთ: „აქა დასრულდა შესავალი წიგ-

¹² შევნიშნავთ, რომ ὄριον (ὄριον ἔχειν, εἶναι ἔν, ან ἐπί ὄριον) ზემოთ მოყვანილი მაგალითისაგან განსხვავებით („ვითარცა ღიღსა ჰასაკიოთა“) უფრო ხშირად, ახალგაზრდული ასაკის გამოხატველია. ი. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958, т. II, გვ. 1807.

¹³ W. H. Roscher, „Ausführliches Lexicon der Griechischen und Römischen Mythologie, Leipzig, 1897—1902, Bd. III, 1Abt, გვ. 1018.

¹⁴ ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 171.

ნისაჲ ამის წმიდისა ბასილისი, რომელსა ასკიტიკონ ეწოდების, რომელი გამოითარგმანების „სამოლუაწიოა“¹⁵.

ორივე ჩანართი კონსტრუქციულად აშკარად უახლოვდება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ჩანართებს ფსევდონონეს კომენტართა ეფრემისეული თარგმანიდან (შდრ.: «„დიაკონებად“, ესე იგი არს ჰმსახურებელ“ და „ელაფივოლოა“, ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარაი». აგრეთვე „სკიტიკონ“ ეწოდების, რომელი გამოითარგმანების „სამოლუაწიოა“ და «ხოლო სახელი „ილუსიოზია...“ ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „განსასუენებელი უკაქოა“»).

როგორც ცნობილია, ნათარგმნ თხზულებაში საკუთარი ჩანართების გაკეთება ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ეფრემის მთარგმნელობითი პრინციპები სათარგმნი მასალის მიმართ მკაცრ კრიტიკულ მიდგომას და მის სიტყვასიტყვით თარგმნას გულისხმობს.

ქ. კეკელიძის შენიშვნით, „ეფრემი იმის მომხრეა, რომ თხზულება დედნიდან ითარგმნებოდეს პირდაპირ და ითარგმნებოდეს ისე, როგორც დედნიდან, მთლიანად, შეუმოკლებლად და შეუმატებლად, „ზედწარწერილის“, ანუ სათაურის შეუცვლელად“¹⁶. ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის ამ თავისებურების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თავად ეფრემისეული ანდერძ-მინაწერები, რომლებსაც ის თავის თარგმანებს ურთავს. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების კრებულში (იერ. 43) დაცული ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, რომ შავი მთის მოღვაწეს, ბერ კვირიკე ალექსანდრიელს, შემდეგი მოთხოვნები წაუყენებია ეფრემისათვის გრიგოლის ჰომილიების თავმასთან დაკავშირებით: „ხოლო შენ, თავადი ეგე წინამძღუარი ჩუენ მის მიერ აღზრდილთაჲ, მებრვე ამას წადიერ იქმენ, რამთა ზედადართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული დაუტეო და თვთ წმიდისა ოდენ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნენ“¹⁷ (3r).

აქ ფაქტურად განსაზღვრულია ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი: ქართულად ბერძნული დედნის სიტყვასიტყვით გადმოტანა ტექსტის გამოტოვებისა და ყოველგვარი ჩანართების გარეშე. იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ანდერძ-მინაწერში ეფრემი თავის თარგმანის შესახებ აღნიშნავს: „გარნა სიტყუსაჲ სიტყუსა ნაცვალი შედარებულა ბერძნულისა“; „სიტყვაჲ შედარებულა ბერძნულისა და მართებითი არა აკლს“ (A 24, 1 v)¹⁸.

რადგანაც ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის მთავარი პრინციპი თარგმანის წყაროსთან მაქსიმალური სიახლოვეა, მის მიერ ნათარგმნ ძეგლში ჩანართების არსებობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და გარკვეულ ახსნას საჭიროებს. ამ საკითხის გასარკვევად ისევ ეფრემისეულ ანდერძ-მინაწერებს მივმართეთ. ეფრემის თქმით, „ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და

¹⁵ იქვე, 83-172.

¹⁶ ქ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 253.

¹⁷ რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მომომილველი, I, 1926, გვ. 169; ნ. მარო, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, 83-74.

¹⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I₁, გვ. 83-4.

4. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 1

ერთი სიტყუა მრავალსა პირსა აღიარებს“ (იერ. 16, 2r)¹⁹, ამიტომაც, მისივე სიტყვებით, „ყოველსა თარგმანსა უგმს შემატება სიტყვსაჲ რეცა განმაცხადებულად ძალისა... და უკეთუ რამე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისასა დაუწერო“ (A 24, 3r). ამგვარად, როგორც ირკვევა, ეფრემს მთარგმნელობით პრაქტიკაში შემოაქვს ახალი ხერხი — თარგმანის კიდვზე განმარტებების დართვა. ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ მას ეს ხერხი ბერძნულიდან აუღია: „... ხოლო შეისწავენი და განსაზღურებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ ესე არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რაჲთა რაჲჲსს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმოყრებული ჟამი, ანუ ყოვლისავე ვარდაკითხვაჲ“ (A 24, 3r). როგორც ცნობილია, ეფრემი თარგმანისას ხშირად მიმართავდა ხოლმე ამ ხერხს. კ. კეკელიძის შენიშვნით, „ეფრემი აზრის ნათელსაყოფად აშეგზე ურთავდა განმარტებებსა და სქოლიოებს, რომლებითაც მოქარგულია ხოლმე ძირითად ტექსტი თარგმნილი თხზულებისა“²⁰.

„კიდესა წარწერილი“ განმარტებებთან დაკავშირებით ეფრემი აკეთებს შემდეგ შენიშვნას: „ყოვლად უჭერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმნისაჲ შიგან გარევით დაწერაჲ“ (A 24, 3r). რადგანაც ეფრემს ხაზსამით ესაჭიროებოდა იმის აღნიშვნა, რომ დაუშვებელია „კიდესა წარწერილის“ ნათარგმნი ძეგლის ძირითად ტექსტში ჩართვა, როგორც ჩანს, არსებობდა პრეცედენტი აშიაზე მოთავსებული განმარტებების თარგმანში ჩართვისა. აქ, ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ფსევდონონეს კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში ჩართული განმარტებები თავდაპირველად ტექსტის აშიაზე იყო გაკეთებული ეფრემის მიერ, ხოლო მოგვიანებით, გადაწერთა წყალობით, მათ კომენტარის ძირითად ტექსტში გადაინაცვლეს. ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს იმას, რომ, შესაძლოა, ეფრემმა თავად ჩაუერთო განმარტებები კომენტართა თარგმანში, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მის ანდერძ-მინაწერებში თარგმანის დედანთან სიახლოვე პრინციპადაა დასახული, თარგმნის პროცესში პრაქტიკულად არაა გამოორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში ეფრემს რამდენიმე განმარტება ჩაერთო კიდევ თავის თარგმანში.

ეფრემ მცირის ანდერძ-მინაწერები საინტერესო მასალას იძლევიან იმის გასარკვევად, თუ რა არის მიზეზი მთარგმნელთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა სათარგმნი მასალის მიმართ. (ერთი მხრივ, ეფთვიმეს მიერ საკუთარი პოზიციის გამოვლენა თარგმნის პროცესში, მეორე მხრივ, ეფრემის მეცნიერული მიდგომა თარგმანისადმი). ეფრემის შენიშვნით, ეფთვიმე „სინჩიობასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მსლითა. ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტყიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა. და რამეთუ მას პავლესგან ესწავა ესე და ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ლენისასა განჰზავებდა წყალობაგან სულიერთა, რაჲმს სიტყუაჲ სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცის ლიტონისა ერისათჳს“.

¹⁹ რ. ბლეიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

²⁰ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 254.

რამეთუ მაშინ ჩუენი ნათისავი ლიტონ იყო და ჩჩულ მისდადმდი²¹ (იერ. 43, 2v-3r).

ამგვარად, სათარგმნი მასალისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა, როგორც ჩანს, განაპირობებს ცვლილებებში იმ კულტურულ გარემოში, რომელშიც იქმნებოდა ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანები და, ამის შესაბამისად, იმ მოთხოვნებმაც, რომლებსაც ეს ორი მთარგმნელი უყენებდა თავის თავს.

Т. З. ОТХМЕЗУРИ

ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ МИФОЛОГИЧЕСКИХ КОММЕНТАРИЕВ ПСЕВДО-НОННА

Резюме

На грузинском языке существует две редакции мифологических комментариев Псевдо-Нонна — перевод Ефимия Мтацмидели (в виде фрагмента) и перевод Ефрема Мцире. При сравнении переводов с греческим источником были обнаружены фразы, представляющие собой вставки переводчиков. Анализ этих вставок выявил различные подходы авторов к оригиналу: антиязычное отношение Ефимия к мифологическому материалу и научный подход Ефрема к тексту. Это можно объяснить изменениями в той культурной среде, в которой создавались переводы Ефимия и Ефрема.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ზღნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

²¹ რ. ბ ლ ე ი კ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169; ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ნანა ფშვიგაძე

არაბული პოეზიის დასაწყისის მართი საკითხისათვის

არაბული პოეზიის უძველეს ნიმუშებს ისლამამდელ ან, როგორც ხშირად უწოდებენ, ე. წ. ჭაპილის დროინდელ ლიტერატურას ჩვ. წ. V ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისს მიაკუთვნებენ. დისკუსია, გამართული იმ შეხედულების გამო, რომელიც აღნიშნულ ძეგლებს გვიანდელ ნაყალბევად თვლიდა და თითქმის ორმოცდაათ წელიწადს მიმდინარეობდა მათი აუთენტურობის გასარკვევად, საბოლოოდ ზემოხსენებული ეპოქის სისარგებლოდ გადაწყდა [1; 2; 3].

V-VI სს. არაბული პოეზია—კასიდა და მცირე პოეტური ფორმები (მარსია, ჰიჯა და სხვ.) როგორც ფორმის (კომპოზიცია, რიტმი, რითმა), ისე შინაარსის (თემების გარკვეული რეპერტუარი) თვალსაზრისით ატარებს ჩამოყალიბებულ, დასრულებულ სახეს, რასაც თითქმის უცვლელად ინარჩუნებს მე-20 საუკუნემდე. ამავე პერიოდს განეკუთვნება არაბული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრებული მუ'ალაკაში, შედგენილი ზეპირი გზით შექმნილი კასიდებით. ძირითადად ჩვ. წ. VI ს. ეს ძეგლი წერილობით ფიქსირებული უნდა იყოს VII ს. დასასრულს [4]. აღნიშნულ კრებულს მ. ბეიტსონი, ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი ამ ძეგლისა, ძველი არაბული პოეზიის განვითარების მწვერვალად მიიჩნევს [5, 23], ხოლო არბერი აქ უკვე დეკადანსის ერთგვარ ნიშნებად კი პოულობს [2, 251]. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არაბული პოეზიის ცნობილი მკვლევარი გრიუნებაუმი VI ს. არაბულ პოეზიასა და მათ შორის მუალაკაში სხვადასხვა პოეტურ სკოლას გამოყოფს [6, 20]. რ. იაკობის აზრით, ისლამამდელი კასიდის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ხანგრძლივი პროცესი, როდესაც თავდაპირველად ცალკე არსებული პოეტური ფორმები ერთმანეთს დაუკავშირდა და ახალ ლიტერატურულ ფორმად გადაინა [7, 2].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ პოეზიის შექმნას წინ უძღოდა განვითარების გარკვეული პერიოდი და რომ V—VI ს. არაბული ძეგლები ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლებია და არა პირველი ნიმუშები არაბული პოეზიისა საზოგადოდ [8]. ვარაუდი აღრინდელი პოეტური ტრადიციების შესახებ სხვადასხვა ხასიათის საბუთებს ემყარება. ეს საბუთები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ლოგიკური, ტექსტობრივი და სხვადასხვა უშუალო თუ არაუშუალო წყაროს მონაცემები.

ლოგიკური საბუთების თანახმად, ძველი არაბული პოეზიის ძეგლები, რომლებსაც აქვთ ერთიანი კომპოზიცია და ამავე დროს მკაცრად განსაზღვრული და დაკანონებული სქემა, თემათა გარკვეული და განსაზღვრული ინვენტარი, დახვეწილი და დამუშავებული ფორმა, დადგენილი პოეტური კანონი, არ შეიძლება წარმოადგენდნენ პირველ ნიმუშებს. ყველა ეს თავისე-

ბურება უნდა მიუთითებდეს იმ ლიტერატურულ ტრადიციებზე, რაც წინ უძღოდა ამ ნიმუშების შექმნას [8,49].

რაც შეეხება სხვადასხვა წყაროს მონაცემებს, ჯერ კიდევ ვ. ლიტმანმა და ჰოფენერმა მიაქციეს ყურადღება საბას, სამედისა და ლიპიანურ წარწერებს (ძვ. წ. V—ახ. წ. IV ს.), სადაც დადასტურებული ზოგადი მოტივი (სიყვარულის, ბუნების მოვლენების აღწერისა, მეგობრობის, სევდისა და სხვ.) და სიტუაცია ანალოგიურია ძველი არაბული პოეზიის თემატიკისა [8, 42—45]. პეტრაჩეტი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ამ ძეგლებში, გარდა შინაარსობრივი ანალოგიებისა, დადასტურებულია ფორმალური ანალოგიაც არაბულ პოეზიასთან, კერძოდ, საჯი (გარითმული პროზა) და parallelismus membrorum, რაც დამახასიათებელია არაბული და, საზოგადოდ, სემიტური ლექსისათვის და გვხვდება ლიპიანურ წარწერებში. ყოველივე ეს, მისი აზრით, უნდა მიუთითებდეს რაღაც უწყვეტ ლიტერატურულ ტრადიციებზე [8, 51]. ამასვე უნდა ადასტურებდეს, დასაწყისი ანთარას კასიდისა, სადაც პოეტი კითხულობს „ნათუ დარჩენით პოეტებს რაიმე ძველი, დაუკერებელი (აღუწერელი)“, რაც უნდა მიუთითებდეს იმ ნაწარმოებებს, სადაც აღწერილია ეს „ძველი ნაშთები“ არაბთა სადგომებისა, რისი აღწერაც შემდეგში არაბული კასიდის ერთ-ერთ მუღმე თემად იქცა.

მესამე ჯგუფი საბუთებისა ეს არის საკუთრივ ამ ტექსტების ანალიზით მიღებული მონაცემები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მონროუს ნაშრომი [3]. გამოავლინა რა ფორმულბრივი ხასიათი აღნიშნული ძეგლებისა, მონროუმ დამაჯერებლად დასაბუთა, რომ ისინი შექმნილი არიან ზეპირი გზით. თავის მხრივ ამ ძეგლების ფორმულბრივი ხასიათი უნდა მიუთითებდეს იმ ხანგრძლივ ტრადიციაზე, რაც უძღოდა ამ ფორმულათა შექმნა-ჩამოყალიბებასა და გავრცელებას.

ჩვენი მიზანია ტექსტის ანალიზზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ ერთი თავისებურება არაბული პოეზიისა, რაც, ჩვენი აზრით, უნდა მეტყველებდეს ზემოაღნიშნული თვალსაზრისის სასარგებლოდ, თვალსაზრისისა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ძეგლები წარმოადგენენ რაღაც უწყვეტი ზეპირი ლიტერატურული ტრადიციის გავრცელებას.

კერძოდ, აქ ლაპარაკია ხატის შექმნის იმ თავისებურ მეთოდზე, რასაც არაბი მგონებნი მიმართავენ ისლამამდელ პოეზიაში და რაც შემდეგ ძველი არაბული პოეზიის მიერ რიგ თავისებურებასთან ერთად გვხვდება ისლამის დროინდელ მრავალ პოეტთან. ეს არის არსებითი სახელის ნაცვლად ზედსართავების ხმარება. როდესაც ტექსტში საგნის რეპრეზენტატად გვევლინება საგნის რაიმე თვისებისა და არა თვით ამ საგნის სახელი. ამასთან, ამ ზედსართავებს არა აქვთ ყოველთვის ერთი და იგივე, მყარი, ფიქსირებული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა სპორადულია და ჩნდება და ქრება გარკვეულ პოეტურ კონტექსტთან ერთად [9, 103—104]. სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

وصوح صافية وجذب كرينة بموت

„ბევრჯერ შემისვამს დილით კამკამა და მხევაღს მიუზიდავს სიმებდაკიმული“. „კამკამა“ — ღვინოს აღნიშნავს, „სიმებდაკიმული“ — უღს (ლაზიდი,

60)¹. ან **على سرة ادم ملجم** „მე ღამეს ვათევ ზურგზე შავის, შეკაზმულისა“ (ანთარა, 20), სადაც „შავი, შეკაზმული“ ნიშნავს „ცხენს“ და ა. შ.

ამგვარად გვიანტერესებს სხვა ასპექტი ამ მეთოდისა, კერძოდ, მისი მიმართება ე. წ. მუღმივ ეპითეტთან (epitheta-constantia), რაც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფოლკლორულ-ეპიკური სტილის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს და მზამზარეული ფორმულების სახით დადასტურებულია პომეროსთან, ისლანდიურ „ედლასა“, სხვადასხვა ხალხთა ზეპირ პოეზიაში. როგორც მაგ. ფეხმარდი აქილევსი, მუზარადმბრწყინავი პეჭტორი, ტერფხმაურა ცხენები პომეროსთან [12, 77] ზედსართავი „თერი“ ხშირად თან ახლავს ქალის, სატრფოს აღმნიშვნელ არსებითს ისლანდიურ „ედლასი“. [13, 119]. შდრ. აგრეთვე რუსულში — **красная девица, добрый молодец, чистое поле** და სხვ., რაც წარმოადგენს მუღმივ ეპითეტს, ზედსართავს, რომელიც ხშირად იხმარება ერთსა და იმავე არსებით სახელთან ერთად. ისლანდიურ „ედლასი“ დადასტურებულია აგრეთვე ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც ასეთი ეპითეტი იხმარება არსებითის გარეშე დამატებით წინადადებაში და ზოგჯერ ისედაც [13, 123], ქმნის რა ერთგვარ სახე-გამოცანას.

არაბულ პოეზიაში განსაკუთრებით ხშირია ზედსართავის ხმარება მოკვეცილი არსებითი სახელით. მუ'ალლაკათში დადასტურებულ ზედსართავთა 52%, ე. ი. თითქმის ყოველი მეორე, იხმარება ამგვარად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაბულ პოეზიაში გავრცელებული ეს ხერხი ხატის შექმნისა ე. წ. არაბული სიმბოლო [შდრ. 14] წარმოშობით ნაწილობრივ მუღმივ ეპითეტს უკავშირდება და წარმოადგენს მისი განვითარების შემდგომ საფეხურს.

მუ'ალლაკათში დადასტურებული სამი ტიპიდან (მარტივი—სახეს ქმნის ერთი ზედსართავი, მაგ. **أجرأ**—„მოკლებალნიანი“—ცხენი (‘ამრ იბნ ქულსუმი, 81), შედგენილი—არსებითს ენაცვლება ორი, სამი ან მეტი ზედსართავი—**طليح جصرة سرح** „დალილი, ძლიერი, მსუბუქადმავალი“—აქლემი (ალ-ა'შა, 35), რთული—ნაგულისხმევი არსებითი თვითონ წარმოადგენს მეტაფორას, რომელიც, თავის მხრივ, ამოსაცნობია, გასაშიფრი და ორმაგ გამოცანას ქმნის. მაგ. **زائر** „მბლღინავი“ → ლომი = „მტერს“. შდრ. [9 და 14]). შეეჩერდებით პირველ ორ ტიპზე. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ სახე-გამოცანათა ერთი ნაწილის ამოხსნა შესაძლებელია იმ სემანტიკურ სტრუქტურაზე დაყრდნობით, რომლის წვერებსაც წარმოადგენენ ეს ზედსართავები. მაგ., რაკი **العى**—„მუქწითელი“ სემანტიკურად ჩვეულებრივ, ერთადერთ არსებითს, „ბავეს“, უკავშირდება არაბულში, გასაგებნი უნდა იყოს, რომ სათანადო ადგილას საუბარია „წითელ ბავზე“ და არა სხვა რამეზე (მაგ. ტარაფა, 8). ამ პოეტური ხერხის გამოყენება არაბულ პოეზიაში გულისხმობს ნაწილობრივ სწორედ ასეთი სტაბილური სემანტიკური კავშირების ინტუიტურ ცოდნას, რომელსაც ფლობენ ჩვეულებრივ სათანადო ეპოქის ენის ცოცხალი მატარებლები; ხოლო იქ, სადაც არ არის ასეთი ცალსახა სემანტიკური კავშირი სიტყვებს შორის, გამოტოვებული სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა, ამით სახის გახსნა და ესთეტიკური აღქმა, როგორც ჩანს, ემყარება გარკვეულ პოეტურ უზუსს, როდესაც მსმენელისა თუ მკითხველისათვის ნაცნობია, რომ ამა

¹ იმრუ'უ ლ-კასის, ტარაფას, ზუჰარის, ლბნდის, 'ამრ იბნ ქულსუმის 'ანთარასა და ქარის იბნ ქოლოზას კასადათა ნაწყვეტები მოყვანილია აზ-ზაჰანის „შედი მუ'ალლაკის განმარტებიდან“ [10] ხოლო ნაზრა ზუბინელის ალა-ა'შასა და 'აზნდ იბნ ალაბარასისა, ათ-თობრიზს მიხედვით [11]; ციფრი აეტორის სახელის შემდეგ მიუთითებს ბეთის რიგზე.

და ამ პოეტურ ენაზე ესა და ეს თვისება ამა და ამ საგანს უკავშირდება. ამდენად საგნის სახელის გამოტოვება მას სიძნელეს არ უქმნის ამ გამოცანის ამოსახსნელად (რაც დიდ სირთულეს აწყდება უკვე მომდევნო საუკუნეებში და რასაც კომენტატორთა მთელი მოღვაწეობა ადასტურებს). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პოეტურ უზუსტ ქმნიდა მუდმივი ეპითეტების ხმარება, რაც წინ უსწრებდა არაბულ პოეზიაში ზემოაღნიშნული პოეტური ხერხის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ მუ'ალაკათში ჩვეულებრივ არ მეორდება ერთი და იგივე სიმბოლო ერთი და იმავე საგნის ხატის შესაქმნელად, კვალი ასეთი მუდმივი ეპითეტებისა მაინც შემორჩენილი გვაქვს — 50-მდე სიმბოლოში, სადაც მეორდება 26-მდე ზედსართავი (10 კასიდაში დადასტურებული 268 ზედსართავიდან). აქედან მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს სიმბოლოები. ესაა ჰარის იბნ ჰილიზასთან: **غبر** — „მტერიანი“ → მტერიანი წელი ან მიწა = „გვალვა“. **من محارب غبر** „განა ჩვენ გვაწევს ბრალი ჰანჭას (ტომისა), ან იმ მებრძოლთა, მტერიანმა რომ შეკრება (საძარცვად)? (ჰარის იბნ ჰილიზა, 76). **اسد في اللقاء ورد هموس وريبع** „ლომი — ბრძოლაში, წითური, ჩქამიანი და გაზაფხულის (წვიმა), როდესაც მტერიანი დააპირებს მოსვლას“ (ჰარის იბნ ჰილიზა, 57).

სხვა შემთხვევებში თუმცა სიმბოლოები მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ერთი და იგივე ზედსართავი მეორდება ერთსა და იმავე მნიშვნელობის მქონე სიმბოლოში.

დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას ზედსართავის გამეორებისა ერთი და იმავე ავტორის ერთსა და იმავე კასიდაში:

عضب — „მკრელი“ — ხმლის აღმნიშვნელ სიმბოლოში, ტარაფასთან:

فأليت لا ينفك كسحي بطانة لعضب رقيق الشفرتين ميند

„დავიფიცე არ შევიხსნა წელზე მკრელი, ორღესული, ინდური“ (83);

أشى بعضب مجرد

„მივხლომივარ მკრელით, ამოწვდილით“ (87).

زياة — „ამაყი“ — აქლემის ხატის შესაქმნელად ანთარასთან:

هل تبلغني شذنية ... خطارة ... زياة

„იქნებ შეადანურმა“ მიმადწვივინოს... კუდაპრეხილმა... ამაყმა“ (22—23).

ينباع من ذفري غضوب جصرة زياة

„გადმოდის (ოფლი) ყურების უკან მძვინვარეს, ფიცხს, ამაყს“ (34).

أادم — „შავი“ — ცხენის მნიშვნელობით იმავე ანთარასთან:

يدعون عنتر والرماح كانوا * أشطان بشر في لبان أادم

„იძახდნენ „ანთარო“ და შუბები თითქო ბაწრები იყო ჭაში ჩაშვებული მკერდში (ჩემი) შავისა“ (67). შდრ. აგრეთვე (85). და სხვ.

თუკი ეს მაგალითები პოეტის ინდივიდუალური სტილის თავისებურებადაც შეიძლება მიგვეჩნია, კიდევ უფრო მეტია ისეთი ზედსართავები, რომელნიც სხვადასხვა ავტორთან მეორდებიან. მაგ.:

آدم — „მოთეთრო, ნათელი ფერისა“ — აქლემის მნიშვნელობით 'ამრ იბნ

ქულსუსსა და ნაბიდა ზუბიანელთან: **عطل آدماء هجان للون بكر**

სერა, მოთეთრო, ფერით უმწიკვლო, უშობელი“ (ამრ იბნ ქულსუმი, 15) და **ادم مشدود** — „მოთეთრონი, უნავირიანი“ (ნაბილა, 29).

بلي — „უბედური“ — „სამსხვერპლო აქლეშის“ მნიშვნელობით ლაბიდსა (64) და ჰარის იბნ ჰილლიზასთან **بلي عميا** — „უბედური, ბრმა“ (14).

اجر, منجر — „მოკლებალნიანი“ ცხენის აღმნიშვნელ სიმბოლოში ამრ იბნ ქულსუმთან (81) და იმრუ ლ-კაისთან (51-58).

منجر قيد الاوابد هيكل — მოკლებალნიანი, მხეტუმებოროკაეი, ვეება“ და სხვ. **جسرة** — „მძღავრი“ — აქლეშის აღმნიშვნელ სიმბოლოში ანთარასა და ალ-ა-შასთან: **جسرة سرح** — „განრისხებულლი, მძღავრი, ამაყი“ (ანთარა, 34); **جيش سابع مسخ** — „დაქანცული, მძღავრი, მსუბუქადმავალი“ (ალ-ა-შა, 31).

سابع — „სწრაფი“ (სიტყვასიტყვით — მოცურავესაგვით ფეხებგაქიმული) ცხენის აღსანიშნავად იმრუ ლ-კაისსა და ანთარასთან: **سابع مسخ** — „ფიცხი, სწრაფი, მკვირცხლი“ (იმრუ ლ-კაისი, 51—58) და **سابع نه مكلم** „სწრაფი, ახოვანი, დაჭრილი“ (ანთარა, 45).

ساحبات — „კაბის კალთის მათრეველნი“ — ქალიშვილები, მხეველები — ნაბილა ზუბიანელსა (30) და ალ-ა-შასთან: **ساحبات رافلات** — „კაბის ბოლოს მათრეველნი, გრძელ კაბებში ჩაცმულნი“ (ალ-ა-შა, 31).

نهد — „ახოვანი“ — „ცხენის“ მნიშვნელობით ანთარასა და აბიდ იბნ ალ-აბრასთან: **سابع نهد مكلم** — „სწრაფი, ახოვანი, დაჭრილი“ (ანთარა, 45) და **نهد سرحوب** — „ახოვანი, ჩქარი (აბიდ იბნ ალ-აბრასი, 24).

سارية — „ღამით მოსული“ — „ღრუბლის“ მნიშვნელობით ლაბიდსა (5) და ნაბილასთან (13).

طليح — „დაქანცული“ — „აქლეშის“ მნიშვნელობით ლაბიდსა (22) და ალ-ა-შასთან (35) **طليح جسرة سرح** — „დაქანცული, ძლიერი, მსუბუქადმავალი“.

عيرانة اجد — „მამალი კანჯარის დარი“ — „აქლეშის“ სიმბოლოში ნაბილა ზუბიანელსა და აბიდ იბნ ალ-აბრასთან: **عيرانة اجد** — „მამალი კანჯარის დარი, მაგარზურგიანი (ნაბილა ზუბიანელი, 7—8). **عيرانة خبواب** — „სქელი, ჩორთითმავალი, მამალი კანჯარის დარი“ (აბიდ იბნ ალ-აბრასი, 29—30).

عين — „ფართოთვალანი“ — „ქურციკის, ნიაზორის“ — სიმბოლოდ ზუჰაირსა (3) და ლაბიდთან (17).

محم — „ლაგამამოდებული“ — ცხენის სიმბოლოში ზუჰაირსა (35) და ანთარასთან: „შავი, ლაგამამოდებული“ (20).

مهد — „ინდური“ — „ხმლის“ სიმბოლოში ტარაფასა და ანთარასთან: **مهد رقيق الشفرتين** — „მკრელი, ორღესული, ინდური“ (ტარაფა, 83) და **مهد صافي الحديده مخم** — „ინდური, ხალასი რკინისა, სწრაფდაგამკვეთი“ (ანთარა, 56).

აქვე შეიძლება დასახელებული იქნეს აგრეთვე **حرام** და **محرم** „აკრძალული, წმინდა“ — „თვის“ მნიშვნელობით ლაბიდსა (3) და ზუჰაირთან (9) და **حلال** და **حلال** „ნებადართული, აუკრძალავი“ ასევე „თვის“ მნიშვნელობით ამავე პოეტებთან (ლაბიდი, 3 და ზუჰაირი, 8).

დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე ზედსართავი იხმარება მოკვეცილი არსებითით, როგორც ერთ-ერთი ელემენტი შედგენილი სიმბოლოსი და არსებით სახელთან ერთადაც, როგორც ჩვეულებრივი განსაზღვრება. მაგ. سافة — „ფართო“. ანთარასთან: سافة شاك — „ფართო ჯაჭვის პერანგი“ (52) და ამრ იბნ ქულსუმიან: سافة دلاص — „ფართო, ელვარე“ (იგულისხმება „ფართო, ელვარე, ჯაჭვის პერანგი“) (ამრ იბნ ქულსუმი, 78).

მუ'ალლაკთი (ორივე ცნობილი რედაქციით) ათ კასიდას შეიცავს. თუ ისლამამდელი პოეზიის სხვა ძეგლებსაც განვიხილავთ, ამგვარი მაგალითების რიცხვი, რა თქმა უნდა, გაიზარდება.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაღაც გარკვეული რაოდენობა ზედსართავებისა ელიპტიკული არსებითით მუ'ალლაკთში (ჩვენი გამოთვლით, ეს არის დაახლოებით 10%) წარმოშობით მულდმივი ეპითეტი უნდა იყოს. სავარაუდებელია ისიც, რომ ასეთი წესით შექმნილი სახეების ანალოგიით იქმნება და ყალიბდება შემდეგში ეს ხერხი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღინიშნებოდა ლიტერატურულ ტრადიციებთან მიმართებით ყურადღებას იქცევს ჩვენ მიერ ე. წ. რთულ სიმბოლოდ კვალიფიცირებული შემთხვევები მუ'ალლაკთში: ائ — „მბღღვინავი“ → (ლომი) = მტერი (ანთარა, 10); احوى — „მუქქულთოება“ → (ქურციკი) = ლამაზი ქალი (ტარაფა, 6) და სხვ.

რატომ შეიძლება ائ „მბღღვინავი“ ნიშნავდეს „ლომს“ გასაგებია, ვინაიდან ائ — არის ხმაბაძვითი სიტყვა, რომელიც არაბულში მხოლოდ და მხოლოდ ლომის ხმას აღნიშნავს და, ამდენად, სემანტიკურად მხოლოდ ამ ერთ არსებითს უკავშირდება, მხოლოდ მის თვისებას შეიძლება აღნიშნავდეს: მაგრამ ის, რომ ლომი, როგორც მეტაფორა, ნიშნავს მტერს, ამაზე ტექსტში მოცემულ შემთხვევაში არაფერი არ მიუთითებს — არც სემანტიკური, — არც სინტაქსური მაჩვენებელი, არც სიტუაციური კონტექსტი, საიდანაც მსმენელი, ან მკითხველი შეძლებდა გაეშიფრა ეს სახე. იმას, რომ აქ „მტერი“ ლომს უნდა ნიშნავდეს, შეიძლება მსმენელი მიხედვს მხოლოდ პოეტური კონვენციის ძალით. ასევე احوى ფერის აღნიშვნელი ზედსართავი, რაც მწვანე, ყავისფერი, იისფერი... საგნების სიმუქეს აღნიშნავს არაბულში [შდრ. 15, 314—316], იხმარება აგრეთვემ ქურციკის ფერის აღსანიშნავად, რომელსაც „ქულთოები და დრუნჩი მუქი იისფერი აქვს“ [15, 315 და 10, 37]. მაგრამ ის, რომ „ქურციკი“ (ئ) ლამაზი ქალის მეტაფორაა ამ პოეტურ ენაზე, ან „გვირილა“ احوان — მცინარი ბავისა, „მტერიანი მიწა“ — غبرآ — გვლვიანი წლისა, „მქლე აქლემი“ — خذ — ლარიბი დედაკაცისა, შესაძლებელია მხოლოდ პოეტური კონვენციის ძალით. აქ ამ სახეთა გასახსნელად უნდა ჩაერთოს მკითხველის ცოდნა, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ „ქურციკი“ ამ პოეტურ ენაზე „ლამაზი ქალის“ მეტაფორაა, „გვირილა“ — მოლიმარი ბავისა და სხვ. ე. ი. უნდა ემოდეს კოდი ამ პოეზიისა. სხვა შემთხვევაში ეს ორმაგი გამოცანა გამოუცნობი დაჩრჩება. ასეთი ცოდნა მკითხველისა, ცხადია, რაღაც პოეტურ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს.

ამდენად, თუ მართებულია ჩვენი ვარაუდი, რომ აღნიშნული პოეტური ხერხი წარმოადგენს მულდმივი ეპითეტების განვითარების შემდგომ საფეხურს არაბულ პოეზიაში, ხოლო ამ ხერხის მესამე ტიპი გულისხმობს ავღიტორიის მიერ ნაგულისხმევი მეტაფორების წინასწარ ცოდნას (სხვა შემთხვევაში კონტაქტი მსმენელისა პოეტთან გამორიცხულია). მაშინ ისლამამდელი პოეზიის ეს თავი-

სებურება მხარს უნდა უჭერდეს ვარაუდს, რომლის თანახმად აღნიშნული ძეგლების შექმნას წინ უძღოდა განვითარების გარკვეული პერიოდი.

ლიტერატურა

1. И. Ю. Крачковский, Таха Хусейн о доисламской поэзии арабов и его критика, Изб. соч., т. III, М.—Л., 1956.
2. A. J. Arberry, The Seven Odes, The First Chapter in Arabic Literatur, London, 1957.
3. J. T. Monroe, Oral Composition in Pre-Islamic Poetry, JAL, Leiden, vol. 3, 1972, რუსული თარგმანი Дж. Т. Монроу, Устный характер доисламской арабской поэзии, Арабская средневековая культура и литература, М., 1978.
4. M. I. Kister, The Seven Odes; Some Notes on the Compilation of the Mu'allaqāt, RSO, 44, (1969).
5. M. C. Bateson, Structural Continuity in Poetry. A Linguistic Study of Five Preislamic Arabic Odes, Paris, The Hague, 1970.
6. G. V. Grünebaum, Kritik und Dichtkunst, Studien zur arabischen Literaturgeschichte, Wiesbaden, 1955.
7. R. Jacobi, Studien zur Poetik der altarabischen Qasida, Wiesbaden, 1971.
8. K. Petraček, Die Vorbereitungsperiode der arabischen Literatur, Acta Universitatis Carolinae Philologica 3, Orientalia Pragensia, III, 1964.
9. ნ. ფურცელაძე, სიმბოლო შედარაგნობაში, თსუ შრომები, ტ. 186, აღმოსავლეთ-მცოდნეობა, თბილისი, 1978.
10. ۱۳۱۵, مصر, كتاب شرح المعانيق والزواني
11. C. I. Lyall (ed.) al-Tibrizi, A commentary on Ten Ancient Arabian Poems, Calcutta, 1894.
12. გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1927.
13. E. M. Мелетинский, «Эдда» и ранние формы эпоса, М., 1968.
14. Н. Н. Пурцеладзе, К пониманию одной особенности семантики доисламской поэзии арабов, Problemy Literatur Orientalnich, Warszawa, 1974.
15. W. Fischer—Farb-und Formbezeichnungen in der Sprache der atarabischen Dichtung, Wiesbaden, 1965.

Н. Н. ПУРЦЕЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О НАЧАЛЕ АРАБСКОЙ ПОЭЗИИ

Резюме

В специальной литературе высказано предположение о том, что дошедшим до наших дней памятникам доисламской арабской поэзии предшествовала определенная устная литературная традиция. Данное предположение опирается на: логические, текстуальные доводы и на косвенные или непосредственные данные различных источников.

В работе на основе анализа текста Му'аллакāt описывается один из приемов построения художественного образа в арабской поэзии (замещение прилагательным существительного) и высказывается мнение, что возникновению данного приема должно было предшествовать наличие т. н. «постоянных эпитетов» в устной поэзии, что говорит в пользу вышеупомянутого предположения. А факт двойного замещения (темногубая = (газель) = возлюбленная), указывая на знание аудиторией поэта подразумеваемых метафор, свидетельствует о наличии постоянных метафор до создания данного приема.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
 ნ. ფურცელაძემ

ნ ა ნ ა კ ი ზ ი რ ი ა

 კ ა რ თ უ ლ ი ლ ე მ ს ი ს ა დ ა მ ი ა ტ ა მ რ ა ლ ი პ რ ო ზ ი ს წ ა კ ი ტ ი ხ ვ ი ს
 თ ა ვ ი ს ე ბ ა უ რ მ ბ ა ნ ი

ლექსა და მხატვრულ პროზას შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლექსში რიტმი მაქსიმალურად არის მოწესრიგებული, მხატვრულ პროზაში კი — არა. სწორედ ამიტომაც ლექსი გრაფიკულად სხვაგვარად გამოიხატება, მისი სტრიქონები მკაცრად არის შემოსაზღვრული, რასაც ვერ ვიტყვით პროზაზე. განსხვავება შეინიშნება ლექსისა და მხატვრული პროზის ხმამაღლა წაკითხვის დროსაც.

იმის გასარკვევად, თუ როგორ გამოიხატება განსხვავება წაკითხვის დროს ლექსსა და მხატვრულ პროზას შორის, ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლისთვისაც მომზადდა ასეთი მასალა: შერჩეულ იქნა შემდეგი ნაწყვეტი შ. ნიშნაიანიძის ლექსიდან:

„ღაბის პატარა სატუსალოსთან
 მოჩანს სამკვდლო და ძველი ხიდი.
 გლეხი სახედრით ამ ხიდს გადმოსცდა,
 გზისპირად დაჯდა და ყურძენს ყიდის.
 აგერ სარკმლიდან ხელს ჰყოფს ტუსადი
 და მუდარაში საყვედურს აქსოვს.“

ეს ნაწყვეტი პროზის გრაფიკული ფორმით ჩართულ იქნა პროზაულ ტექსტში, ნაწყვეტში გ. შატბერაშვილის მოთხრობიდან «გიორგი დევსურაშვილის სეხნია»¹, რის შედეგადაც საექსპერიმენტო ტექსტმა ასეთი სახე მიიღო: «იქნებ მოსაწყენადაც ჩათვალთ ეს ერთფეროვანი ეზოები, ასწლოვანი კაკლის ხეები, ვენახები და ვარდისფრად აყვავებული ასკილის ბუჩქები გრძელ ორბოხებში. ღამდება. მართლაც მოსაწყენია ეს სურათი, რომელიც მრავალჯერ დახატულა და უკეთესადაც. შერჩეული თვალი მხოლოდ ამგვარ სურათებს დაინახავს. ღაბის პატარა სატუსალოსთან მოჩანს სამკვდლო და ძველი ხიდი. გლეხი სახედრით ამ ხიდს გადმოსცდა, გზისპირად დაჯდა და ყურძენს ყიდის. აგერ სარკმლიდან ხელს ჰყოფს ტუსადი და მუდარაში საყვედურს აქსოვს. არც ისე გვიანაა. შუქიც გამოდის სარკმლიდან, ხმაურიც ისმის, რა იციან, თავს რა ჭირი დასტრიალებთ».

როგორც ვხედავთ, ამ პროზაულ ტექსტში ორი სხვადასხვა ნაწყვეტი ერთი შინაარსით არის გაერთიანებული.

ჯარდა ამისა, ექსპერიმენტისათვის შერჩეულ იქნა მცირე ცვლილებებით

¹ შ. ნ ი შ ნ ა ი ა ნ ი ძ ე. გადასახედი, თბ., 1977, გვ. 63.

² გ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, პროზა, ტ. II, თბ., 1972, გვ. 289.

ასეთი ნაწყვეტი გ. შატბერაშვილის მოთხოვნიდან «უყვავება»³: «რეზომოთახში ვეღარ გაძლო, სურათს თვალი მოაშორა. იქიდან ცოცხალი პაპა დიმილით შემოსცქეროდა. შეეშინდა რეზოს, კარი ფრთხილად გამოაღო და ქუჭრუტანიდან უყურებდა ყველაფერს. შემოდგომის საღამო იყო, თბილი და სასიამოვნო. ცა მოწმენდილიყო. კარგი დარი დადგებოდა. რეზოს ეს არ ახარებდა, მას გული სტკიოდა, რომ პაპა თედოსთან ერთად ზვალ დილით ეენახში ვეღარ ჩავიდოდა». ნაწილი ამ პროზაული ნაწყვეტიდან — «შემოდგომის საღამო იყო, თბილი და სასიამოვნო. ცა მოწმენდილიყო. კარგი დარი დადგებოდა» — ლექსის გრაფიკული ფორმით ჩართულ იქნა ნაწყვეტში ს. ისიანის ლექსიდან «თეთულღზე ასვლა»⁴ შუა სტროფად, რის შედეგადაც ლექსი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

«ჭრლოთ დაიბენ ველები
 და მთები გოლიათები,
 ზღვა სიხარულის ცრემლებით
 გაიესეს მწვანე კალთები.

შემოდგომის საღამო იყო,
 თბილი და სასიამოვნო.
 ცა მოწმენდილიყო.
 კარგი დარი დადგებოდა.

ამღერდა უშბას მხნე გული,
 ამღერდა ყველა გრეზილი,
 ამღერდა შმაგი ენგური
 კლდეზე გაღატეხილი».

ამგვარად, ექსპერიმენტისათვის დაზუსტდა ოთხი სახის ტექსტი: 1. ლექსი დამოუკიდებელი სახით; 2. მხატვრული პროზაული ნაწყვეტი, რომელშიც ლექსია ჩართული; 3. ნაწყვეტი მხატვრული პროზიდან; 4. ლექსი, რომელშიც მხატვრული პროზაული ნაწყვეტია ჩართული.

თითოეული ტექსტი გადაიბეჭდა ცალკე ფურცელზე. ამის შემდეგ ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: მოწვეულ იქნენ ცდისპირები (სულ 18 ცდისპირი, ძირითადად, ფილოლოგიური განათლების მქონენი, ერთიც პროფესიონალი არტისტი). ცდისპირები წინასწარი გაცნობის გარეშე ხმამაღლა კითხულობდნენ ზემოდასახელებულ ტექსტებს. პარალელურად მიმდინარებოდა წაკითხულის ჩაწერა მაგნიტოფონზე. ცდისპირებს რომ არ შეძლებოდათ წაკითხული ტექსტებიდან საანალიზო ნაწყვეტების დამახსოვრება, ისინი კითხულობდნენ აგრეთვე მიწოდებულ რამდენიმე სხვა ლექსსა და პროზაულ ნაწყვეტს.

მიღებული მაგნიტოფონური ჩანაწერებიდან ამორჩეულ იქნა ოთხი ცდისპირის ჩანაწერი, რომელიც ტექნიკურად უფრო ხარისხიანად იყო შესრულებული. თითოეული ჩანაწერიდან იქნა ამოღებული და ცალკე მაგნიტოფონზე გადაწერილი შემდეგი მონაკვეთები: 1. «დაბის პატარა სატუსალოსთან... და მუღარაში საყვედურს აქსოვს», წაკითხული როგორც დამოუ-

³ გ. შატბერაშვილი, პროზა, ტ. II, თბ., 1972, გვ. 161.

⁴ ს. ისიანი, შეხვედრა ქართან, თბ., 1981, გვ. 72.

კიდებელი ლექსი; 2. იგივე მონაკვეთი, წაკითხული როგორც მხატვრული პროზული ტექსტის ნაწილი; 3. «შემოდგომის საღამო იყო, თბილი და სასიამოვნო. ცა მოწმენდილიყო. კარგი დარი დადგებოდა», წაკითხული მხატვრული პროზის გარემოცვაში; 4. იგივე მონაკვეთი, წაკითხული როგორც ლექსის სტროფი. შემდგომ ეტაპზე ჩატარდა ამ ოთხი მონაკვეთის ოსცილოგრაფია³. იმ ცდისპირებიდან, რომელთა მიერ წარმოთქმული ტექსტების ოსცილოგრაფიაა ჩატარებული, ერთი პროფესიონალი არტისტია, დანარჩენი სამი — ფილოლოგი.

როგორც ოსცილოგრაფიული ანალიზის შედეგად ირკვევა, ცდისპირები ლექსის («დაბის პატარა სატუსალოსთან») დამოუკიდებლად წაკითხვის დროს ემორჩილებიან გარკვეულ რიტმს. რიტმს დასახელებულ ლექსში ქმნის ყოველ სტრიქონში მარცვალთა ერთნაირი რაოდენობა (10 მარცვალი), რომელიც ხუთმარცვლიან ორ მუხლად იყოფა: «დაბის პატარა || სატუსალოსთან...» და ა. შ. თითოეული მუხლი მეორისაგან გამოყოფილია ცეზურით. ყოველ მუხლში ინტენსივობითი მახვილები განაწილებულია ისე, რომ შესაძლებელი ხდება ორი და სამმარცვლიანი ტერფების გამოყოფა. მაგალითად:

„დაბის : პატარა || სატუ : სალოსან...“ და ა. შ.

სტრიქონებში ტერფები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით არაპროფესიონალ დიქტორთა მიერ წაკითხულ ტექსტში ასეა განაწილებული:

„დაბის : პატარა || სატუ : სალოსან
მოჩანს : სამჭედლო || და ძველი : ხილი.
გლეხი : სახედრით || ამ ხილს : გადმოსცდა,
გზისპირად : დაჯდა || და ყურძენს : ყიდის.
აგერ : სარკმლიდან || ხელს პუფს : ტუსალო
და მე : დარაში || საყვედურს : აქსოვს.“

როგორც ვხედავთ, თითოეული სტრიქონის პირველ მუხლში ტერფები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით შემდგენიარად დაიყოფა: 2 მარცვალი : 3 მარცვალი. გამონაკლისს წარმოადგენს მეოთხე სტრიქონის პირველი მუხლი, სადაც ტერფები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ასეა ნაწილდება — 3 მარცვალი : 2 მარცვალი. მეორე მუხლში კი ერთნაირად იყოფიან პირველი, მესამე და მეხუთე სტრიქონების ტერფები (2 მარცვალი : 3 მარცვალი) და მეორე, მეოთხე, მეექვსე სტრიქონების ტერფები (3 მარცვალი : 2 მარცვალი).

პროფესიონალი არტისტი ყოველი სტრიქონის პირველ მუხლში ტერფებს ისევე გამოყოფს, როგორც დანარჩენი ცდისპირები, მაგრამ მეორე მუხლში ინტენსივობითი მახვილები ისე აქვს განაწილებული, რომ პირველი სტრიქონის გარდა ყველა სტრიქონის მეორე მუხლი ტერფებად ერთმანეთის მსგავსად არის დაყოფილი (3 მარცვალი : 2 მარცვალი).

³ ოსცილოგრაფია ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში H-102 ტიპის შლუფიან ოსცილოგრაფზე.

მაგალითად:

„ღაბის : პატარა||სატუ : სალოსთან
მოჩანს : სამჭედლო||და ძველი : ხიდი.
გლეხი : სახედრო||ამ ხილს გაღ : მოსცდა,
გზისპირად : დაჭდა||და ყურძენს : ყიდის.
აგერ : სარკმლიდან||ხელს ჰყოფს ტუ : სალი
და მუ : ღარაში ||საყვედურს : აქსოვს.“

პროფესიონალი არტისტის წარმოთქმაში ტერფებად ასეთ განაწილებას ხელი შეუწყო მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვამ «ხიდი», რომელიც ორ-მარცვლიანია. ამიტომაც არტისტი მომდევნო სტრიქონების (III და V სტრიქონები) ბოლოს არსებულ სამმარცვლიან სიტყვებს წარმოთქვამს ინტენსივობითი მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამ ხერხით იგი დასახელებულ ლექსს რიტმულად უფრო აწესრიგებს, ვიდრე არაპროფესიონალები.

როცა ერთმანეთს ვუდარებთ დამოუკიდებლად წაკითხულ ლექსს და იმავე ლექსს, წაკითხულს პროზის გარემოცვაში, აღმოჩნდება, რომ ინტენსივობითი მახვილის ადგილის მიხედვით ეს ორი ნაწყვეტი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება, რადგანაც მარცვალთა რაოდენობა სიტყვებში ორივე შემთხვევაში — დამოუკიდებელ ლექსად და პროზაულ გარემოცვაში წაკითხვის დროს — ერთნაირია. პროზაში ჩართული ლექსის წაკითხვისას შესამჩნევია რიტმის დარღვევა. რიტმის დარღვევას ხელს უწყობს პაუზის თავისებური გამოყენება. როგორც ზემოთ ითქვა, დამოუკიდებელი ლექსის თითოეული მუხლი გამოყოფილია ცეზურით. უფრო ხანგრძლივი ცეზურა (მთავარი ცეზურა, როგორც უწოდებენ ხოლმე) ლექსის წაკითხვის დროს გვხვდება ყოველი სტრიქონის ბოლოს ორი ცდისპირის წარმოთქმაში, დანარჩენი ორი ცდისპირი კი მთავარ ცეზურას აკეთებს მეორე, მეოთხე და მეხუთე სტრიქონების ბოლოს. პროზაში ჩართული ლექსის წაკითხვისას კი თვალში საცემია პაუზების ხშირი გამოყენება. პაუზების ადგილი დამოუკიდებელ ლექსსა და პროზაში ჩართულ ლექსში საერთოა იქ, სადაც წინადადება მთავრდება, ე. ი. ზოგჯერ ემთხვევა ლექსის მთავარ ცეზურას (II, III, IV სტრიქონების ბოლოები). გარდა ამისა, პროზაულ გარემოცვაში წაკითხულ ლექსში პაუზები გვხვდება თითოეული წინადადების შიგნით; პაუზით არის გამოყოფილი წინადადების ის წევრი, რომელიც ცდისპირს ესაჭიროება შინაარსის გადმოსაცემად. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ წარმოდგენილი მასალის მიხედვით პროზაში ჩართულ ლექსში არსებული პაუზა ძირითადად უფრო ხანგრძლივია, ვიდრე დამოუკიდებელ ლექსში დადასტურებული პაუზა. მიუხედავად იმისა, რომ პროზის გარემოცვაში წაკითხულ ლექსში პაუზები ბევრია და ხანგრძლივია, პაუზების გარეშე გაზომილ ტექსტებს (დამოუკიდებელ ლექსსა და პროზაში ჩართულ ლექსს) თუ შევედარებთ ერთმანეთს გრძლიობის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ ლექსი უფრო ნელა წარმოითქმის, ვიდრე მხატვრული პროზა.

განსაკუთრებით საყურადღებოა «და» კავშირი, რომელიც ტექსტში სამ ადგილას გვხვდება და დამოუკიდებელ ლექსში იგი ცეზურის შემდეგ წარმოითქმის, პროკლიტიკას წარმოადგენს. მაგალითად:

„მოჩანს სამჭედლო||და ძველი ხიდი“;
„გზისპირად დაჭდა||და ყურძენს ყიდის“;
ხელს ჰყოფს ტუსალი||და მუღარაში საყვედურს აქსოვს“.

პროზაში ჩართული იმავე ტექსტის წაკითხვისას კი ასეთ ვითარებას ვხვდებით:

„მოჩანს სამკედლო დაქველი ხიდი“;
„გზისპირად დაჯდა დაყურძენს ყიდის“.
„ხელს ჰყოფს ტუსალი დამუდარაში საყვედურს აქსოვს“.

ამგვარად, აქ «და» კავშირი ენკლიტიკად იქცევა, რაც ხელს უწყობს რიტმის დარღვევას.

დამოუკიდებლად წაკითხული ლექსი მელოდიკის მიხედვით საკმაოდ უპირისპირდება პროზის გარემოცვაში წაკითხულ იმავე ნაწყვეტს. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ლექსის წაკითხვის დროს თითოეულ მუხლში ტონი უმეტეს შემთხვევაში დამავალი, იშვიათად, თანაბარი. პროზის გარემოცვაში წაკითხულ იმავე ნაწყვეტში სხვაგვარ ვითარებას ვხვდებით, აქ როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკმაოდ ხშირია პაუზა, რომლის ადგილი ყოველთვის არ ემთხვევა ლექსში არსებულ ცეზურას. პაუზით გამოყოფილ ნაწყვეტებში ტონი შეიძლება იყოს აღმავალი, დამავალი ან, ძალზე იშვიათად, თანაბარი. ყურადღებას იპყრობს «და» კავშირი, რომელიც პროზის გარემოცვაში წაკითხულ ნაწყვეტში ენკლიტიკას წარმოადგენს, წინამავალ სიტყვასთანაა გაერთიანებული. აქ ტონი ძირითადად აღმავალია, მაგრამ შედარებით იშვიათად დამავალიც გვხვდება. მაგალითად:

«სამკედლო და...», «დაჯდა და...», «ტუსალი და...»

ან

«სამკედლო და...», «დაჯდა და...», «ტუსალი და...»

პროზის გარემოცვაში წაკითხულ ლექსში ძალიან ხშირია ხმოვანთა დაყრუება, ჩურჩულით წარმოთქმა, რაც ლექსის დამოუკიდებლად წაკითხვას მოცემული მასალის მიხედვით თითქმის არ ახასიათებს. ხმოვანთა დაყრუება განსაკუთრებით შეიმჩნევა პროფესიონალი არტისტის მიერ პროზაში ჩართული ლექსის წაკითხვის დროს. მაგალითად:

«მოჩანს სამკედლო და ქველი ხიდი» (ყველა ხმოვანია დაყრუებული);
«გადმოსცდა» (დაყრუებულია ბოლო ა);
«გზისპირად დაჯდა და ყურძენს ყიდის» (დაყრუებულია ყველა ხმოვანი);

«საყვედურს აქსოვს» (დაყრუებულია ყველა ხმოვანი).

დანარჩენი ცდისპირები ერთ ან ორ ხმოვანს აყრუებენ მხოლოდ წინადადებების ბოლო სიტყვებში.

ლექსის დამოუკიდებლად წაკითხვის დროს შეიმჩნევა ხმოვანთა დაგრძელება, კერძოდ, შეიძლება დაგრძელდეს მუხლის ბოლო ხმოვანი. ეს განსაკუთრებით პროფესიონალი არტისტის წარმოთქმაში აღინიშნება.

ზემოთ ითქვა, რომ ექსპერიმენტი ჩატარდა მეორე შემთხვევაზეც, კერძოდ, ნაწყვეტი მხატვრული პროზიდან ცდისპირებმა წაიკითხეს ორ ვარიანტად: ლექსში ჩართული მეორე სტროფის სახით და ბუნებრივ პროზაულ გარემოცვაში.

საანალიზო ტექსტი — «შემოდგომის საღამო იყო, თბილი და სასიამოვნო. ცა მოწმენდილიყო. კარგი დარი დადგებოდა» — რიტმულად მოუწესრიგებელია, ამ ნაწყვეტის როგორც პროზაულ, ასევე ლექსის გარემოცვაში წაიკითხვის დროს პაუზა ცდისპირების მიერ ერთსა და იმავე ადგილას არის გაკეთებული, კერძოდ, ამ სიტყვების შემდეგ: «იყო», «სასიამოვნო», «მოწმენდილიყო». აქ პაუზების არსებობა განაპირობა პუნქტუაციის ნიშნებმა, რომელიც ორივეგან (ლექსის გარემოცვაშიც და პროზაშიც) ერთსა და იმავე ადგილას არის წარმოდგენილი. პაუზა პროზაში წაიკითხულ ტექსტში შესამჩნევად ხანგრძლივია ლექსის გარემოცვაში. წაიკითხულთან შედარებით, მაგრამ თუ პაუზების გარეშე გავზომავთ მოცემული ტექსტების სიგრძეს, აღმოჩნდება, რომ ლექსის გარემოცვაში წაიკითხული ტექსტი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე პროზის გარემოცვაში.

ინტენსივობით მახვილთან დაკავშირებით შეიმჩნევა ერთი საინტერესო ვითარება: ს. ისიანის ლექსის წაიკითხვის დროს პირველი სტროფის დამთავრების შემდეგ ცდისპირებს აქვთ მოლოდინი, რომ ტექსტი კვლავ რიტმული იქნება, ამიტომ ოთხივე ცდისპირი ცდილობს პირველი და მეორე სტრიქონი მოწესრიგებულ რიტმს დაუმორჩილოს, რის შედეგადაც ბოლოდან მეორე მარცვალი ინტენსივობითი მახვილითაა წარმოთქმული, მესამე სტრიქონიდან კი ცდისპირები რწმუნდებიან, რომ კითხულობენ პროზაულ ნაწყვეტს და არა ლექსს და აღარ ცდილობენ ხელოვნურად შექმნილ რიტმს დაემორჩილონ.

ძირითადი ტონის სიმაღლე მოცემული ტექსტის ლექსის გარემოცვაში წაიკითხვის დროს ნაკლებ ცვლილებას განიცდის, ვიდრე მაშინ, როცა იგივე ტექსტი პროზაულ გარემოცვაშია წაიკითხული. ლექსში ჩართული ყოველი სტრიქონი წარმოდგენილია დამავალი ტონით. ამავე დროს სტრიქონებში ხშირია თანაბარი სიმაღლის ტონების გამეორება. პროზაულ გარემოცვაში წაიკითხულ საანალიზო ტექსტში კი აღინიშნება როგორც დამავალი, ასევე აღმავალი და თანაბარი ტონი.

პროფესიონალი არტისტის წარმოთქმაში შეიმჩნევა საინტერესო ფაქტი: საანალიზო ტექსტის ლექსის გარემოცვაში წაიკითხვის დროს ძირითადი ტონი მაღლა იწევს ყოველი სტრიქონის ბოლოდან მესამე მარცვალზე. მაგალითად:

↑

„შემოდგომის საღამო იყო,

↑

თბილი და სასიამოვნო.

↓

ცა მოწმენდილიყო.

↑

კარგი დარი დადგებოდა“.

ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: წინა სტროფში ძირითადი ტონი
 მაღლა იწევს ყველგან ბოლოდან მესამე მარცვალზე («ველები», «გოლიათე-
 ბი», «ცრემლებით», «კალთები»). ცდისპირი ცდილობს ამ საშუალებით დაი-
 ცვას ლექსის საერთო რიტმი.

იგივე ცდისპირი ლექსში ჩართული ტექსტის წაკითხვის დროს მიმარ-
 თავს სიტყვებში ბოლო ხმოვნის გაგრძელებით, თითქოს წამღერებით წარ-
 მოთქმას, მაგალითად:

„შემოდგომის საღამო იყო,
 თბილი და სასიამოვნო.
 ეს მოწმენდილიყო.
 კარგი დარი დაღვებოდა“.

ხმოვანთა დაგრძელება გვხვდება კიდევ ერთი ცდისპირის, არაპროფე-
 სიონალი დიქტორი მამაკაცის წარმოთქმაში. აქ დაგრძელებულია მხოლოდ
 თითოეული სტრიქონის ბოლო ხმოვანი.

პროზაულ გარემოცვაში წაკითხულ ტექსტში ხშირია ხმოვანთა დაყრუე-
 ბა, განსაკუთრებით პროფესიონალი არტისტის წარმოთქმაში. აქ დაყრუე-
 ბულია ხმოვნები შემდეგ შემთხვევებში:

„საღამო იყო“ (დაყრუებულია ბოლო ხმოვანი);
 „და სასიამოვნო“ (დაყრუებულია ყველა ხმოვანი);
 „ეს მოწმენდილიყო. კარგი დარი დაღვებოდა“. (დაყრუებულია ყველა ხმოვა-
 ნი).

დანარჩენი ცდისპირები ხმოვნებს აყრუებენ სიტყვებში «სასიამოვნო»
 და «დაღვებოდა».

ამგვარად, წაკითხვის თავისებურებებით ერთმანეთს შესამჩნევად უპი-
 რისპირდება ლექსი და მხატვრული პროზა.

განალიზებული მასალის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ლექსის წაკითხვის
 დროს წამკითხველი ლექსის ფორმალურ მხარეს ემორჩილება. ამას ხელს
 უწყობს რიტმი, რომელიც ლექსში წინასწარვე მოწესრიგებული სახით არის
 წარმოდგენილი ან, თუ რიტმი ტექსტში არ არის მოწესრიგებული, წამკი-
 თხველს აქვს რიტმის მოლოდინი და ამის შესაბამისადაც იქცევა. რიტმის
 გამოა, რომ ცდისპირებს არ შეუძლიათ პაუზა გააკეთონ იქ, სადაც ამას
 ტექსტის შინაარსი მოითხოვს. გარდა ამისა, პაუზა არ არის იმდენად
 გრძელი, რომ ლექსის რიტმი დაირღვეს. თავისებურია ძირითადი ტონის მო-
 ძრაობაც: ლექსის წაკითხვას მონოტონურობა ახასიათებს. თუ ცდისპირების
 მიერ წაკითხულ ლექსს გრაფიკულად გამოვსახავთ, აღმოჩნდება, რომ თი-
 თოეული მუხლი ან მთელი სტრიქონი (ორი მუხლი) ერთი საერთო ინტონა-
 ციური კონტურით გამოიხატება, ერთ ინტონემას წარმოადგენს. ინტონა-
 ციური კონტურები ერთფეროვანია, განალიზებულ მასალაში ინტონემები
 ძირითადად დამავალი კონტურებითაა წარმოდგენილი, იშვიათად, თანაბა-
 რით. ლექსის წაკითხვის დროს საინტერესო ჩანს მუხლის ბოლო ხმოვანთა
 დაგრძელებაც, რომელიც არ არის განპირობებული ლექსის შინაარსით, იგი
 ლექსს უფრო ქღერადს ხდის და აახლოებს სიმღერასთან.

მხატვრული პროზის წაკითხვისას ლექსთან შედარებით წამკითხველი

ბევრად უფრო თავისუფალია. იგი არ ემორჩილება ტექსტის ფორმალურ მხარეს. მისთვის ძირითადია ტექსტის შინაარსი. აქ ცდისპირები მეტ პაუზას აკეთებენ, რადგანაც არ აქვთ რიტმულობიდან ამოვარდნის შიში. პაუზა კეთდება მაშინ, როცა ცდისპირს სურს წინადადების რომელიმე წევრი გამოეყოს. აქვე აღსანიშნავია, რომ მხატვრულ პროზაში პაუზები უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ლექსში, მაგრამ, თუ მხატვრული პროზისა და ლექსის გრძლივობას პაუზების გარეშე გავზომავთ, აღმოჩნდება, რომ ცდისპირები მხატვრულ პროზას უფრო სწრაფად კითხულობენ, ვიდრე ლექსს. მხატვრულ პროზაში ინტონემები გრაფიკულად ლექსთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი ინტონაციური კონტურებით შეიძლება გამოიხატოს. მხატვრული პროზის წაკითხვის დროს საყურადღებოა ხმოვანთა დაყრუება (ოსცილოგრამაზე ხმოვნები წარმოდგენილია აპერიოდული რხევებით), რითაც ტექსტის ელერადობა უფრო ექსპრესიული ხდება.

Н. А. КИЗИРИА

ОСОБЕННОСТИ ЧТЕНИЯ ГРУЗИНСКОГО СТИХА И ХУДОЖЕСТВЕННОЙ ПРОЗЫ

Резюме

В стихе, в отличие от художественной прозы, ритм упорядочен максимально.

С целью выявить особенности чтения грузинского стиха и художественной прозы проведен эксперимент. Испытуемым были предъявлены для записи на магнитофонную ленту тексты: стихотворение Ш. Нишнанидзе и то же стихотворение, включенное в художественную прозу (без разбиения на строки); отрывок из художественной прозы отдельно и тот же отрывок, включенный «в виде стиха» (с разбиением на строки) в стихотворение С. Исiani.

Осциллографический анализ текстов выявил значительную разницу в чтении стиха и художественной прозы: в первом случае испытуемые подчиняются формальной стороне текста, этому способствует ритм. В стихе испытуемые, как правило, делают паузы только в конце строк, а в художественной прозе паузы встречаются гораздо чаще и бывают длиннее, чем в стихе. Однако, если сравнить длительность стиха и художественной прозы без пауз, окажется, что испытуемые стихи читают медленнее.

Обращает на себя внимание монотонность звучания в стихе по сравнению с художественной прозой, удлинение в нем конечных гласных в словах, что способствует большей напевности стиха.

В художественной прозе гласные звуки часто оглушаются (на осциллограмме представлены анериодическими колебаниями), в результате чего звучание текста становится более экспрессивным.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
 ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია
 წარმოდგენა ენათმეცნიერების ინსტიტუტში

თინათინ ცაიძე-ფილი

ლიტერატურული ძიებანი

I

მოლი

მოლი ძველი ქართულისათვის იშვიათ სიტყვათა წყებას ვანეკუთვნება. იგი სამწერლობო ენაში მე-12 საუკუნიდან ჩანს. დღესდღეობით პირველად დასტურდება „აბღლუმესიასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ (თითო მაგალითი), სამიოდე შემთხვევა მოლის ხმარებისა გვხვდება სამკურნალო წიგნებში. შედარებით ხშირია ეს სიტყვა აღორძინების ხანის მწერლობაში; საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. უცხო ენათაგან მოლი დამოწმებულია ძველ ბერძნულსა და სომხურში.

რა წარმომავლობისაა მოლი, ერთნაირი შინაარსით იხმარება იგი ქართულ სამწერლობო ენასა და დიალექტებში? რა მიმართებაა შინაარსით სემანტიკური და გენეტიური თვალსაზრისით ქართული მოლი უცხოენოვან მოლთან? სპეციალურ ლიტერატურაში მოლი ამ სიბრტყეზე შესწავლილი არ არის.

ამ სიტყვის ისტორიამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო რუსთველისეული მოლის გამო. რუსთველოლოგები იძლევიან „ვეფხისტყაოსნის“ მოლის განმარტებებს, რომელთაგან ყველა ერთნაირად სარწმუნო არ არის.

ავთანდილის თხოვნით, ფაქტმანმა ქაჭეთის ციხეში გამოწყვედული ნესტან-დარეჯანის ამბის გასაგებად გავზავნა გრძნეული მონა, „შავი, მართ ვითა ყორანი“. წასვლის წინ „მან გრძნეულ მან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“ (ვტ. 1277). ასე იკითხება პოემის ყველა ხელნაწერსა და ბექდურ ტექსტში, გამონაკლისია ორი ხელნაწერი (H 599 და W 27) და პავლე ინგოროყვასეული და 1957 წლის (ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით) გამოცემები, რომლებიც ერთნაირად უჩვენებენ ასეთ წაკითხვას: „მან გრძნეულ მან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“. (აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ორი ხელნაწერიდან ერთი (H 599), მამუკა თავქარაშვილისეული, ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი და სანდო ხელნაწერია).

ამ მოლის წყალობით მონა „წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდდციხელი-სა. რა ქაჭეთს შეხდა... უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა... ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი, შევიდა ზანგი პირშავი, თმაგრძელი, ტანნაბადიანი“ (ვტ. 1277—78). უკან გამობრუნებულიც „წამ ერთ მიხდა ფაქმანისსა, დღე იარა არმრავალი“ (იქვე, 1311). მოყვანილი მასალიდან თვალნათლივ ჩანს მოლით აღნიშნული საგნის თილისმური ბუნება.

სპეციალისტები რუსთველისეულ მოლს სხვადასხვაგვარად განმარტავენ:

1. მაგაიური ძალის მქონე „მოსასხამი“, „ნაბადი“ (თ. ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი, იუსტ. აბულაძე, პ. მირიანაშვილი, მ. უორდროპი,

ს. კაკაბაძე, დ. კარიჭაშვილი, ვუჯ. ბერიძე, კ. ჭიჭინაძე, ვ. ნოზაძე, ნ. ნათაძე); 2. მისტიკური ეთნონიმი მოლიდი აღდგენილია კონიექტურით (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე); 3. მწვანე ბალახი (ა. შანიძე); 4. ა) სასაწაულთმოქმედი, თილისმური ბალახი (ივ. გვიგენიშვილი); ბ) მაგიური ძალის მქონე ჯადოსნური მცენარე და ამ მცენარისაგან დამზადებული სასაწაულე ბრივი წამალი (ივ. ლოლაშვილი).

მკვლევართა დიდი უმეტესობისათვის მოლი წამოსასხამია ამოსავალი ასეთი გაგებისათვის. 'წამოსხა' ზმნის შედარებით გვიანდელი მნიშვნელობა ჩანს ('მოსხმა, მოხურვა') და, აგრეთვე, პოემის ტექსტი, რომლის მიხედვით მონა ტანნაბლიანია, შავია, „მართ ვითა ყორანი“ და გრძელთმიანია, ამიტომ ერთი განმარტებით მოსასხამი შავი ფერისაა (დ. ჩუბინაშვილი); უმრავლესობის აზრით კი, მოსასხამი მწვანეა (თ. ბაგრატიონი, იუსტ. აბულაძე, მ. უორდროპი, ს. კაკაბაძე), ალბათ, იმის გამო, რომ მოლი ქართულში მწვანე ბალახს აღნიშნავს. ვუჯ. ბერიძე და კ. ჭიჭინაძე უკეთეს გამოსავალს პოულობენ: მათი აზრით, მოლი თილისმური მოსასხამია, რომელსაც ბენუეულის ნაცვლად ასხმული ჰქონდა მწვანე ბალახი!

მოლის შინაარსობრივ ბუნდოვანებაზე პირველად გაამახვილა ყურადღება მ. უორდროპმა. მართალია, იგი მოლს წამოსასხამად მიიჩნევს (ეყრდნობა და იმოწმებს თ. ბაგრატიონს, დ. ჩუბინაშვილს, იუსტ. აბულაძეს), მაგრამ იქვე შენიშნავს: მოლი ქართულში მწვანე ბალახია, თან დასძენს: შდრ. ბერძნულ *moly*-სო.

მოლის ახლებური გააზრების ცდა მოცემულია ვუჯ. ბერიძის 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. ადრე მკვლევარი ფიქრობდა, მოლი „ვეფხისტყაოსანში“ მწვანე ფერის აღმნიშვნელიაო (6, გვ. 156), მაგრამ შემდეგ სხვა საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა: მოლი თავდაპირველად მცენარეა, რომელსაც ჯადოსნურ თვისებებს მიაწერენ, შემდეგ მოსასხამი ამ მოლისაგან გაკეთებული, მოლხაწნული; მოლის მფლობელთ ყოველგვარი დაბრკოლება შეეძლოთ უჩინრად გადაელახათ (7, გვ. 121). ავტორი მივიდა მართებულ დასკვნამდე, რომ მოლი ჯადოსნური მცენარეა, მაგრამ ვაყვია მოლის ტრადიციულ გაგებას და საბოლოოდ იგი მაინც მოსასხამად განმარტა.

პირველმა ა. შანიძემ უარყო მოლის 'წამოსასხამად' გაგება. ჩანს, ავტორმა გაითვალისწინა მ. უორდროპის შენიშვნა, აგრეთვე, ვუჯ. ბერიძის განმარტების ის ნაწილი, სადაც აღნიშნავს, მოლი თილისმური ბალახიაო, და 1957 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დართულ ლექსიკონში მოლი განმარტა, როგორც მწვანე ბალახი; განმარტებას კითხვის ნიშანი უზის, ეტყობა, მკვლევრისათვის მთლად სარწმუნო არ არის მისი მნიშვნელობა (8).

ივ. გვიგენიშვილი დაეყრდნო „ვეფხისტყაოსნის“ H 599 და W 27 ხელნაწერების წაკითხვას („მან გრძელმან მოლი რამე წამოსხვა ზედა ტანსა“), და, აგრეთვე, ხალხური „ამირანიანის“ ცნობილ მოტივს, რომლის მიხედვით ყამარმა მკვდარ ამირანს ბალახი წაუსვა და გააცოცხლა, და ივარაუდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მოლი, შესაძლებელია, ნიშნავდეს ისეთ ბალახს, რომელსაც საგრძნეულო მაგიური ფუნქციები აქვს დაკისრებული. მოლის ამგვარ გაგებას მხარს უჭერს შემდგომი კვლევა, რომელიც ჩატარებულია ივ. ლოლაშვი-

ლისა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ივ. ლოლაშვილმა დაასაბუთა „ვეფხისტყაოსნისა“ და „აბდულმესიას“ მოლის სემანტიკური იგივეობა ჰომეროსის „ოდისეაში“ დადასტურებულ მოლთან, რომელიც სასწაულთმოქმედი, თილისმური მცენარის აღმნიშვნელია (5, გვ. 148—149). ამავე თვალსაზრისს დამოუკიდებლად ავითარებს ს. ყაუხჩიშვილი (9, გვ. 9—10). რუსთველისეული მოლის ბერძნულთან მიმართებაზე პირველმა მიანიშნა მ. უორდროპმა.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო კოლეგიამ დატოვა ტრადიციული წაკითხვა („მოლი რამე წამოლისხა“), მოლი წამოსასხამად მიიჩნია.

პოემის ამ ადგილის გამართვასთან დაკავშირებით ორი საკითხი დგება: 1. როგორ ვაევიგოთ მოლის შინაარსი — მოსასხამია იგი, თუ ბალახი და 2. რომელი წაკითხვაა მართებული „მოლი რამე წამოლისხა“, თუ „მოლი რამე წამოისეა“?

ორივე საკითხი გაირკვევა, თუ დაზუსტდება მოლის სემანტიკა და აგრეთვე წამოსხმა ზმნისა. ნიშნავს კი ძველ ქართულში წამოსხმა მოხურვას?

შევეცადეთ მოლის ყველა ზემომოყვანილი განმარტება შეგვეჯერებინა სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების მონაცემებისათვის და, აგრეთვე, იმ უცხოენოვან მასალასთან, სადაც გვხვდება სიტყვა მოლი.

როგორც აღინიშნა, მოლი სპორადულია ძველ ტექსტებში. სულ ხუთიოჯე მაგალითი დაიძებნა. შედარებით ხშირია აღორძინების ხანის ძეგლებში. არსად, არცერთ მაგალითში, მოლს წამოსასხმის მნიშვნელობა არა აქვს. იგი ყველგან, უგამონაკლისოდ, აღნიშნავს ბალახს, ოღონდ სხვადასხვაგვარს. ქრონოლოგიურ მიმდევრობაში მოლის მნიშვნელობები ასე წარმოგვიდგება: ა) ჯადოქრული, თილისმური ბალახი, ბ) სამკურნალო ბალახი, გ) საერთოდ მწვანე ბალახი.

ა) სასწაულთმოქმედი, თილისმური ბალახის მნიშვნელობით მოლი სამ ძეგლში გამოვლინდა — „აბდულმესიაში“, ვეფხისტყაოსნისა და „შაჰ-ნამეში“.

საანტერესო ისტორია აქვს „აბდულმესიაში“ დადასტურებულ მოლს. მიუტედავად იმისა, რომ ხელნაწერები, ორიოდე გამოჩაყლისის გარდა, აჩვენებენ წაკითხვას მოლი, ყველა გამოცემული აღადგენდა მისტიკურ ეთნონიმს მოლიდს. პოემის ხელნაწერთა წაკითხვა (მოლი) კანონიერ უფლებებში აღადგინა ივ. ლოლაშვილმა; მასვე ეკუთვნის მისი მნიშვნელობის განმარტება (ჯადოქრული ბალახი) (5, გვ. 146—148).

„აბდულმესიას“ 79-ე სტროფში საუბარია გრძნეულ ანდიბან მოგვის ლეგედაზე, რომლის წინასწარმეტყველური მისნობა-თხრობანი გაბათილებულ იქნა „ურუმთა მოლის“, ე. ი. ბერძნული მოლის (μυδα), ჯადოქრული ბალახის, ზეშეგობით: „ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბორგმან, მისნობით კელყო ზაკვით ჭლაბრობა... თქვენიცა ქურუმთა, მყის აქ ურუმთა, მოლითა ცუდ-ყვეს ბონონთ მოთხრობა“ (5, 146—148).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ივ. ლოლაშვილს, მაგრამ ერთი შესწორებით: „აბდულმესიაში“ ბერძნული მოლის მნიშვნელობა იგულისხმება, ოღონდ მეტაფორული შინაარსით: გადატანით აღნიშნავს გრძნეულ, ჯადოქრულ ხელოვნებას; ქურუმებმა თავიანთი მოლივით სასწაულთმოქმედი ხელოვნებითა და ოსტატობით გაბათილეს კერპთ მონათხრობი.

მესამე ნაწარმოები, სადაც მოლი თილისმური ბალახის შინაარსით იხმარება, არის „შაპ-ნამე“ (ორი მაგალითი). ამბავი, სადაც მოლია ნახსენები, მთლიანად ფანტასტიკურია: ზღაპრული ფრინველი ფასკუნჯი აფრთხილებს ზაალს, გასაჭირი თუ დაგადგება, ჩემი ბუმბული დაწვი და მყისვე შენთან გავიხნდებით. ეს დროც მოვიდა: ზაალის მეუღლე როდამი სასიკვდილო სარეცელს გაეკრა. ზაალმა იხმო ფასკუნჯი — სიმურღი, რომელმაც ბრწყყალეზით მისცა ბალახი — მოლი, და ასწავლა წამლის დამზადების წესი: ბალახი დანაყე, გაახმე და ჭრილობას დააყარე (ეს ადგილი კარგად აჩვენებს, რომ წამალს ეძახიან სამკურნალო ბალახს და არა რაიმე შენამზადს. წინასწარ შევნიშნავთ, რომ ასევე ბალახი, ან მცენარეა ნავულისხმევი „ვეფხისტყაოსანში“ და არა რაიმე ჯადოქრული წამალი):

სიმურღმან მისცა იმედი: ნუ სჭმუნავ, გული გაყამე,
ჰანგითა მისცა ბალახი: დანაყე, ფიცხლავ გაახმე,
მარჯვენა ფერდი გულოვნად გაუბე, ბრალი დაკათმე,
გამოიყუანონ, შეჰკერე, აყარონ ეგე დაცადმე

მოლი მისცა და ასწავლა, ფასკუნჯი ეუბნებოდა...
როდამ ფიცხლა გამართულა... მოლმან მისმან მონათანმან.

შესაბამის სპარსულ ტექსტში ყველგან ბალახის აღმნიშვნელი სიტყვა (giah) არის ნახმარი.

აქვე შევნიშნავთ, „შაპ-ნამეს“ წიგნზე დართულ ლექსიკონში მოლი ომონიმურ სიტყვად არის მიჩნეული. მოლი 1—‘მოსასხამი’, მოლი 2—‘მწვანე ბალახი’. ტექსტზე დაკვირვებამ და შესაბამისი სპარსული მასალის გათვალისწინებამ გვიჩვენა, რომ ომონიმოვს ადგილი არა აქვს, ‘წამოსასხამის’ მნიშვნელობა გამორიცხებულია: დაღლილი როსტომი ცხენს საძოვრად გაუშვებს, თვითონ კი მოლზე მიწვება დასასვენებლად, ხატოვნად მოლს დიაგებს ლეიბად:

რამსა მისცა საძოვარი, მან დაიგო ქუე შე მოლი (სტრ. 1263).

რამსა მისცა საძოვარი, ხრმალ-კაპარკი ეღვა წინა,

მან დაიგო მოლი ქუე შე, არსად უჩნდა მტერი ვინა (სტრ. 1821).

უფრო სარწმუნოობისათვის შეადარე დ. გურამიშვილის შემდეგი ადგილები: „მოლი დამიგო, ცოლთან მაწინა“ (250,50,2). „მან გათიბა მოლი, მათი დასაწოლი მუნ ვანამზადა“ (219,207,3).

„შაპ-ნამეშივე“ გვხვდება კომპოზიტი „მოლ-ბალახი“, რომელიც ტოლად შერწყმულ სახელთა სემანტიკისა ჩანს — სინონიმური წყვილისაგან შედგება: „ცვარი წვიმა არ მოვიდა მოლ-ბალახსა არ აღბობდა“ (1955,2).

ბ). მოლი სამკურნალო მცენარეულის შინაარსით ნახმარია ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“, იქ, სადაც თვალის სნეულებასზეა საუბარი:

„თუალი ვის თიფრი იყოს ბუგრისაგან, ყარყანტისა სკინტლი და მოლი, ძაღლის ენა... ერთად მონაყენ, მხუარსა ახალსა შეჰკარ და წყლითა უწოთე“ (სამკ. 72,33).

გაცილებით აღრინდელ „წიგნი სააქიმოაში“ (XIII ს.) ორჯერ გვხვდება მოლი (სამკურნალო საშუალება) ისევე თვალთან მიმართებით, მაგრამ კონტექსტი ბუნდოვანია და აზრის გამოტანა ჭირს:

„თუალთა ტკივილი, რომელი სევდისაგან იყოს... ესე მანკი სევდისა სიფიცხისა და მორევისაგან იქნების, რომელ პირველ თვალისა ფარდაგთა შეიყაროს და მას ფარდაგსა მოლთა ჰამაჰ ჰქვიან...“ საჰა; „თუალი რომელი ცხად არს, აქიმნი ამა(?) მოლთა ჰამაჰ ჰქვიან“ (24,4).

გ). შედარებით გავრცელებული სემაა მოლი აღორძინების ხანის მწერლობაში და უგამონაკლისოდ აღნიშნავს მწევანე ბალახს:

იარებოდეს მანველებზედ, ვითა მწევანესა მოლებსა (არჩ., იამბ. ლექ. 30,1).
 გიჭობდა ცრემლითა მოლი მოგვრწყო (თეიმ. I, სამღ. 7,4).
 ყვაილნი და მწევანე მოლნი თავსა მიწით დანახობდა (თეიმ. I, 12,3).
 ეკლა ვსებენეთ ჩასაქოლები მოლები (იქვე, 1495,2).
 სცნით, მოლი ვითა დაღება (იქვე, 1634,3).
 ხე მსხოვიარე ყოვლითა ხილითა და მიწა მოლითა სავსე (რუს. 172,5).
 შეიქცის, დადის საღვინოდ, საღ ნახის მწევანე მოლისა (შე. შთ. 1036,2).
 იყო... წყლისპირი მწევანე მოლისა მანათობელი თვალისა (იქვე, 915,2).
 არც წყალი იყენეს სასმელნი, არცაღა მწევანე მოლია (იქვე, 1179,2).

მოლის მძიართა ნადირთა მკამელისაგან უღღესი ძლიერება ჰქონდეს, ესე ვით იქნების (საბა 11, 182,9).

სამოსელი და საქმელი მოლთაგან მოვლებინა (იქვე, 260,10).

თურე მწევანენი, მოლთ სავანენი, გუგასა ვასწმელს გასანათებლად (საბა 11ა, 266,30).
 ათასის კირითა თუცა ეკალი რამე ანუ მოლთაძირი ძვილ ვიშოო (იქვე, 425,2).

გამოვიდა დოლი, გაიზარდა მოლი, ხეთა ფითოლი (გურ. 185,38,4).
 მან გათობა მოლი, მათი დასაწოლი მუნ განამზადა (იქვე, 219,207,3).
 მოლი დამიგო ცოლთან მაწეინა (იქვე, 250,50,2).

საბა და ნ. ჩუბინაშვილი მოლს განმარტავენ როგორც: ახალ ბალახს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში მოლი ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახია: ცხენები ახლად ამოყრილი მოლისაკენ იწევენენ (ქგლ). ის უბრძანებდა... მწევანე მოლზედა სუფრის გაფენას. წერეთ. 328,12. გავრცელებულია ნაწარმოები სახელები მოლისფერი (რაც ფერით მოლს მოგვაგონებს) და მოლიანი (მოლით დაფარული, მოლით შემოსილი (ქგლ). საინტერესოა ამ სიტყვის დიალექტური ფორმა მოლიარი (ნაყანები, მოლიანი) (ცილოთქმ). აჭარულში მოლ ფუძიდან ნაწარმოები ზმნის საინტერესო ფორმა გვხვდება: მოლამს (იწვევება და ამოდის): „იმფერი სიმინდი მოლამს ახო ყანაში, რომ ორ წელიწადს გვეყოფა წრეიანდელი მოსავალი“ (აჭარ.). საგულისხმო სიტყვა მოლლაბაშ ცახ არის ინგოლოურ ლექსიკონში. შემდგენლის ნ. როსტიაშვილის განმარტებით, მოლლაბაშ ცახ არის დატოტეილი მცენარე, იკეთება ფორმით მოლას ქუდის მსგავს ყვითელი ფერის ყვავილს, გამოსხმული აქვს თხილისოდენა კვირტები. მოლლაბაშში ხომ არ გამოიყოფა მოლ ფუძე. აღწერილობით ეს მცენარე მოგვაგონებს უცხო ავტორთა ერთი ნაწილის მიერ ბერძნული „მოლით“ აღნიშნული მცენარის თვისებებს. მასაც ყვითელი ფერის ყვავილი აქვს, ბოლქვებიანია.

გარეკახურში მოლი სამკურნალო ბალახის მნიშვნელობითაც არის გავრცელებული. პატარძელულმა მწერალმა ქალმა ელისო ბილანიშვილმა გვითხრა: ყველა სამკურნალო ბალახს ერთად აღებულს (გარდა ძალღუფრძენასი) მოლს უწოდებდა დიდდაჩემი; მეტყობა ხოლმე: „წადი, შვილო, მოლი მომიტანე, წამალი უნდა შევემზადო ნატუსასო“. რაჭულში გვაქვს კომპოზიტი მოლიცოცხა გარკვეული ჯიშის მცენარეულის აღსანიშნავად¹⁶.

ქართულურ ენათაგან მოლი დასტურდება სვანურში (ბალსქემოური),

მე-1 ფორმით, რომელიც იგივე ნაუმლაუტარი მოლია. იგი მწვანე ბალახის ზოგადი სახელია. გარდა ამისა, ნაკაფის, ახოს შინაარსი აქვს წინავითარების სახელს ნამოლს (მასალა მოგვაწოდა უ. ცინდელიანმა).

ამგვარად, წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ქართულში მოლი ზოგადად მცენარეულის, ბალახეულის აღმნიშვნელი სახელია; აქვს სამკურნალო და სასწაულთმოქმედი ბალახის შინაარსი. ასევე მცენარეულის, ბალახეულის აღმნიშვნელია ეს სიტყვა ბერძნულსა და სომხურში.

ბერძნულში, ჰომეროსიდან მოცილებული, სულ ხუთიოდე მაგალითით ამოიწურება მძაჟ სიტყვის ხმარება (თეოფრასტე, დიოსკორიდე, ევსტათი თეოსალონიკელი, XII საუკუნეში შედგენილი ე. წ. ეტიმოლოგიური ლექსიკონი) (9, გვ. 5—7; 10, გვ. 35).

ჰომეროსთან ეს სიტყვა ერთხელ გვხვდება („ოდისეას“ მეათე სიმღერა) მძაჟ ფორმით და აღნიშნავს მითიურ მცენარეს, რომელსაც ჯადოქრული ძალა აქვს. განმარტებას თვითონ ჰომეროსი იძლევა: ქალღმერთ კირკესთან მიმავალ ოდისეეს, გზაზე მისანი პერმესი შემოეყარა და ამცნო: „ქალღმერთი ჯადო საწამლავით ჰამადს შეგიმზადებს, მაგრამ ვერ გაგჩიბავს, რაკი ჩემი წამალი თან გექნება... ეს მითხრა, მიწიდან რალაც ბალახი ამოძირკვა არგოსის მკვლელმა და მისი ნიშნაც ამისნა: ფესვი შავი ჰქონდა ამ ბალახს, ყვავილი კი რძისფერი. ამ ბალახს მოლს უწოდებენ ნეტარი ღმერთები, მათ გარდა არავის ძალუძს მიწიდან მისი ფესვებითურთ ამოგლეჯა (11, გვ. 218).

ჰომეროსის ლეგენდას მოლის თაობაზე გამოძახილი აქვს ძველ ბერძნულ ლიტერატურაში; დანარჩენი ოთხიოდე მაგალითი მძაჟას ხმარებისა ბერძნულ წყაროებში ჰომეროსის „ოდისეას“ ეყრდნობა: ან განმარტავენ და მსჯელობენ მასზე, ან კიდევ პერიფრაზია პოემის ამ ადგილისა.

ივიათია ეს სიტყვა სომხურშიც. პ. აჰარიანი შენიშნავს: *ძი* იგივე *ძი* ფუძეა, რომელიც სალიტერატურო ენაში მე-18 საუკუნეში შემოდის. უფრო ძველ წყაროებში არა ჩანს, მაგრამ შენახულია კილოებში. ძირითადი მნიშვნელობაა გამოკვირტული, ახლადამწვანებულა. მიაჩნია ძირეულ სომხურ სიტყვად, იმოწმებს ქართულ მოლს.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს სიტყვა ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართულში. დანარჩენ ენებში ამ სიტყვის იშვიათი ხმარება (განსაკუთრებით ბერძნულში) გარკვეულ მნიშვნელობას იძენს 'მოლ' ფუძის წარმომავლობის ძიებისას.

იმისათვის, რომ გაირკვეს ქართული მოლის თავდაპირველი, ძირეული სემანტიკა და სხვა მნიშვნელობები, საჭიროა დადგინდეს მისი მიმართება უცხოენოვან მოლ-თან.

ივ. ლოლაშვილის აზრით, ქართულში უნდა გაიჩინოს, ერთი მხრივ, უცხო წარმომავლობის მოლი, ბერძნული მძაჟას შესატყვისი, და, მეორე მხრივ, მწვანე ბალახის აღმნიშვნელი ქართული მოლი; „აბდულმესიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მოლი ხმოვანფუძიანი სახელია, მოლი ახალი ბალახის მნიშვნელობით კი, თანხმოვანფუძიანი, და მათი აღრევა არ შეიძლება (7, 147). ამ მოსაზრების გაზიარება ჭირს, ვერ ერთი, მათი სემანტიკის გამო (ქართულსა და ბერძნულში მოლი ბალახის, მცენარის აღმნიშვნელია) და, მეორე, რუსთველისეული მოლი ხმოვანფუძიანი სახელი არ არის. ფორმისათვის შდრ.: „მოლმან მისმან მონატანმან“ (შაჰნ.).

ს. ყაუხჩიშვილი სავსებით მართებულად მიუთითებს: „მაჰა შეიძლება დაკავშირებული იყოს ქართულ სიტყვასთან „მოლი“ (ბალახის მნიშვნელობით)“ (9, გვ. 9).

ჩვენი ვარაუდით, ქართული და უცხოენოვანი მოლი ფუძეების იგივეობა უდავო ფაქტია. ამაზე მეტყველებს მათი შინაარსობრივი იდენტურობა. სხვა საკითხია, რა წარმომავლობისაა თვითონ მოლი ფუძე.

უცხოელი სპეციალისტებისათვის არ არის ცნობილი ქართული მოლი და მისი მნიშვნელობები. ბერძნული μαλαს ეტიმოლოგია კი მათთვის ცხარე კამათის საგანია: ცდილობენ გაარკვიონ, რეალურად, მითიური სამოსლის გარეშე, რომელ მცენარეს აღნიშნავს ბერძნ. μαλα.

რომაელი მეცნიერი პლინიუს დიდი თავის „ბუნების ისტორიაში“ გვიამბობს: „ღმერთების მიერ შერქმეული დიდად ცნობილი მცენარე მოლი... დღესაც იზრდება არკადიის მთების ფერდობებზე. მას აქვს დაგრენილი შავი ფესვები, ბრტყელი და მოგრძო ფოთლები და ყვითელი ყვავილი. მისი ამოკლევა მიწიდან ძალიან ძნელია. ერთმა მცენარეთმცოდნემ მითხრა მოლი იტალიაშიც ხარობსო. მან მომიტანა ამ მცენარის მთელი გროვა, ისინი ქვიან ყამირში დაგლიჯა, თითოეული მათგანის სიგრძე უფესვებოდ 30 ფუტი იქნებოდაო“ (13, გვ. 377).

მოლი, როგორც მცენარე, შეისწავლა ბოტანიკოსმა თეოფრასტემ თავის „ბუნების ისტორიაში“ (5, გვ. 147).

3. კრეჩმერის, ე. პაპეს, პ. ფრისკის, ე. ბუაჯაკის, პ. შანტრენის ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ერთხმად აღიარებულია ამ სიტყვის არა-ბერძნული წარმომავლობა (12). ბერძნულ ნიადაგზე ვერ იხსნება სიტყვის შინაარსი და სადაურობა. ავტორთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ამოუცნობია (პ. შანტრენი, პ. ფრისკი).

მე-12 საუკუნის ბერძენი ავტორი ევსტათი თესალონიკელი ვრცლად მსჯელობს ამ სიტყვაზე, და მიუთითებს, რომ ღმერთები მას ეძახიან μαλαს-ს, ხოლო აღმიაწებისათვის ეს არც ცნობილია და არც სახელი იციან (9, გვ. 5). ერთგან იგი გადმოგვცემს ალექსანდრე პაფიელის მონათხრობს, რომელშიც არის ცდა სიტყვის წარმომავლობის ძიებისა: ფუძე დაკავშირებულია სიტყვასთან μαλας, რომელიც ნიშნავს „ბრძოლას“, „ომს“. ერთმა გიგანტთაგანმა დაიკავა კირკეს კუნძული და ცდილობდა, კირკე იქიდან გაეგდო. ჰელიოსი (კირკეს მამა) გამოეწომაგა ქალიშვილს, მოკლა გიგანტი, რომლის სისხლი მიწაზე რომ დაიდგარა, აღმოცენდა ბალახი, რომელსაც ეწოდა μαλαს μαλαს-ის (= ბრძოლას) გამო, რომელშიც ეს გიგანტი დაეცა. მას რძისფერი ყვავილი აქვს, თეთრი, ჰელიოსის გამო, ხოლო ძირი შავი — გიგანტის შავი სისხლის გამო, ანუ კირკეს გამო, რომელიც შიშისაგან გაფითრდა (9, გვ. 6). მაჰას-ს ვარიანტად μαλας და μαλαს არის დასახელებული ლიკოფრონთან, მოყვანილი აქვს ეს ფორმები სტეფანიუსს თავისი ბერძნული ენის ლექსიკონში (9, გვ. 7).

ბევრი ლექსიკოგრაფი ამ სიტყვის განმარტებისას ემყარება XII საუკუნეში შედგენილ ე. წ. ბერძნულის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს, რომელიც ასე განმარტავს მოლს: ერთგვარი ბალახია, რომელიც ოდისევსმა მისცა თავის ამხანაგებს და აღადგინა ეს აღმიაწები, რომლებიც კირკემ გადასახეაფერა. წარმოებულია სიტყვისაგან μαλασειν (ე. ი. „მოთოკვა“ „შეჩერება“ გამხრწნე-

ლი აზრებისა). *μαλαχίη* ნიშნავს „შესუსტებას“, „დაბრკოლებას“ (9, გვ. 8).

ჰომეოსის მიხედვით, ამ მცენარეს რძისფერი ყვავილები აქვს და შავი ფესვები. რაკი ბოლქვებიანია, ფიჭრობენ, რომ ის ნივრის ჯიშის მცენარეა. ამ ვარაუდს აძლიერებს ის, რომ ბერძნულში *μαλαχία* და *μαλαχ* ნივრის განსხვავებულ სახეობათა სახელებია. ამიტომ მკვლევარები (თეოდრასტი, დიოსკორიდე, პ. შანტრენი, ემ. ბუზაკი, პ. ფრისკი (14)) ვარაუდობენ, რომ *μαλα* შავი ნიორია, ლათ. *Allium nigrum*.

პირველმა პ. კრეჩერმა სცადა ბერძნ. *μαλα* სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა (12): შინაარსობრივი თვალსაზრისით და, აგრეთვე, სანსკრიტისა და ბერძნულის ბევრათმესატყვისობის საფუძველზე, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა მომდინარეობს სანსკ. *ἡ ἰλ-α-მი* სიტყვიდან, რაც ნიშნავს ფე ს ვ ს. მაგიური მ ო ლ ი ს აღწერილობისას განსაკუთრებულად აღინიშნება მისი ფესვების სიმძლიერე. ამავე დროს პ. კრეჩმერს სანსკრეტულში დაძებნილი აქვს კიდევ ასეთი შესიტყვება *mūla-carma*, რომელსაც ძალზე საგულისხმო შინაარსი აქვს: 'მოჯადოება ფესვების საშუალებით' (პ. კრეჩმერის ეტიმოლოგია მოჰყავთ თავიანთ ლექსიკონებში ემ. ბუზაკს, პ. ფრისკს, პ. შანტრენს). ამ უკანასკნელის ცნობით ერთ-ერთი მკვლევარი *Cocco* *μαλα*-ს რთავს ხმელთაშუაზღვის არეალში გავრცელებულ მსგავსი სემანტიკის სიტყვათა სერიას; ბერძნ. *μαλα*, *μαλαχία* *μαλαχία*, *μαλμα*, ლათ. *malva*, სანსკრ. *mūlam*, სემიტ. *mallūah*. ეს უკანასკნელი დოკუმენტურად დასტურდება იობის წიგნში და აღნიშნავს მოლოქს, ბალახს (14).

მოლ სიტყვის გენეზისის საკითხს ჩვენ ერთხელ კიდევ დავებრუნდებით, რადგან *Cocco*-ს მიერ მოლოქის, ბალახს, დაკავშირებამ *mallūah* ფუძესთან, გენიბედა შემდგომში კვლევა ვაწარმოოთ ასეთი მიმართებებით: სემიტ. *mallūah*, სანსკრ. *mūlam*, ბერძნ. *μαλα*, *μαλαχία*, *μαλμα*, ლათ. *malva* და ქართულის მოლი, ბალბა, მოლოქი, ბოლოკი, ბალახი.

ს. ყაუხჩიშვილს დამაჯერებლად არ ეჩვენება *μαλα*-ს სანსკრ. *mūlam*-თან დაკავშირება, რაკი ბერძენი ავტორები აღიარებენ, ბერძნულისათვის უცხოა და გაუგებარიაო. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, გაუგებარია იმიტომ, რომ ბერძნული სიტყვა არ არის. მას მიაჩნია, რომ ეს არის ნასესხობა ქართულიდან. საგულისხმოა, მკვლევრის თვალსაზრისით, ისიც, რომ „ჰომეოსი ამ სიტყვას ხმარობს კირკეს ეპიზოდში, იმ კირკესი, რომელიც თვითონაც ქართული სამყაროს პერსონაჟია. იგი არის კოლხეთის მეფის აიეტის და, მედეას მამიდა (16, გვ. 9).

ძველ ბერძნულ წყაროებში არის ცდა. *μαλα* ბერძნული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნინონ. ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ აღუქსანდრე პაფიელი მას მიიჩნევს *μαλα* სიტყვიდან მომდინარედ, რაც ნიშნავს „ბრძოლას“. გოლიათის სისხლი, რომელზედაც შემდეგ ამოვიდა ეს ჭადონსური ბალახი, ბრძოლაში დაიღვარა, ამიტომ ამ ბალახს *μαλα* ეწოდა (9, გვ. 6).

μαλα ფორმის ვარიანტად *μαλα*, *μαλα*, სიტყვები დასახელებულია ლიკოფრონთან (9, გვ. 7). XII საუკუნის ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, რომელსაც ბევრი ლექსიკოგრაფი ეყრდნობა, *μαλα* ფუძე დაკავშირებულია *μαλα*-ს, *μαλα*-ს-ს ზმნებთან ('ვასუსტებ', 'ძალას ვაცლი') (9, გვ. 8). პ. ფრისკი

მახა: სიტყვას (დასტურებული, ძალაგამოცლილი) ასე შლის: $\mu\alpha\chi\alpha-\alpha\iota$ ($\alpha\chi\sigma\iota\alpha$); უკავშირებს $\mu\alpha\chi\alpha-\alpha\iota$, $\mu\alpha\chi\alpha-\alpha\iota$ ზმნებს. სავსებით ბუნებრივია ამგვარი სემანტიკური გადასვლა: $\mu\alpha\chi\alpha$ -ით აღნიშნული მცენარე თავისი მაგიური თვისებების გამო ხომ უღონოს ხდის. ძალას აცლის და ასუსტებს ადამიანს.

3. ფრისკი და სხვა აეტორები $\mu\alpha\chi\alpha$ ძირს გამოყოფენ $\mu\alpha\chi\alpha\alpha$ ფორმაში ('ნივრის სახეობა') (გვ. 2861); ჩვენ დავეუმატებოთ კიდევ ერთ სიტყვას $\mu\alpha\chi\alpha\psi$ (დალურჭებული, 'ლიბრი', 'ჭრილობა').

მოლ ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვათა თვალსაზრისით, საინტერესოა სომხურის მონაცემები. 3. აჰარიანი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გამოყოფს ორ ომონიმურ ფუძეს (14): $\mu\alpha\chi^1$, რომელიც აღნიშნავს ხის რტოს, დიალექტებში აქვს მნიშვნელობები: გამოკვირებული, ახლადამწვანებული, თუთის მწვანე ფოთოლი და $\mu\alpha\chi^2$, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოსდა სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვს: 'შლეგი', 'მძვინვარე'; $\mu\alpha\chi^2$ ფუძე სომხურში ცალკე არ გვხვდება, დასტურდება ნაწარმოებ სიტყვებში, რომლებიც, ჩვენი აზრით, შინაარსობრივად ძალზე ახლოს დგანან $\mu\alpha\chi$ სიტყვასთან. დავასახელებთ ზოგიერთ იმ სიტყვას, რომელსაც 3. აჰარიანი იმორწმუნებს: $\mu\alpha\chi\alpha\psi\alpha\chi\eta$ ('წყლის შხამიანი ბალახი'); $\mu\alpha\chi\alpha\psi\alpha\psi$ ('წვრილი ველური მცენარე, ბალახი'), $\mu\alpha\chi\alpha\psi\alpha\psi\alpha\chi$ (ველური ლეღვი). ვფიქრობთ, გადატანით ამავე ფუძის შინაარსია ნაგულისხმევი სიტყვებში: $\mu\alpha\chi\alpha\psi$ (მღელვარე, ცოფიანი); $\mu\alpha\chi\alpha\psi\alpha$ (ცნებათაღელვა); $\mu\alpha\chi\alpha\psi\alpha\chi$ (შფოთიანი, მძვინვარე); $\mu\alpha\chi\alpha\psi$ (უგუნრობა).

ამგვარად, წარმოდგენილი უცხოენოვანი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ $\mu\alpha\chi$ ფუძე ბერძნულსა და სომხურში, ისევე როგორც ქართულში, აღნიშნავს მხოლოდ ბალახს, მცენარეულს. ამ ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვათა უმრავლესობაც სამივე ენაში ველური ჯიშის სხვადასხვა ბალახსა და მცენარეზე მიუთითებს, რაც აშკარად ამტკიცებს ქართული და უცხოენოვანი მოლის საერთო წარმომავლობას. ვფიქრობთ, აქ შემთხვევითობა გამორიცხებულია. რომელი ენის კუთვნილებაა, სადაური წარმოშობისა ეს ფუძე ამის დადასტურებით თქმა ძნელია. ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნული მოლი სანსკრიტულ $m\tilde{u}l-a-m$ -იდან მომდინარედ მიაჩნიათ. ერთი მეტად საყურადღებო თვალსაზრისით იგი სემიტურ $mal-l\tilde{u}ah$ -თან (ბალბა, მოლოქი) არის დაკავშირებული.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოლი ხმელთაშუაზღვის არეალში წარმოშობილი ძირია (სემიტური, ან სანსკრიტული). აქედან დამკვიდრებულია ბერძნულში, ქართულში, სომხურში.

მაშასადამე, მოლი ფუძის ისტორიის შესწავლით ნათელი გახდა, რომ ამ სიტყვას წამოსასხამის, ნაბდის მნიშვნელობა არა აქვს არც ქართულსა და არც სხვა ენებში. სადაც კი დასტურდება ეს სიტყვა, მისი ზოგადი შინაარსია ბალახეულზე, მცენარეულზე მიითება. ვფიქრობთ, არც „ფეხისტყაოსანში“ აქვს მოლს მოსასხამის მნიშვნელობა. მართებულია ივ. გიგინეიშვილისა და ივ. ლოლაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით რუსთველისეული მოლი მაგიური ფუნქციებით აღჭურვილი ბალახია. თუმცა ივ. ლოლაშვილი იმასაც ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მოლი მაგიური მცენარის ფესვებიდან გამონაყოფი

წვენიაც შეიძლება ნიშნავდესო. არც ბერძნულ წყაროებში, არც სხვა ლიტერატურაში და არც ქართულ მასალაში ამ ვარაუდის სასარგებლოდ (მოლი რომ მცენარის წვენიდან დამზადებული წამალი) არაფერი მოიპოვება. ამას ემატება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ზღაპრისა და მითოსის ცნობილი მოტივია თილისმური ბალახის წასმით გარკვეული მეტამორფოზები, მაგიური ზემოქმედებანი, გაიხსენით თუნდაც აპულეუსის „ოქროს ვირი“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, მართებული არ უნდა იყოს წაითხვა „მოლი რამე წამოისხა“, რა შინაარსიც არ უნდა ვიგულებთ პოლისემანტურ წამოსხმაში (მოხურვა, მოსხმა, პურება, სხურება), რადგან ბალახის არც წამოსხმა და არც სხურება არ შეიძლება. სავარაუდოა, სწორედ მართებული წაითხვა შემოინახეს H 599 და W 27 ხელნაწერებმა, რომელიც აღადგინეს თავიანთ გამოცემებში პ. ინგოროყვამ, ა. შანიძემ და ალ. ბარამიძემ: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“, სადაც „წამოსმა“ წასმის, წაცხების შინაარსისაა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება ჰომა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 105: „მწვანე ღარბსავით გრძნელთა წამოსასხამი, შელოცვილი... მწვანე წამოსასხამი ნაბადივით“. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1840, გვ. 320. „შავი წამოსასხამი, пашу“. იუსტ. აბულაძე, XII საუკუნის ქართული საერთო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, თბ., 1022, გვ. 79; შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ. 366; „მწვანე წამოსასხამი, ნაბადივით“. პ. მირიანაშვილი, ძველი და ახალი ქართული შაირბა, წ. 1, ტფ., 1915, გვ. 139; მოლი „წამოსასხამია“. The man in the panther's skin a romantic epic by Shotha Roust'haveli, oriental Translation Fund new series vol. XXI. A close rendering from the Georgian attempted by Marjory Wardrop. London, 1912, გვ. 181: „მოკლე შავი წამოსასხამი“. განმარტებასთან დაკავშირებით მ. უორდროპი საგულისხმო შენიშვნებს აეთხვას: მოლი კიდევ ნიშნავს ნორჩ ბალახს ამ თვალსაზრისით შდრ. ბერძნ. *moio* ფორმას. იმერულში გავრცელებული მნიშვნელობა სწორად „ჩანაღმოსული ბალახია“; მოლის ამავე მნიშვნელობას იძლევა ნ. კაკაბაძე: შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1927, გვ. 199; შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის რედაქციით, თბ., 1920, გვ. 293; ნაბადი, წამოსასხამი; ამავე განმარტებას იძლევა ვ. ნოზაძე: ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის განმარტება, ფერთამეტყველება, ბუენოს-აირსი, 1953, გვ. 77; ე. ჭიჭინაძე, შ. რუსთაველი თუ სარგის თმოგველი? თსუ, 1936, გვ. 191: „ნაბდისმაგვარი თილისმური მოსასხამი, რომელსაც ბეწვეულის მსგავსად ასმული ჰქონდა მწვანე ბალახი“. ვუკ. ბერიძე, 1936 წელს აღნიშნავდა, რომ მოლი აქ მწვანე ფერის აღმნიშვნელია, როგორც გიორგი შვიის (თსუ შრ., III, 1936, გვ. 156). 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (თსუ შრ., № 67, გვ. 121) ახალი მოსაზრება გამოთქვა: მოლი თავდაპირველად მცენარეა, რომელსაც ჯადოსნურ თვისებებს მიაწერენ, შემდეგ მოსასხამი ან მოლისგან გაკეთებული, მოღაწუნული, მოლის მღვობილი, ყოველგვარი დამოკლება შეეძლოთ უჩინრად გადაეღახათ; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, ტელნაწ., გვ. 367; მოლი მოსასხამი, შდრ. არაბ. *muṣṣu*. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარები დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1976, გვ. 406; მოლი — მოსასხამი.

2. მ. ჭანაშვილი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი (მთაბე, 1904, № 4, გვ. 66—67); თამარ მეფის მეგობრები („ტრიბუნა“, 1923, № 464); იოანე შავთელი, აბდულ-მესიანი, 1916, გვ. 72; 1920, გვ. 53; „მოლი არის მოლიდი—მულიდი; წვერი XII საუკუნეში არსებული მწვალუბლობისა... რომლის მიმდევარი იქცეოდნენ გრძნეულბივით. კაკაბაძე ასევე ფიქრობს, რომ „მოლი“ არ შეიძლება წამოსასხამს ნიშნავდეს... თავდაპირველ ტექსტში იყო არა მოლი, არამედ მოლიდ ფორმა, შეკვეცილი ფორმა მოთხ-

რობითი ქვემდებარისა: „მან გრძნელმან მოლიდ რამე წამოსხა ზედა ტანსა, ე. ი. გრძნელმან მოლიდმა რალად წამოსხა“: „მნათობი“, 1931, № 7—8, გვ. 165—166.

3. ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დართული ლექსიკონი: შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970.

4. ივ. გვიგენიშვილის მოსაზრება გამოქვეყნებული არ არის, ვიოწმებთ ივ. ლოლაშვილის წერილიდან: ჰომეროსი, შვეთელი, რუსთაველი, „მნათობი“, 1960, № 2, გვ. 145.

5. ივ. ლოლაშვილი, ჰომეროსი, შვეთელი, რუსთაველი, „მნათობი“, თბ., 1960, № 2, გვ. 147—148, 149: „მავეტერი ძალის მქონე ჯადოსნური მცენარე და ამ მცენარისაგან დამზადებული წამალი“.

6. ვუკ. ბერიძე, თსუ შრ., III, 1936, გვ. 156: მოლი მწვანე ფერის აღმნიშვნელია.

7. ვუკ. ბერიძე, თსუ შრ., № 67, 1957, გვ. 121.

8. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1957, ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ.

9. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. 8, თბ., 1970.

10. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 35.

11. ჰომეროსი, ოდისეა, თარგმნეს ძველი ბერძნულიდან ზ. კიკნაძემ და თ. ჩხენკელმა, თბ., 1976.

12. Dr. W. Pape, Griechisch—Deutsches Handwörterbuch. Bd. 2, 1914; Griechisches Etymologisches Wörterbuch von H. Frisk, Heidelberg, Lieferung 13, 1963; Emile Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue Grecque, Heidelberg, 1950; Pierre Chantraine, Dictionnaire Etymologique de la langue Grecque, Histoire des mots—Paris, vol. III, 1974. კრჩმერის აზრი, აქაც და სხვაგანაც, მოგვყავს დასახელებული ლექსიკონების მიხედვით.

13. Plinius Naturgeschichte. Übersetzt von Johann daniel Denso, Bd. 2, Rostock, und Greiwald, 1765, გვ. 377. ბერძნ. *μαλγ* სიტყვის შესახებ ვრცელი მსჯელობა იხ. *წიგნში: Paulys-Wissowa, Real Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, Stuttgart, 1933, Halbband 31, გვ. 29—33.*

14. Гр. Ачарян. Этимологический коренной словарь армянского языка, т. 3, Ереван, 1977 (на армян. языке).

შემოკლებები

აქარ: ქართული ენის აპარული დიალექტი, შემდგენელი ე. ნიჭიარაძე, 1965.

არჩ. I, არჩ. II: არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. ტ. 1, 1936; ტ. 2, 1937.

გურა: დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.

თანა: სულხან თანიაშვილი, ამირან-დარეჯანიანი, გ. ჯაყობის რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1941.

თეიმ. I: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი აღ. ბარამიძის და გ. ჯაყობის რედაქციით, ტფილისი, 1934.

ინგ: ნათელა როსტეაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

კილოთქმ: ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა აღ. ლლოტმა, თბ., 1984.

საბა II₁: სულხან-საბა ორბელიანი, ქილილა და დამანა, თხზულებანი. აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.

საბა II₂: — იხ. საბა II₁.

ქგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5, თბ., 1958.

მ. შთ., ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, პროფ. კ. ქავთაძის რედაქციით, გამოკვეთით და ლექსიკონით, თბ., 1930.

წერეთ.: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, თბ., 1956.

Т. К. ЦИТИШВИЛИ

ЛЕКСИКОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

I

molí

Резюме

В статье прослеживается история слова molí, которое известно в грузинском и сванском (mél<uvel<mól<molí), а также в древнегреческом (μόλι) и армянском (մոլ/մոց) языках.

Сопоставительный анализ установленных нами грузинских и иноязычных эквивалентов показывает, что во всех случаях, без исключения, исходным для этого слова является значение «трава, растение».

Считается дискуссионным значение «molí» в «Витязе в тигровой шкуре». Однако, судя по тексту поэмы, словом molí, несомненно, обозначается нечто магическое, имеющее волшебную силу. Большая часть руствелологов понимает под molí накидку, покрывало, другие усматривают здесь траву, или настой травы.

Семантический анализ основы mol и производных форм дает возможность определить истинное значение этого слова у Руставели (волшебная трава) и, следовательно, убеждает в необходимости восстановить прочтении строки molí gape çamoisva zeda tansa (натер тело моли).

П. Кречмер увязывает греч. слово μόλι (волшебное растение) с санскр. mīla-m (корень). В грузинский язык слово molí вошло, должно быть, из греческого, хотя не исключена и обратная возможность (С. Каухчишвили), поскольку в грузинском литературном языке (с XII века) и в живых диалектах слово molí распространено в значениях: а) волшебная трава, б) лечебная трава, в) молодая трава.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამუშავნი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ციციშვილმა

გულნარა ნინუა, ზურაბ სარჯველიძე

უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში

1930 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია“ ა. შანიძე წერდა: „უნახავი ჯგუფის ფორმები გვიჩვენებს, რომ ამბავი მომხდარა ისე, რომ მთქმელი იმ დროს იქ არ ყოფილა, ანდა, თუ ყოფილა და ამბავს დასწრებია, ცნობიერება მაინც არა ჰქონია, ვთქვათ, სძინებია, ძალზე მთვრალი ან გაშტერებული ყოფილა, ან არადა, სულაც არ ყოფილა და ამბავი ან სხვისგან აქვს გაგონილი, ან კიდევ შედეგს ხედავს და მის მიხედვით მსჯელობს“ ([1], გვ. 123). ა. შანიძის აზრით, უნახავ მოქმედებას გამოხატავს პირველი თურმეობითი და მეორე თურმეობითი ([1], გვ. 124). შემდგომში ა. შანიძემ გამოყო უნახავი აქტის კატეგორია ([2], გვ. 216); ([3], გვ. 169); ([4], გვ. 127, 128; 135—136).

უნახაობის გამოხატვა, ა. შანიძის თვალსაზრისით, შეუძლია როგორც თანამედროვე ქართულის ზმნას, ასევე ძველ ქართულსაც ([5], გვ. 68, 70), მაგრამ იგი არ იმოწმებს ნიშნებს ძველი ქართულიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებაც: სადავოდ არის მიჩნეული, არის თუ არა აქტი კატეგორია ([6], გვ. 100—101). ამას გარდა, ვარაუდობენ, რომ ძველ ქართულში თურმეობითს არ აქვს უნახაობის გამოხატვის უნარი ([7], გვ. 14, 17; [8], გვ. 11; [9], გვ. 183, [10], გვ. 237 და სხვ.).

როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძველ ქართულ ძეგლებში არის ისეთი მაგალითები, როცა I ან II თურმეობითის ფორმა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც მოუბარი არ დასწრებია. ამდენად, ზმნის ფორმა ატარებს უნახაობის აქტის ნიუანსს. დაეიმოწმოსთ რამდენიმე ნიმუში.

I თურმეობითი. სპარსეთიდან მობრუნებულ ვარსკენ პიტიახშთან მივიდა ეინმე სპარსი და შუშანიკის სახლიდან წასვლის შესახებ დაუწყო საუბარი. სპარსი შუშანიკის სასახლიდან წასვლას არ დასწრებია: „და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსკენ პიტიახში და უთხრა სპარსმან მან ფარულად და პრქუა: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან“, „შუშანიკის წამება“ (აგიოგრ. ძეგლ., I, 14, 20—21).

შუშანიკის სასახლიდან წასვლას, ცხადია, ვარსკენიც არ დასწრებია: „მამინლა იწყო სიტყუად და თქუა [ვარსკენ]: „რაასა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევეთარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: „შენ ჩემი ხატი დაამკუ და საეგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევიბეს და სხუად წარსრულ ხარ“ (იქვე, 15, 1—3).

შუშანიკი სიკვდილის წინ მოინახულა ჯოჯიკმა, „და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდა შუშანიკ სიკუ-

დილდ, წარვიდა და თანაწარიყვანა ცოლი და შვილი“ (იქვე; 26,4).

აბო გაქრისტიანდა, მისი მონათელის პროცესს, ცხადია, არაბები არ დასწრებთან. „მსაჯული ამირაა შემოსრულ იყო ქალაქსა ტვილისს და პრქტეს მას: არს ქალაქსა ამას შინა ქაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდოდ და ცხორებულ შჭულითა მით, რომელი მომცა ჩუნ მამქედ მოციქულმან ჩუნემან, და აწ დაუტევებიეს შჭული ესე ჩუენი და იტყეს თავსა თუსსა ქრისტიანელ“, „აბოს წამება“ (ავიოგრ. ძეგლ. I, 64,5).

გრიგოლ ხანძთელმა, რომელსაც ჯერ არ ენახა ქრისტიფორე და თეოდორე, მაგრამ იცოდა, რომ იმერეთის სამეფო კარზე იყენენ მისული, ასე მიმართა მეფე დიმიტრის: „მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო, მოწვენულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (ავიოგრ. ძეგლ., I, 268,6—8).

აშკარად ჩანს, რომ უნახაობის ნიუანსია გადმოცემული I თურმეობითთ შემდეგ კონტექსტში: „რამეთუ ვითარ-იგი პირველ სიჭაბუკესა იყო სანატრული მატოი ჰასაკოვან და შეენიერ, უმეტესად აწ ვიხილე შემკობილი დიდებითა, შემოსილი ჟამისწირვად სამოსლითა მოუგონებელად ბრწყინვალითა და კელთა აქუნდეს ოქრომასა საცეცხურნი. და მე დამიკურდა ხილვად იგი და მე ვთქუ: „ვითარ განძლიერებულ ხარ უძლურებისაგან, მოძლუარო!“ (იქვე, 286,1—5).

მნათეს მოეჩვენა, რომ ბერის სენაკს ცეცხლი წაჰკიდებოდა, ნამდვილად კი, რა თქმა უნდა, ასე არ მომხდარა: „ჟამსა ცისკრისასა დეკანოზმან პრქუა მნათესა: „მივედ მამისა და ისმინე, ჰსძინავსძი, ანუ ჰლუძავს“. და ვითარცა მივიდა, იხილა ბრწყინვალეზად დიდძალი შინაით გამო სენაკსა მას. მსწრაფლ მორბიოდა და ჯმა-ყო, ვითარმედ: „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“ (იქვე, 294,15—18).

გრიგოლ ხანძთელმა აშოტის სასახლიდან წამოიყვანა „დღედაკაცი სიძვისაჲ“. აშოტი ამ დროს შინ არ იყო. როცა იგი დაბრუნდა, ძლიერ შეწუხდა, რადგანაც „გარდარეულითა სიყუარულითა“ უყვარდა ქალი. მეფე წავიდა მერეს, ფებრონიასთან, და შეეცადა, როგორმე სასახლეში დაებრუნებინა სატრფო. „და მან პრქუა: ამის მიზეზისათეს იქმნა მოსლვად ჩემი, რამეთუ სასახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი კელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია“ (იქვე, 297, 29—32).

სავსებით აშკარაა უნახაობის ნიუანსის გამოხატვა შემდეგ კონტექსტში: „მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა კელითა თუსითა აღვილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი და პრქუა ბასილის: „ცულად მოკიმიდგარებიეს თავი, რამეთუ არა არს ვნებაჲ შენ შორის ყოვლადე“ (იქვე, 302,15—17).

კონონ ვერღარა პოა ვირი მისი, მივიდა და პრქუა ბერსა: „მ წმიდაო მამაო, რად ჰყავ, რამეთუ მგელი, მწყემსად მოგუტც. ეგერა, კარაული ჩემი შეუქამია, და ამას რად ეტყოდა ბერსა, მგელი იგი მოეკიდა კალთასა კონონისსა და მიზიდვიდა. ხლო ბერმან პრქუა: წარპყევ, რამთა გიჩუწნოს, თუ რად სჭირს ვირსა შენსა. და ვითარცა მივიდა თავსა მის კლდისასა, სადა გარდაპრილ იყო, უჩუენებდა ვითარცა კაცი, წყმულით იმართლებდა თავსა თუსსა, და ვითარცა შთახდნეს, იხილეს, რამეთუ მომკუდარ იყო“ (A—199, 23v, 21b—24r, 5a).

ამ შემთხვევაში ისიც იქცევა ყურადღებას, რომ ორი ზმნა (**გარდაჭრილ იყო; მომკუდარ იყო**) II თურმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი და ისინიც გამოხატავენ უნახავ აქტს.

ახლა დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს ნათარგმნი ძეგლებიდან.

ქრისტემ როცა იხილა, რომ ეკლესიაში მრავალი უწესობა ხდებოდა (ყიღვა-გაყიღვა, ფულის დახურდავება და მისთ.), ასე მიმართა იქ მყოფთ: „სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ **გიყოფიეს** იგი ქუაბ ავაზაკთა“ (მარკ. 11,17; ლუკა 19,46C).

ქრისტეს მიერ ჩადენილი მრავალი სასწაულის შესახებ ჰეროდემ შეიტყო, მაგრამ „მან არ იცოდა, ვინ ჩადიოდა ამ სასწაულთ. ჰეროდემ ივარაუდა, რომ მათი ჩამდენი იოანე ნათლისმცემელი იყო: „ესმა რაჲ ჰეროდემ, თქუა, რამეთუ: რომელსა-იგი მე თავი მოვჰკუთუე იოვანეს, იგი **აღდგომილ არს**“ (მრკ. 6,16).

ერთ-ერთ ნოველაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ვილაც კაცს ჰქონდა ბიბლია, სურდა მისი გაყიდვა, მყიდველიც გამოჩნდა, მაგრამ იმის დასაზუსტებლად, თუ რამდენად კარგი წიგნი იყო და ღირდა თუ არა მისი შეძენა, მყიდველმა გადაწყვიტა, ეს წიგნი ეჩვენებინა მამა გელასისათვის. გამყიდველმაც „მისცა მას, ხოლო მან მიიღო იგი და მიართუა მამასა გელასის, რაათა გამოიცადოს იგი და სასყიდელიცა მისი უთხრას, რაოდენის-იგი განმსყიდელმან თქუა. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: მოიყიდე ეგე, რამეთუ კეთილ არს და ღირსცა, რაოდენის სასყიდლის გეტყუს. და მივიდა და უთხრა კაცმან მან განმსყიდელსა სხუად და არა ვითარ-იგი მისგან ესმა. ჰრქუა მას: აჰა ეგერა, უჩუენე ეგე მამასა გელასის და მრქუა მე: ჯეკმა **უყოფიეს** და არა ღირს, რაოდენის-იგი სასყიდლის **უთქუამს**“ (ნოველები, II, 42,3—12).

ეპიფანე კვბრელ ეპისკოპოსს მონასტრის მამასახლისმა მისწერა, რომ მონასტერში წესისდა მიხედვით სრულდება წირვა-ლოცვა: „ლოცვითა შენითა არა უღებ ვართ კანონისათჳს, არამედ სწრაფით სამ ეამსაცა და სამხარსაცა და ცხრაჲმსაცა ვჰყოფთ. ხოლო მან განგმო სიტყუჲ იგი და მიუწერა და ჰრქუა: **შჩათ, რამეთუ უღებ-გიყოფიან** სხუანი ეამნი ღლისანი“ (იქვე, 49,8—13).

ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდა. ორივე შიშველი იყო. ერთ დღეს რალაც კრებაზე მიიყვანა ისინი და, რომ არაეის დაენახა, ჰურში ჩასვა. „და ვითარცა დასხდა ყოველი ერთი და დაეყუდა, აღმოიჭურბიტა ერთმან მან და ვითარ არავინ ხედვიდა, აღმოჯდა და მიმოვიდოდა სკორეთა ზედა. და შეკრიბა ძუელი ძონძი და შეიქმნა წელთა მოსარტყმელი, და მიერიტგან კანდიერად იქცეოდა. ხოლო ერთი იგი შიშველი, რომელი შინა ჯდა, იტყოდა: „ეჰა, ისი, ვითარ არა ჰრცხუნენის იმას მეძავსა და იქცევის შიშველი გარე? გული განუწყრა ქმარსა მისსა და ჰრქუა მას: ეჰა საკურველი, მას ღათუ სარცხუნელი **დაუფარავს**, ხოლო შენ ყოლად **შიშველ ხარ**“ (იქვე, 79, 16—24).

ერთ წარმართ ქერივ ქალს ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა. ამის შესახებ მოახსენეს მეფეს: „მაშინ მეფეთა ჰკითხეს წარჩინებულთა თჳსთა: ვინამ არს დედაკაცი ესე, ანუ რომელი სჯული უპყრიეს? ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: ქალაქისა ელენთაისამ არს. და ქმარი მისი გალილეელთა სჯულსა შინა **აღსრულებულ არს**, ხოლო ესე მტკიცე არს მსახურებასა ღმერთთასა და მას შინა **აღუზრდია** ძეცა თჳსი“ (A—199, „წმიდათა ცხორებანი“ XII—XIII სს. 9რ, 14—22ა).

ამ ვაყის დედა ცდილობდა, კერპთაყვანისმცემლობაზე მოექცია შვილი, ხოლო შვილს დედის გაქრისტიანება სურდა: „ხოლო ნიანიას სწადოდა განლებად კარი გულისკმისყოფისაი დედისათუს თუსისა და ჰრქუა: დიდი საცთური მოხუცულ არს თულათა შენთა, დედაო, და მოუცთუნებინარ გზისაგან ჭემ-მარიტებისა“ (იქვე, 10v, 8—14a).

მოგზაურებმა ნახეს მრავალი საოცრება, რის შესახებაც უამბეს მამა მკარის. მან უპასუხა: „ხოლო რამ-იგი თქუენ გიხილავს, დაუკლებელად მეცა მიხილავს“ (იქვე, 31r, 16—18b).

აშკარაა უნახაობის ნიუანსის აღნიშვნა შემდეგ კონტექსტში: „მესმა შენთუს, ვითარმედ იწროებასა მიცემულ ხარ“ (იქვე, 37v, 9—11b).

ვესტატი მთავარმა ქრთამი მიიღო და მოშურნეთა დაბეზლებით სამი უღანაშაულო კაცის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. სიკვდილმისჯილთა მახლობლები მივიდნენ წმიდა ბერთან და სთხოვდნენ, დახმარებოდა მათ: „ესე რამ ესმა კაცსა მას ღმრთისასა, მსწრაფლ წარვიდა და თანაწარიტანა მთავარი იგი, და მიიწია რამ უბანთა ქალაქისათა, ჰკითხა კაცთა მათთუს. ხოლო მათ ჰრქუეს: „ადგილსა მას, რომელსა დეოასი ჰქუენ, აწ ოდენ მივიდოდეს. და მიისწრაფა წმიდამან მან და კუალად ეუწყა, ვითარმედ მიწვენილან ადგილსა მას, სადა არს სასიკუდინენ დასჯილთაი და უმეტეს მიისწრაფა წმიდამან“ (იქვე, 57r 6—30a).

ნათელია, რომ უნახავი აქტია გადმოცემული შემდეგ წინადადებებში: „და უკუეთუ ვინმე მოუძღურდის მარხვისაგან, დაუდვის მას ყოველი საცმარი ცხედარსა ზედა, ხოლო პოას რამ, არა უმეცარ იქმნის, თუ ვის უქმნიეს იგი“ (იქვე, 102r, 9—15a).

„და დაადგა მას ჩუწნებაი უფლისამიერი და ეტყოდა: „ხუცესო, აჰა ესერა, ესოდენი სიმრავლე სანოაგეთაი განგიზადებთეს შენთუს“ (იქვე, 120r, 13—16b).

„ამან უკუჲ მამამან ბეტრე ესეოდენი მოღუაწებაი წარჰმართა, რომელ, ვჰგონებ, თუ უმეტესი ვერვის მიერ შესაძლებელ ყოფილ არს ოდესცა“ (იქვე, 171v, 9—12).

ერთ ქალს სურდა ცოდვათა მიტეკება მიეღო ბასილი დიდისაგან, მაგრამ ბასილი ისე გარდაიცვალა, რომ ამ ქალმა ვერ მოასწრო მისგან ცოდვათა შენდობა. როცა ეს ქალი მოვიდა, მეტად წუხდა ამის გამო. მას ჩამოწერილი ჰქონდა თავისი შეცოდებანი. „დაავდო ქართაი იგი ზედა ცხედარსა და აყენებდა მიმყვანებელთა მისთა. ხოლო ერთმან მოყუასთაგანმან აღიღო, და ვითარცა განჯნა, არა პოვა, რამეთუ ავოცილ იყო იგიცა, და რომელი-იგი სიცოცხლესა შინა არა ენება ავოცაი, შემდგომად სიკუდილისა პატიესცა ღმერთმან წმიდასა ბასილის. და ჰრქუა მოყუასმან მან, რომელსა აღედო ქართაი: „დედაკაციო, რაასა ცუდად განიჭრები და იკადრებ წინადაყენებად? აჰა, სრულებით აღუგოცა ცოდვაი შენი. მაშინ ღმობიერ იქმნა დედაკაცი იგი“ (იქვე, 118v, 12—30a).

ზემოთ მოყვანილ კონტექსტში II თურმეობითში მღვარი ზმნაც აღეღო უნახავი აქტის გამოხატველია.

II თურმეობითი. II თურმეობითი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც წარსულ დროში მომხდარ მოქმედებათა შორის უწინარესია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ II თურმეობითში მღვარ ზმნას უნახაობის გამოხატევი შეუძლია, ასეა ძველ ქართულშიც.

იაკობმა ციხეში ინახულა შუშანიკი, რომლისთვისაც ეპისკოპოსს საკმელი გამოეგზავნა (იაკობი რომ მივიდა ციხეში, საკმელი უკვე მიტანილი იყო): „და მე მივედ და ვიხილე წმიდაა შუშანიკი დამზრშალი და დაბუშებული ტირილითა. და რამეთუ მოექლუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი“ („შუშანიკის წამება“; ავიოგრ. ძეგლ., I, 23, 22—23).

გიორგი მერჩულე არაა მომსწრე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მომხდარი ამბებისა. ცხადია, რომ მეორე თურმეობითს შემდეგ კონტექსტებში აქვს უნახაობის ნიუანსი:

„ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მკვეცთავან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი **განზნულ იყვნეს** თითოა, ანუ თუ ორ-ორი სიერცესა მას უღაბნოთასა“ (ავიოგრ. ძეგლ., I, 264, 10).

„ილარიონ ვინმე, იერუსალამით მოსრული, სარწმუნოა მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით **წარყოლილ იყო** იგი თევდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი“ (იქვე, 268, 34—36).

გრიგოლს „ღუნოა კულა სირყმითგანვე არა **ესუა** და უმრავლესნი სათნობანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის“ (იქვე, 267, 7—11).

ბერებმა ნახეს მონაზონი, რომელმაც მთელი ღამე საქმიანობაში გაატარა: „შემიწყნარნა ჩუენ და ვიხილეთ, ფრიადი სირაა **დაეთხზა** ღამე ყოველ“ (ნოველები, II, 30, 22—26).

ეფიქრობთ, არ სჭირდება მტკიცება იმას, რომ უნახავ აქტს გამოხატავს II თურმეობითის მწკრივი შემდეგ შემთხვევებში:

„ქეშმარიტად გითხრობ მე: ვინმე ვიხილენ მეოტნი, რომელთა **დაებევა** პიტალოთა მოქმნილები სენაკები, საესე წიგნისტყავეებითა და არცა კარები **დაეიშა**, არამედ ღებულად **დაებევა** და **წარსრულ იყვნეს**“ (იქვე, 32, 4—7).

„იტყოდეს ვისთვისმე ბერისა, რამეთუ **დაეყო** ერგასისი წელი თვნიერ ჰურისა და წყლისაცა“ (იქვე, 35, 18—19).

„შეიწყნარნეს ივინი სიხარულით და სიცხისა მისგან აღიღეს [მოწაფეთა] ევლოვისთა სარწყული და მიუპყრეს; ხოლო წყალი იგი **შეეზავა** ზღუსა მდინარისასა მას. ვითარცა მიიღო, ვერ უძლო სუმად. და მოეგო გონებასა თვსსა და შეუვრდა ბერსა, რათა უთხრას მას, ვითარ-იგი ცხონდებიან. და ჰრქუა მას: რაა არს, მამო, რამეთუ პირველ არა ჰფსალმუნებდით, და სარწყული ესე ვითარცა მოვიდე, ვბოე წყალი ესე, რამეთუ ძმარი არს? ჰრქუა მას ბერმან: ძმა ესე სულელი არს და **ცთომით შეუერთო მას ზღუსა**“ (იქვე, 51, 13—20).

„და მესმინა მამისა ზენონისთვის, ვითარმედ მრავალნი **განეკურნნეს**“ (იქვე, 59, 16—17).

„გუთხრობდა ვინმე მამათავანი ფერმელი, ვითარმედ: მივედ ოდესმე მამისა თევდორესა და ვბოე, რამეთუ დაქრილი კუართი ეცუა და მკერდი შიშუელი ეღვა და კუკული წინაით **მოექცია**“ (იქვე, 73, 18—20).

„აწ ცანთ, ვითარ-იგი წმიდამან მარტულმან მკედრობისა იგი იგმია და წყლა მპარავი იგი, რამეთუ მშუდობით არა ინება მოღებდა, რომელი **მიეპარა** სამკაული, ამისთვის ბოროტი შეემთხვა“ (Q—240 „წამება წმიდისა გიორგისი“, „წამება და სასწაულნი წმიდისა თეოდორესნი“, 1031 წ., 93ვ, 5—13).

„წმიდამან ქრისტეს მოწამემან თეოდორე მღღელი იგი განათავისუფლა სამკაულისა მისგან დედათაჲსა, რომელი-იგი ნამარხედად აქუნდა. მუნთქუესვე

წყულულებანი განეკურნეს მპარავსა მას, რომელ-იგი სხუათა მკრითა მიელო
 ეკლესიად ზეკადებოთ, ესე ცოცხალი წარვიდა“ (იქვე, 94r, 4—94v, 4).

„ხოლო ვითარცა განვიდა, მდევართა მტერნი იგი ეოტნეს და მოქცეულ
 იყუნეს და აყულდრებდეს ჰაბუკსა მას გუანად გასლვისათჳს“ (A—199, „წმი-
 დათა ცხოვრებანი“, XII—XIII სს., 6r, 8—12b).

„მოვიდეს მას ჟამსა შინა ერნი იგი არაბთა და სარკინოზთანი, რამთა წარ-
 ტყუმნონ ქუწყანაი იგი, რამეთუ მრავალგზის მოსრულ იყუნეს და წარეყვანა
 დედები ცოლად მათდა“ (იქვე, 10r, 3—7a).

„დღესა ერთსა შთავიდოდა წმიდაი იონანე ეკლესიად და შეემთხუა კაცი,
 რომლისადა ავაზაკნი დასხმულ იყუნეს“ (იქვე, 36r, 5—8b).

ხოლო უკუეთუ გენებეს, მოვედ, რამთა გიქუმო სხუაჲცა ამისთანაი
 ტყუი. და ვითარცა მივიდა, იხილა, რამეთუ ყოველივე ვეცხლად შეცვალეზულ
 იყო“ (იქვე, 36r, 25—30a).

„ხოლო ეუწყა კაცსა ერთსა, რომლისადა ცოლი მომკლადარ იყო და მეორე
 შეერთო“ (იქვე, 37r, 29—31a).

„ხოლო იყო ამის ნეტარისა მამისძმა და ეწოდებოდა მასცა ნიკოლოზ,
 რომელი-იგი მრავლით ჟამითგან განშორებულ იყო სოფლისაგან და მონაზო-
 ნებისა სახე შეემოსა და აღეშენა მონასტერი“ (იქვე, 94v, 9—15a).

„დღესა ერთსა იყო მწოლარე და მისძინებოდა“ (იქვე, 86r, 18—19b).

„მოვიდა ჩემდა, უღირსისა ამის მოძღურისა თუსისა, და მაუწყა ჩუენებაჲ
 ესე, რომელი ეხილვა“ (იქვე, 90r, 9—12b).

„ხოლო მით მიუტევენს აფრანი და მიჰყვანდეს ქარსა და განიყვანა ივინი
 ჰალასა რასმე, რომელი აწლა წარტყუმნულ იყო ბარბაროზთაგან და წარეს-
 ხნეს ტყუმდ სიმრავლე მამათა და დედათაი და ექმნა სრვაი დიდი და მიემცნო
 ესრეთ. უკუეთუ მიართუნ ოქროა, უკუნსენე ტყუმნი მათნი და მიპრიდონ
 ჰალასა“ (იქვე, 100r, 25b—100v, 3a).

თურმეობითში დასმულ ზნას კითხვით წინადადებაში უნარი აქვს, გამო-
 ხატოს უნახაობის ნიუანსი. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

„პრჭუა მას მსაჯულმან მან: „რამ არს, რომელი-ესე მესმის შენთჳს, რამე-
 თუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევიბიეს მამული შჭუ-
 ლი და ჭრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ?“ „აბოზ წამება“ (ავიოგრ. ძეგლ., I,
 62, 20—21).

„მამინ პრჭუა ნეტარმან გრიგოლ: „მ საწყალობელო, რამათჳს შორის
 ცოლ-ჰმართა შთაბრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა?“ „გრიგოლ ხანცთელის
 ცხოვრება“ (ავიოგრ. ძეგლ., I, 296, 32—33).

„მომიყვანა მე და მრჭუა: „მოვედ და იხილე მორჩილებაჲ ბეოსიად“. და
 შეუქმნა მცირედ თევიზი იგი და განრყუნა ნეფსით და დაუგო ბერსა. და ჰამდა
 იგი დუმლით. და პრჭუა მას: „კეთილ არსა, ბერო?“ და მან თქუა: „კეთილ არს
 დროად“. და მისსა შემდგომად მოართუა მცირედ სხუაი დროადი კეთილად შე-
 ქმნული და პრჭუა მას: „განმირყუნიესა, ბერო?“ და თქუა: „მცირედ გან-სამე-
 პრყუენ“ (ნოველები, II, 205, 22—29).

უარყოფით კონტექსტებშიც თურმეობითი უნახავი აქტის ნიუანსს გად-
 მოსცემს:

„ვითარ ვპოვებ, არა ვის სადა წარუვლინებიეს ტიმოთე მსახურებად,
 თუნიერ პავლესსა „კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანება“ (Ier—6, XI ს. IV,
 3—4b).

„ხოლო დღესა ერთსა მივიდა წყაროსა მას ზედა მოწაფე იგი მისი, რამთა მოიღოს წყალი, და ზედა დგა დათუ დიდი. და შეეშინა და უკუნეცკა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერი მივიდა და პრქუა დათუსა მას: უკუეთუ არა გისუამს, სუ და წარედ“ (A—199, 20r, 19—26b).

ამრიგად, ძველ ქართულ ზმნას უნარი შესწევს, გადმოსცეს უნახაობის ნიუანსი. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა უფრო გავრცელებულია საშუალოსა და ახალ ქართულში.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930.
2. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953.
3. А. Г. Шанидзе, Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка: ИАН, отделение литературы и языка, т. V, № 2, М., 1946.
4. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბილისი, 1962.
5. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
6. არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაკვლევების პრინციპისათვის იკვ, XIII, თბ., 1962.
7. Д. О. Гецадзе, Формы III группы времен и наклонений переходных глаголов в древнегрузинском языке, автореферат. Кутаиси. 1953.
8. Н. Р. Натадзе, Образование времен и наклонений в древнегрузинском языке, автореферат, Тбилиси, 1956.
9. ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისთვის ქართულში, იკვ, VIII, თბილისი, 1956.
10. დ. ფხაკაძე, რელიტიურ გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფუნქციები ძველსა და გარდამავალი ხანის ქართულში: ზოგადი და იმერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.

Г. А. НИНУА, З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

ВЫРАЖЕНИЕ ЗАОЧНОСТИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ

Резюме

Глагольные формы I заочного и II заочного в современном грузинском, по мнению А. Г. Шанидзе, могут выражать заочное (заглазное) действие. А. Г. Шанидзе считает, что это относится и к древнегрузинскому языку, но не приводит материала, подтверждающего этот тезис. Очевидно, это и является причиной того, что в научной литературе положение А. Г. Шанидзе нередко оспаривается.

В настоящей статье приводятся примеры из разных памятников древнегрузинского языка, которые, по мнению авторов, доказывают, что глагольные формы I заочного и II заочного и в древнегрузинском выражали заочное (заглазное) действие.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზეღნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა




ნოზარ კანფელაი

ასომთავრულში კოდირების ერთი სისტემის შესახებ

1. ამოცანის დასმა და ძირითადი შედეგი. ნაშრომი შეეხება ასომთავრულში დამატებითი ინფორმაციის ამოცნობას. ასეთი განხილვის დროს მიღებული შედეგი სანდოა, თუ იგი მოპოვებულია ჩვენგან დამოუკიდებელი და არსებული საწყისი მონაცემის წყალობით. ქართული ანბანისათვის ასეთ მონაცემად შეიძლება ჩაითვალოს ასონიშანი „წილი“, [1]. ამოცანა მდგომარეობს ისეთი გრაფიკული მახასიათებლის შერჩევასა და განხილვაში, რომელიც უშუალოდ „წილით“ არის განპირობებული. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მონაცემით „წილი“, ასომთავრულში წარმოჩინდება კოდირების სისტემა, რომლის დამამთავრებელი ეტაპი მდგომარეობს მზის 28 წლიანი კალენდარული ციკლის ფიქსაციაში:

- (11)(22)(5)(16)(27)(10)(21)(4)(15)(26)(9)(20)(3)(14)(25)(8)(19)(2)(13)(24)
(7)(18)(1)(12)(23)(6)(17)(28)

შენიშვნა: ციკლი ერთნაირი წარმატებით გამოიყენება ისეთი წელთაღრიცხვების მიმართ, რომელთა კალენდარი იულიუსისაა; ჩვენ უნდა ვიკოდეთ მხოლოდ ე. წ. საწყისი მონაცემი: წელი, თვე, რიცხვი, კვირის დღე. მაგალითად ქართული წელთაღრიცხვით (ქორონიკონით ან დასაბამით) I წლის 8 აპრილს კვირაა. ვპოულობთ ციკლში I-იანს და ციკლის ოთხეულეში შესაბამისად ვწერთ აპრილის დღეებს.



ახლა თუ ჩვენ გვინდა, დაეუშვათ, გავიგოთ ქორონიკონით 314 წელს აპრილის რომელ რიცხვში იყო კვირა დღე, უნდა 314 გავყოთ 28-ზე და შესაბამისი ნაშთი მოვძებნოთ ციკლში. ნაშთი უდრის 6,6-იანის ქვემოთ ვკითხულობთ — 9 აპრილი, ე. ი. ქორონიკონით 314 წელს 9 აპრილს კვირა დღეა.

ასომთავრულში 28-წლიანი ციკლის არსებობა ყურადღების ღირსია იმის გამო, რომ ეს ციკლი უშუალოდ დაკავშირებულია იულიუსის კალენდართან. რომელმაც ნორმალური ფუნქციონირება დაიწყო ჩვენი წელთაღრიცხვით 8 წელს [2., 3].

1	2	3	4	5	6	7	8	9
Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ
1	2	3	4	5	6	7	8	9
10	20	30	40	50	60	70	80	90
Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
10	11	12	13	14	15	16	17	18
100	200	300	400	500	600	700	800	900
Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ
19	20	21	22	23	24	25	26	27
1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ
28	29	30	31	32	33	34	35	36
10000								
Ⴔ								
37								

ნახ. 1.

მოხერხებულობის მიზნით ასონიშნებს ზემოთ მიწერილი აქვთ რიცხვითი მნიშვნელობები (სათვალავები), ხოლო ქვემოთ ისეთი რიგითი ნომრები (წონები), რომლებიც განსაზღვრულნი არიან მხოლოდ სათვალავებით.

2. გაშიფვრის პროცესის აღწერა. დასმულ ამოცანასთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულ იქნა ასონიშნებამ 28-ად დალაგების მიმართ, შემდეგი მონაცემების გამო:

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ
Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ

ნახ. 2.

გარდა წყვილისა (იგი ნახაზზე მონიშნულია ისრით), რომელშიაც „წილი“ მონაწილეობს, ყოველ წყვილში ორივე ასონიშანი ან ერთდროულად დახშულია ან ერთდროულად ღია¹.

¹ ასონიშანი დახშულია, თუ მისი ამოკლებით სიბრტყიდან სიბრტყე იშლება ორ ან ორზე მეტ უთიერთთანაუკვე ნაწილად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ღიაა. ჩვენ ვუკმეს

ღია Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ
დახშულია Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ

ნახ. 3.

მახასიათებელი ღია-დახშული ასომთავრულში პალეოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა [4]. 32-ე ასონიშნის დახშულობასთან დაკავშირებით იხ. [5].

საქმე მდებარეობს უნიკალურ სისტემას

ნახ. 6.

როგორც ვხედავთ, ციკლის ცენტრალური 24-ეული მეტად ძლიერ სიმეტრიულობის თვისებას ატარებს: ბოლოებიდან თანაბრად დაშორებულ ასონიშნები ან ორივე დახშულია ან ორივე ღია. ამოცნობა დამთავრდა.

ზემოთ აღწერილი კოდირების სისტემა უშვებს მკაცრ კონტროლს. განვიხილოთ ძირითადი დაჯგუფების მონიშნული ფრაგმენტი.



ნახ. 7.

1. მე-8 და მე-11 ასონიშნები კანონიერი სახით 28-ს ჩაწერენ. მართლაც, რა მძლავრი კონტროლია: სისტემა აღწერს 28-წლიან ციკლს და ფიქსაცია ხდება სწორედ 28-ზე. მაგრამ მართა 28-ის ფიქსაციით არ ამოიწურება ასეთი დაჯგუფების როლი. საქმე იმაშია, რომ წყვილის რიცხვითი მნიშვნელობა

სხ

ნახ. 8.

28-ის ტოლია, ხოლო წონა (რიგითი ნომრების ჯამი) 19-ს უდრის. $8 + 11 = 19$. ჩვენ წინაშეა პრინციპული მნიშვნელობის ფაქტი: მოხდენილია რიცხვების 19-ისა და 28-ის ერთდროული ფიქსაცია. როგორც ცნობილია [2; [3; 6], რიცხვები 28 და 19 უმნიშვნელოვანესი კალენდრული მაჩვენებელია: 28 — მზის მოქცევა, 19 — მთვარის მოქცევა.

2. განვიხილოთ ძირითადი დაჯგუფების პირველი სტრიქონი (ნახ. 7). ჩვენ ვხედავთ, რომ ასონიშნების მიმდევრობაში 8, 9, 10, 11 ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული წყვილები შესაბამისად სათვალავით ჩაწერენ 28-სა და 19 ისე, რომ სტრიქონის სრული სათვალავია $47 = 19 + 28$

სხ 7ფ

ნახ. 9.

3. იმავე ინფორმაციას შეიცავს მეორე სტრიქონიც (ნახ. 7), რომლის რიცხითი ნომრების ჯამია $94 (22 + 23 + 24 + 25 = 94, 94 = 2 \cdot 47)$ და ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული წყვილები წონით 47-ს გვაძლევენ ($22 + 25 = 47, 23 + 24 = 47$); რაც შეეხება სათვალავებს, აქაც საქმე კარგად არის. მართლაც, ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული ასონიშნები სათვალავით წერენ 1100

2 ასონიშნის ლერძული სიმეტრია გააჩნია, თუ არსებობს ისეთი წრფე, რომლის მიმართ არეკვლით ასონიშნები თავის თავში გადადის.

(400 + 700 = 1100, 500 + 600 = 1100), მაგრამ 1100 კანონიკური სახით 28-ე და მე-19 ასონიშნებით ჩაიწერება.

ხბ

$$1000 + 100 = 1100$$

$$28 + 19 = 47$$

ნახ. 10.

რიცხვების 28-ისა და 19-ის კიდევ ერთი ეფექტური წარმოდგენა.

4. არსებობს ახლახან განხილული ოთხეულის გრაფიკული დამოწმება: ამ ოთხეულის ოთხივე ასონიშანი ღერძულ სიმეტრიას ატარებს. ასეთი სისტემაში სულ შეიძლება



ნახ. 11.


რიგითი ნომრების მიხედვით იგი ორ ჯგუფად იყოფა: სეგმენტად 22, 23, 24, 25, რომლის სრული წონა 94-ის ტოლია და სამეულად 4, 9, 34, რომლის სრული წონა 47-ის ტოლია, ანუ 94-ის მარტივი მამრავლისა $94 = 2 \cdot 47$ ($4 + 9 + 34 = 47$). არსებითია ის ფაქტი, რომ 47-ის ცენტრს 24 წარმოადგენს; ანუ თუ 47 ელემენტს ერთ რიგად დავალაგებთ, მაშინ 24-ე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს: $24 = \frac{1+47}{2}$. ამრიგად ასომთავრულში ღერძული სიმეტრიის ასონიშ-

ნები აკონტროლებენ ძირითად დაჯგუფებაში მონიშნულ მეორე სტრიქონს სრული წონით 94 და სპეციალურად კიდევ ერთხელ წარმოგვიჩენენ მის მარტივ მამრავლს 47-ს, როგორც მზისა და მთვარის მაჩვენებელი რიცხვების ჯამს $47 = 19 + 28$, რომლის ცენტრშია ასონიშანი



ნახ. 12.

შენიშვნა: აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ღია-დახშული ასონიშნების კიდევ ერთი დაჯგუფება: ასონიშანთა ერთობლიობაში 1-იდან 28-მდე ორი და მხოლოდ ორი ადგილია ისეთი, სადაც ერთმანეთის მომდევნო სამი დახშული ასონიშანი იყრის თავს. მათი რიგითი ნომრებია 11, 12, 13 და 21, 22, 23. ამ სამეულების გამორჩენილი ასონიშნების შევსებით მიიღება ჩვენთვის კარგად ნაცნობი სიმეტრია: ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული სიმბოლოები ან ორივე დახშული ან ორივე ღია. ასეთი სიმეტრიის გაგრძელება წარმოჩენილ დაჯგუფებაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ერთეულით მარჯვნივ, შესაბამისად მარცხნივ ისე, რომ მიიღება შემდეგი სურათი [7]:



ნახ. 13.

[3]-ში აღნიშნულია, რომ იულიუსის კალენდრის გავრცელების ისტორია ჯერ არ დაწერილა და რომ მისი შემოღებისთანავე წინა პლანზე განსაკუთრებით წამოიწია მზის კულტი. სწორედ ამიტომ ნათქვამია [3]-ში, ქრისტიანობის იდეოლოგებმა ქრისტეს დაბადების დღე მიუსადაგეს 25 დეკემბერს, როგორც მზის წყველიაზე გამარჯვების დღეს. მკითხველმა ალბათ შეამჩნია, რომ ასომთავრულში არსებული ზემოთ აღწერილი სისტემა ფაქტიურად ანალოგიური ტიპის შესაბამისობას წარმოგვიდგენს მზის 28-წლიან ციკლთან. ამასთან დაკავშირებით ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იულიუსის კალენდრის გავრცელების ისტორია ასომთავრულს გვერდს ვერ აუვლის.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ანბანში დამატებითი ინფორმაციის ძიებას აზრი აქვს, თუ დამოუკიდებლად არსებობს რაიმე საწყისი მონაცემი, რომლის საშუალებით მოხდება სწორედ ამოცნობა. მართალია, საწყისი მონაცემი ძალიან ამცირებს გაშიფვრის ვარიანტებს, მაგრამ არჩევანი მაინც რჩება, ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ შევამოწმოთ მიღებული შედეგის სამართლიანობა? ცხადია, მისი უშუალოდ შემოწმება შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გაშიფრა წინ უსწრებს მოვლენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკური შეფასება: უნდა შეფასდეს იმ ხდომილების ალბათობა, რომელიც ამოცნობის პროცესში წარმოჩნდება. ჩვენ შემთხვევაში ეს მოვლენა 28-წლიანი ციკლის ცენტრალური 24-ეულის სიმეტრიაა, რომელიც ხორციელდება გრაფიკული მახასიათებლით ღია — დახშული.

ლიტერატურა

1. ი. ზოსიმე, ქება და დიდება ქართულისა ენისაი, ჩვენი საუნჯე 1, თბილისი, 1960.
2. Климишин Г. А., Календарь и хронология, М., 1981.
3. Бикерман В., Хронология древнего мира, М., 1975.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.
5. ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, თბილისი, 1973.
6. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1966.
7. Канделаки Н. П., Об отмеченных интервалах, Труды ВЦ АН ГССР, т. XXI, I, 1981.

Н. П. КАНДЕЛАКИ

ОБ ОДНОЙ СИСТЕМЕ КОДИРОВАНИЯ В «АСОМТАВРУЛИ»

Резюме

В работе дается описание дополнительной информации, содержащейся в древнегрузинском алфавите «асомтаврული». Такое рассмотрение имеет смысл лишь в том случае, если реально существует начальная информация. В нашем случае таковой является 31-й знак алфавита (см. [1]). Расшифровка показала, что специальной графико-числовой системой в алфавите зафиксирован 28-летний календарный цикл.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამო-
თვლათი მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციონალურ განტოლებათა განყოფილება
წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
თ. გამყრელიძემ

გიორგი გოგოლაშვილი

ერთი ზმნური ძირის (ცემა) შემდგენილობისათვის ქართულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცემა ზმნა არაერთგზის ყოფილა მსჯელობის საგანი. საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ძირეულად ამ ზმნაში ც თანხმოვანი გამოიყოფა და მას ცალთანხმოვნიან ზმნათა რიგში ათავსებენ.

„ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ ზანური ჩ ძირის შესატყვისად ქართული ც არის წარმოდგენილი. დასკვნა ასეთია: „ძირი ჩ მნიშვნელობითაც და აგებულებითაც ქართულ ც ძირს შეესაბამება“¹.

აორისტის პირველი და მეორე პირის ფორმებში წარმოჩენილი ე ხმოვანი — მივეც, მიეც — შესაბამისად პრეფიქსად გაიაზრება. ა. შანიძე ამ ზმნას დეპონენსად მიიჩნევს: „ესრევს ზმნის მსგავსად ე აქვს პრეფიქსად ე-ძებს ზმნასაც (ძვ. ქართ. ე-ძი-ებ-ს) და ც-ემა ზმნას წყვეტილში: მი-ე-ე-ც, რომელთაც ფუნქციაც აქტიური აქვთ და ფორმებიც სხვაფრივ ყველაფორად აქტიური“². თავისებურ ზმნებზე მსჯელობისას ავტორი წერს: „ცემა (მი-ცემა, გა-ცემა, და-ცემა, გადა-ცემა და სხვ.). ფუძეა ც, მომდევნო -ემ კი თემის ნიშანია“³. II კავშირებითის წარმოების საკითხის განხილვისას ა. შანიძე შენიშნავს: „ერთადერთი ფუძე, რომლისგანაც ნაწარმოები ზმნა ამ მწკრივში პხოლობით-შიც ე-ს მიიღებს, არის ც“⁴ (ა. შანიძის თვალსაზრისზე ასე ვრცლად იმიტომ შევიჩერდით, რომ სხვაგან მკვლევარი გამოთქვამს ჩვენთვის ძალზე საინტერესო აზრს, რომელზეც ქვევით გვექნება საუბარი).

ც-ს გამოყოფს ძირად და ე-ს მიიჩნევს პრეფიქსად განსახილველ ზმნაში ი. ქავთარაძეც⁵.

ცემა ზმნის შესახებ ვრცელი მსჯელობაა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. აორისტის მესამე პირის ნულსაფეხურიანი ფორმის პირველი და მეორე პირის ფორმებზე ვავრცელების საკითხზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ „განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ქართ. ც-ემ-ა, მეგრ. -ჩა-ა. ჩ-ამ-ა „ცემა, მიცემა, გაყიდე“ ზმნის აორისტის ფორმათა შედარებითი ანალიზი. ეს ზმნა ეკუთვნის იმ ზმნათა რიგს, რომლებიც ცალთანხმოვნიან ძირებს შეიცავენ.

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 370.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 449.

³ იქვე, გვ. 550.

⁴ იქვე, გვ. 449.

⁵ ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 307.

ამ ზმნის ძირია ქართ. -ც-: მეგრ. -ჰან -ჩ- (ს.-ქართვ. *ც₁). ქართულში ზმნას ერთვის ე- პრეფიქსი, რომელიც ისევე იქცევა, როგორც ძირეული ზმოვანი: ექვემდებარება რაოდენობრივი აბლაუტის ნორმებს [მონაცვლეობა ე:ღ (ნული)]. იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის მარტივ ფუძეს ერთვის: სუფიქსი ან დაბოლოება გახმოვანების სრულ საფეხურზე, ე- პრეფიქსი ნულ საფეხურზეა (ე. ი. ქრება); იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის ფუძე არ არის გაფორმებული სრულ-საფეხურიანი სუფიქსით, ე- პრეფიქსი სრული სახით არის წარმოდგენილი. შდრ. ძვ. ქართ. აორ.: 1. ე-ე-ც, 2. ე-ც, 3. ს-ც-ა, აწმყო: 1. ე-ს-ც-ემ, 2. ს-ც-ემ, 3. ს-ც-ემ-ს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ე- პრეფიქსი თავს იჩენს მხოლოდ აორისტის პირველი და მეორე პირის ფორმებში⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ა. შანიძე ამ ზმნას დეპონენსად მიიჩნევს და აორისტში გამოვლენილ ე-ს ენებიტების ყალიბში დადასტურებულ ე- პრეფიქსთან აიგივებს, ამ ზმნის თავისებურებათა გათვალისწინება ავტორს საკითხის სხვაგვარად დასმის შესაძლებლობასაც აძლევს:

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილების საკითხების განხილვისას მკვლევარი ცემა ზმნის შესახებაც მსჯელობს; შენიშნავს: „საყურადღებო ის არის, რომ ამ შემთხვევაში ე პირველსა და მეორე პირში შეპრჩება: თავში ქვა ვიეც, თავში ქვა იეც, თავში ქვა იცა. რადგან ქცევის ნიშანი წინ დაუდგა ე-ს, შეიძლება კითხვა დავსვათ: ეს ე მაწარმოებელია, თუ ფუძის კუთვნილება? თუ ფუძისეულია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის წინ დაკარგულია რაღაც თანხმოვანი⁷. ამ კითხვაზე პასუხს ავტორი გასცემს თავისებურ ზმნათა ანბანის რიგზე წარმოდგენისას: „წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ზმნას წინ ე უჩნდება: მი-ე-ე-ც, მი-ე-ც, მაგრამ მი-ს-ც-ა (V საუკუნის სალიტერატურო ენით მი-ხ-უ-ე-ც, მი-ხ-ე-ც, მი-ხ-ც-ა). თუ სახელზმნათა ფორმებს მივაქცევთ ყურადღებას, ეს ე მაწარმოებელია: მი-ცემა, მი-მ-ცემი, მი-სა-ცემი და სხვ. მაგრამ თუ მხედველობაში ვიჭონიებთ იმ გარემობას, რომ წყვეტილის I-ლსა და მე-2 პირში ფუძე აღდგება (მო-ვ-კალ, შე-ვ-კარ, და-ვ-ჰ-ფალ, ე-ი-ცან, ე-შეც, გა-ვ-ჰერ და სხვ.), მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ე ფუძისეული ზმოვანია. თუ ეგრეა, მაშინ იგი მესამე პირის ფორმებშიც იგულისხმება ყველგან. ყველა ფორმაში, მაგრამ თუ არსად არა ჩანს წყვეტილის გარდა (ისიც პირველსა და მეორე პირის ფორმებში მხოლოდ), ეს იმიტომ, რომ დაკარგულია მომდევნო ზმოვნის გამო, რომელიც ან პირის ნიშანია (მი-ს-ც-ა), ან მწყარივისა (მი-ს-ც-ი-ს, მი-ს-ც-ე-ს), ან თემის ნიშნის დასაწყისია (მი-ს-ც-ემ-ს) (ნახეთ ანალოგიური ვითარება სხვა ზმნებთან). რომ ვარაუდი სწორი უნდა იყოს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სათავისო ქცევის ნიშანი ამ ე-ს წინ დაისმის: „რაც გინდა ის ქენი, თუ გინდ ქვა იეც თავში“; სხვა მაგალითი:

პატარა გოგო ვყიდე, ორი შური მივეცი.

ღაჯექ და მერე ვიტრე, თავში მუშები ვიცი (ხალხური).

ვიეცი სათავისო ქცევის ფორმა („უცალო მოქმედებითია“), მაგრამ ზმნისწინი არა აქვს. ამ ფორმების მიხედვით ფუძეა ეც. მაგრამ ესეც არ უნდა იყოს

⁶ თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 222—223.

⁷ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

პირვანდელი: წინ აღბათ, რაღაც თანხმომავანი იყო კიდევ (პ ან ვ?), რომელიც უკვე V საუკუნემდე დაკარგულა⁸.

ამგვარად, ა. შანიძეს შესაძლებლად მიაჩნია მიე-ეც ფორმაში ე ხმოვნის ძირეულად დაშვება, თუმცა, როგორც ვნახეთ, მკვლევარი ე-ს პრეფიქსად მიჩნევის შესაძლებლობასაც არ გამოიციხავს.

ჩვენი სარწმუნოდ მიგვაჩნია ვარაუდი, რომელიც ე-ს ძირისეულობას უჭერს მხარს. ჩვენი შემდგომი მსჯელობა ამ ვარაუდის დამტკიცებას ისახავს მიზნად.

I. რა წინააღმდეგობები ახლავს ე ხმოვნის პრეფიქსად მიჩნევას განსახილველ ზმნაში?

1. როგორც ვიცით, ე ხმოვანი მხოლოდ აორისტის პირველი და მეორე პირის ფორმებში წარმოჩნდება: მი-ვ-ე-ც, მი-ე-ც; მი-ვ-ე-ც-ი-თ, მი-ე-ც-ი-თ.

აორისტში სუბიექტური მესამე პირისა და ყველა სხვა ფორმაში ე გაუჩინარებულია (შენიშნავენ კიდევ, რომ ე ამ შემთხვევაში ძირეული ხმოვანივით იქცევა). მართლაც, თუ ე პრეფიქსია, ეს იქნება ერთადერთი შემთხვევა, როცა ერთი ნაკვეთის პარადიგმაში იგი მონაცვლეობს ნულთან. ცალთანხმოვანიან ძირთაგან ნაწარმოები ე პრეფიქსიანი ფორმები პრეფიქსს ყველა ნაკვეთისა და ყველა პირის ფორმაში შეინარჩუნებენ: ე-ბ-მე-ბ-ა, და-ე-ბ-ა, და-ე-ბ-ა-ს, ე-ღ-ე-ბ-ა, გა-ე-ღ-ო, გა-ე-ღ-ო-ს... შე-ე-ქ-ო... წა-ე-გ-ო...

მივეც ზმნა ამ თვალსაზრისით განცალკევებით დგას.

2. როგორც მიუთითებენ, ე დაცულია იმ შემთხვევაში, როცა მომდევნო ც თანხმომავანი ფორმის აბსოლუტურ ბოლოში მოექცევა: მი-ვ-ე-ც, მი-ე-ც, (აორისტში უფუნქციო ი ელემენტის დართვა, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ფონეტიკურ სახეს ვერ შეუცვლის ფორმას).

ნებისმიერი ხმოვანი თუ ხმოვნით დაწყებული სუფიქსით გართულება ძირისა ე-ს გაუჩინარებას იწვევს: ც-ემ-ა, მის-ც-ა, მის-ც-ეს, მიუ-ც-ია...

ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება სუფიქსური ხმოვნისა წინამავალ ხმოვანთან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა წინამავალი ხმოვანი (ნულთან მონაცვლე) ამ სუფიქსისათვის საყრდენი მორფემისეულია.

სხვაგვარად: თუ ე და ც სხვადასხვა მორფემაა, გამოდის, რომ მი-ს-ც-ი ფორმაში სუფიქსი გავლენას ახდენს საყრდენი მორფემის წინა მორფემაზე (ე. ი. მორფემაზე გადაბტომით). ამგვარი შესაძლებლობაც გამოიციხულია. ცალთანხმოვანიან ძირების შემცველი ყველა ზმნა ნებისმიერ ფორმაში პრეფიქსულ ხმოვანს უცვლელად წარმოგვიდგენს.

მივეც ზმნისეული ე ამ თვალსაზრისითაც განცალკევებით დგას...

II. ის, რაც ეწინააღმდეგება ე ხმოვნის პრეფიქსად მიჩნევას, თავისთავად, მხარს უჭერს ე-ს ძირისეულობას.

შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ვარაუდის დაშვებაც: ე ხმოვანი წარმომავლობით პრეფიქსია; გვიანდელი ფაქტია მისი ძირეულად გააზრება. ეგ ისტორიის საკითხია, მაგრამ ძველი და ახალი ქართლის მასალის ჩვენების საფუძველზე ჩვენ არ გვექნება უფლება ე-ს პრეფიქსად მიჩნევისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მიგვაჩნია ენაში იმგვარ ფორმათა არსებობა, რომელთა შესახებაც ა. შანიძე მიუთითებს: „თავში ქვა გ-ი-ე-ც“, ი-ე-ც, ი-ც-ა.

⁸ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 550.

სათავისო ქცევის **ი**-ს მომდევნო **ე** ხმოვანი მხოლოდ და მხოლოდ ძირეულად უნდა იქნეს გაგებულა.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ სასუბიექტო და საობიექტო ქცევის პირველი და მეორე პირის ფორმები განსახილველი ზმნისა ძალზედ იშვიათია. უფრო ხშირია მსგავსი სემანტიკის სხვა ზმნათა გამოყენება (დაკვრა, დახლა: „წადი და ახლა თავში ქვა იხალე“. ილია, II, 411), თუ ვ-ე-ც ზმნაში **ე**-ს პრეფიქსად მივიჩნევთ, სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები ასე უნდა ეწარმოებინა: და-ვ-ი-ც-ი, და-ი-ც-ი; და-ვ-უ-ც-ი, და-უ-ც-ი. ამ ტიპის ფორმები ჩვენ ვერ დავადასტურებთ. და-ვ-ი-ე-ც ტიპის ფორმები გვხვდება: თავში ქვა **იეც** და ისა ჰქენი (ილია, I, 10). წადი და თავში ქვა **იეცი** და შენ აალაგე (ილია, II, 350) ღირსსაეცნობი ფაქტია ის, რომ **იეც** ფორმა ილიასთან გვხვდება როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ ტექსტებში.

ვ-ი-ე-ც ტიპის ფორმები ჩვეულებრივია ხევსურული დიალექტისათვის: „მარცხენაში **მიიეც** ხანჯალი“ (=მარცხენაში გადაიტანე ხანჯალი), ხევსურულში განსახილველი ზმნის პარადიგმას ასეთი სახე აქვს: მი-ვ-ი-ე-ც, მი-ი-ე-ც, მი-ი-ც-ა⁹.

თავისთავად დაისმის კითხვა: სასუბიექტო ქცევის ამგვარი ფორმები ინოვაციაა, პრეფიქსული **ე** ხმოვნის ფუძისეულად გადააზრიანების შედეგი, თუ ისტორიული ვითარების ასახვა? ისეთი არქაული დიალექტის ჩვენება, როგორც ხევსურულია, ამ უკანასკნელს უნდა უჭერდეს მხარს.

ჩვენთვის საინტერესო ფორმა ძველ ქართულშიც დადასტურდა¹⁰: ეგერა ვიდრემე უკუე ერთსა ძალსა სამოციქულოსა **დაუიეც** (კანონ. კართაგ. 105.6). ეს ფორმა ტექსტის გამომცემელს, კ. კეკელიძეს, იმდენად იშვიათად მიუჩნევია, რომ ლექსიკონშიც შეაქვს: **დაუიეც** — დაუკარი (ცემისაგან).

სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმები სხვა არ შეგვხვდებოდა, მესამე პირისა მრავლადაა: ნუგეშინის იცა თავსა თუსსა (II მეფეთა, ოშ. 13.39). ნუგეშინის იცა გლოვისაგან იუდა (დაბ. 38.12). დაუეა ყრმასა მას... (პატერიკ. II. გვ. 58.13) და სხვ.

ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების გულდასმითი შესწავლა, ვფიქრობთ, „დაუეც“ ტიპის სხვა მაგალითებსაც გამოაჩენს. ამჯერად ჩვენ იმის თქმის უფლება გვაქვს, რომ ძველი ქართული ენის ჩვენებაც მხარს უჭერს **ე** ხმოვნის ძირისეულად მიჩნევას.

ზემო თქმულიდან გამომდინარე, ძველი თუ ახალი ქართულისა და ხევსურული დიალექტის ჩვენების საფუძველზე, **ი** და **უ** ხმოვანპრეფიქსთა მომდევნოდ **ე** ხმოვნის არსებობა მხოლოდ და მხოლოდ მის ძირისეულობაზე მიგვანიშნებს.

ე ხმოვნის ძირისეულობის მამტიციებელ ერთ-ერთ არსებით არგუმენტად **ცემა** ზმნის მეორე კავშირებითის წარმოება მიგვაჩნია.

⁹ ცნობა მოგვაწოდა ალექსი ჭინკარაულმა.

¹⁰ ესარგებლობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალექსიკონო ფონდით, სადაც ამ ძირის შემცველი რამდენიმე ათასი ბარათი მოიპოვება...

ძველ ქართულში განსახილველი ზმნა მეორე კავშირებითს -ე სუფიქსით იწარმოებდა: რაათა სცენ მას ჰამადი (ლ. C. 8. 55). ხოლო წყალი იგი, რომელი ვსცე მას, ეყოს (ი. C. 4. 14)... ასეა ახალ ქართულშიც: მივცე, მისცენ...

მეორე კავშირებითის წარმოებაზე დაკვირვების შედეგად ასეთი დასკვნა გაკეთდა: „უნიშნო აორისტის მქონე ზმნებში მეორე კავშირებითის -ე სუფიქსი გამოვლინდება იქ, სადაც საყრდენი მორფემისეული ე ხმოვანია გაუჩინარებული“¹¹. ის ფაქტი, რომ ცემა ზმნა მეორე კავშირებითის -ე სუფიქსით იწარმოებს, იმის მათუწყებელია, რომ კავშირებითის ფორმებში გაუჩინარებული ე ხმოვანი კავშირებითის მაწარმოებელი -ე სუფიქსისათვის საყრდენი მორფემისეულია (ე. ი. ე ძირისეულია).

თუ ე ხმოვანს ძირეულად გავიაზრებთ, არაბუნებრივად შეიძლება მოგვეჩვენოს ამგვარი სტრუქტურის ძირი: ეც. ამის გამო არის, რომ ა. შანიძე ე ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვანს გულისხმობს დაკარგულად; ეც ძირისათვის *ვეც ან *ვეც ვარიანტს ვარაუდობს ამოსავლად. ძნელია ამქამად იმის მტკიცება, ვ ან ჰ თანხმოვანი იყო თუ არა ე ხმოვნის წინ, მაგრამ ხმოვნით დაწყებული ზმნური ძირები უცხო რომ არ არის ქართულისათვის, ფაქტია. ფ. ერთელიშვილი VC სტრუქტურის 10, ხოლო VCC სტრუქტურის 9 ზმნურ ფუძეს გამოყოფს¹², მართალია, არ არის ჩვეულებრივი ქართულისათვის ამგვარი სტრუქტურის ზმნური ძირები, საკვლევეია მათი ისტორია, მაგრამ ფაქტია მათი არსებობა და ეც ძირიც მათ რიგში ჩადგება.

ე ხმოვნის ძირეულად მიჩნევა ეც ძირს განცალკევებით არ წარმოგვიდგენს.

როცა ვამბობთ, რომ ე ძირეული ელემენტია ზმნისა, არ გამოვირიცხავთ შესაძლებლობას მისი აფიქსური წარმომავლობისას; მაგრამ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ძველი და ახალი ქართულის მონაცემების მიხედვით ე ხმოვანს პრეფიქსად ვერ გავიაზრებთ, მისი გამონაწევრება და ც თანხმოვანთან დაშორება არ გვეჩვენება მართებულად.

Г. Б. ГОГОЛАШВИЛИ

К СТРУКТУРЕ ОДНОГО ГЛАГОЛЬНОГО КОРНЯ (СЕМА) В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Согласно общепринятой точке зрения, корневой морфемой глагола сема считается согласный с; вокальный сегмент е в формах аориста I и II лица (miv-e-s, mi-e-s) отождествляется при этом с префиксом е-, выделяемым в форме страдательного залога (e-xateba). Глагол mives признается формой депоненса (А. Г. Шанидзе, А. С. Чикобава, И. М. Кавтарадзе, Т. В. Гамкрелидзе, Г. И. Мачавариани).

¹¹ გ. გოგოლაშვილი, -ე და -ა სუფიქსიანი მეორე კავშირებითის შესახებ ახალ ქართულში: ქართული სიტყვის კელტურის საკითხები, V, თბილისი, 1983, გვ. 87.

¹² ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970, გვ. 17—18.

Однако гласный е в форме *mivēs* следует признать элементом корня, поскольку его нельзя считать идентичным префиксу страдательного залога е, ибо в таком случае остается неясным, почему этот префикс е встречается лишь в формах аориста I и II лица.

Далее, гласный сохраняется лишь в позиции перед согласным с, который оказывается в абсолютном конце слова (*mivēs*); присоединение любого аффикса, состоящего из одного гласного или начинающегося с вокального компонента, ведет к утрате гласного е. Подобное соотношение между гласным суффикса и предшествующим гласным возможно только в том случае, когда предшествующий гласный служит опорной морфемой для последующего суффикса.

Гласный е в формах субъектной и объектной версии I и II лица (*viēs*, *iēs*, *mivēiēs*...) нельзя интерпретировать как префикс—показатель версии и префикс е-₂ не могут быть представлены в одной и той же форме одновременно.

Форма II сослагательного глагола *seṭa* и в древнегрузинском языке, и в настоящее время образуется посредством суффикса -e (*raǰta vsc-e*). Прослеживается закономерность: форма II сослагательного в древнегрузинском языке посредством суффикса -e образовывалась от глаголов, опорная морфема которых утратила гласный е. Этот факт также свидетельствует в пользу признания слога *eš* (*mivēs*) одной морфемой.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართულ-
 ველურ ენათა განყოფილება
 შარშაღღინა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ლამარა ბაბლუანი

ჩქამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები სვანურ ენაში¹

ნაშრომში განიხილება ჩქამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები, რომლებიც სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში დასტურდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა ზღვარზე². მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მორფემის ფარგლებშიც სხვადასხვა კანონზომიერებას ექვემდებარება, ერთი მხრივ, სტაბილური მიმდევრობები და, მეორე მხრივ, მიმდევრობები, რომლებიც ხმოვანთა რედუქციის შედეგადაა მიღებული. არანარედუქციად მიმდევრობებს გაცილებით მეტი დისტრიბუციული შეზღუდვები ედება, ვიდრე რედუქციის შედეგად მიღებულთ. ამიტომ მორფემის შიგნითაც ცალ-ცალკე განვიხილავთ სტაბილურ³ მიმდევრობებსა და მიმდევრობებს, რომლებიც მიღებულია რედუქციის შედეგად.

ჩქამიერ თანხმოვანთა მიმდევრობები სვანურში შეიძლება იყოს ორწევრა და სამწევრა. უფრო გრძელი (ოთხწევრა, ხუთწევრა...) მიმდევრობები არ დავიდასტურდა.

• ანალიზის დროს ამოსავლად ვიღებთ ორწევრა კომპლექსებს. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ყოველ ენაში ორწევრა კომპლექსები უფრო სრულად ავლენენ თანხმოვანთა ურთიერთკომბინაციის შესაძლებლობებს, მეორეც, მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება უფრო გრძელი მიმდევრობების აგება⁴.

ცალკე გამოვყავით ნასესხები სიტყვები, მათ ჩვენ არ ვეხებით.

საანალიზო პოზიციები მორფემის შიგნით შემდეგია: თავკიდური, რომლითაც იწყება მორფემა, ე. ი. მიმდევრობა მორფემის თავკიდური ზღვრიდან ხმოვნამდე, ბოლოკიდური, რომლითაც მთავრდება მორფემა, ე. ი. მიმდევრობა მორფემის (ბოლო) ხმოვნიდან მორფემის ზღვრამდე, ინტერვოკალური — თანხმოვანთა მიმდევრობა ორ ხმოვანს შორის. თუ მორფემა ემთხვევა თანხმოვანთა-

¹ ანალიზი ჩატარებულია სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მასალაზე. საანალიზო მასალა ამოღებულია შემდეგი პუბლიკაციებიდან: ა. შანიძე, ე. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კლო, თბ., 1939; სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978, ბალსზემოური კლო, გვ. 7—173.

² ცნობილია, რომ მორფემათა საზღვარზე შეიძლება შეგვხვდეს მიმდევრობები, რომლებიც არ დასტურდება მორფემის შიგნით, Дж. Гринберг, Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, 1964, № 4, 83—41.

³ სტაბილურს ვეწოდებთ ისეთ მიმდევრობას, რომელიც თუნდაც ერთ სიტყვაში არ წარმოგვადგება გათიშული სახით ამ სიტყვის ცვლილებისას.

⁴ Дж. Гринберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 46—47; ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირითად ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, III, თბ., 1972, გვ. 152.

ჩქამიერ თანხმობანთა მიმდევრობები სვანურ...

მიმდევრობას, აქ, ცხადია, პოზიციები არ გამოიყოფა. ასეთი მორფემები ერთიანდება თავკიდურთან.

ქვემოთ მოცემულია სამივე პოზიციისათვის საერთო დისტრიბუციული კანონზომიერებანი. თუ პოზიციებმა განსხვავებული ვითარება აჩვენეს, აღვნიშნავთ.

სტაბილური მიმდევრობები. სტაბილურ ორწევრა მიმდევრობათა შექმნაში სვანურში არ მონაწილეობს ჯ და ჰ თანხმობენები. ოცდაოთხივე თანხმობის შემთხვევაში მოსალოდნელი 576 ორწევრა სტაბილური მიმდევრობიდან მორფემის ფარგლებში დადასტურდა მხოლოდ 36. დადასტურებული ორწევრა მიმდევრობები ქმნიან შემდეგ მრდევლებს: CC, CSp, SpC, SpSp⁵.

წარმოვადგენთ ჩქამიერ თანხმობანთა ორწევრა სტაბილური კომპლექსების ცხრილს:

ცხრილი I

	ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ხ	ს	ჭ	ჰ	კ	ღ	შ	გ	ქ	ც	ხ	ჭ	ყ	ჰ		
ბ																									
ფ																									
პ																									
ღ																									
თ																									
ტ																									
ძ																									
ც																									
წ																									
ხ																									
ს																									
ჭ																									
ჰ																									
კ																									
ღ																									
შ																									
გ																									
ქ																									
ც																									
ხ																									
ჭ																									
ყ																									
ჰ																									

სვანურის სტაბილურ ორწევრა მიმდევრობებში უგამონაკლისოდ მოქმედებს ზ. ჯაფარიძის მიერ სალიტერატურო ქართულის კონსონანტური ჯგუფებისათვის დადგენილი წესი „თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში არასონორს არ შეიძლება მოსდევდეს იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები, მისივე ან მომდევნო ლოკალური რიგის (რიგების) სხვა არასონორი⁶, ბეტორი ამ წესისა და ჩვენც ვემყარებით იმ მოსაზრებას, რომ წინაენისმიერ თანხმობებში „სისინა

⁵ C და Sp სიმბოლოები აღნიშნავენ შესაბამისად ხშულ (ხშულ-მსკდომ და აფრიკატ) და ნაპრალოენ ჩქამიერებს.

⁶ ზ. ჯაფარიძე, თანხმობანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იმეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, თბ., 1967, გვ. 147.

სპირანტები უფრო უკან იწარმოებიან, ვიდრე სისინა აფრიკატები, ხოლო შინა სპირანტები უფრო უკან — ვიდრე შინა აფრიკატები⁴⁷.

წესი ფორმულირებულია თავკიდური კონსონანტური ჯგუფებისათვის, მაგრამ იგი ერთი მორფემის ფარგლებში ყოველგვარ კონსონანტურ ჯგუფს ეხება როგორც ქართულში, ისე სვანურში.

ცხრილიდან (იხ. ცხრ. 1) ჩანს, რომ სვანურში დაუშვებელია:

ა). სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები (წინაენისმიერი + ბაგისმიერი, უკანაენისმიერი + წინაენისმიერი, უკანაენისმიერი + ბაგისმიერი).

ბ). ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური აქცესიური მიმდევრობები (წინაენისმიერი + წინაენისმიერი, უკანაენისმიერი + უკანაენისმიერი).

მაგრამ სვანურში დასაშვებია ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები ის აქცესიური მიმდევრობები, რომლებიც შედგენილია ასე: ყრუ სიბილანტი + წინაენისმიერი არაფშენიერი ხშულ-მსკდომები (სდ, სტ, შდ, შტ).

დასაშვებია აგრეთვე სხვადასხვა აქტიური ორგანოთი ნაწარმოები სტაბილური დეცესიური მიმდევრობები (ბაგისმიერი + უკანაენისმიერი, წინაენისმიერი + უკანაენისმიერი).

არ დადასტურდა ბაგისმიერი + წინაენისმიერი სახის სტაბილური დეცესიური მიმდევრობები.

დადასტურებულ ორწევრა სტაბილურ მიმდევრობებს მკაცრი დისტრიბუციული შეზღუდვები ედება, სწორედ ამითაა განპირობებული მათი სიმცირე. ამ მიმდევრობებს შეზღუდვები ედება, ძირითადად, აქცესია-დეცესიისა და პარმონიულობა-არაპარმონიულობის მიხედვით.

ეს სტაბილური მიმდევრობები ძირითადად დეცესიურია: 36 მიმდევრობიდან დეცესიურია 32, აქცესიური — 4. მაგრამ გარკვეული შეზღუდვა ედება როგორც დეცესიას, ისე აქცესიას.

აპურამაზდას რამდენიმე ეპითეტია, რომელიც harvisp ელემენტს შეიცავს. ესენია: harvisp—ākāsih, harvisp—kartar, harvisp—nēvakih, harvisp—rōšnih, harvisp—nikirītar. ისინი კომპოზიტებს წარმოადგენენ, რომლის I წევრია harvisp<har(v), II წ. visp<vispa, ძვ. ირ. haiva, ავ. haurva, ძვ. სპ. haruva, ძვ. ინდ. sārva „ყოველი, ყველა“. harvisp—ākāsih „ყოველის მცოდნე“. harvisp—ākāsih-ის II წ. ākāsīh<ākās+ih, ākās „მცოდნე“, „ჭკვიანი“, „გარკვეული“, „საქმეში ჩახედული“. ავ. a-kas, ახ. სპ. āgāh, სამხ. დას. ფორმა s<f>h, სომხ. ākās. ih აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი.

Ohrmazd harvisp—ākāsih ...būt (Bd 62 §10) — „ოპრამაზდი ყოველის მცოდნე იყო“. harvisp—kartār „ყოველისმეძღვე“ (სიტყვ. გამკეთებელი). კომპ. I წევრი harvisp, II წევრი kartar <kar + nom. ag სუფ. tār (ძირები kār, kun დიალექტიკურად განსხვავებულ). harvisp—nēvakih „ყოველად კეთილი“. I წევრი harvisp, II წევრი nēvakih<nēvak „კეთილი“, სუფ. ih (სიკეთე). harvisp—rōšnih „გასხვიოსნებული“, ნათელი (სიტყვ. მთელი სინათლის შემცველი), rōšnih <rōšn „ნათელი, თეთრი“, ავ. raōxšna. ამ სიტყვაშიც არის სუფ. ih.

avē i dātār Ohrmazd kē harvisp — rōšnih harvisp — nēvakih „ივია შემოკმედი ოპრამაზდი, რომელიც (არის) ყოველად კეთილი და გასხვიოსნებული“.

harvisp—nikirītar „ყოველისმნახველი“. ამ კომპოზიტის I წ. harvisp, II წევრი — nikirītar, nikirītan, nikir „ხედვა, გახედვა“, <nī+kar „განზრახვა“, ახ. სპ. negarīdan. nikir+nom. ag. სუფ. tar. Ohrmazd... harvisp—nikirītar ... būt. (Bd 62 §10) „ოპრამაზდი ყოველის მხილველი იყო“.

hamak-pursišnik „ყოველისმცოდნე“. (სიტყვა ყველაფრის შემეკითხავი) კომპოზიტი, რომლის I წევრი hamak „ყველა, ყველი, მთელი“, <ძვ. ირ. hamaka <hama, ახ. სპ. hama, II წევრი pursišnik „შემეკითხველი“ <ავ. ფ. purs, ავ. parasa, რთული სუფიქსი išnik ზედსართავთა მაწარმოებელი¹⁷.

Hamē-būtih, აგრეთვე hamē-hastih „თვისება, მარად ყოფნისა“. I წევრი hamē — ზმნიზედა — „მარადის, ყოველთვის“, II წ. būtih<būt ყოფნა ზმნის ნამყო დროის III პირის ფორმიდან „ის იყო“.

„Ohrmazd i hamē-būt u hamē-bavēt“. „Ohrmazd pat hastih hamē-būtih, hamē-baveti“, (Pn. 20, 14—15) „ოპრამაზდი მუდამ იყო, არის და მუდამ იქნება“.

Šayendakih „ძლიერება, ძალა, შეძლება“ <šay, ძვ. სპ. xšay „ძლიერება, ძალა, პოტენცია“, <šayendak მიმლეობიდან, აქედან ih სუფიქსის დართვით šayendakih; როგორც ჩანს, უკვე ძველ სპარსულში ამ ძირს ჰქონდა გარკვეული რელიგიური ელფერი „ძლიერება, ძალა“, რომელიც ღმერთთან იყო დაკავშირებული.

yut-beš „უდარღელი“. კობ. I წვერი yut-ზმნიზღდა — „გარემე“, ქართულში შეესატყვისება „უ-ო“. beš „ღარდი, ვარამი, საზრუნავი“, < ავ. tbaēšah-dvaešah სომხ. višt „ტივილი, მწუხარება“ (ძვ. ირ. dv> საშ. სპ. b).

sūt-x^hastar „შეგების, ჯანმრთელობის მომტანი“. კობ. I წვერი sūt „სარგებლობა“, II წვერ. x^hastar „მსურველი, მძებნელი“. ნიუბერგის დაკვირვებით, ეს ტერმინი ფალაური გადმოცემა ავესტური savista-სი, „უძლიერესი“¹⁸. ახ. სპ. xāstān: xāh. akanārākīh „უსასრულობა“, kanār „ნაპირი, ზღვარი“, ავ. kanara. უარყ. პრეფ. a (უარყოფა დადებითი მნიშვნელობით, რაც დამახასიათებელია ძველი ინდური რელიგიური მსოფლმხედველობისათვის), სუფ. ak+ih.

balist „უმაღლესი, უზენაესი“, ავ. barəzišta. ზედსართავის „მაღალი“ სუპერლატივის ფორმა, წარმოებული სუფ. ista>ist, barəz balistīh „უმაღლესი ადგილი, სიმაღლე“.

dām i Ohrmazd ... balistīh ... ēstāt. (bd 78 8—11) „ოპრმაზდის ქმნილება იმყოფებოდა სიმაღლეზე“. Balistik „ის, რომლის თვისებაა უმაღლეს ადგილზე ყოფნა“.

Ohrmazd balistik ... andar rōšnīh hamē būt. (bd 62 8—10) „ოპრმაზდი ყოველთვის იმყოფებოდა უმაღლეს ადგილზე სინათლით გარემოცული“.

balistik ham i asar rōšnīh. (bd 13—14) „მაღლა მყოფი ნიშნავს უსასრულო სინათლეს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინებიდან ყველა ერთგვაროვანი როდია, ზოგიერთი მხოლოდ ოპრმაზდის მიმართ იხმარება. dātār, dašv, hamē-būtīh, harvisp-akāsih და სხვა. მაგრამ akanārākīh ითქმის როგორც ოპრმაზდის, ასევე სხვათა შესახებაც. მაგ. Pandnāmak-ში ეს ტერმინი ოპრმაზდის მიმართ იხმარება: Ohrmazd pat hastīh, hamē-būtīh, hamē-bavētīh u akanārākīh (Pn 19₆) „ოპრმაზდი არის, მუდამ იყო და მუდამ იქნება უსასრულო“. ხოლო Bundahišn-ში დროის მიმართ არის ნახმარი: Zamān i akanārākīh „უსასრულო დრო“; ასევე, მავალითად, afzōnik „სავე, სრული, ძლიერი“. ზედ. სახ. afzōn ძვ. ირ. apī-zavana Bundahišn-ში გვხვდება, როგორც ოპრმაზდის ეპითეტი Ohrmazd afzōnik būt „ოპრმაზდი უძლიერესი იყო“.

იმავე ტექსტში ცის მიმართ არის ნახმარი afzōnik imēnōk (Bd 81, 14). აჰურამაზდას ეპითეტებს შორის ვხვდებით ზედსართავ სახელებს rāyōmand „ნათელი, გასხივოსნებელი“, afzōnik „სავე, სრული, ძლიერი“; შეიძლება ზედსართავი იყოს აღმატებით ხარისხში balist „უმაღლესი“. არსებით სახელთაგან უმთავრესად გამოყენებულია მოქმედის აღმნიშვნელი ფუძეები dātār „შემოქმედი“; აგრეთვე გვხვდება ამ ფუნქციით აბსტრაქტული სახელები hamē-būtīh „თვისება მარად ყოფნისა“.

ЛИТЕРАТУРА

1. А. Мензис. История религии, СПб. 1905, гл. 295.
2. М. М. Дьяконов. Очерк истории древнего Ирана, М., гл. 261.
3. В. С. Расторгуева, Среднеперсидский язык, М., 1966, гл. 36.
4. Т. Д. Чхендзе. Именное словообразование в персидском языке, Тб., 1969, гл. 9.
5. თ. ჩხეიძე. აღმამირ პაპაიის ძის საქმეთა წიგნი, თბილისი, 1975, გვ. 121.
6. Т. Д. Чхендзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

7. H. S. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi Bd. 2; D. N. Makenzie, A Concise Pahlavi Dictionary, London, 1971.
8. M. Haug, Glossary and index of the Pahlavi Text of The Book of Arda Viraf, Osnabrück, 1978.
9. E. Benveniste, The Persian religion according to the chief Greek Texts, Paris, 1929, გვ. 23.
10. Бетани и Дуглас, Великия религии Востока, М., 1899, გვ. 278.
11. М. Н. Боголюбов, Молитва Ахурамазды на древнеперсидском языке среди арамейских надписей из Аресуна, сб.: История Иранского государства и культуры, М., 1971, გვ. 279.
12. იქვე, გვ. 281.
13. M. Haug, The Book of Arda Viraf, The Pahlavi Text, Bombay-London, 1872.
14. თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.
15. H. W. Bailey, Zoroastrian Problems in the Ninth — century Books, Oxford, 1943, გვ. 1.
16. თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
17. Т. Д. Чхендзе, О значениях и происхождении суффикса isn в среднеперсидском языке, Краткие сообщения Института народов Азии, М., 1961, გვ. 247.
18. H. S. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi bd. 2, Uppsala, 1931.

М. Г. ЦЕРЕТЕЛИ

АХУРА МАЗДА И ЕГО ЭПИТЕТЫ ПО СРЕДНЕПЕРСИДСКИМ ПАМЯТНИКАМ

Резюме

Зороастризм — древнеиранская религиозная идеология, в основе которой лежит дуалистическая идея борьбы темного и светлого начал. Олицетворение светлого начала (бог Ахура Мазда) является центральной фигурой этой религии. В Сасанидский период Ахура Мазда выступает в роли верховного божества, которое наделено множеством эпитетов. Один из наиболее распространенных среди них — *dātār* «творитель, создатель». Внимание ученых привлекает термин *xʷarəōmand* — «счастливый». Бенвенист считает его символом царского величия.

Как уже упоминалось выше, дуализм — неотъемлемая черта зороастризма. Это проявляется даже в лексике этого периода. В среднеперсидском часто встречаются антонимы, включающие элементы *hu*, *duš*, отражающие религиозный дуализм — противопоставление добрых начал злым. Например, *hu-čašt* «благожелательный», *duš-čašt* «злой, вредный» — (букв. «имеющий добрый глаз», «имеющий дурной глаз»).

Среди эпитетов Ахура Мазды встречаем прилагательные: *gāyōmand* «светлый», *afzōnik* «сильный»; существительные: *frazānak* «мудрый», *dātār* «создатель»; абстрактные имена: *Šāyēndakih* «мощь», *akanārakih* «бесконечность».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული განყოფილება
წარმოადგინა აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მ. ვ. ზსაკია

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ НОМИНАЦИИ (НА МАТЕРИАЛЕ СОБСТВЕННЫХ ИМЕН)

Среди прочих наименований особое место как объект исследования занимают собственные имена. Интересно проследить процесс их создания.

Существует ряд работ по вопросу собственных имен [1—8]. Тем не менее, в этой проблеме еще есть неисследованные грани, представляющие определенный интерес для полного ее решения. Так, интересным представляется типологическая направленность рассмотрения разных стадий создания собственных имен у разных народов, а также установление того, лежит ли в основе номинации собственных имен, подобно именам нарицательным, выбор признака.

С этой целью обратимся вначале к именам, взятым из греческой и римской мифологии. Прихдим к выводу, что в большинстве своем это имена значащие, созданные людьми на основе тех признаков-качеств и черт, которые они присваивали или хотели видеть в своих богах. Так, согласно словарю Вебстера, происхождение, например, имени Прометей объясняется следующим образом: Прометей—Prometheus—Gr. Promētheus—forethinking—pro—before+ mathein, to learn [9]—провидящий, т. е. подчеркивается мудрость этого героя. Происхождение имени богини любви и красоты Афродиты объясняется так: Афродита—Aphrodite (Gr. Aphrodite, the foam—born) [10] т. е. родившаяся из пены морской, что ассоциировалось с чем-то прекрасным, чистым, возвышенным. Имя Геркулес объясняется словарем так: Геркулес—Hercules (Gr. Herakleēs—Hēra—Hera.+ kleos, glory [11], т. е. слава, посланная Герой. Таким образом было образовано имя мифического героя, олицетворявшего силу, мужество, славу. На основе признака-характеристики образовались не только имена героев греческой мифологии, но и русские имена: Добрыня, Злоба, Молчан, Надежда и т. д.; грузинские имена: მთვარისა, მზეკნარი, სულიძო, გულიძო; английские: Earnest, Victor, Hope, Honey.

Следует подчеркнуть, что акт создания собственного имени по определенному признаку происходил как на начальном, так и на современном этапах развития общества, и свойство это характерно для разных языковых коллективов. Интересно стереотипность подбора признаков, полженных в основу собственного имени, в разных языках (Надежда—მედა—Hope). То же самое наблюдается и в именах, основанных на названиях цветов во многих языках (Роза—ვარდო—Rose). С течением времени старые имена начинают переходить из поколения в поколение уже по традиции (т. е. процесс создания новых имен, в основном, сменяется механическим употреблением готовых собственных имен), первоначальный их смысл стирается и в некоторых случаях совсем забывается. Современная стадия употребления собственного имени характеризуется тем, что имя в большинстве случаев не несет в себе оценочных качеств-признаков. Однако, по всей видимости, люди нуждаются в именах-оценках, в именах-характеристиках. По этой причине в речь и литературу попадают имена-образы, в основе которых лежат разли-

чные признаки. Они появляются как дополнительные, незафиксированные документально имена-образы, бытующие в узком кругу близких людей, т. е. возникает та же ситуация, что и на ранних этапах развития человечества. Так появляются основанные на метафорическом переносе имена-клички типа: Геракл (сильный), Отелло (ревнивец), *ბეჭაბეჭი* (бездельник). Аналогичная ситуация наблюдается в именах (фамилиях)-характеристиках, появляющихся в художественной литературе. Это так называемые говорящие фамилии (имена) у Грибоедова (Скалозуб), Гоголя (Коробочка), Салтыкова-Щедрина (Иудушка), Ниношвили (*მუხვაბე, უშვილი*), Коллинза (Blake—black; Ablewhite—able to see white) и других писателей. При этом имена литературных героев входят в обиходный язык как имена-символы. Так вошли в обиход имена литературных героев Акакия Акакиевича и Плюшкина, Обломова, Хлестакова и Бендера, Луарсаба Таткаридзе и Дон Кихота.

Таким образом, из всего вышерассмотренного можно сделать вывод, что в основе создания собственных имен лежит выбор признака. Поскольку небольшой объем статьи не дает возможности детального изучения этого вопроса, обратимся к рассмотрению процесса отбора признака на примере создания собственных имен американских индейцев, очень ярко иллюстрирующих этот факт. Материал для анализа взят нами из романа Оливера Лафарга (Oliver La Farge) «Смеющийся мальчик» (Laughing Boy) [12]. «Смеющийся мальчик» — это роман о жизни американских индейцев, о мире древней культуры со своими особенностями, своей мудростью и логикой. Знакомясь с героями романа, обращаешь внимание на специфические особенности их имен, в основе которых лежат различные признаки: Laughing Boy, Slim Girl, Horse Giver's Son, Jestling Squaw's Son, The Doer, Red Man, Yellow Singer, Cold Woman. Специальными именами наделяются не только отдельные индивиды, но и группы людей—Divine People, Hunger People, а также боги—Talking God, Enemy Gods, Tall Gods. Во время различных церемоний индейцы дают специальные имена их участникам. Например, Wounded Face, Mountain Singer, Walked Around, Spotted Horse, Narrow Nose.

Еще раз хочется акцентировать внимание на том, что подобного рода имена-характеристики свойственны для родового строя, где имена находятся обычно в устном обращении [13].

Представляет интерес разобраться в том, почему герой анализируемого романа получают то или иное собственное имя.

Что касается главного героя, он получил свое имя — «Laughing Boy» — благодаря открытой, искренней, светлой натуре, золотому сердцу. «Laughing Boy» нарушил закон предков и женился на женщине с сомнительным прошлым, принадлежавшей другому племени. «Slim Girl» (Изящная Девушка) была воспитана в цивилизованном обществе американцев, но, не влившись в него, утратила связь и со своим народом. Женившись на ней, «Laughing Boy» должен был покинуть свою родину. Спустя некоторое время, ему приходится пройти сквозь тяжелые жизненные испытания, и переживания изменили выражение его лица, изменив, вероятно, и внутренний мир, и автор отмечает: «No one who met him then for the first time would have named him

„Laughing Boy“ (с. 148) [14]. Люди из нового окружения знают его в других проявлениях: имеется в виду и его деятельность, и его характер. Поэтому ему дают имя «Horse Trader», и кто-то в шутку называет, отмечая его склонность к уединению, „Turns His Back“. И даже на родине, как сообщает его друг, никто не зовет его теперь старым именем: „Up, there, now they do not call your old name“ (с. 153) [15]. То есть, новая ситуация, в которую попадает герой, изменяет его имя, и это представляется ему естественным: „I am not surprised. I am changed, it is right that my name should change“ (р. 153) [16]. По этой причине „Laughing Boy“, покинувший свой клан, и получил новое имя „Went Away“, а поскольку женой его стала женщина с прошлым, его назвали „Blind Eyes“.

Аналогичный процесс создания собственных имен на основе определенных признаков наблюдается в русских, грузинских и английских перифрастических именах, а точнее, в приложениях к собственным именам, принадлежащим как историческим лицам, так и героям фольклора. Например, Иван-Царевич, Иван-Дурак, Иван Грозный, Юрий Долгорукий, Владимир Ясное Солнышко, დავით აღმაშენებელი (Давид Строитель), ქეთევან წამებულო (Кетеван Мученица), John Lackland (Иоан Безземельный), Richard Lion-Heart (Ричард Львиное Сердце).

Подводя итоги вышесказанному, приходим к следующему выводу. При создании собственных имен в разных языках в основе наименования, в основном, лежит выбор признака, т. е. происходит тот же процесс, что и при создании нарицательных существительных, образованных по способу выбора признака.

Литература

1. И. Бестужев-Лада, Ваше имя? «Неделя», 1968, № 18.
2. Э. Вартанян, Путешествие в слово, М., 1976.
3. В. Г. Дмитриев, Скрывшие свое имя, М., 1977.
4. Т. Н. Кондратьева, Семантика и функционирование синтаксических единиц, Казань, 1983.
5. Ю. М. Лотман, Б. А. Успенский, Ученые записки Тартусского университета, вып. 308, 1973.
6. В. А. Никонов, Имя и общество, М., 1974.
7. Е. Н. Полякова, Из истории русских имен и фамилий, М., 1975.
8. S. E. Weger, Proper Names and Formal Semiotic, Synthese, Boston, 1978, vol. 38, № 1 с. 74—112.
9. Webster's New World Dictionary of the American Language, Cleveland and New York: The World Publishing Company, 1966, с. 1165.
10. 11. Там же, с. 67, 679.
12. O. La Farge, Laughing Boy, N. Y., 1971.
13. И. Бестужев-Лада, Цит. раб.
14. O. La Farge, ук. раб., с. 148.
- 15—16. Там же, с. 153.

რუსულან ნემოძი

მხატვრული პრონოტოპი და Short Story-ს სიუჟეტური დინამიკა

მხატვრული პრონოტოპი, ე. ი. დროულ-სივრცობრივ მიმართებათა ერთობლიობა მხატვრულ ტექსტში, სიუჟეტური თხრობის გაშლისა და ტექსტის კომპონენტთა ურთიერთშეჭიდულობის რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ პრონოტოპს შეიძლება ქანრული მნიშვნელობა მიენიჭოს: მაგ., მ. ბახტინს მიაჩნია, რომ ანტიკური რომანის პრონოტოპი არის „ავანტურული დრო + უცხო სამყარო“ (1, 136); მ. მიელახი კურტუაზული ლირიკის უსიუჟეტურობას უკავშირებს „წერტილოვან“ სივრცეს და „გაყინულ“ დროს (6, 87) და ა. შ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა საშუალება დაგვედგინა, რომ Short story¹-სათვის ტიპურია პრონოტოპის შემდეგი სახეობა: „ეპიზოდური ნამყო + საყოფაცხოვრებო სივრცე“. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხრობის პრონოტოპის აუცილებელ კორდინატად დროისა და სივრცის გარდა მივიჩნევთ ამ კორდინატებთან დაკავშირებულ თხრობის სუბიექტსაც, რის გამოც ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის პრონოტოპის სრული მოდელი იღებს შემდეგ სახეს: „სუბიექტი + ეპიზოდური ნამყო + საყოფაცხოვრებო სივრცე“.

ჩვენ მიერ დადგენილ მხატვრულ პრონოტოპში დროული კომპონენტის ობიექტურ დროსთან მიმართებაცაა აღნიშნული: „ეპიზოდური ნამყო“. ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის მხატვრული დრო, ისევე როგორც ყოველი ეპიკური ნაწარმოების მხატვრული დრო, ნამყოა, პრეტერიტი (7, 531). ტექსტის ტემპორალურ ველში ცენტრალურია თხრობის დრო პრეტერიტი და ამ ველში ხდება დროის სხვა ასპექტების ტრანსპონირება პრეტერიტში. ეს ნიშნავს იმას, რომ ტექსტში გამოყენებული ზმნური ფორმები, დროის რომელი ასპექტითაც არ უნდა იყოს რეალიზებული, წარმოადგენს მხატვრული პროზაული ნაწარმოების ნ ა მ ყ ო ს ელემენტებს.

რაც შეეხება პრონოტოპულ სივრცეს, ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის სივრცობრივი გარემო ძირითადად „ინტერიერს“ უნდა მივაკუთვნოთ, რასაკვირველია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყოველი ინტერიერული ხდომილება დიდი ექსტერიერული სამყაროს ნაწილია, მისი დეტალია. ინგლისურ-ამერი-

¹ რადგან არ არსებობს ტერმინოლოგიური მდგარობა Short Story-ს ქანრობრივ დეფინიციის სფეროში (3, 4), გუვებრობის თავიდან ასაცილებლად გამოვიყენებთ ტერმინს „ინგლისურ-ამერიკული მოთხრობა“ (და არა „ნოველას“, როგორც ხშირად მდგარად უწოდებდნენ ამ ქანრობრივ სახეობას). ყოველი ქანრობრივი სახეობის სიღრმისეული კვლევა, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურულ-სემანტიკური კატეგორიების დადგენა და ანალიზი უთუოდ ტერმინოლოგიურ არეულობასაც მოაქვს სრულს. ერთ-ერთ ასეთ კატეგორიას წარმოადგენს მხატვრული პრონოტოპი.

კული მოთხრობის სიუჟეტური სივრცის კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მრავალფეროვანი გარემოს ის სხვადასხვა ვარიანტი, რომელშიაც გაშლილია მოქმედება, შესაძლოა გაერთიანდეს ცნებაში „საყოფაცხოვრებო სივრცე“.

ქრონოტოპული მოდელის მესამე კოორდინატი — „სუბიექტი“ მოთხრობის ცენტრალური ფიგურაა, თუმცა შესაძლოა სიუჟეტურ ხაზზე მას ჩაენაცვლოს სხვა მოქმედი პირიც.

ქრონოტოპის ამ სამწევრა მოდელის წარმოდგენით ეუშვებთ იმ მოსაზრებას, რომ ქრონოტოპი არის მხატვრულ სინამდვილეში ტრანსპონირებული ლოკაცია: ლოკაცია კი, როგორც ცნობილია, ნომინაცია და პრედიაციისთან ერთად შეადგენს ენობრივი აბსტრაქციის სამ უზოგადეს კატეგორიას. ზემოაღნიშნული სამი სახის აბსტრაქცია საერთოდ ენობრივი სისტემისათვისა დამახასიათებელი და მათი სუბიექტური აქტუალიზაცია მეტყველებაში ხდება. ნებისმიერი კონკრეტული გამონათქვამი წარმოადგენს — სუბიექტის მიერ საგნების ან მოქმედების დასახელებას (ნომინაცია); სუბიექტის მიერ საგანთა შორის კავშირების დადგენას (პრედიაცია); სუბიექტის მიმართებას ხდომილების დროსა და სივრცისადმი (ლოკაცია) (8,122). ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის ანალიზმა ცხადყო, რომ ყოველ ჩვენ მიერ განხილულ მოთხრობაში (100 მოთხრობა) სხვადასხვა წარმოდგენილი მხატვრული ქრონოტოპის კოორდინატთა სისტემა, ე. ი. რეალიზებულია ქრონოტოპის ყველა კოორდინატი. სიუჟეტურ ხაზზე ხდება ქრონოტოპის რომელიმე კოორდინატის შეცვლა, რაც მჭიდრო კავშირშია მხატვრული ტექსტის ზეფრაზული მთელის (ჩვენი ტერმინით კადრის) შეცვლასთან. (მხატვრული ხდომილების წარმოსახვითი განფენილობა დროსა და სივრცეში ქმნის ნაწარმოების „ვიზუალურ“ სამყაროს და ტექსტის სტრუქტურულ-მინაარსობრივი ერთეული — ზეფრაზული მთელიც წარმოგვიდგენს მხატვრული სამყაროს ნაწილს, რომლის რეალიზაცია მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენ კადრის სახით წარმოგვიდგება).

კადრის შეცვლას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვრული ქრონოტოპის რომელიმე კოორდინატის შეცვლა გვაუწყებს; მაგრამ, ქრონოტოპის რომელი კოორდინატიც (დრო, სივრცე თუ სუბიექტი) არ უნდა იცვლებოდეს, თითოეული კადრის თემატურ-სიუჟეტური ცვლილება ქრონოტოპულ ხაზზე მოძრაობას, გადაადგილებას ნიშნავს, ეს მოვლენა დადასტურება იმისა, რომ ყოველი ჩვენ მიერ გაანალიზებული მოთხრობის ქრონოტოპი დინამიკური, ვარიაციული სტრუქტურაა, რომლის კონკრეტულ გამოვლენათა განზოგადებამ მოგვცა საშუალება დაგვედგინა ინვარიანტული, კონცეპტუალური მოდელი ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის ქრონოტოპისა: „სუბიექტი + ეპიზოდური ნაყოფსა-ყოფაცხოვრებო სივრცე“.

ზემოაქმული საბუღალბას იძლევა პიპოთეტურად დავასკვნათ, რომ ყოველ მოთხრობას, უნდა ჰქონდეს მისთვის დამახასიათებელი და უმეტეს შემთხვევაში სხვა მოთხრობებისგან განსხვავებული ქრონოტოპული სტრუქტურა. ნაირგვარი ქრონოტოპული ვარიანტების კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათი სიდიდისეული ანალიზისათვის და ამ ანალიზის შედეგების განზოგადებისათვის (ე. ი. ქრონოტოპული ინვარიანტის დასადგენად) საჭიროა ქრონოტოპთა კლასიფიკაცია სიუჟეტურ ხაზზე ქრონოტოპული მრუდის მოძრაობისა (1) და რომელიმე კოორდინატზე ორიენტირებული ქრონოტოპის ტიპების (2) მიხედვით. აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით ინგლისურ-ამერიკული

მოთხრობის მხატვრული ქრონოტოპი შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. ა) მარტივი და ბ) რთული ქრონოტოპები (სიუჟეტურ ხაზზე ქრონოტოპული მრუდის მოძრაობის მიხედვით) და 2. ა) დროულად, ბ) სივრცობრივად, გ) სუბიექტის მიხედვით ორიენტირებული და დ) შერეული ქრონოტოპები.

როგორც აღვნიშნეთ, მარტივი და რთული ქრონოტოპების გამოყოფას საფუძვლად უდევს სიუჟეტურ ხაზზე ქრონოტოპული მრუდის მოძრაობის ხასიათი. რა არის ქრონოტოპული მრუდი? ჩვენ მას განვსაზღვრავთ როგორც სიუჟეტურ ხაზზე ხდომილებათა თანმიმდევრობის, მონაცვლეობის სტრუქტურულ-შინაარსობრივ მაჩვენებელს. ცალკეულ ხდომილებას (რომელთა ერთიანობა სიუჟეტს შეადგენს), რომელშიც მიერთდება, სიუჟეტის ერთ-ერთი რგოლია რეალიზებული, ჩვენ კადრი ვუწოდებთ (ეს უკვე აღვნიშნეთ ზემოთ). მიერთდება ისევე, როგორც სიუჟეტი, მხატვრული ტექსტის სუპერვერბალურ (ანუ ზესიტყვიერ) დონეს განეკუთვნება, ხოლო ვერბალურ დონეზე მისი შეცვლის, ახალი კადრის დასაწყისის სტრუქტურულ-სემანტიკური მაჩვენებელი ქრონოტოპის რომელიმე კოორდინატის შეცვლითაა აღნიშნული. ზოგიერთ მოთხრობაში ქრონოტოპული მრუდი ასახავს კადრების მონაცვლეობას სიუჟეტურ ხაზზე და ემთხვევა ობიექტური დროის სწორხაზოვნებას, ერთმიმართულებიანობას (ე. ი. რეტროსპექტული და პროსპექტული ელემენტების გარეშე). ასეთ ქრონოტოპს მარტივი ვუწოდებთ.

საილუსტრაციოდ ავიღოთ რომელიმე მოთხრობა, რომელშიც მარტივი ქრონოტოპული სტრუქტურაა რეალიზებული. მაგ., ჯ. სტენბეის „The Chrysanthemums“ (13—164). ქრონოტოპული სტრუქტურის კოორდინატების კონკრეტული რეალიზაცია ასეთი სახით წარმოგვიდგება: დრო (T) + სივრცე (SP) + სუბიექტი (S) განვიხილოთ, თუ როგორ წარმოდგება თითოეული კოორდინატი კონკრეტულ მხატვრულ ტექსტში, კერძოდ ამ მოთხრობაში. მოქმედება ხდება ზამთარში („The high gray flannel fog of winter closed the Salinas Valley from the sky and from the rest of the world“); მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ქრონოტოპული სტრუქტურისათვის მოქმედების დროს (ე. ი. წელიწადის დროს, თვეს ან დღე-ღამის ნაწილს) კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მოქმედების დროის ხანგრძლივობას, რაც კიდევაც აღვნიშნეთ ქრონოტოპული მოდელის კონსტრუირებისას: ეპიზოდური ნაწყობი, რომლის ამპლიტუდა განალიზებულ მოთხრობებში რამდენიმე წუთიდან რამდენიმე წლამდე მერყეობს. თუმცა მონაკვეთური (ეპიზოდური) დრო სხვა ეპიკურ ეპოზობრივ სახეობასაც შეიძლება ახასიათებდეს, მაგრამ ინგლისურ-ამერიკულ მოთხრობაში ყოველი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ელემენტი ერთიანი შთაბეჭდილების, ერთი ხდომილების, ერთი ხასიათის ხორცშესხმას, რეალიზაციას ემსახურება (11, 36). ჩვენი კვლევის მიზანი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის—ქრონოტოპული ელემენტების (დრო-სივრცე-სუბიექტის) ენობრივი ორგანიზაციის ანალიზი და მათი ხვედრითი წონა ხდომილების ერთჯერადობის (singleness) რეალიზებაში. ქრონოტოპული დროის დახასიათებისას ჩვენ ვთქვით, რომ იგი მოთხრობაში გაშლილი მოქმედების ხანგრძლივობის მაჩვენებელია, ხოლო მოთხრობის პირველ კადრში რეალიზებული დროის მაჩვენებელი ელემენტი მოქმედების დროის ათვლის წერტილია. ზემოთ აღნიშნული მოთხრობის პირველ კადრში ნახსენები winter—ათვის წერტილია, ხოლო გრძლიობა მოქმედების რამდენიმე საათია (შუადღიდან მოყოლებული). სხვა მოთხრობაში შესაძლოა რაღაც გარკვეული, კონკრეტული დროული ინდიკატორი, მაგ. ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 1

რი (დღე, საათი) გეჭონდეს ათვლის წერტილად (ე. ი. პირველ კადრში მოცემულ დროულ ელემენტად), ქრონოტოპული დრო კი ზამთარი (winter) იყოს. მაშასადამე, ქრონოტოპული დრო ის დროა, რომელიც მხატვრულ გარემოში მოქმედების გაშლას სჭირდება.

რაც შეეხება მხატვრულ სივრცეს, ანუ ქრონოტოპულ სივრცეს, მისი დადგენის პრინციპი შემდეგნაირი უნდა იყოს: მოქმედების ადგილები, რომლებიც თხრობის მანძილზე იცვლება, უნდა გაერთიანდეს ქრონოტოპულ, განზოგადებულ სივრცეში. ასე მაგალითად, ამ მოთხრობაში რამდენიმე სივრცობრივი ელემენტია რეალიზებული: the Salinas Valley, foothill ranches, yellow stubble fields, orchards, flower garden, tractor shed, farmhouse—ყველა ეს სივრცობრივი დეტალი შეიძლება გაერთიანდეს ქრონოტოპულ სივრცეში, რომელიც აერთიანებს კონტექსტუალურ ასოციაციებს თემატური ჯგუფისა „სოფელი“. „სოფელი“ არის ამ მოთხრობის სივრცის თემატური ველის ლერძისეული სიტყვა (4, 22).

მხატვრული ქრონოტოპული სტრუქტურის მესამე კოორდინატი — სუბიექტია. აქ ერთი არსებითი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი (ჩვენი ტერმინოლოგიით „ქრონოტოპული სუბიექტი“) ერთია, რომლის გარშემო იშლება მთელი მოქმედება და რომელსაც ორგანულად უკავშირდება მოთხრობაში რეალიზებული ხდომილება. ამ მთავარი მოქმედი პირის ხასიათი მკლავდება, იხსნება ნაწილ-ნაწილ, კადრიდან კადრში. რა ძირითადი საშუალებები არსებობს მოქმედი პირის დასახსიათებლად? ეს საშუალებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი დახასიათება მოქმედი პირისა მხატვრულ ნაწარმოებში რეალიზებულია სიუჟეტურ ხაზში მისი მონაწილეობით (ე. ი. მოქმედებით) და მისივე მეტყველებით (რომლის სტრუქტურირება ხდება პირდაპირი, ირიბი ან მხატვრულად ტრანსფორმირებული მეტყველებით). მოქმედი პირის არაპირდაპირი დახასიათება ხდება ავტორის ან სხვა პერსონაჟის მიერ მოცემული დახასიათებით. აქ ერთი მცირე წიადსვლა უნდა გავაკეთოთ მოქმედი პირის მეტყველების ანალიზთან დაკავშირებით. მოქმედი პირის მეტყველება შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური ლინგვისტიკის საკვლევი სფეროს ობიექტი (რაც მხატვრული ნაწარმოების სუპერვერბალურ დონეს განეკუთვნება) და მოქმედი პირის მეტყველება — როგორც სიუჟეტური თხრობის (ე. ი. ნაწარმოების ვერბალური დონის) განუყოფელი და შემადგენელი ელემენტი. ამათგან პირველი, ე. ი. მოქმედი პირის მეტყველება — როგორც სოციალური ლინგვისტიკის საკვლევი ობიექტი — მოთხრობის სიუჟეტური დინამიკის კვლევისას არაა რელევანტური. უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ეპიკური ფორმის ნაწარმოებისათვის პერსონაჟის მეტყველების თავისებურება შესაძლოა თხრობის ტემპორალურ ველში ერთ-ერთი არსებითი დეტალიც იყოს — მოქმედი პირის სოციალური სტატუსის შეცვლის ერთ-ერთ დადასტურებად შეიძლება მისი მეტყველების ტრანსფორმაცია მოვიწველით და ეს შეცვლა ქრონოტოპულ კონტინუუმში გადაადგილების ტოლფასოვანი იქნება; მაგრამ მოთხრობაში არ ვხვდებით პერსონაჟის მეტყველებაში სოციალურ გადახრებს — ერთი ეპიზოდის ფარგლებში ეს შეუ-

ძლებელია: მოქმედი პირის მეტყველება მთელი მოთხრობის მანძილზე გვაროვანია, ე. ი. ხასიათდება ერთი და იმავე ენობრივი — ლექსიკური თუ გრამატიკული — თავისებურებებით; და თუ შევეცდებით ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის ჩარჩოში რომელიმე პერსონაჟის მეტყველების დახასიათებას, კრიტიკრიუმად თემატური მახასიათებელი უნდა მივიჩნიოთ.

ქრონოტოპული დრო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროული ელემენტების თემატური ველის ღერძისეული ერთეულია, ქრონოტოპული სივრცე კი — სივრცის თემატური ველის ღერძისეული ელემენტი. მაგრამ სუბიექტი? რას წარმოადგენს ქრონოტოპული სუბიექტი ლინგვისტური თვალსაზრისით? ჩვენი აზრით, ქრონოტოპული სუბიექტი არის სინთეზი სხვადასხვა კადრში რეალიზებული სუბიექტობიექტების მიმართებისა, მათი პოლარულობის ურთიერთშექცევადობისა. ის, რასაც ე. ბენვენისტი წერს „Ego“-ს შესახებ შესაძლოა გავრცელდეს მხატვრულ ქრონოტოპულ სუბიექტზეც: «Осознание себя возможно в противопоставлении. Я могу употребить «я» только при обращении к кому-то, кто в моем обращении предстанет как «ты». Подобное диалогическое условие и определяет лицо, ибо оно предполагает такой обратимый процесс, когда «я» становится «ты» в речи кого-то, кто в свою очередь обозначает себя как «я». Полярность лиц — вот в чем состоит в языке основное условие, по отношению к которому сам процесс коммуникации, служивший нам опорной точкой, есть всего лишь прагматическое следствие... Эта полярность не означает ни равенства, ни симметрию. «Ego» и «ты» находятся в отношении взаимодополнительности и взаимобратимости... В реальности диалектического единства, объединяющего оба термина и определяющего их во взаимном отношении, и кроется языковое основание субъективности» (2, 294).

ყველაფერი ზემოთქმული, რაზედაც ე. ბენვენისტი წერს, რეალვანტურია მეტყველების ერთგვარადი აქტის ფარგლებში. დიალოგურ მეტყველებაში ამ პირის ნაცვალსახელთა ურთიერთშექცევადობას აქვს ადგილი: მოლაპარაკე ყოველთვის „მე“ არის და ეს განსაზღვრავს მსმენელის („შენ“) არსებობას. მაგრამ ტექსტის დონეზე, ჩვენი აზრით, სუბიექტ-ობიექტის ზემოთ აღნიშნულ ორწევრა სისტემას („მე — შენ“), მესამე წევრიც („ის“) უნდა დაემატოს, რადგან თუ მხატვრული ტექსტის ქრონოტოპულ ცვლადს გავანალიზებთ დინამიკაში, ვნახავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ის, ვინც მესამე პირად („ის“) იყო მოხსენიებული რომელიმე კადრში, მომდევნო კადრში სუბიექტად („მე“-დ) შეიძლება იქცეს, რაც შესაბამისად გამოიწვევს ადრინდელი სუბიექტ-ობიექტის მონაცვლეობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრონოტოპულ სუბიექტს ქმნის თვით ამ სუბიექტის კონკრეტული რეალიზაციისა (დროისა და სივრცობრივი ელემენტების მონაცვლეობის ფონზე) და სხვადასხვა კადრში განსხვავებული სუბიექტების ერთობლიობა. ამ სხვადასხვა სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებაში ინტეგრირდება ქრონოტოპული სუბიექტი, ე. ი. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ის, რასაც ე. ბენვენისტი გამონათქვამის დონეზე პირთა პოლარულობას უწოდებს და ორწევრა მოდელის („მე—შენ“) სახით წარმოგვიდგენს, ტექსტის დონეზე იძენს მესამე წევრს („შენ“), რომელიც სრულყოფილებიანი კოორდინატია პირთა პოლარულობის აღმნიშვნელი კონსტრუქტისა.

მხატვრული ტექსტის დონეზე კადრის ფარგლებში სუბიექტ-ობიექტის მონაცვლეობის ფონზე კადრია სუბიექტის (რომელიც შეიძლება არც ემოხვიოდეს ძირითად სუბიექტს) სტატუსს იძენს კადრში ახლად შემოსული სუბიექტი, რომელიც ახალი კადრის დაწყებას გვაუწყებს. თუ ქრონოტოპულ სუბიექტს აღწინააღმდეგობა, მაშინ მისი ობიექტი, რომელიც ახალ კადრში სუბიექტად გვევლინება, აღწინააღმდეგობა S_1 -ით (S_2, S_3 და ა. შ.) ქრონოტოპული სუბიექტის არსის გასახსნელად მარტო სხვა სუბიექტის არსებობა არაა საკმარისი; კადრში ხდება რეალიზება ისეთი კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტებისაც, როგორცაა სუბიექტის მოქმედება (S_v, S_{iv} და ა. შ.) და სუბიექტის სიტყვიერი შეხედულება დამოკიდებულება მოვლენებისა თუ სხვა სუბიექტებისადმი; ვუწოდოთ მას discourse (9, 453) და ქრონოტოპის მოდელირებისას აღწინააღმდეგობა ასე: S_d, S_{1d} და ა. შ., ე. ი. ქრონოტოპული სტრუქტურის კვლევისას v და d სუბიექტის სუბიექტ-ობიექტად ანუ ქვეკოორდინატებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ყოველი ზემოთ აღნიშნული ელემენტის შეცვლა, იქნება ეს T, SP თუ S (S_1, S_2), $Sv(S_{1v}, S_{2v}..)$, $Sd(S_{1d}, S_{2d}..)$ გვაძლევს სიუჟეტის ხაზზე მოძრაობას და მთავარი მოქმედი პირის ხასიათის გახსნის სხვადასხვა საფეხურს; სტრუქტურულად ეს შეცვლა ახალი კადრის სახით გვევლინება. ე. ი. მოთხრობის მხატვრული ქრონოტოპის მოდელი $T+SP+S$ შეიძლება უფრო დაკონკრეტებული სახით ასე წარმოვიდგინოთ: $T+SP+S/S_n$ ან S_v ან $S_d/$ ან უფრო ზუსტად: $T(T_0 + T_1 + T_2...)$ $+ SP(SP_0 + SP_1 + SP_2) + S(S_n)$ ან S_v ან S_d . T_0 და SP_0 — საწყისი დროული და სივრცობრივი კოორდინატებია; თუ შემდეგ კადრში მოცემულია ამ ელემენტთა შეცვლა ვერბალურ დონეზე, მაშინ შესაბამისად ახალ დროულ ან სივრცობრივ ელემენტს აღწინააღმდეგობა T_1 ან SP_1 -ით. თუ ამ ელემენტთა შეცვლა მომდევნო კადრში არაა მოცემული, სივრცობრივი ელემენტის აღწინააღმდეგობა SP -ს ვტოვებთ უცვლელად, დროულ ელემენტს კი ვუმატებთ ნიშანს \downarrow როგორც დროის გარღვეული დინამიკის გამოხატულებას ($\downarrow T_1$).

ზემოთ ხსენებულა მოთხრობა „The Chrysanthemums“ ანალიზის შედეგად დაიყო ექვს კადრად. პირველ კადრში ქრონოტოპის სამივე კოორდინატია რეალიზებული შემდეგი თანამიმდევრობით: $T_0 \rightarrow$ winter, December, Saturday afternoon, $SP_0 \rightarrow$ flower garden, $S \rightarrow$ Elisa Allen. შესაძლოა ქრონოტოპულ სუბიექტზე (ე. ი. მთავარ მოქმედ პირზე) ადრე სხვა პერსონაჟი იქნეს მოხსენიებული (ამ მოთხრობაში Elisa-ს ქმარი Henry Allen- S_1). მაგრამ პირველი კადრის შიგნით ქრონოტოპის სუბიექტ-კოორდინატად ყოველთვის მთავარი მოქმედი პირი უნდა იქნეს გამოყოფილი, როგორც ანალიზისთვის ყველაზე არსებითი და რელევანტური. მაშასადამე, ამ მოთხრობის პირველივე კადრში ქრონოტოპის სამივე კოორდინატა რეალიზებული.

მეორე კადრში ჩნდება ახალი S_2 — ახალი სუბიექტი — მეთუნე; დროული და სივრცობრივი ელემენტების შეცვლა არ ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს სიუჟეტური კონტანუუმის შეყუარებას; ახალ S_2 უკვე სიუჟეტურ გადაადგილებას ნიშნავს ქრონოტოპულ ხაზზე. ქრონოტოპის ყოველი კოორდინატი მხატვრულ ტექსტში იძენს თუ ამჟღავნებს ერთ განსაკუთრებულ თვისებას — რომელიმე მთავანის ცვლილება ახალი კადრის დაწყების მაუწყებელია და ამდენად ეს კოორდინატები თანამიმდევრობას, შემდეგობას გამოხატავენ და ტექსტის დინამიკის აქტიური ინდიკატორები არიან.


მესამე კადრში დრო ($\downarrow T_0$) იგივეა მონაკვეთური თვალსაზრისით: SP ისევ flower garden, ქრონოტოპული სუბიექტი S და S_2 -ც რჩებიან კადრში, მაგრამ საუბრის თემა იცვლება, ჩნდება Sd_1 (ქრიზანთემები). (პირველი და მეორე კადრის ქრონოტოპულ ფორმულაში საუბრის თემას არ აღვნიშნავდით, რადგან იქ კადრის ცვლას ქრონოტოპული კოორდინატი გვაუწყებდა, მესამე კადრში კი წინა კადრის ქრონოტოპულ ქარგაზე ახალი კადრის დასაწყისად Sd_1 გვევლინება).

მეოთხე კადრშიც ახალი Sd_2 —Elisa დაინტერესებულა მოხეტიალე ცხოვრებით. მეხუთე კადრის დაწყებას SP_1 (kitchen) გვაუწყებს; აქვე შემოდის S_1 (ქმარი)—ე. ი. ახალი კადრის დაწყებას ქრონოტოპული სისტემის ორი კოორდინატის შეცვლა გვაუწყებს. მეექვსე კადრში ისევ სივრცობრივი ცვლილებაა SP_2 (on the road), მაგრამ კადრის თემატური დატვირთვა მოდის Sd_1 -ზე (გადაყრილი ქრიზანთემები). მასასადამე, თითოეულ კადრს მისი შესატყვისი კონკრეტული ქრონოტოპული მონდელი ექნება. ამ მოთხრობის ქრონოტოპი კი დინამიკაში ასეთ სახეს მიიღებს:

- I კადრი: $T_0 + SP_0 + S.S_1$
- II კადრი: $\downarrow T_0 + SP_0 + S.S_1$
- III კადრი: $\downarrow T_0 + SP_0 + S.S_2.Sd_1$
- IV კადრი: $\downarrow T_0 + SP_0 + S.S_2.Sd_2$
- V კადრი: $\downarrow T_0 + SP_1 (+ S.S_1)$
- VI კადრი: $\downarrow T_0 + SP_2 + S.S_1.Sd_1$

(ხაზგასმულია ის ცვლადი ელემენტები, რომლებიც ახალი კადრის დაწყებას გვაუწყებს).

ზემოთ განხილული ექვსი კადრის სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება ქრონოტოპული სტრუქტურის კოორდინატების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს: დროისა და სივრცობრივი ელემენტების შედარებით მდგრადი ხასიათის ფონზე კადრის ცვლას სუბიექტ-ობიექტის მონაცვლეობა იწყებს. ამ მოთხრობის ქრონოტოპულ მრუდს გრაფიკულად ასე აღვნიშნავთ:



A—ათვისის წერტილია. ყოველ კადრში რეალიზებულია ქრონოტოპული სისტემის სამივე კოორდინატი ($T+SP+S$); \downarrow —მოუთითებს კადრის ცვლილების მუდმივ სტრუქტურულ-სემანტიკურ კოორდინატებს. ეს ქრონოტოპი მ ა რ ტ ი ვ ი ა მისი ერთმიმართულებიანი მოძრაობის განო; ამ მოთხრობაში სიუჟეტი და ფაბულა ერთმანეთს ემთხვევა.

სიუჟეტისა და ფაბულის სხვადასხვანაირი განსაზღვრება არსებობს: ზოგ შემთხვევაში, როცა სიუჟეტი ძირითად კონფლიქტს აღნიშნავდა, მაშინ ფაბულა ეწოდებოდა კონკრეტული ხდომილებების იმ ჯაჭვს, რომელშიც ეს კონფლიქტი ხდებოდა (10, 151). უფრო ხშირად კი ფაბულას უწოდებენ ხდომილებათა ბუნებრივ თანმიმდევრობას, სიუჟეტს კი—მათ მხატვრულ თანმიმდევრობას. ე. ი. როგორაა ისინი „დალაგებული“ ნაწარმოებში. ლ. ტიმოფევეს არ მოსწონს

ეს დაყოფა, რადგან სიუჟეტი და ფაბულა—ორივე მწერლის გამოწვინა და ძნელია აქ ვილაპარაკოთ ხდომილებათა ბუნებრივ თანმიმდევრობაზეო. «Кроме того, она (ე. ი. ფაბულა—რ. ე.) имеет значение лишь тогда, когда сюжет расходуется с логической последовательностью событий, т. е. отнюдь не всегда» (10, 152). მიუხედავად იმისა, იწონებდნენ თუ იწუნებდნენ ამ დაყოფას რუსი ფორმალისტების (კერძოდ, ბ. ვ. ტომაშევისკის) მიერ გამოყოფილმა დიქტომიამ «ფაბულა vs სიუჟეტი» აღიარება პოვა და მხატვრული ენის თუ პოეტის საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში ხშირად ვხვდებით ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც ამ დაყოფამ „იბარტყა“: როლან ბარტის „récit“ და „narration“, ცვ. ტოდოროვის „histoire“ და „discours“ და ა. შ. (14, 33): თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინები არაა იდენტური. მათ შორის განმასხვავებელ ფაქტორად ფრანგები არ მიიჩნევენ დროის მიმართულებას და დროული ელემენტების წყობას. რუსი ფორმალისტები კი უპირისპირებდნენ სიუჟეტსა და ფაბულას ხდომილებათა რიგის მიხედვით: თუ ხდომილებებს განვიხილავთ ან გადმოვცემთ იმ რიგის მიხედვით, როგორი თანმიმდევრობითაც არიან ისინი მოცემული მხატვრულ ნაწარმოებში — ეს იქნება სიუჟეტური თხრობა. თუ ამ ხდომილებებს მათი ქრონოლოგიურ-ლოგიკური (ე. ი. ობიექტური დროის სწორხაზოვნების პრინციპის დაცვით) წყობის მიხედვით დავალაგებთ — ეს იქნება ფაბულური თხრობა, ანუ ფაბულა.


მარტივი და რთული ქრონოტოპების კლასიფიკაციას ჩვენ ფაბულა-სიუჟეტის დაყოფას მივიღებთ საორიენტაციოდ, რადგან ფაბულური და სიუჟეტური თხრობა სწორედ დროული ელემენტების სწორხაზოვან თანმიმდევრობას და მისგან გადახრის შემთხვევებს ემყარება.

მარტივ ქრონოტოპს სხვაგვარად ფაბულურ ქრონოტოპს ვუწოდებთ, რადგან მარტივი ქრონოტოპი რეალიზებულია ისეთ მოთხრობაში, სადაც ხდომილებათა თანმიმდევრობა სიუჟეტში და მათი „ობიექტური“ თანმიმდევრობა (ფაბულა) ერთმანეთს ემთხვევა. ე. ი. მარტივი ქრონოტოპის შემთხვევაში სიუჟეტი და ფაბულა—ორივე სწორხაზოვანია, ერთმიმართულებიანია, ყოველგვარი დროული გადახრების (რეტროსპექტივა-პროსპექციის) გარეშე. შესაბამისად, რთულ ქრონოტოპს, რომელსაც ტრაექტორიით განსხვავებული სიუჟეტი და ფაბულა ახასიათებს, და რომელშიაც ქრონოტოპული მრუდი არ ნიჰაცება ფაბულურ სწორხაზოვნებას, შესაძლებლად მიგვაჩნია სიუჟეტური ქრონოტოპი ვუწოდოთ. ე. ი. ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის მხატვრული ქრონოტოპის ბაზისური კლასიფიკაციის შედეგად გამოიყო ორი სახის ქრონოპი: მარტივ-ფაბულური და რთული-სიუჟეტური.

რთულ-სიუჟეტურ ქრონოტოპს ზოგადად დავახასიათებთ იმ პრინციპების მიხედვით, რითაც ვაწარმოებთ მარტივ-ფაბულური ქრონოტოპის ანალიზი, ე. ი. მოთხრობას დავყოფთ კადრების მიხედვით, დავადგენთ ახალი კადრების მაკონსტრუირებელ ელემენტს და გავაანალიზებთ ძირითად განსხვავებას მარტივ-ფაბულურ სწორხაზოვან ქრონოტოპსა და რთულ-სიუჟეტურ ქრონოტოპულ მრუდს შორის. გავაანალიზოთ დ. ჰ. ლორენსის „The Shadow in the Rose Garden“ (14—442). პირველ კადრში რეალიზებულია მხატვრული ქრონოტოპული სისტემის სამივე კოორდინატი: To + SPo + S. S₁; S → she, To → half past eight in the morning, SPo → Seaside cottage.

II კადრში იცვლება დრო (T_1) და ემატება კომპოზიციურ-პრედიკაციული ელემენტი $Sd: \underline{T}_1 + SP_0 + S. S_1$. Sd ; III კადრი $\downarrow T_1 + \underline{SP}_1 + S$, IV კადრი $\downarrow T_1 + \underline{SP}_1 + S. \underline{S}_2$ V კადრი $\underline{T}_2 + \underline{SP}_0 + S. \underline{S}_1$ — ამ კადრში წინა კადრთან დამაკავშირებელ რგოლად S რჩება, დანარჩენი კოორდინატები იცვლება. VI კადრი რეტროსპექტული (T_3 — რეტროსპექტული დროა).

$\underline{T}_3 + \underline{SP}_1 + S. \underline{S}_2$ — ამ კადრშიც მხოლოდ S არის უცვლელი. VII კადრი ისევ ფაბულის ხაზზეა: $\downarrow \underline{T}_2 + \underline{SP}_0 + S. \underline{S}_1$ — აქ მეორდება V კადრის ქრონოტოპული კოორდინატები დროის დინამიკის მიწიშვებით: $\downarrow \underline{T}_2$. ამ მოთხრობის ქრონოტოპული მრული გრაფიკულად ასე გამოვახსენებ (ჰორიზონტალური ხაზი ფაბულურია, ობიექტური დროის სწორხაზოვნებას ემთხვევა. კადრები დანომრილია სიუჟეტში მათი განლაგების, თანმიმდევრობის მიხედვით. ზემოთ აღმართული ისრები (\uparrow) კადრის ცვლის და ამ უცვლის „სიგნალის“ — რომელიმე ქრონოტოპული კოორდინატის — აღმნიშვნელია):




(რთულ-სიუჟეტურ ქრონოტოპს ზოგ შემთხვევაში პროსპექტული ელემენტებიც აქვს; მათ აღვნიშნავთ T_{4n}).

ზემოთ განხილულ ქრონოტოპულ კონტინუუმში ახალი კადრის დაწყების მათწყებლად ქრონოტოპის რომელიმე კოორდინატი გვევლინებოდა: იცვლებოდა ხან T , ხან SP , ხან კომპოზიციურ-პრედიკაციული ელემენტი — S_n , S_v ან S_q . მაგრამ ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის სიღრმისეულმა ანალიზმა გეაჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ცვლადი ელემენტი ერთი და იმავე კატეგორიას განეკუთვნება. ასე მაგალითად, კადრის შეცვლა, შესაძლოა, მთელი მოთხრობის მანძილზე მხოლოდ დროული ელემენტით იყოს რეალიზებული, ან მხოლოდ სივრცობრივი ელემენტით, ან მხოლოდ სუბიექტით (ან ამ უკანასკნელის სუბკატეგორიული ელემენტებით), ან წარმოადგენდეს შერეულ ქრონოტოპს. ზემოთქმულის მიხედვით ქრონოტოპთა მეორე კლასიფიკაცია კადრის შეცვლის მანიშნებელი ქრონოტოპული ელემენტის მიხედვით უნდა მოვახდინოთ. ამ პრინციპით დაჯგუფების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები: 1. დროულად ორიენტირებული ქრონოტოპი, 2. სივრცობრივად ორიენტირებული ქრონოტოპი, 3. სუბიექტის მიხედვით ორიენტირებული ქრონოტოპი, 4. შერეული ქრონოტოპი.

დროულად ორიენტირებული ქრონოტოპის საილუსტრაციოდ გავანალიზებთ ჯ. ოლდრიჯის მოთხრობას „Endurance for Honour“ (5, 194). ეს მოთხრობა რთული-სიუჟეტური ქრონოტოპის ქარგაზეა გაშლილი, რეტროსპექტული და პროსპექტული ელემენტებით, არასიუჟეტური დროის მონაკვეთით. პირველ კადრში რეალიზებულია ორი ქრონოტოპული კოორდინატი: $S \rightarrow he$ (pilot Peter Alwyn), $SP_0 \rightarrow desert$. T_0 — პირველ კადრში არაა აღნიშნული, მაგრამ მეორე კადრის დასაწყისში ფრაზაში „on the second day“ იმპლიცირებულია, რომ რაც ამის წინ ხდებოდა იყო „the first day“. პირველ კადრში ერთი პროსპექტული ნაწყვეტია („What was he going to say when he

arrived at the Egyptian coastguard“) და ორი რეტროსპექტული („He came from...“, „Public School boys...“). II კადრი $T_1 + SP_0 + S$ („the second day“). III კადრი $T_2 + SP_0 + S$ („the third day“), IV კადრი $T_3 + SP_0 + S$ („on the fourth day“). V კადრი სივრცობრივი ელემენტის შეცვლას გვაუწყებს, მაგრამ წინა კადრში ნახსენები „his last day“, როგორც დროული ელემენტი, ფარავს V კადრის დროულ მონაკვეთს. ე. ი. უკანასკნელი კადრის ქრონოტოპული მიკროსტრუქტურა ასეთი სახით წარმოგვიდგება: $T_4 + SP_1 + S$. მაშასადამე, ამ მოთხრობაში ქრონოტოპული მრუდის მოძრაობის ინდიკატორი დროული ელემენტია, ე. ი. განხილული ქრონოტოპი დროულად ორიენტირებულია, რთული-სიუჟეტური.



ამ სქემაზე მხოლოდ კადრის ცვლილება აღნიშნული, სრული ქრონოტოპული სქემა კი ამ მოთხრობისა წარმოადგენს რთულ-სიუჟეტურ ქრონოტოპს მრავალი რეტროსპექტული და პროსპექტული გადახრებით თითოეულ კადრში (ნახაზზე ეს მხოლოდ პირველ კადრშია აღნიშნული).

სივრცობრივად ორიენტირებული ქრონოტოპი კადრის ცვლას სივრცობრივი ელემენტების თანმიმდევრული მონაცვლეობით აღნიშნავს. ასეთი სახის ქრონოტოპი რეალიზებულია ელ. ტეილორის მოთხრობაში „A Red-Letter-Day“ (15—474).

1. კადრში $T_0 \rightarrow$ English November, $SP_0 \rightarrow$ Street, $S \rightarrow$ She ($S_1 \rightarrow$ her son),

II კადრში $\downarrow T_0 + SP_1 + S$. S_1 (at the top of the stairs).


III კადრში $\downarrow T_0 + SP_2 + S$. S_1 (the market square).

IV კადრი $\downarrow T_0 + SP_3 + S$. S_1 (the museum room).

V კადრი $\downarrow T_0 + SP_4 + S$. S_1 (the church porch).

VI კადრი $\downarrow T_0 + SP_5 + S$. S_1 (back to school).

როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში თხრობის დინამიკა, კადრების მონაცვლეობა სივრცობრივი ელემენტის შეცვლით აღინიშნება; თვით ქრონოტოპული ხაზი კი მარტივია, ფაბულურია.



მაშასადამე, ამ მოთხრობის ქრონოტოპი მარტივ-ფაბულურია და სივრცობრივად ორიენტირებული.

სუბიექტის მიხედვით ორიენტირებული ქრონოტოპი, ცხადია, სუბიექტის ცვლას უნდა მიგვანიშნებდეს ყოველი ახალი კადრის დასაწყისში. ამ წავუ-

ფის მოთხრობა უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ზემოთ განხილული დროულად და სივრცობრივად ორიენტირებული პროზოტიპის მქონე მოთხრობები; მაგრამ მათი ანალოზი საჭიროა და აუცილებელი იმ კლასიფიკაციის ცალკეული ჯგუფების დასახასიათებლად, რომელიც პროზოტიპული კოორდინატების მიხედვით ორიენტირებულ მოთხრობებს შეიცავენ. სუბიექტის მიხედვით ორიენტირებულ პროზოტიპში ვვლდის მხოლოდ მთავარი მოქმედი პირის (ანუ პროზოტიპული სუბიექტის) და სხვა ობიექტ-სუბიექტების მონაცვლეობას. მართალია, ზემოთ აღნიშნეთ, რომ ინგლისურ-ამერიკელი მოთხრობის ერთ-ერთ უზოგადეს მახასიათებლად მიიჩნევენ „A single character; A single protagonist“ (11, 36), მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ინგლისურ-ამერიკელი მოთხრობის ფენომენისადმი ასეთ მიდგომას: ერთ-ერთ ყველაზე ბოლო გამოცემაში „Points of View. An Anthology of Short Stories“ (London, 1966) შემდეგნაირად მოთხრობების დაჯგუფება-კლასიფიკაციის ერთ-ერთ პრინციპად შემდეგი კრიტერიუმი აირჩიეს:

1. Anonymous Narration — Dual Character Point of View.
2. Anonymous Narration — Multiple Character Point of View.
3. Anonymous Narration — No Character Point of View.

შესაძლოა, ჩვენ მიერ გამოყოფილი სუბიექტი და ზემოთ ხსენებული Point of View არც ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ თხრობის დონეზე Dual Character Point of View უცილობლად ვლდის მხოლოდ ერთზე მეტი მთავარი მოქმედი პირის არსებობას ისევე, როგორც Multiple Character Point of View — რამდენიმე ტოლფასოვანი სუბიექტის არსებობას. შევეცდებით გავანალიზოთ ისეთი მოთხრობა, რომლის პროზოტიპულ მოძრაობას სუბიექტთა ცვლა აღნიშნავს, მაგრამ ეს სუბიექტები უშუალოდ არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ გაერთიანებული არიან ერთი და იმავე პრედიკატული მახასიათებლით. განვიხილოთ ვ. ვულფის „Kew Gardens“ (16—217); სტრუქტურის მიხედვით ეს მეტად ორიგინალური მოთხრობაა, რომელსაც პოსტი-იმპრესიონისტულ ნახატს ამსგავსებენ. მით უფრო საინტერესოა, როგორ მოთავსდება მისი ქარგა პროზოტიპულ ჩარჩოში. პირველ კადრში პროზოტიპის სამივე კოორდინატია მოცემული: $To \rightarrow July$. $SP_0 \rightarrow Kew Gardens$ $S_1 \rightarrow the\ men\ and\ women$. სწორედ ამ „men and women“-ის სხვადასხვა ჯგუფი გვევლინება სუბიექტად. ყოველ ახალ კადრში (S_2 , S_3 და ა. შ.), მაგრამ მოთხრობის საერთო ქარგაში ისინი გაერთიანდებიან პროზოტიპული კოორდინატის S-ის სახით, პრედიკატული ინდიკატორით: „ბაღის დამთვალიერებელნი“, უფრო ზუსტად, „ბაღში მოსიერნი“.

II კადრში ($\downarrow T_0 + SP_0 + S_2$) ორი რეტროსპექტიული ჩანართია.


III კადრში შემოდის ორი კაცი — $\downarrow T_0 + SP_0 + S_3$.

IV კადრი $\downarrow T_0 + SP_0 + S_4$ (two elderly women).

г) налицо как окаменелые префиксальные, так и суффиксальные классные форманты: рутул. i-z-də;

д) классные показатели (как префиксальные, так и суффиксальные) исчезли, однако различение по классам (подразумевается деление на «органическую» и «неорганическую» принадлежность) взяли на себя конечные гласные:

будух: ген. I z-a
ген. II z-o

В хиналугском аналогичное противопоставление выражается чередованием гласных ген. I и, ген. II e.

е) в ряде лезгинских языков генитив выражен в виде корневого согласного+гласный:

крыз.	агул.	будух.
z-a	z-i/z-e	z-a/z-o

Эти формы переключаются с формой эргатива за лезгинского и рутульского языков:

ж) в лезгинском в форме генитива встречается конечный согласный п, переключющийся с формантом генитива цахурского языка эп (используемым для выражения IV класса) — jiz-эп, а также с формантами генитива других лезгинских языков и с формой эргатив-н-о-минатива будухского, крызского и агульского языков (zəp, zup).

5. Дательный падеж с основой z оформляется:

а) в арчинском префиксальными классными показателями: w-e-z, d-e-z, b-e-z, e-z

б) суффиксальным формантом z/s в:

будух.	крыз.	лезг.	агул.	рутул.	табас.	цахур.
za-z	za-z/za-s	za-z	zi-s	za-s	uzu-s/izu-s	za-z

в) дательный падеж представлен без показателя удин. za, хинал. as, притом в хиналугском корневому s предшествует гласный а, наличествующий и в эргативе:

г) в качестве форманта дательного падежа встречается х — в удинском, и в хиналугском местоимении II лица — ох.

Итак, можно наметить этапы развития склонения в личных местоимениях языков лезгинской группы:

I. генитив и эргатив не различаются;

II. эргатив и генитив оформляются классными экспонентами, генитив преимущественно префиксальными (арчиб.), тогда как эргатив оформляется суффиксальными классными экспонентами;

III. префиксальные классные экспоненты теряют функцию, окаменевают; различительную функцию берут на себя суффиксальные классные форманты (цахур.);

IV. функция отражения класса исчезает, остаются формы с различными окаменелыми классными показателями, либо частично отражается принадлежность к тому или иному классу посредством изменения гласного основы;

V. суффиксальные показатели в ряде основных падежей совпадают, вследствие чего один из них меняет форму;

VI. корневым согласным всех падежей личного местоимения I лица ед. числа является z, для II лица ед. числа—w.

თამარ მისი

ანტივიტუტის თუ დიგამის რეფლექსი?

ძვ. წელთაღრიცხვის 403 წ., ევკლიდეს არქონტობის დროს, ათენში შემოდებულ იქნა იონიური ალფაბეტი და ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადდა კოინე (αἰὲρ—საერთო, საყოველთაო). კოინე ატიკური დიალექტის ბაზაზე განვითარდა. იგი სახეცვლილი ატიკურია. მაგრამ იმდენი რამ აქვს მიღებული სხვა ბერძნული დიალექტებიდან, რომ ანტიკური ტრადიცია მას „შერეულ“ დიალექტად მიიჩნევდა. კოინეს გაბატონებამ თანდათანობით გამოიწვია ძველ ბერძნულ დიალექტთა ასპარეზის შემცირება და საბოლოოდ კვდომაც. ამავე დროს დაიწყო ახალი პროცესი—„კოინე“ ენის საფუძველზე ახალი ბერძნული დიალექტების წარმოქმნა. თანამედროვე ბერძნული დიალექტებიდან გამოჩაყლის წარმოადგენს მხოლოდ ცაკონური, რომელიც ძველი დორიული დიალექტის უშუალო მემკვიდრეა. ამიტომ თანამედროვე ბერძნულ დიალექტებში, გარდა ცაკონურისა, არ არის მოსალოდნელი ის მოვლენები, რაც თავის მხრივ კოინესაც არ ახასიათებს სიძველის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, პონტოს დიალექტში გვაქვს სიძველის ნიშნები. პონტური ტერიტორიულად იონიური დიალექტის მემკვიდრეა. (პონტოელები დასახლებულნი არიან იმ ადგილებში, სადაც ისტორიულად მოსახლეობდნენ იონიელები). კოინეს განვითარების შემდეგ ძველი დიალექტები უცებ არ გამქრალან. ძველი დიალექტები კოინეს გაბატონების შემდეგაც არსებობდნენ და გველენას ახდენდნენ თვით კოინეზეც. ამდენად აღგილობრივ კოინეშიც არის მოსალოდნელი სხვა ტერიტორიათაგან განსხვავებული თავისებურებანი, რაც განპირობებული იქნებოდა მასზე იონიური დიალექტის შედარებით ინტენსიური გავლენით. ნაწილობრივ ამითაც შეიძლება აიხსნას ახალი პონტური დიალექტის არქაული ნაშთები, ე. ი. ისეთი ნაშთები, რომლებიც სხვაგან კოინეს შეიძლება არ შეუძენია.

მაგრამ იონიზმები პონტურში იმდენად საგრძნობია, რომ დღეისათვის მეცნიერებაში დაისვა საკითხი მისი უშუალოდ იონიურიდან მომდინარეობის თაობაზე. ამ თვალსაზრისს თუმცა ჯერ მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პრობლემა უკვე დასმულია (ლამფსიდის).

იონიური ალფაბეტის შემოღებამ, ალფაბეტისა, რომელსაც კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა დიგამა (F), შექმნა ორთოგრაფიული სიძნელე იმ დიალექტებზე მოლაპარაკეთათვის, სადაც ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამიტომ მათ შეგნებულად შეინარჩუნეს F თავიანთ ასოთა გვერდით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში შეუნაცვლეს მას ს, ან β როგორც, მაგ.: კრეტ. ἡέφαυ—Fέφαυ—ისათვის, რძუჰ:თუ—Fρζუჰ:თუ—ისათვის ([1], 67).

არის შემთხვევები, როდესაც ანლატური F-ის ნაცვლად გვაქვს მონათესავე ბაგისმიერი β. ამგვარი შენაცვლება თითქმის ყველა პოზიციაში გვხვდება წინარიგის ხმოვნებთანაც და უკანაენისმიერებთანაც. მაგ.: ლაკედ. βέργισ—ἐργισ, βέτος—ἐτος, ღორ. βίβειν—ιβειν, βίσις—οἰσις.

F-β შენაცვლება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბეტა, ხშული [β] ბგერა, დაადგა სპირანტიზაციის გზას, ანუ ძვ. წ. IV საუკუნიდან.

F-ის ადგილზე გვხვდება აგრეთვე γ. Kühner-Blass-ის „ძვ. ბერძნული ენის გრამატიკაში“ საგანგებოდ არის განხილული ის შემთხვევები, როდესაც F-ის ადგილს იჭერს γ. ამ შენაცვლებას ფონეტიკური ლირებულება ენიჭება. დასახელებული შემთხვევები შემდეგია: γἄλι—ἄλις, γέαρ—ἐαρ, γέματα—Γεματα, γέτος—ἐτος, γίς—ίς, γυῖμα—ἰμα, γυῖσις—οἰσις ლათ. vinum, ქართ. ღვინო).

ინლატში ἀγατῆσθαι—ἀΓατῆσθαι—βιάπτεσθαι (იხ. ἀγῆσθαι ანუ ἀΓατῆσθαι) ([11], 77). დივამამ (F) თავისი არსებობის დამადასტურებელი კვალი რიც შემთხვევებში β-ს სახით დატოვა. თანამედროვე დიალექტთაგან ამის უპირველეს საბუთს ცაკონური იძლევა. მაგ: βαννε (vanne), კრავი (Fарв) ἢ ἰFατῆσθαι [ἰτῆς, τῆ ყური], ახ. ბერძნ. αὐτῆ [1], 66: [9], 296). ადრეულ წარწერებში და პაპირუსებში დივამას ზოგჯერ ენაცვლება γ-ც.

თანამედროვე ბერძნულ დიალექტებს, განსაკუთრებით მცირე აზიისა და სანაპირო კუნძულების დიალექტებს, ფართოდ ახასიათებთ სპირანტის განვითარება ხმოვნებს შორის, პიატუსის, ანუ ღიაობის, თავიდან ასაცილებლად.

ჩვეულებრივ ვითარდება სპირანტები β [v] და γ [ɣ] ქართული (ღ). ეს სპირანტები ვითარდებიან ისევე ხშირად, როგორც იკარგებიან კიდევ. ა. თუმბი სპეციალურად იკვლევს ამ საკითხს. ჩვენ ამჯერად საგანგებოდ გვინდა შევიჩრდეთ თანამედროვე პონტური დიალექტის ამ თავისებურებაზე და განვიხილოთ მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც სპირანტი განვითარებულია ისტორიულად დივამის ადგილას.

პონტ. პღ-ჰ-ჰ (ვეურავე), Aor. ἔπღεჰα←επღεჰ-ა-ა, პღ-ჰ (ინ., სანდ., ქალდ.), პღა—ა (სანდ., ტრაპ.), შეადარეთ ახალ ბერძნულ (დიმოტიკურ) πῆσ და ძვ. ბერძნულ πῆσ-ს.

ახალ ბერძნულში და ასევე პონტურშიც გვაქვს სიტყვა πῆσ:αῖο, τῆ „ცურვა“, რომელშიც-ა-, ძირეული F-ის ანარეკლი უნდა იყოს.

ფრისკი დივამას ამ სიტყვაში სწორედ აორისტის მიხედვით ალაღვენს πῆσ←πღეFა, Aor. ἔπღεσῆα—შდრ. რუსული плавать.

ფრისკის „ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მითითებულია, რომ თავდაპირველი ფუძე ამ სიტყვისა იყო პღ(F)ა [3]. პ. შანტრენს პღს მოყვანილი აქვს ინტერვოკალური F-ის გაქრობის მაგალითად როგორც ბერძნული ენის ისტორიულ გრამატიკაში, ([4], 302), ასევე ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც [5].

პონტ. ῶ-ჰ-ენ, τῆ (კერ., კოტ., სანდ., ტრაპ., ქალდ.), ῶ-ჰ. (ოფ., სემ., სურმ.), ῶ-ჰ-γῶν (კერ., ტრაპ., ქალდ.), ῶ-ჰ. (ოფ., სურმ.), ჰ-ჰ. (ინ.) ῶ. (სემ., სინ.).

ძვ. ბერძნულში გვაქვს ῶν, ასევე ახალ ბერძნულში ῶν ან აῶν „კვერცხი“.

არც ძველ ბერძნულში და არც ახალ ბერძნულში არ ჩანს ერთი შეხედვით

პონტურისათვის დამახასიათებელი β, მაგრამ ეტიმოლოგიურად ამ სიტყვაში ყოფილა F. ფრისკი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მიუთითებს აწჷα-აწჷα-ს [3], შევადაროთ აგრეთვე ლათინურ ovum-ს.

დიგამა (F) ძველ და ახალ ბერძნულში გაქრა არა მარტო ამ ძირეულ სიტყვაში, არამედ მისგან ნაწარმოებ სახელებშიც, მაგ., ძვ. ბერძნული φει-τὰς «კვერცხისმდებელი». ახ. ბერძნული ασιειτής, ეს «კვერცხისებური», «ოვალური». პონტურში კი [v] აბსოლუტურად ყველგანაა შემორჩენილი, რომელიც კი ასე თუ ისე კავშირშია ამ სიტყვასთან: პონტ. აწჷα «კვერცხს ვდებ», აწჷαჷαν Inf. «კვერცხის დება», აწჷაჷჷα «კვერცხისმდებელი», აწჷაჷαჷან «კვერცხისმდებელი», აწჷაჷჷან «კვერცხის სუნი», აწჷაჷჷან «რძე კვერცხით», აწჷαჷαჷ, აწჷαჷαჷ «კვერცხისებური ძირით, ფსკერით», აწჷპთჷ «პატარა კვერცხი», აწჷაჷჷანჷ «კვერცხის ნაჭუჭი» და კიდევ მრავალი სხვა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კერასუს, ტრაპიზონის, ქალღეის, ოფის, სურმენას და ინოის ამ სიტყვის ბერძნულ წარმოთქმაში ისმის არა მხოლოდ [v], არამედ [v]-ც. (აწჷან, აწჷ, აწჷ, აწჷაჷაჷ). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აწჷა საკუთრივ იონიური სიტყვაა.

პონტურში გვაქვს ა-ჷ-სით: «ეს», აწჷთჷჷ «ესენი», რომლებშიც β ყველა ბრუნვასა და ფორმაში შენარჩუნებულია (N. ა-ჷ-სითჷ, Gen. ა-ჷ-სითჷჷ, D. ა-ჷ-სითჷჷ, Acc. აწჷთჷჷ და სხვ.).

ნაქსოსზე ნაპოვნი ფრაგმენტული წარწერა... თჷ აწჷთჷჷ. ამ ფორმის გამოკ. კონდობულოსი ფიქრობს, რომ პონტურ ნაცვალსახელში (ა-ჷ-სითჷ) β-ს სახით უნდა იყოს დიგამას (F) ნაშთი ([6], 83). დ. ოიკონომიდისის აზრით კი, ნაქსოსზე ნაპოვნი აწჷთჷჷ არ მიემართება აწჷთჷჷ-თან. ამ უკანასკნელში β მხოლოდ ჩართული ბგერაა: აწჷთჷჷ = თჷთჷ (17), 112; [2], 86).

გაცილებით დიდიარიცხე იმ სიტყვებისა, რომლებშიც ხმოვანთგასაყარი [γ] არის განვითარებული. გამოვყოფთ ერთეულებს, რომლებშიც γ ეტიმოლოგიურად F-ის ადგილზე ზის: პონტ.; კაჷაჷ (ქალდ.), კაჷაჷ (ოფ), კაჷთჷ (ოფ.).

ძვ. ბერძნულში გვაქვს კაჷაჷ. ასევეა ზუსტად ახ. ბერძნულში. ფრისკი: კაჷაჷ ← კაჷაჷ-დან (ვტორი). ასევე აღადგენს დიგამას (F) პ. შანტრენი — კაჷაჷ-ჷა. პონტ. კაჷაჷ (კერ., ქალდ.), კაჷაჷ (კერ.), კაჷა (კერ.), კაჷა (კოტ.), კაჷაჷ (კერ., კოტ., ტრაპ., ქალდ.) Aor. ἔκαψα, ἔκαψα. კაჷაჷ და კაჷაჷ ფორმები მიღებულია აორისტის ფორმიდან ἔκαψα, (Pass. καΐσμαι, καΐσμαι, καΐσμαι, καΐσμαι, καΐσμαι). ამ სიტყვის შესატყვისია ახალი ბერძნული კაჷაჷ (წვავ). ამავე ფორმით გვხვდება ეს სიტყვა ძვ. ბერძნულშიც და კონიშიც.

შანტრენი განიხილავს მას როგორც ინტერვოკალური F-ის გაქრობის მაგალითს. კაჷაჷ ← კაჷაჷ «წვავ». ასევე ფრისკთან: კაჷაჷ → კაჷაჷ, ატიკ. კაჷა, ἔ-კაჷ-ა ← ἔ-კაჷ-ა-დან. ἔ-კაჷაჷ არის უძველესი აორისტისტი.

პონტური მყარა, (კოტ. ქალდ.) «ღმერთი» ძვ. ბერძნულში და ახალშიც არის მყარა, ἔ. ფრისკი: მყარა ← მყარა-დან. პონტ. მყარაჷ «კვერცხისმდებელი», მყარაჷჷ | მყარაჷჷ (ქალდ.), ძვ. ბერძნული ἔ-მყარაჷჷ «კვერცხებზე ჯდომა» (გამოჩეკვა), ἔ-მყარაჷჷ, ἔ-მყარაჷჷ.

ამ სიტყვის ეტიმოლოგია არ არის მოცემული არც პ. შანტრენთან და არც ფრისკთან, მაგრამ, ცხადია, კავშირშია სიტყვასთან φων — კვერცხი (უძვ. ἔ-Fov). თუ ეს სიტყვა უძველეს ბერძნულშიც იყო, ალბათ იქნებოდა ἔ-მყარაჷა. აქ

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთრივ კვერცხის აღმნიშვნელ და მისგან ნაწარმოებ თითქმის ყველა სიტყვაში ჩართული ელემენტი არის -β-(ჰბვ), აქ კი ჩნდება -γ- (ჰფ-γ-ძ||ჰფ-ჰყ-ჯ).

აქვე გვინდა დავასახელოთ ქართული „ღვნი“ და ბერძნული *θῆνις*. ეს უკანასკნელი ბერძნულ წარწერებში დასტურდება *θῆνις*, *γῆνις* და *Γῆνις* ფორმებით. აქ შესატყვისებად გვევლინება ღ-β, γ.F: ჯ-ფ, ყველაზე ადრე ბერძნულ დიალექტთაგან *θ* დიფთონგი იონიურ-ატიკურში გვაძლევს [n] I-ს მსგავს ბგერას. ქრონოლოგიურად იგი უძველესი წარწერების უწინარესად არის მიჩნეული (ძვ. წ. VIII საუკუნემდე), ხოლო γ-ს სპირანტიზებული წარმოთქმის უადრეს საზღვრად ითვლება ძვ. წ. IV საუკუნე (თავდაპირველად ატიკურში), როდესაც ადგილი აქვს მის დაკარგვას ხმოვნებს შორის (სპირანტული ბუნების შესაბამისად). მაშასადამე, ქართული სიტყვის ყველაზე მიახლოებული ბერძნული ვარიანტი წარმოთქმის თვალსაზრისით არის *γῆνις* ფორმა.

დასაბურღლ, მელანოფრიდოსი „პონტური ენის მოკლე გრამატიკაში“ აღნიშნავს: *Το F φαίνεται εις πλείους λέξεις, προφερόμενον ἄλλοτε μὲν ὡς β ἄλλοτε δὲ ὡς γ. ὡς γὰρ, ἀψῆτος καὶ ἀγῆτος, γυα (ἡνιον), μεγὰρ, γῆνις (110)2*. ე. ი. „F (დიგამა) პონტოს დიალექტის ბევრ სიტყვაშია შემორჩენილი, რომელშიც გამოითქმის ზოგჯერ β-დ და ზოგჯერ კიდე γ-დ“. ამ აზრს იზიარებენ სტამატელოსი და მაკროფრიდოსი.

ამ დებულების მიღება საბოლოოდ ჯერჯერობით მაინც ჭირს, რადგანაც არც პოზიციურად და არც რაიმე სხვა ნიშნით განვითარებული სპირანტი და დიგამას რეფლექსი დღეისათვის ერთმანეთისაგან არ გამოირჩევა. მხოლოდ ეტიმოლოგიური ძიება იძლევა ამის საშუალებას. ამ მხრივ საყურადღებოა ის შემთხვევა, როდესაც β-სთან [γ] სპირანტიც განვითარდა. მაშასადამე, მიღებულია კომპლექსი βγ [vγ], რომელიც არაიშვიათად გვაქვს თითქმის მთელს საბერძნეთში, იონიურ კუნძულებზე, კრეტაზე, ქოსზე და ლესბოსზე. აძჭუა = აჩუა, ძაჭუა = ძაჩუა, ჰუაჰყაჰსი = ხაუაჰსი და სხვა. ამ სიტყვებში იქნებ β [v] ძირეულია, γ [γ] განვითარებული.

ზემოგანხილული მასალა, ვფიქრობთ, მნიშვნელობას შეიძენს მაშინ, თუ პონტური დიალექტის მიმართების გარკვევა იონიურთან გაღრმავდება როგორც პოზიტიური თვალსაზრისით, ასევე პირიქითაც.

შემოკლებათა სია:

ამს. — ამისოს
არგ. — არგოლიდური
არკ. — არკადიული
ატიკ. — ატიკური
ბეოტ. — ბეოტიური
დორ. — დორიული
ეოლ. — ეოლიური
ინეპ. — ინეპოლის
ინ. — ინოი
იონ. — იონიური

კერ. — კერასუს
კრეტ. — კრეტული
კორ. — კორინთელი
კოტ. — კოტიორა
ლაკ. — ლაკედემონური
ლათ. — ლათინური
ლესბ. — ლესბოსური
ნიკ. — ნიკოპოლის
ოფ. — ოფის
პონტ. — პონტური

რუს. — რუსული
სანდ. — სანდა
სემ. — სემენი
სინ. — სინოპი
სურ. — სურმენა
ტრაპ. — ტრაპიზონი
ტრიპ. — ტრიპოლი
ქალდ. — ქალდეა
ცაკ. — ცაკონური
პომ. — პომეროსის

ლიტერატურა

1. E. Sturtevant, The Pronunciation of Greek and Latin, Philadelphia, 1940.
2. A. Thumb, Handbuch der griechischen Volkssprache, Strassburg, 1910.
3. HJ. Frisk, Griechische etymologisches Wörterbuch, Heidelberg, 1960.
4. П. Шантрен, Историческая морфология греческого языка, Москва, 1953.
5. P. Chantraine Dictionaire etymologique de la Langue Grecque histoire des Mots, Paris, 1970.
6. Κ. Κοντόπουλος, 'Αθανασία της Ἑλληνικῆς γλώσσῃς, ἐν Ἀθήναις, 1884.
7. D. Oekonomides, Leutlehe des Pontischen, Leipzig, 1908.
8. A. Thumb, Handbook of the Modern Greek Language, Grammar, Dialekts, Texts, Glossary, Chikago, 1964.
9. A. Thumb, Zur Geschichte des griechischen Digamma, I, F. IX, 1898.
10. Μελαγρόφρουθός, Ἡ ἐν ποντῷ Ἑλληνικῆ γλώσσα, Βατσόμ, 1910.
11. Kühner-Blass, Ausführliche grammatik der Griechische Sprache, Hannover, 1877

T. A. МЕСХИ

АНТИХИАТУС ИЛИ РЕФЛЕКС ДИГАММЫ?

Резюме

Возникновение спиранта (β,γ) между гласными для устранения зияния (хиатуса) — весьма распространенное явление в современном понтийском диалекте. Изучив материалы по данному вопросу, выяснилось, что во многих случаях спирант появляется этимологически на месте исчезнувшей дигаммы (F), а в ряде этих же слов вставляется не один, а два спиранта, как, например, ἄβγόν, ὠβγυτάραχον, πωβγαν.

Эти случаи дают повод поставить вопрос: не является ли вновь возникший спирант рефлексом дигаммы?

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტილოგიის განყოფილება
წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

კუბლიკაცია

ნანა მირაშვილი

„მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების“ უძველესი და განსხვავებული რედაქცია

„მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“, რომელიც ეკუთვნის VII საუკუნის ცნობილ მწერალს, სოფრონ იერუსალიმელს, ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის საყურადღებო ძეგლია. ავტორი საკმაოდ რეალისტურ ფერებში აღწერს სიბერის უამს წმინდანად შერაცხული ქალის ცოდვილ ახალგაზრდულ ცხოვრებას, მის განცდებს, რელიგიურ შთაგონებას და ამ შთაგონების მიხედვით მარიამის სრულ გარდასახვას.

ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელიც თარგმნიდა ქართული ეკლესიისათვის აუცილებელ საკითხავ და შესასწავლ წიგნებს, პირველმა თარგმნა იგი ქართულად, ხოლო შემდეგ მისი ნათარგმნი მრავალგზის იქნა გადაწერილი. მარიამ მეგვიპტელი XI საუკუნეში შეიტანეს წმინდანთა კალენდარში.

სოფრონ იერუსალიმელი, იერუსალიმის პატრიარქი, გარდაიცვალა 644 წელს. მოდისტოსის კალენდრის მიხედვით 10, 11, 21 მარტი და 11 მაისი მისი მოხსენიების დღეებია. სოფრონის როგორც ლიტერატურული მოღვაწის მნიშვნელობა მუდავნდება პოეზიის, ჰაგიოგრაფიის და პომილეტიკის სფეროში. ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომთაგან ძირითადია ვრცელი მოთხრობა ეგვიპტელი წმინდანების კიროსის (კუროსის) და იოანეს წამებათა და საკვირველმოქმედებათა შესახებ. ეს ნაწარმოები მდიდარია ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემებით ეგვიპტის შესახებ. მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება... ეს ნაწარმოები სოფრონ იერუსალიმელის ნამოღვაწარად ჯერ კიდევ იოანე დამასკელმა გამოაცხადა. მასში იმდენი კონკრეტული ცნობებია წმინდა ქვეყნის (პალესტინის) შესახებ, რომ სოფრონის ავტორობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა მრავალრიცხოვან ხელნაწერებში ავტორი არ ჩანს.

რიტორიული უნარი, სოფრონ იერუსალიმელისა, განსაკუთრებით გამოჩენილია მის პომილიებში, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთია გამოცემული, ყველა მათგანის სოფრონისადმი კუთვნილება ჯერ კიდევ საკვლევიან!

სოფრონ იერუსალიმელის შემოქმედება ფართოდაა ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში. მისი ნაწარმოებები ჯერ კიდევ XI საუკუნეში ითარგმნა ძირითადად ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ.

აკად. კ. კეკელიძის აღწერის მიხედვით ჩვენამდე მოღწეულია მისი შემდეგი ნაწარმოებები:

1. „სიტყუა მიგებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჲ ქრისტესისა“ (თარგმანი ეფრემ მცირისა).
2. „სიტყუა ხარებისათჳს“.

3. „სიტყუა ნათლისღებისათს და ზედააღდგომისათს სარკინოზთასა“: ა. „პირველ ჩუენ ბეთლემმან ზეციერმან საღმრთოდ სერობად მოგვწოდა...“, ბ. „ქუალად ნათელი გამოგვჩნდების და კუალად მე განვნათლები...“,

4. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მარიამ მეგვიბტელისა“ (თარგმანი ექვთიმე მთაწმიდელისა).

5. „შესხმა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა და პირველდიაკონისა“: ა. „მოვიდა ჩუენდა სტეფანე და ყოველთა სათნობათა გურგუნი ზედამდებარე...“, ბ. „სიტყუა პირველდიაკონისა და პირველმოწამისა სტეფანესთს აღსრულებასა კრებისა მისისასა წმიდასა სიონსა შინა შიშისაგან აგარიანთაასა“.

6. „ზეცად ამაღლებისათს უფლისა. ითქუა ესე ადგილსა თხემისასა შიშისათს უღმრთოთა სარკინოზთაისა, სადა იგი აღსრულებდეს დღესასწაულსა ამაღლებისასა“ (თარგმანი ეფრემ მცირისა).

7. „სიტყუა შესხმა წმიდისათს და დიდებულისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა“ (უნდა იყოს თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ).

8. „შესხმა წმიდისა მოციქულისა იოანე მახარობელისა“.

9. „შობისათს იოანე ნათლისმცემელისა“².

როგორც ვხედავთ, ცხრა ნაწარმოებიდან ოთხი თარგმნილია ეფრემ მცირისა და ექვთიმე მთაწმიდელის მიერ. ჩუენ კვლევის საგანია ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მარიამ მეგვიბტელისა, აღწერილი სოფრონის მიერ, იერუსალემელ მთავარეპისკოპოსისა“.

სოფრონ იერუსალიმელის ნაწარმოების მიხედვით, მარიამ მეგვიბტელი გარდაიცვალა 1 აპრილს, ხოლო მისი მოხსენიების დღეებია 1, 6 აპრილი და 2 დეკემბერი (იოანე ქართველის კალენდრის მიხედვით).

ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი საფუძვლად დაედო სხვა ქართულ ხელნაწერებს, ზოგიც სრულად იმეორებს მას. გვხვდება აგრეთვე ხელოვნურად გაზრდილიც. ოცდათექვსმეტი ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა დროს არის შესრულებული, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი ფორმით. აქედან: შვიდი ხელნაწერი — მეტაფრასული რედაქციებია; ერთი — მარხვანი ზატიკი; ოთხი — თენშია მოქცეული, ერთი მამათა და დედათა ცხოვრებაში, ორი — წმინდანთა ცხოვრებაში, ოთხი ხელნაწერი ცალკე წიგნად არის წარმოდგენილი. ხოლო ქვემოთ მოყვანილ ხელნაწერს (A—95) ვხვდებით პარზლის მრავალთავში³.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ხელნაწერებს სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ. როგორც აღვნიშნეთ, ისინი გადაწერილია XVI—XIX საუკუნეებში. ხოლო დრო, როდესაც ისინი შეიქმნა, ყველა ხელნაწერის დამუშავების შემდეგ, XI ს-დან XIX ს-ის ჩათვლით, შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად:

I პერიოდი — XI საუკუნე. ამ საუკუნეში ითარგმნა ძველი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ⁴. XI საუკუნის ხელნაწერი გვაქვს ოთხი: H—1709, A—95, A—1104, A—97 (A—97 საგალობელია). ექვს არ იწვევს, რომ ეს ხელნაწერები უძველესია, რამაც შემდეგ დასაბამი მისცა დანარჩენ ოცდათორმეტ გადაწერილ ნუსხას.

II პერიოდი — XVI ს-დან XVIII ს-ის ჩათვლით. XVI საუკუნეს მიეკუთვნება სამი ხელნაწერი: XVI—XVII სს. — ორი; XVII ს-ს. — ერთი; XVII—XVIII სს. — სამი ხელნაწერი. XVIII ს. — ექვსი ხელნაწერი.

III პერიოდი — XIX საუკუნე. ხელნაწერთა უმრავლესობა ამ დროს არის გადაწერილი (ჩვიდმეტი ხელნაწერი).

XI საუკუნის სამი ხელნაწერის (H—1709, A—1104) შედარებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ საინტერესო ფაქტს: ხელნაწერთა აღწერილობაში მითითებულია, რომ A—1104, ჰაგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული, თარგმნილია ბერძნული დედნიდან ექვთიმე მთაწმიდელის მიერ XI საუკუნეში. აგრეთვე, სოლომონ ყუბანეიშვილი მიუთითებს, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა A—95 ხელნაწერიც (პარხლის მრავალთავი). მითითებულია გვერდებიც (1261b—1265a) და მოყვანილია ნაწყვეტი „ცხოვრებიდან“ გარდა ამისა, H—1709 ხელნაწერიც XI საუკუნისაა. აღსანიშნავია, რომ H—1709 ხელნაწერი უშუალოდ თანხვდება უძველეს დედანს (A—1104), ხოლო A—95 რადიკალურად განსხვავდება. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმითაც გამოიხატება, რომ სრულიად განსხვავებული შესავალი აქვს ამ ორ ხელნაწერს. ხოლო ბერძნულ დედანთან შედარებამ გვიჩვენა, რომ A—1104 ხელნაწერი უაღრესად ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა აღნიშნული ორი ხელნაწერის განსხვავება. საგლისხმოა, რომ არსებობდა „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების“ ორი რედაქცია, რადგან A—95-ის გადაწერის გაბრიელ პატარაას არ შეეძლო ასე საფუძვლიანად შეეცვალა „ცხოვრების“ ტექსტი. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ორი ხელნაწერი S—4624 და S—4932 წარმოადგენს A—95-ის ე. წ. მემკვიდრეს, ხოლო ყველა დანარჩენი, ერთს გამოკლებით, მეტ-ნაკლები სიზუსტის, ემთხვევა უძველეს დედანს. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ სახეზე გვაქვს აგრეთვე XI საუკუნეში გადაწერილი H—1709 ხელნაწერი, რომელიც ნიკორწმინდის ეკლესიიდან არის ჩამოტანილი⁷ და, როგორც აღნიშნეთ, A—1104-ის ასლია. ზომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ გაბრიელ პატარაას ასე შეეშალა ტექსტი გადაწერის დროს, ხოლო ივანე დადიანმა ზუსტად გადაწერა H—1709. ამრიგად, გამოირჩევა ის აზრიც, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა ორგვარად თარგმნა ბერძნული ტექსტი. შეიძლება მასზე აღვრ სხვადასხვა მოკლე ხელი ამ საქმეს, მაგრამ ექვთიმეგან⁸ განსხვავებით სრულიად უცვლელ სახე ბერძნულ დედანს. გარდა ამისა, A—1104 და H—1709 წრევი რედაქციებია, ხოლო A—95 — შემოკლებული: საგლისხმოა, რომ არსებობდა „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების“ ორი რედაქცია, ხოლო მეორე, უძველესი რედაქციის ავტორი არ არის ცნობილი. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ ექვთიმეს შემდეგ შემოკლებით აღარავინ თარგმნიდა. A—95 (პარხლის მრავალთავი) დათარიღებულია XI საუკუნის დასაწყისით⁹. ექვს აღარ იწვევს ეს აზრი, რომ ქვემოთ მოყვანილი რედაქცია არის უძველესი და განსხვავებული ექვთიმესეული რედაქციისაგან. მოგვყავს (A—95) შემოკლებული რედაქციის ტექსტი:

(613r) ცხორება და მოქალაქობა და სინანული ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, რომელი იყო მეძავ

გუთნობდეს წმიდანი მამანი წმიდისა მარიამისთვის, ვითარმედ: ზოსიმეს გულმან უთქუა განსლვაი უდაბნოდ. სასოებაი აქუნდა, რათამცა პოვა ვინმე მამათავანი, რომელნი უდაბნოს იქცევიან, რამცა აწევა ვინმე მას, რომელიმცა ყო. და წარემართა იგი ღღისა გზასა და მეთესაქმსა მიხედნა, აღმოსავალით.

აღასრულებდა რა იგი წესსა კანონისასა, რამეთუ დაეწესნეს უამნი დღისანი და, ვითარცა გალობდა და მუგლნი მოედრიცნეს, იხილა მარჯუენით კერძო, ვითარცა აჩრდილი სახმ კაცისაჲ, და შეეშინა. ეგონა, ვითარმედ საოცარი რამე არს. მაშინ დაიწერა ნიშო ჭუარისაჲ და აღასრულა ლოცვაჲ და მოიხილა სამხრით კერძო და იხილა კაცი შიშუელი მიმავალი და იყო, ვითარცა მელანი კორცითა სიციხისაგან დიდსა დამწუარ და თმამ თავსა მისისაჲ სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი. ესე ვითარცა იხილა ზოსიმე მხიარულ იქმნა საკრველსა მას ხილვასა, იწყო მან საღამო-იგი ივლტოდა და მიუდგა. ცნა და უხაროდა, რამეთუ არასადა ეხილვა ეგოდენითა დღეთა სახმ კაცისაჲ და ეძიებდა ცნობად, ვითარმედ რამე არს ხილვად. ესე ჰგონებდა, ვითარმედ დიდთა ბერთაგანი ვინმე იყოს ესენი ვინმე იყოს. ვითარცა იხილა ზოსიმე, სიბერე დააეიწყა და, დაშრომა იგი გზისაჲ მის და შეუდგა, რამეცა ეწია მას ესე სდევდა. და იგი ივლტოდა და მცირედ რაჲ მიეწია მეოტსა მას, ვითარცა ვამა ოდენ ესმოდა, იწყო ზოსიმე (V) და ლაღებდა ცრემლით: რაჲს მევლტე მე ბერსა ცოდვილსა, წმიდამ ღმრთისაო? მელოდ მე, ვინცა ხარ მასვე ღმერთსა, რომლისათჳს მკვდრ იქმენ უღაბნოსა ამას. მელოდ არა ღირსსა ამას მასვე სასოებასა, რომელსა მოელი ღმრთისაგან შრომათაგან შენათჳს. მომეც მე ლოცვაჲ და კურთხევაჲ შენი ბერსა ამას მასვე ღმრთისა, რომელმან ცოდვილნი არა მოიხაგნის. ამას რაჲ ეტყოდა ზოსიმე, ცრემლით მიიწინეს ადგილსა ერთსა ჯეესა, რასმე ვემლსა. მეოტი იგი წიად ჯდა მიერ კერძო, ხოლო ზოსიმეს არღარა ძალ ეღვა სირბილად და დადგა ამიერ კერძო ჯეესა. და ვერ იკადრებდა [სიტ]-ყუად, არამედ გულსა შინა ოდენ იტყოდა: უფალო შემიწყალე მე. და შესძინა ლაღებდა ცრემლით და ტიროდა, რამეცა ასმიოდა მას. მაშინ მეოტმან მან მიუგო მას: მამაო ზოსიმე, შემინდე მე, ღმრთისათჳს, რამეთუ ვერ ძალ-მიც მიტყვევად და ხილვად შენდა, რამეთუ დედაკაცი ვარ და შიშუელ ვარ, ხოლო უკეთუ გნებავს ცოდვილა დედაკაცსა მინიჭებად ლოცვაჲ, მომიგდე ძონძი ვარ, რომელ გმოსიეს შენ, რამათა დაეიფარნე კორცნი ჩემნი და მოვიტე შენდა, და მოვიღე ლოცვაჲ შენგან. მაშინ განკრვებამან შეიპყრა, ვითარცა ესმა, რამეთუ სახელ სდვა მას. რამეთუ მახულ იყო და ბრძენ და ღმრთისა მიერ გულის ჯმა ყო და თქუა წმიდათა წინაწარმეტყულთა მადლითა გამო ვინმე ბრწყინებულ არს ესე. და ვითარ ესმა ბრძანებამ მისი, მწრაფლ განიძარცუა ძუელი იგი სამოსელი და მიუგდო. ხოლო მან შეიძოსა და მოიტეცა ბერისა და ჰრქუა: რაჲსათჳს ჯერ (614r) გინდა ცოდვილისა დედაკაცისა ხილვად, მამაო? რაჲსა ეძებდ ჩემგან, ანუ რაჲსა სასწაულად მოხუდენ? რაჲსათჳს ჰყავ ესოდენ შრომამ? ხოლო მან მოიდრიცნა მუგლნი ქუეყანად და ხედვიდა კურთხევასა მისგან. და მანცა მოიდრიცნა მუგლნი და სთხოვდა კურთხევასა, და არა იყო სმენა, არამედ ერთი ერთსა სთხოვდა კურთხევასა. და ჰრქუა დედაკაცმან მან: შენდა ჯერ არს, მამაო ზოსიმე, კურთხევაჲ და ლოცვაჲ, რამეთუ შენ გაქვს პატივი მღღელობისაჲ, რამეთუ მრავალ გზის საიდუმლოსა შესწირავ ღმერთსა. მაშინ ზოსიმე უფრომსსა შიშსა შევარდა და მოაკლდებოდა ვამა მისი უძლურებითა და ჰრქუა მას: დედაო სულიერო, რომელმან მოიკუდინენ გულის-თქუამანი, მაუწყებს შენ ზედა მინიჭებული მადლი, რამეთუ პირველად სახელი ჩემი მიწოდენ და აწ მღღელობად ჩემი. აწ მაკურთხენ და ჩემთვის ლოცვა ყავ, სრულ და სულიერო დედაო. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ყო ცხოვრებაჲ კაცთაჲ ერთობით. ზოსიმე თქუა: ამენ. და ჰრქუა დედაკაცმან მან; რომლი-

სა მადლისათვის მოხუდედ, მამაო, ხილვად შიშუელი ესე ყოველისა სათნოებისაგან და შენ იხებე ხილვად ჩემდა? არამედ ვიტყუ: მადლმან სულისა წმიდისამან მოგიყვანა შენ, რაათა მცირემ მსახურებამ შემდღომად წელიწადსა აღასრულო. ხოლო აწ მითხარ მე: ვითარ არს ნათესავი ქრისტიანთაჲ, ვითარ არიან მეფენი, ვითარ ჰმსახურებენ ეკლესიათა? ხოლო ზოსიმემ ჰრქუა: ლოცვითა წმიდითა შენითა, ღირსო და სულიერო დედაო, მშუდობამ მონიჭა ღმერთმან ყოველთათვე, არამედ გვედრებენ შეიწირე ვედრებამ ბერისამ და ილოცე ღმრთისა მიმართ ყოველისა სოფლისათვის (უ) და ჩემთვის ცოდვილისა, რაათა არა უნაყოფო იყოს მოსლვამ ჩემი უდაბნოსა ამას. ხოლო მარიამ ჰრქუა: შენდა ჯერ-არს, მამაო, ლოცვამ ჩემთვის და ყოველთათვის, რამეთუ მღვდელი ხარ, ვითარცა ესე გაქვს შენ, არამედ გულსმოდგინებამ შემიგავს, რაათა ბრძანებული შენი მორჩილებით აღვასრულო. და ესე ვითარცა თქუა, მოიქცა აღმოსავლად, აღიხილნა თუალნი სიმაღლესა ცისასა და ცრემლოოდა. კელნი გაპყრნა და იწყო ლოცვად ღუმლით. კვამ მისი არა ისმოდა, რომლისათვის ზოსიმემ ერთიცა სიტყუაჲ ვერ დაისწავა, ვითარ-იგი იტყოდა ძწოლით, ვერას იტყოდა მოწამედ ხალოდა. იხილა: დედაკაცი იგი ლოცვასა შინა აღმაღლებულად იყო ქუეყნით, ვითარ წყრთა ერთ, ჰერთა დგა და აღვიდა ვითარცა იხილა იგი ზოსიმემ, უფროასსა შიშსა შევარდა და დაეცა ქუეყანასა ზედა. დაეკუდა: ნუ უკუე სული რამე არს და ლოცვასა მაჩუენებს. მოიქცა დედაკაცი იგი და ჰრქუა: რაასათვის, მამაო, გულის სიტყუანი შეგაწუხებენ და გაკუთუნებენ? შენ მითხარ: სული რამე ვარა და ლოცვასა გაჩუენებს? დაიჯერე, მამაო, ცოდვილი დედაკაცი ვარი მე და ნათლისღებამ მომიღებეს. სული არამ ვარ, არამედ მიწამ და ყოველთათვე არა ღირსი, ნურას სულსა მამსგავსებ მე. ესე თქუა და დაიწერა ნიში ჯერისამ და ჰრქუა: ღმერთმან გიქსნეს ჰოროტისაგან, მამაო ზოსიმემ, და საქმეთაგან მისთა, რამეთუ მრავალ არს მადლი მისი ჩუენდა მომართ. და დაეარდა ბერიდა მოეხვა ფერჯთა მისთა და ეტყოდა ცრემლით: გაფუცებ შენ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომელი იშვა ქალწულისაგან, (615r), რომლისა თსცა მოაკვდინე კორცნი შენნი. ნუ დამიმაღლე მონასა შენსა. მითხარ, ვინ ხარ ანუ სადათ ხარ შენ, ანუ რომლისა სახისათვის დამიკვდრე უდაბნოა ესე. ნუ მიმაღლე შენსა კმისავე რამ განეთქუა. დიდებამ ღმრთისამ, რამეთუ სიბრძნემ დაფარული არა არს, რომელი არა გამოცხადნის, ხელწერილ არს არათუ სიქადულისათვის, არამედ რაათა არწმუნო სიბერესა ჩემსა. მრწამს ერთისა მიმართ, რომლისა თსცა ცხოველ ხარ და ჰმოქალაქობ, რომელიცა მომიძღუა მე უდაბნოსა ამას, რაათა განვაშინა და შენ ყოველი ესე, უკუეთუ მთა-ესე არა უდაბნო არამცა მეხილვე შენ, და არცამცა მეძლო მოსლვად შენდა ესოდენტა ამათ გზათა რადას სენაკით ჩემით ვერ მეძლო გამოსლვად. ესე რამ ჰრქუა ზოსიმემ, აღადგინა იგი დედაკამან მან და ჰრქუა: მრცხუენიან მამაო შემინდევ, სირცხული არს, საქმეთა ჩემთა თუ ვიტყოდი, ვითარ იხილე კორცთა ჩემთა. უკუეთუ განვაშიშულნე საქმენი ჩემნი, რაათა გულის კვა ჰყენე. რადენი სირცხული მოიწია ჩემ ზედა. არა, ვითარ შენ ჰკონებ, ვითარმედ სიქადულისათვის არა ვინებე თხრობამ. ჰურბული ეშმაკისამ ვიყავ მე, და ესე უწყი, უკუეთუ ვიწყო მე თხრობად საქმეთა ჩემთა და ვიტყოდი. ვერ შემძლებელ ვიყო მე თხრობად და შენ სმენად, ხოლო აწ ვიწყო მცირედ და ვიტყოდი: პირველად გაფუცებ შენ, ნუ დამივიწყებ მე ლოცვასა, რაათა ეპოვო მე წყალობამ დღესა მას საშველი-

სასა. ხოლო ბერი იგი ცრემლოდა დაუცხრომელად. იწყო დედაკაცმან მან თხრობად და თქუა:

მე, მამაო, (U) მეგვიბტელი ვიყავ. ცხოვრებასა მშობელთა ჩემთასა ვიყავ მათთანა ათორმეტ წელ და ამისსა შემდგომად არღარა თავს ვიდევ ზრდაჲ მათი, ურჩ ვექმენ და მივედ აღექსანდრიად. პირველად ქალწულებაჲ ჩემი თუთ განვეკრწენ, რამეთუ უძლურ ვიქმენ და ვერ დავითმენდი გულის თქუმასა კორცთა ჩემთასა, მოყვარე ვიყავ ათ ჩუდმეტ წელ. შენდობა ყავ, მამაო, ჩემ ზედა, ესრეთ აღვასრულენ ესოდენნი წელნი ურიცხუსა ერსა წინა, რამეთუ წარსაღებელსა არას წარვიღებდი უნებლიათათა, თუ ვინ მომცემ არა წარვიღი. ამისთვის, რაჲთამცა მრავალნი მოვიდოდეს ჩემდა უსასყიდლოდ, ვიდოდე ყოველთა თანა. არა თუ მდიდარი ვიყავ და მისთვის არა წარვიღებდი, არამედ მკოდოვი ვიყავ და მრავალ გზის სელსა ვქსოვიდი და მით ვიზარდებოდე. ტრფილაჲმ მაქუნდა და ესრეთ ვიმწუბებოდე მწურვისა მას ეშმაკისასა, მეგონა ესრეთ ცხოვრებაჲ. ვიხილე ერთსა ზაფხულსა სიმრავლემ მამათა მეგვიბტელთაჲ, სწრაფით მოვიდოდეს ზღუად და ვაკითხე ჰაბუქსა ვისმე; ვიდრე მისწრაფის მამები ესე. და მან მრქუა იმრუსალიმდ, რამეთუ დღემ არს აპყრობაჲ პატიოსნისა ჯვარისაჲ. და მე ვარქუე: არა მემცა წარმიყვანესა? და მან მრქუა: უკუეთუ გაქუს სანავემ და საგზალი, არა ვინ გაყენებს. და მე ვარქუე: მას; სანავემ და საგზალი შინაცა არარაჲ მიც, არამედ აღვევდ ნავსა მას და წარმიყვანონ, უნდეს და არა უნდეს, რამეთუ მაქუს სასყიდელი (616r) ნავისაჲ. ამისთვის მინდა წარსლვაჲ, რაჲთამცა მრავალნი ვპოვენ, რომელნი თანა მეყვენს ამისთვის. გარქუ შენ, მამაო, ვითარმედ ნუ მაწუეე თქუად ურცხვნობასა ჩემსა, რამეთუ დღეს, ვითარცა უწყის უფალმან შეგაგონებ შენცა და თავსაჲ ჩემსა სიტყუათა ჩემთა. ხოლო ზოსიმემ თქუა: იტყოდე და დაიჩემო და ნუ დაბრკოლდები, ხოლო მან იწყო პირველსავე მას სიტყუასა ჰაბუქსა მას. განეცინეს, ხოლო მე დავავდე სასთავი ჩემი და მივრბიოდე ზღუად, ვინაჲცა ივინი მირბიოდეს. ხოლო მე ვიხილენ ათნი ჰაბუქნი ზღუს კიდესა, ვითართაცა ვეძიებდი შეოდენმეტყუებოდეს მე იყვენს სხუანიცა. ნავსა მას შინა, ურცხვნოდ შევედ მე მათ თანა, ვითარცა იყო წესი ჩემი და ვარქუე: წარმიყვანეთ, ვიდრეცა ხუალთ, რაჲთა ეპოვო მე თქუენგან უცნობელად და შევსძინე უღუხჭირესთა სიტყუათა და ყოველთა განვაცინენ. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ურცხვნობაჲ ჩემი, შემიწყნარეს. და შემოვიდეს ჰაბუქნიცა იგი, რომელნი ვიხილენ ზღუს კიდესა და წარჰმართეს ნავი იგი, ვითარ ვითხრობდენ შენ, კაცო ღმრთისაო, ვერცაღა ენაჲ სიტყუად და ყურნი სმენად შემძლებელ არიან, რომელნი ბოროტნი იქმნენ ნავსა მას შინა. და ვითარ გმელად გაპოვედით, რომელთაცა იგი არაუნდა ჰაბუქთა უნებლიათ ვაძიებდები ვერცაღა ენაჲ შემძლებელ არს თქუად საწყალობელთა მათ ჰაბუქთათუს, რომელთა ბოროტის მოძღუარ ვექმენ. განკურვებულ არს სულა ჩემი, ვითარ მრავალთა ზღუათა და ქუეყანასა არა შთანთქა (U) ჯოჯოხეთმან ამისთვის. რამეთუ ესოდენთა სულითა საცთურ ვექმენ, არამედ ვითარ ვპოვნებ, ინება უფალმან ძიებაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ არა ჰნებაჲს სიკუდილი ცოდვილისაჲ. არამედ სინანულსა და მოქცევისა მოელის. და ვითარ მივიწინით იერუსალემდ, რადენთამე დღეთა ვიქცეოდე უწინარემს დღესასწაულისა მის და ვიძიენ მსგავსნივე ჩემნი, ვითარნიცა მინდეს, რამეთუ არა მეყვენს ჰაბუქნი იგი ზღუასა მას შინა, არამედ სხუანიცა ვიქმენ მოქალაქენი და უცხონი. და ვითარ მოიწია დღემ იგი აპყრობაჲ პატიოსნისა ჟუარისაჲ, მე ვითარცა პირველ

ვილოდე, სადაცა ვპოვებდი ქაბუქსა საბრკესა უგებდი. ცისკარსა ყოველნი ეკლესიად მივილოდეს, მივედ მეცა მათ თანა, ვითარცა მოიწია აპყრობაჲ პატიოსნისა ჭუარისაჲ, შევეძლევი უნებლიაჲთ შესლვად ტაძარსა მას ერსა თანა. და ვითარ მივიწიე კურიაკესა ტაძარსა მას, შეღმართ ჩნდა ტაძარი იგი, სადა იგი ცხოვლს მყოფელი ძელი ჭუარისაჲ თაყუანის იცემებოდა ძლით და ჳირით მე უბედრუკი ესე მივიწიე და, ვითარცა ფერკი შევედგი ზღურბლსა კარისასა, ყოველნი დაუბრკოლებულად შევიდიან, ხოლო მე მაყენებდა ძალი იგი ღმრთისა და არა შემინდობდა შესლვაჲ. გამომავდის მე კიდე. ვხედვედი მე თავსა ჩემსა მდგომარესა ეზოსაჲე შინა და მეგონა მე, ვითარმედ უძლურებითა დედა-საცომისაჲთა შემემთხუა ესე და კულად შეგერთე სხუათა. შემომტკიცე თავი ჩემი და ეშურებოდე ოდენ ცუდად და, ვითარცა მივიწიე ზღურბლად და ფერკი დავედი, ყოველნივე ტაძარსა მას შინა იპოვნინან, ხოლო მე [617r] საწყალობელი ესე ტაძარმან არა შემიწყნარის, ყოველთა შევილიან, ვითარცა მკედართა მდგომარეთა. და მე მარტოსა და მიგმიან, რამეთუ ძალი ჭუარისაჲ მაყენებდა მე შესლვად და გამომავდის მე ეზოსა მას ტაძრისასა. ესე სამეზის და ოთხ-გზის შემემთხუა და შემდგომად ამისა განვდეგ და უკუნ ვდეგ ერთსა ადგილსა ყურესა მის ტაძრისასა და ძლით მომეგონა მიზეზი ცოდვილთა ჩემთაჲ, ვითარმედ მაყენებს მე პატიოსანი ჭუარი, რამეთუ შემეზხო თულთა გულისა ჩემისათა სიტყუამან ცხორებისამან და მიჩუენებდა, ვითარმედ სიმრავლემან ცოდვათა ჩემთამან დამაყენა მე შესლვად. და ვიწყე ტირილად და ცემად მკერდსა და სულთ ვითქუმდ სულთ თქუმითა სულისა ჩემისაჲთა. და ეტიროდი მწარედ და ვიხილე ადგილსა, რომელსა ვდეგ ზედა ჩემსა, ხატი წმიდისა დედოფლისა ჩემისა ღმრთის მშობელისაჲ მდგომარც და ვარქუ მას მორტეკითა თულთაჲთა: წმიდაო ქალწულო დედოფალო, რომელმან სიტყუაჲ ღმრთისაჲ გორციელად ჰშევ, ვიცი ესე ჳეშმარტად, რამეთუ არა ჳერ-არს ჩემდა სახელის დებად და კურთხევად შენდა. რომელი ესე შევიბდალე უძღებად, ვითარმცა ვიხილე ხატი შენი ქალწულისა უბიწოისაჲ. რამეთუ შენი სული და გორციი შენნი უბიწო არიან და მე შენგან საძულეო და საძაგელ ვარ. ხოლო მასმიეს ღმრთისაჲ, რომელმან შექმნა ხატი, რამეთუ მოუწოდს ცოდვილთა სინანულად. შემეწიე მე საწყალობელსა ამას, რომელსა არაჲ მაქვს შემწე. ბრძანე ჩემთჳს შეწევნაჲ და შენდობა ყავ, (v) რაჲ ეკლესიასა ამას ღირს ვიქმნე შესლვად და ნუ დამამბრკოლებდღე ხილვად ძალსა მისსა, რომელსა ზედა გორციელად დაემშუთალა ღმერთი, რომელი შენგან იშვა და სისხლი მისი დასთხია ჩუენისა ჳსნისათჳს. ბრძანე, ღმრთის მშობელო, ჩემთჳსცა განღებაჲ კარისაჲ, სადა-იგი ძელი ჭუარისაჲ თაყუანის-იცემების და შენ მიგცე თავს დებად შენგან შობილსა ღმრთისა, რაჲთა არღარა შევაგინნე გორციი ესე ჩემნი ეშმაკისაგან საძაგელისა. არამედ რაჲამს ძელსა ჭუარისა ძისა შენისასა თაყუანის-ვსცე და ღმრთისა ჩემისასა სოფელი და ყოველი რაჲ არს მას შინა სოფლისაჲ დაუტეო და მოვიძულო თავი ჩემი და შენ ღმრთისა ჩემისა თანა თავს-ღებისა და შემწყნარებელისასა, სადაცა მიბრძანო, მუნცა წარვიდე.

და ესე, ვითარცა ვთქუ სარწმუნოებაჲ შევიმოსე, ვიხილე რაჲ მეოხებაჲ წმიდისა ღმრთის-მშობლისაჲ, რომელი მეტყოდა: წარვედ ამირე ადგულთა, სადა-იგი ვდეგ ივდრებაჲ. დავასრულე და მივედ კარსა და შემავალთა შევერთე და არა ვინ ვყო მუნ მამბრკოლებელ ჩემდა და ვიპოვე მე ტაძარსა მას შინა და შემიბებრა მე ძრწოლამან და მევიმუსრვოდე. და მივიწიე ბჳეთა, რომელნი პირველად დამეკშვოდის მუნ ქუესეჲ, ვითარცა მაჳირებებლთა შემიბყრეს და

ვიპოვე მუნ შინა უშრომელად წმიდასა მას შინა წმიდათასა და ცხოველს-ყოფელისა ჭუარისა ხილვასა ღირს ვიქმენ და საიდუმლოთა ღმრთისათა ღირს ვიქმენ თაყვანისცემად. და ვისწრაფე გამოსლვად თავი ღებისა ჩემისა (618r) წმიდისა ღმრთის მშობელისა და მოვედ მასვე ადგილსა და ესე სიტყუანი ვთქვენ: შენ მოყვარეო სახიერებისაო, შენ იჩინა კაცთმოყუარება და არა უგულვებელს ჰყავ ვედრება ჩემი უღირსისა, და ვიხილე დიდება, რომელი მრავალთა მართალთა ვერ იხილეს. მაშინ შეიწირა შენ მიერ, აწ აღვასრულე აღნათქუემი იგი ჩემი აწ სადა ვნებას მიმიძელვ და მექმენ მე ცხოვრებისა მძლუარ და სოფლისა მპყრობელ გზასა სინანულისასა. ამას რამ ვიტყოდე, მესმა კმა, რომელი მეტყოდა მე: იორდანით ვიდოდე და კეთილი ჰპოო და განსუენება. ვითარცა მესმა ვმა ვე, მუნით კერძო წარვემართე და ვცროლოდე, კმა ვყავ ღმრთის მშობელისა მიმართ: ღმრთის მშობელო, ნუ დამავდებ მე და გამოვედ ეზოასა მისგან ტაძრისა და მიხილა ვინმე და მომცნა სამნი ფოლნი და მრქუა მე: მიიხუნ ესე, დედაო, და სამნი პურნი. მითა ვიყიდენ და ივინი წარვიხუნ ევლოგიად და საგზლად. და ვჰკითხე: გზაიცა, რომელმან იგი პურნი მომყიდნა, და ვარქუ მას: სადათ მივალს გზა იორდანედ. და ვისწავე ბჰე ქალაქისა და ვრბოდე ტირილით. იყო ჟამი მესამე, რაჟამს ვიხილე ძალი პატიოსანი და მივილე საგზალი იგი ტაძრისა მას წმიდისა წინა მორბედისასა, რომელ არს კიდესა იორდანისასა და ვანვიწმიდე თავი ჩემი წყლითა და ვეზიარე უკრწნელსა მას ქრისტეს საიდუმლოსა და შევკამე პურისა მის ნახევარი და ვპოვე მცირე ნავი და წიად ვკედ იორდანესა. და ვსთხოვე წინამძლუარსა ჩემსა წმიდასა ღმრთის მშობელსა და ვარქუ: მიმიძელვ მე ვიდრეცა იგი სათნო არს შენდა. და წარვედ (v) უღაბნოდ და მიერთვან აქამომდე აღვიმადლე განვეშორე მოველოდე ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა.

ზოსიმე პრქუა: რადენი წელი არს ვინათვან აქა იქცევი? ხოლო მან მიუგო და პრქუა: ორმოც და შვიდი წელი არს, ვინათვან გამოვედ ქალაქით.

ზოსიმე პრქუა: რამ გეპოებინ აქა საზარდელი ჯორცთამ. პრქუა მას მარიამ: ორი იგი პური და ნახევარი მაქუნდა, ოდეს წიად მოვკედ იორდანესა, რომელნი განვმეს, ვითარცა ლოდნი და ვიდრე აქამომდე ვკამდი და აწ დამელინეს. პრქუა მას ზოსიმე: გული არა გითქუ მიდა პირველთავე მათ საქმეთა საქმედ? პრქუა მას მარიამ: დიდსა მკითხავ, მამაო ზოსიმე, რომელთათუეს ვძწი, უკუეთუ მოვიკენენ, რომელთა დაუთმე გულის სიტყუათა, მეშინის. პრქუა ზოსიმე: ნუ რას დაუტყვებ, რომელი არა მითხრა მე. ხოლო იგი იტყოდა: ათშუდმეტი წელი ამას უღაბნოსა დავყავ. მიმოვიდოდე და გული მითქუმიდა თევზისა და კორცისა, რომელი მაქუნდა ევებტეს და ღვინისა მსუბელი ვიყავ და აქა წყალიცა არა მაქუნდა და დავიწუბოდე და დავისაჯებოდე და კმა იგი როსკობტთამ, რომელი მესწავა ეშმაკთაგან მომისმინეს, მომეკსენის პაემანი იგი, რომელი დავდეი, ვიდრე გამოსლვადმდე ჩემდა უღაბნოდ მომიკდის გულსა და შევსტიროდი ხატსა მას დედოფლისა წმიდისა ღმრთის მშობელისასა თავს ღებისა მის ჩემისასა, რათამცა განდევნა გულის სიტყუად იგი გულისაგან ჩემისა. ამას რამ ვიტყოდი, ნათელი ვიხილე გარე (619r) მოას ჩემსა ბრწყინვალე, ხოლო გულის სიტყუად, ვითარცა ცეცხლი აღატყდებინ ჩემ ზედა ჯორცთაგან და დამწუან მე. ესრეთ მოველ ათშუდმეტი იგი წელი ტანჯულმან და მიერთვან აქამომდე შემწემან ჩემმან წმიდამან ღმრთის მშობელმან არა დამიტევა მე. პრქუა მას ზოსიმე: არა სადა გინდა, დედოფალო, საზარდელი გინა სამოსელი? ხოლო მან პრქუა მას: პირველ, ვითარცა-იგი გარქუ შენ, შევკამენ პურნი იგი

ორნი და ნახევარი და ათშუღმეტსა წელსა ყუავილითა ვიზარდებოდე, ხოლო სამოსელი წილ რაჲ ვკედ იორდანესა, დაძულდა და შეიკამა ყინულითა და სიციხითა ტყვილი ვიდრე სიკვდილადმდე დავითმინე. მიერთვან შემოსილ და დაცარულ ვარ მე სიტყუთა ღმრთისაჲთა, რამეთუ არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, ახცალა თუ სამოსელითა. ვითარცა ესმა ზოსიმეს, ვითარმედ პასუხი წიგნთაგან მიუგო, ჰრქუა მას: დედოფალო, იცოდეა სწავლაჲ? ხოლო მან განიცივნა და ჰრქუა: გარწმუნენ ღმერთმან, მამაო, არა მიხილავს პირი კაცი-საჲ, ვინაჲთგან წილ მოგვედ იორდანესა თუნიერ შენსა დღეს, არცა მავსოს დასწავლაჲდა არა ვიცოდე არცა წიგნისა კითხვაჲ. ვიცოდე, ხოლო ღმერთმან ასწავის კაცთა მეცნიერებაჲ აქამომდე არს თხრობაჲ ჩემი შენდა მიმართ, რომელ ვქმენ, არამედ გაფუცებ შენ ღმერთსა ცხოველსა, მილოცე მე უტეგსა ამას უფლისა მომართ. და ესე ვითარცა თქუა, დაასრულა, იწყო ბერმან მუკლთა მოდრეკად და ცრემლითა ვედრებად ღმრთისა და იტყოდა: კურთხეულ არს უფალი, რომელმან ყვის საკურველი მხოლო მან მრწამს, რამეთუ არა დაუტევენის, რომელნი ეძიებენ მას. (V) ხოლო მან არა უგლო ბერსა მუკლთა მოდრეკად, არამედ ეტყოდა მას ესე. რაჲ იხილე, მამაო, გაფუცებ შენ, სამებასა წმიდასა, ნუვის უთხრობ, ვიდრემდის განვიდე მე ამიერ ქუეყანით, არამედ წარვედ მშუდობით და მომავალსა წელიწადსა, კულად მიხილე მე სახელითა ღმრთისაჲთა, არამედ ყავ ესე, რომელსა გამცნებ მარხვანი ესე, რომელ მოვლენან, ნუ წილ მოხვალ იორდანესა, ვიფარცა არს წესი თქუენი, არამედ იყავ მონასტერსა შინა შენსა. ვითარცა ესმა ბერსა, ვითარმედ უთხრა წესი მონასტრისაჲ, განუკრდა ფრიალ და აღიდებდა ღმერთსა. ხოლო მან ჰრქუა: შენ დაადგერ მონასტერსა მარტოჲ გინდესლა თუ, ვერ გამოხვდე, ხოლო წმიდასა ხუთშაბათსა მომგულარე მე უხრწნელი ჯორცი და სისხლი ქრისტესი ბარძიმიითა და მელოდე წილ იორდანესა, რაჲთა ვეზიარო საადუშლოსა ცხოელს-ყოფელსა ნიჰსა, რამეთუ რაჲამს ვეზიარე ტაძარსა მას წინამორბედისასა ვიდრე წილ მოსკვადმდე ჩემდა, მიერთვან არლარა ზიარებულ ვარ. და ესე ვითარცა თქუა, წარივლტოდა სივრცესა უდაბნოჲსასა.

ხოლო ბერი მოიქცა მონასტრადვე და არავის უთხრა, რაჲ იგი იხილა. და ვითარცა მოიწინეს დღენი იგი წმიდათა მარხვათანი, პირველსა კურიაყესა, ყოველნი გამოვიდეს გალობით, ხოლო ზოსიმეს შეეღვა საღმობაჲ კურეგებისაჲ და მოეკსენა სიტყუჲ იგი წმიდისაჲ მის, რომელ ჰრქუა, ვითარმედ: გინდესცა თუ ვერ გამოხვდეო. და იქცეოდა მონასტერსა შინა, ვითარცა მოიწია დიდი ხუთშაბათი, წარიყვანა ბარძიმიითა უხრწნელი ჯორცი და სისხლი ქრისტესი და აღილო კანისკი და ჩაიღვა ლეუვ კმელი და დანაკის-კული და ოსპნი და მივიდა ღამე და დაჯდა კიღესა (620r) იორდანისასა და მოელოდა წმიდასა მას. და ვითარცა დაეყოვნა უდაბნოთ მოსლუაჲ, ეტყოდა თავსა თუსა: ანუ მე ჩემმან უღირსებაჲმან დააყენა და ვერ მოვიდა ნეტარი იგი, ანუ მოვიდა და არა მპოვა. ამას რაჲ იტყოდა, ტირილით აღიხილნა ზეცად და თქუა: ღმერთო ნუ დამაკლებ მე ხილვად, რომლისაჲ მწადის მე ხილვაჲ და განიზრახვიდა, უკუეთუ მოცა-ვიდეს ნავი, არა არს, ვინაჲ წილ მოვდეს იორდანესა ჩემდა უღირსისა. ვითარცა ამას განიზრახვიდა ნეტარი იგი ბერი, წმიდაჲ იგი დედაკაცი მოიწია და დადგა წილ იორდანესა, ხოლო ზოსიმემ აღდგა სიხარულით და იხილა იგი წილ კერძო, რამეთუ მთოვარემ იყო ღამესა მას. ხოლო მან დასწერა ჟუარი წყალთა მათ და შემოვდა მდინარეთა მას ზედა და მოიწია და მოვიდა ამიერ. კერძო თაყუანის სცემდა ნეტარი ზოსიმემ, ვითარცა უნდა მას, ხოლო წმიდაჲ იგი აყენებდა მას.

და იტყოდა, მამაო, ნუ დაშურები, რამეთუ მღვდელი ხარ და გელთა გყავს საიდუმლოა ქრისტესი. ესე თქუა და გამოვდა წყალთა მათგან და ჰრქუა ზოსიმეს: მაკურთხე მე, მამაო. ხოლო ბერმან მიუგო: ჰეშმარიტ არს ღმერთი, ვითარცა წერილ არს: ნეტარ იყვენნ წმიდანი გულთა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ, ხოლო წმიდაჲ იგი ითხოვდა ბერისაგან, რამთა წართქვას მრწამსი და „მამაო ჩუენოა“ და ეგრეთ საიდუმლოსა მას ეზიაროს. და აღიპყრნა კელნი თუსნი ზეცად წმიდამან მან და ცრემლოდა და სულთ თქემით იტყოდა: აჲ განმითვე მე მკევალი შენი უფალო მსგავსად სიტყუსა შენისა მშუდობით, რამეთუ იხილეს თულთა ჩემთა მაცხოვარებჲა შენი. რამეთუ ღირს ვემქენ ნიქთა შენდა ზიარებად დღეს. და ჰრქუა ბერსა: შემინდვე, (უ) მამაო, ერთსა გული მითქუამს, რამთა იგიცა აღვასრულო. წარვედ მონასტრად შენდა და დაგიცვეს ღმერთმან მშუდობით მომავალსა წელიწადსა მოვედ კეცსა მას, სადა-იგი პირველად შენ გიხილე და მუნ მიხილო მე, ვითარცა იგი სახიერსა ღმერთსა ჯერ უჩნდეს. ხოლო ზოსიმე ჰრქუა მას: გვედრები, დედოფალო, მიილე საზრდელი, რომელ მომიღებეს. და უჩუენა კაკანისკი იგი, ხოლო წმიდამან მან სამი მარცუალი ოსპნისაჲ აღიღო კელითა და შესუა პირსა თუსსა, რომლითა საიდუმლოა იგი დაიცივა და თქუა: მეყოფის ესე მე მადლითა სულისა წმიდისაჲთა. მერმე ჰრქუა ბერსა: ლოცვასა შენსა წმიდასა ნუ დამიტევებ და მიმდემი გახსომცა. და დასწერა ჯუარი ორდანესა და შევდა წყალთა მათ და წილ კდა კმელად. ხოლო ნეტარ ზოსიმე სიხარულით მოიქცა მონასტრად და აბრალებდა თავსა თუსსა. და თქუა: ვითარ არა ვაკითხე სახელი მისი. და ვითარცა აღესრულა წელიწადი, იგი, წარვიდა ნეტარი ზოსიმე უდაბნოდ. და ვითარცა მიიწია, პოვა ნიშანი ადგილსა მას; აღიხილნა ზეცად და იტყოდა ვედრებით: მიჩუენე მე, უფალო ღმერთო, საუჯემ იგი დაფარული და წარუტყუენველი, რომელი უდაბნოსა შინა დაგიმაღავს. ამას რაჲ იტყოდა, ადგილსა მას მიიწია და კევი იგი იხილა აღმოსავალით კერძო და წმიდაჲ იგი მდებარე აღსრულებული. მიისწრაფა და ამბორს უყო მას ტირილით და წყო ფსალმუნთა თქუამად, რომელნი შეჰკვანდეს და თქუა გულსა თუსსა: დაფლვაჲ უნდესა ნაწილთა ამათ წმიდათა, (691r), ანუ რამე სათნო არს მისა ამას. რაჲ იურვოდა, იხილა სასთუნად მისა წერილი ესრემ: დაჰვალ, მამაო, ამას ადგილსა გლახაკისა მარიამის ელამი. მიუთუალე მიწაჲ მიწასავე და მე მილოცედი, რომელი აღესრულა თთვესა აპრილსა დღესა დიდსა პარასკევსა, ჯუარცუმასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ესე ვითარცა წარიკითხა ზოსიმე, განიზრახვიდა, თუ ვინმე დაწერა ესე, ვითარცა იგი მან თქუა, ვითარმედ წერაჲ არა ვიცოდევო. განიხარა ზოსიმე სიხარულითა, რამეთუ არა იცოდა სახელი მისი, გულის-ქმა ყო და ცნა, რომელსა ჟამსა ეზიარა საიდუმლოთა ღმრთისათა იორდანისა, მიიწია მას ადგილსა და აღესრულა, რომელ-იგი ზოსიმე მივლო შრომილ ოცსა დღესა, წმიდაჲ ესე მარიამ წამსა თუალისასა მიიწია და შეჰვედრა სული თუსი უფალსა, ხოლო ზოსიმე აღიდებდა ღმერთსა და ცრემლით იტყოდა: ბრძანებული შენი აღვასრულე, არამედ რაჲ ვყო, რამეთუ სათხროლი კელთა ჩემთა არა მიქუს. ეს ვითარცა თქუა, იხილა განშორებულად სათხროლი, მოიღო კელთა თუსთა და იწყო თხრად. ხოლო კმელი იყო ქუეყანაჲ იგი და არა ერჩდა ბერსა. შურებოდა და არა ძალ-ედვა და სულთ ითქვიდა. იხილა ლომი დიდი დგა გუამსა მას თანა წმიდისასა და ჰლოშნიდა ფერკთა მისთა. შიშმან შეიპყრა ზოსიმე, ჯუარი დასწერა და ჰრწმენა, ვითარმედ არა რაჲ აენოს მას. ხოლო ლომმან მან იწყო მიახლებად ბერისა და ამბორს უყოფდა ფერკთა მისთა, ხოლო ზოსიმე ჰრქუა მას: ჩემდა ბრძანე-

